




N15 (566)

14/IV-20/IV-2011 ფანი 1 ლარი

ქართული პროზის სპანსური

ივრეა

გაქვალნი ტოლის ქვსკეპა



თბილისში
განგაურებული
დანაშაულის
ისტორია...

კილერისთვის
გადახდილი
5.000 დოლარი...



ტომი №59
ნაირა გელაშვილი
დედის ოთახი
ნაწილი I

უბიძლიათ უბიძინოთ
„გზის“ ამ მოგვრათა ერთად!
წიგნი და „გზა“ ერთად
4 ლარი ღირს

უბიძლიათ ტომი
ნაირა გელაშვილი
ნაწილი II

როგორ გადას კუდი
ყავარზე სპანსებმა



მესტიეში, ანსაგლი „რიკოს“
წევრები რეპეტიციებზე
პოლიციას დაჰყავს

დავაპუროთ თუნდაც ერთი მუიერი ბავუვი

ავიასტიაზე უყვარებული
ახალგაზრდების
საბადისწერო
რეისი



კინუასას აეროპორტის
მოჯადოებული
საჰაერო სივრცე

რა სანიდუემლოს
ახადა ფარდა
გუფიმი?



„ჩემი უბილი უბამოდ გარდა“ ...

ISSN 1987 - 5029



9 771987 502009

და გასტრიტის წარმოშობ მიზეზებზე



✓ ანადგურებს ჰელიკობაქტერიას

✓ ხელს უწყობს კუჭის ლორწოვანი ბარსის შესორცმას



გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს
 დისტრიბუტორი “ ავერსი ფარმა” აღმაშენებლის 148/2

მოსრდილებსა და ბავშვებში 12 წლის ზემოთ ინიშნება 1 ტაბ. 120 მგ 4-ჯერ დღეში ან 2 ტაბ. 2-ჯერ დღეში, 4-დან 12 წლამდე ინიშნება დღეში 8 მგ/კგ-ზე, გაყოფილი ორ მიღებაზე. პრეპარატი მიიღება ჭამამდე 30 წთ-ით ადრე. ხანგრძლივობა - 4-8 კვირა. შემდეგი 8 კვირის განმავლობაში არ არის რეკომენდებული ბისმუტის პრეპარატების მიღება. შესაძლებელია განავლის შავად შეფერვა, რაც არ საჭიროებს პრეპარატის მოხსნას. გვერდითი ეფექტები: შესაძლებელია გამოვლინდეს გულისრევა, ღებინება, დიარეა, ყაზხობა, კანის გამონაყარი, ქავილი. არ გამოიყენება თირკმელების მძიმე უკმარისობის, ორსულობის, ლაქტაციის და პრეპარატის ინდივიდუალური აუტანლობის დროს.

რა იმალება გასტრიტის დიაგნოზის მიღმა?

გასტრიტი – კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. გამოკითხული 10 რესპოდენტიდან სავარაუდოდ ათივე გვიპასუხებს, რომ გასტრიტის მიზეზია არასწორი კვება, განსაკუთრებით კი ჩვენი „გასტრონომიული სისუსტეები“–მწრალი, მჟავე და მწარე საკვები. მე-20 საუკუნის 80–იანი წლების დასაწყისში მეცნიერულად დადასტურდა, რომ გასტრიტის ძირითადი გამომწვევია ბაქტერია ჰელიკობაქტერ პილორი (Helicobacter pylori). ავსტრალიელი მეცნიერების ამ აღმოჩენამ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა გასტროენტეროლოგიაში. H.P. აზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს, იწვევს მარილმჟავას დიდი რაოდენობით გამოშუშავებას, რაც ნეგატიურად მოქმედებს კუჭზე. შედეგად ვითარდება ანთებითი პროცესი –ქრონიკული გასტრიტი.

კიდევ ერთი არასასიამოვნო „სიახლე“– H.P.–ით ინფიცირება ხდება პირადი ჰიგიენის საგნებით და ნერწყვით, რაც ავადმყოფობის ოჯახური კერების ფორმირებას უწყობს ხელს.

ამავე დროს, ქრონიკული გასტრიტი შეიძლება სიმსივნის განვითარების მიზეზი გახდეს. ხანგრძლივად მიმდინარე H.P.–სთან ასოცირებული ქრონიკული გასტრიტის დროს 6–ჯერ იზრდება კიბოს განვითარების რისკი. მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ „გასტრიტის“ დიაგნოზის შემთხვევაში პაციენტები ხშირად მიმართავენ თვითმკურნალობას მჟავიანობის დამწვევი პრეპარატებით. თავიდან ეს მართლაც „შველის“, მაგრამ დაქვეითებული მჟავიანობის პირობებში H.P. აქტიურად ვრცელდება კუჭის მოელ ლორწოვან გარსზე, რაც პროცესის გაქრონიკულებას იწვევს.

გასტრიტის სწორი მკურნალობა 2 მიმართულებით უნდა წარიმართოს: გამომწვევის, ანუ H.P.–ის განადგურება და კუჭის დაზიანებული ლორწოვანი გარსის აღდგენა. ამ მხრივ პრეპარატი დე-ნოლი თავისი უნიკალური თვისებების გამო შეუცვლელი კომპონენტია გასტრიტის მკურნალობის თანამედროვე სტრატეგიაში. დე-ნოლი წარმატებით ებრძვის H.P.-ს და ანადგურებს მას, აფერხებს მის გავრცელებას კუჭის ლორწოვანზე, ამავდროულად ხელს უწყობს დაზიანებული ლორწოვანი გარსის აღდგენასა და შესორცმას. H.P.-ს არ გააჩნია მდგრადობა დე-ნოლის მიმართ. დე-ნოლი არ მიეკუთვნება ანტიბიოტიკების ჯგუფს, არ ახდენს გავლენას ნაწლავის ნორმალურ მიკროფლორაზე. სწორედ ამ უნიკალური თვისებების გამო, გასტრიტის გამწვავების დროს, ექიმები რეკომენდაციას უწევენ დე-ნოლს.

franco fontana

italy



2011 წლის ახალი სეზონისთვის
სურვილი გვაქვს
სიყვარულს დავუძლიან!



შობიანდით franco fontana -ში
და შეიძინეთ ძვირფასი სიყვარული
თქვენთვის ძვირფასი ადამიანისთვის!



franco fontana

გთავაზობთ ცნობილი

იტალიური ბრენდების

ოქროსა და ვერცხლის ნაქონობების

ახალ კოლექციას!

franco fontana გემოვნებიანი აღამიანების არჩევანი

რუსთაველის 26 ☎18-10-47; ვაჟიშვილის 7 ☎30-65-56; შავაშვილის 21 ☎18-10-46;
დადიანიის 7, ☎18-14-15 (ქარვასლა I სართული)

Elos სილაგაზის ცეპნოლოგიის ინოვაციური მეთოდი

სხეულზე პროცედურები

Elos — ეპილაცია წარმოადგენს სხეულის ნებისმიერ უბანზე თმის მოცილების 100%-ან გარანტიას. პროცედურა უმტკივნეულოა, კანზე არ ტოვებს სინითლეს და პროცედურის შემდეგ კანი არ საჭიროებს სპეციალურ მოვლას. Elos ტექნოლოგიას შეუძლია მოგაშოროთ ყველა ტიპის, მათ შორის უხეში, გარუჯული, ქაღარა და ძალიან ღია თმა!

სახის პროცედურები

Elos გაახალგაზრდავება — აღადგენს სახის კონტურს, კანის ფერს, აძლიერებს სიმკვრივეს, ასწორებს ნაოჭებსა და კანს უბრუნებს ბრწყინვალეებას. Elos ტექნოლოგია გეხმარებათ გაუმკლავდეთ აკნეს, პიგმენტაციას, კუპეროზს, ნაწიბურებს, კანის დაბერებასა და სხვა დეფექტებს. ეს არის პლასტიკური ქირურგიის რეალური ალტერნატივა!




რადიკალური უფასო კონსულტაციაზე
29 00 66 29 47 47
 თბილისი, ფალიაშვილის 15, www.oxford-med.ge



წიგნები

როგორც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!

2-დან — 9 მაისამდე **16-დან — 23 მაისამდე** **30 მაისიდან — 6 ივნისამდე**



გებახ ჰო




ჰომეჩოსი



მან ჩიგი

და სხვა დიდ
წიგნები...
ყოველ ორ წონაში
"წიგნის კალენდრისთვის"
ერთად!



წაიკითხე წიგნები უკეთესად იქნები!

უახვ ბამოსანი ტომები: ონორე დე ბალზაკი, ჯეკ ლონდონი, შოთა რუსთაველი, ალექსანდრე დიუმა, უილიამ შექსპირი, ჟიულ ვერნი, მიხაილ ბუღლაკოვი, ოსკარ უაილდი, ჩარლზ დიკენსი, ერიხ მარია რემარკი **შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიაში!**

11-დან — 18 აპრილამდე

წიგნი 11
ფრანკიან ბაგბაღარი
„99 ფრანკი“



დანაშაულია თუ არა 7 შვილის ყოლა?..

„ლოხიშვილების 7-სულიან ოჯახს სურსათით დატვირთულები რომ მივადევით, კარგა ხანს გაოგნებულებმა გვიყურეს... იცით, ყველგან ერთსა და იმავეს გვეკითხებიან, — რომელი ორგანიზაციიდან ხართო?“

15



რა საიდუმლოს ახადა ფარდა გუფიმ?


„დედაჩემმა დიდი გავლენა იქონია, ყურნალისტი რომ არ გავხდი. ტელევიზიაში გავიზარდე და ერთადერთი კარგი მოგონება, რაც იქიდან დამრჩა, „ემტივის“ არხი იყო, რომელიც პირველად ტელევიზიაში ვნახე.“

20



ცხოვრება

„ჰოდა, მის ვლოსავ ღმერთს, რომ ოსნებით გვაცოცხლებს“



„ბაბუას თვითმკვლელობა — პროტესტი არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, როგორც ჩანს, წინასწარ გადაუწყვეტია, წერილებიც დაუწერია და არა მარტო შვილისადმი...“

33



- **მინიატიურები** 5
და(მო)საქმებულები
- **ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე** 6
- **ო, ანავ ჩემო** 10
- **კატანტროფა** 12
ავიაციაზე შეყვარებული ახალგაზრდების საბედისწერო რეისი
- **მადლი** 15
„დავაპუროთ თუნდაც ერთი მშვიერი ბავშვი“
- **კრიმინალი** 17
იდუმალეობით მოცული მკვლელობა
- **სიასლა** 18
„სხვა ამბებში“ მარტო მყოფი გვანცა დარასელია მოთხოვნადი არ ყოფილა
- **ჟოზეფინი** 20
რა საიდუმლოს ახადა ფარდა გუფიმ?
- **კვალი** 22
„ნიკო... აპლოდისმენტები“
- **აქრანს მიღვა** 25
იშხნელების განაწყენებული შთამომავლები...
- **პრაქსენაზია** 27
„უსეხოზა პატარა ქალაქში“ ანუ ლალი მოროშკინას რეცეპტი წიგნად
- **უსიქოპოტრაფი** 28
„გრძელი ფეხები რომ მქონდეს და სიმღერაც შემეძლოს, სცენაზე ჩემ გარდა არავინ იდგებოდა“

მშენილები

დაუფიქრებელი სუბრობა



„გუბეში დამდგარი წყალი შეასხა. რაც კი ძალა და ღონე ჰქონდა, შეაგინა მძლოლს. „რა ვქნა ახლა?“ მოესმა საკუთარი განწირული ხმა, გულიდან“.

64

■ თემა	30
ქმრის მკვლევლობაში გადახდილი 5.000 დოლარი და მკვლელი ცოლის აღსარება	
■ პერსონა	33
„ჰოდა, მეც ვლოცავ ღმერთს, რომ ოცნებით გვაცოცხლებს“	
■ კონკურსანტი	35
ველური დასავლეთის წარმომადგენელი საქართველოში	
■ თინეიჯარული პონტები	36
ნაადრევად შექმნილი ოჯახი და გოგონა, რომელსაც თქვენი დახმარება ესაჭიროება	
■ ფსევბი	38
„ქართველები ყოველთვის ვიცეკვებთ და ვიმღერებთ“	
■ თარიღი	40
9 აპრილის სადამსჯელო ოპერაცია და რუსი ოფიცრის მწარე მოგონებები	
■ ბაქარი	43
ვნების კვირა და სინედრიონის უღმობელი განაჩენი	
■ ერუღიტი	46
დოდო ხურცილავა: „ანა კარენინას ვგავარ“	
■ საკითხავი ქალბისათვის	48
■ ჯანმრთელობა	50
■ წვეთი პოეზია	52
■ რეალური	53
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)	
■ ქართული ლიტერატურა	56
რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (გაგრძელება)	
■ რომანი	60
სვეტა კვარაცხელია. ნაადრევი ენძელები (გაგრძელება)	
■ გზავნილები	64
■ ყველა ერთისათვის	68
■ მოგილიზაცია	70
■ ეს სამყაროა	76
■ გასართობი	78
■ ასტროლოგია	80
■ სკანოვრდი	81
■ საფირმო კოსმორდი	82

სამყარო



ვნების კვირა

ვნების კვირა, ვნების გზა, რომელიც განკაცებული უფლის ჯვარცმით დასრულდა, ფაქტობრივად, დაიწყო მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლით (ეს მოვლენა ხალხში ბზობის დღესასწაულის სახელწოდებითაა ცნობილი).

43

გიგლუსი



ანტიკვარი



საკნის კარი დაბარებულივით გაიღო, გუშავი შემოვარდა და მოჩხუბრები რეზინის ხელკეტით დააშოშმინა.
— ვინ დაიწყო ჩხუბი? — მკაცრად იკითხა მან.
— ამან, — მაშინვე ორდენიძისკენ გაიშვირა ხელი მამაკაცმა.
— ჰოდა, „კარცერშიც“ მაგას ჩავაყუდებთ.

56

ტაიმ-აუტი



რა შეუძლია ტვინს

XX საუკუნის 40-იან წლებში მედიცინის ისტორიაში შევიდა ალ ჰერპინი, კაცი, რომელსაც 96 წლის მანძილზე არც ერთხელ არ უძინია. არც კი იცოდა, რა იყო ძილი.

77

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატებას.
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი
მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

და(მო)საქმებულენი



შესავლის ნაცვლად ვიცი, რომ ყველას ძალიან გვიყვარს საქართველოს პრეზიდენტი, მაგრამ მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ მას ხანდახან გადაჭარბება სჩვევია: შეფასებებში, ემოციებში, დაპირებებში, მოგზაურობაში, ჭამაში, სმაში, სიყვარულში, ამბავში, გაგებაში და ჩახუტებაში... მოკლედ — ყველაფერში.

რა ქნას — გულუხვია და ვემეტება! ჰოდა, იმას ვამბობდი, ჩვენ გვიყვარს მიშკო (იხე, რა უბედური ქვეყანა ვართ — რატომ უნდა იყოს პრეზიდენტის სიყვარული საშაყირო თემა?) და ამ გადაჭარბებებს ვუნწონებთ კიდევ, მაგრამ ყველა კი ვერ უგებს — აგერ, ვილაც უცხოელმა, ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ წარმომადგენელმა განაცხადა, სააკაშვილი იტყუებოდა, როდესაც ამბობდა, გაზეთმა Financial Times-მა საქართველო №1 რეფორმატორ ქვეყნად აღიარაო!.

ჰმ, იტყუებო! ამხელა ევროპელი კაცი, დამდგარა და მატყუარობაში სდებს ბრალს დასავლეთისავე მიერ „დემოკრატიის შუქურად“ აღიარებულ სააკაშვილს.

ღირსეულად გასცა კიდევ პასუხი პრეზიდენტის სახელით მისმა პრესსპიკერმა მანჯგალაძემ: „ამ ტიპის აბსურდულ განცხადებაზე ჩვენ, როგორც წესი, კომენტარისაგან თავს ვიკავებთ“.

როგორია?! ხომ არის ღირსეული და არგუმენტირებული პასუხი ცილისწამებაზე?!

აბა, ვინ დაიჯერებს მაგ ვილაც მათიას ჰუტერის ნათქვამს, რომ Financial Times-ში

სტატია კი არ დაბეჭდილა, არამედ ეს მხოლოდ ფასიანი რეკლამა იყო საქართველოსი და ამით ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი 100 ათასი გირვანქა სტერლინგით (ანუ 270 ათასი ლარით) „შემსუბუქდა“.

თქვენ გჯერათ?.. კი?! ჰმ, ისე, მეც მჯერა რატომღაც...

რაც მთავარია, იმასაც ხომ მნიშვნელობა აქვს, სად თქვა ეს სააკაშვილმა? სად და — პარლამენტში ანუ პარლამენტის წევრებს უთხრა. პარლამენტის წევრები ხომ იცით, რომლებიც არიან? აი, ამას წინათ, ერთმა ჩემმა კოლეგამ „ბლიც-გამოკითხვა“ რომ ჩაატარა ერთადერთი კითხვით: „რა ნაკლი აქვს მიხეილ სააკაშვილს?“ და ყველამ რომ უნაკლოდ დაასახელა!

ჰოდა, მითხარით, — ეგეთებზე არ არის ალალი, რომ მოატყუო კიდევ და „შიბლეტების“ ქუსლებიც ალოკვინო?!

არა, ბატონოო, არც ერთი ნაკლიო! ეს რა კითხვააო?! თანაც — მაჟორიტარებმა, „ხალხის რჩეულებმა“!

იმ ჩემს კოლეგას (შალვა რამიშვილს ვგულისხმობ) მომავალი გადაცემისთვის ასეთ კითხვას შევთავაზებდი (ამას თქვენთვის ვამბობ, თორემ შალვა აგერ ზის, გვერდით ოთახში, გავალ ახლა და ვეტყვი) ქუჩაში შემხვედრი შემთხვევითი გამვლელებისთვის (გან-

საკუთრებით, თბილისის გარეთ): „იცით თუ არა თქვენი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის გვარი?“

დარწმუნებული იყავით, რომ დადებით პასუხზე ნებისმიერი ტოტალიტატორი „კაი კუშს“ დანერდა.

ასეთი რჩეულებისთვის კი, უნაკლოა კი არა, დედაც ეგ არის მაგათი, მამაც, პაპაც, წინაპრიც და მომავალიც; სუნთქვაც, თვალისჩინიც, ჯანმრთელი გულიც და მონესრიგებული კუჭ-ნაწლავის ტრაქტიც.

ვაჰ, კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე გამახსენდა: ამას წინათ ტელეზღაპარ „კურიერის“ მორიგ სერიას ვუყურებდი მეგობართან ერთად და სიუჟეტში იმდენჯერ ასხენეს სიტყვა „დასაქმებულები“, რომ იმ ჩემი მეგობრის

სამი წლის დისშვილიც კი დაინტერესდა, სათამაშოებს მოსწყდა და ბიძამისის ჰკითხა:

— მოსაქმებულნი რა არის?

„ბავშვის ბაგენი ჭეშმარიტებას ლაღებენ“ — კიდევ ერთხელ დავრწმუნდი პატარა თექვსე ნათქვამით!

დაიხ, არჩვენების წინ დასახული „დასაქმების პროგრამა“ წარმატებით დასრულდა — ჩვენ ყველანი (განსაკუთრებით ის მაჟორიტარე-

ბი), „დასაქმებულ-მოსაქმებული“ ვართ ერთი მაღალი, ლამაზი, ნიჭიერი და მხიარული ახალგაზრდა კაცის მიერ, რომლის პრესსპიკერიც „ამ ტიპის აბსურდულ განცხადებაზე, როგორც წესი, კომენტარისაგან თავს იკავებს...“

P.S. ნამდვილად ვერ ვიტყვი, მიზანტყულია და იმ ჰუტერის მიერ მისი ამ ტყუილში მხილება მენყინა-მეთქი, მაგრამ ერთი რამ მთელი ამ ისტორიიდან მართლა ძალიან მომხვდა გულზე: შე დალოცვილო, რა 270 ათასი, გადაირიეთ?! „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“, — ამაზე ნათქვამი; 270 ათასი კი არა, 270 ლარი მომეცით ყოველკვირა და აღარც მე ვინვალე და აღარც თქვენ განვალე — ყველა „პროვოკაცია“ „მიშისტური იქნება“! თორემ ცოდო ვარ, დავოლაღე, ხან ერთს ვლანძღავ, ხან — მეორეს — იმის მიხედვით, იმ კვირაში ვინ გადამიხდის.

P.P.S. ცნობისათვის, P.S. იმისთვის დაინერა, ვინც ელექტროფოსტაში და „ფეისბუკზე“ ხან ხელისუფლების აგენტობას მბზრალეებს, ხან კი — „გრენჩინო გასუქებულს“ მეძახის...

პროვოკატორი



ქვეყანა

პირველი ქართველი მოსურავეზ უორის



2012 წლისათვის დაგეგმილი, პარაოლიმპიური თამაშების ლიცენზია მიიღოს. ნიკა თვაური პირველია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ვინც ცურვაში ამ რანგის შეჯიბრებაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

თურქეთის ქალაქ ალანიაში გამართულ, შეზღუდულ შესაძლებლობათა პირების მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელშიც 20 ქვეყნის მოცურავეები მონაწილეობდნენ, ქართველმა ნიკა თვაურმა 50 მეტრზე ბრასით ცურვაში მესამე ადგილი დაიკავა. ამ გამარჯვებით, მედლის გარდა, მან მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის საგზური, რომელსაც ივლისში გერმანია უმასპინძლებს. ქართველ სპორტსმენს ევროპირველობაზე შესაძლებლობა მიეცემა, ლონდონში

კონსტანტინე გამსახურდიას ელჩობა სურს?!



ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელმა კომისიამ მუშაობა დაასრულა და მისი თავმჯდომარე, კონსტანტინე გამსახურდიაც უფუნქციოდ დარჩა... ამიტომაც გამოსავლის ძებნისას, საუცხოო აზრი დაებადა — შვეიცარიაში ელჩობის სურვილი გამოთქვა. მართალია, გამსახურდიას პოლიტიკოსობას სწორად უწუნებენ, მაგრამ ამ შემთხვევაში პოლიტიკური კრიზისიდან გამოსავალი მართლაც უპოვია. რადგან მისმა სადეპუტატო მანდატმა „ვერ გამართლა“ და არასაპარლამენტო და რადიკალურ ოპოზიციაში დაბრუნების ნაკლები შანსი აქვს, რა უშლის ხელს, ძალები დიპლომატიაში მოსინჯოს?!. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილს შვეიცარიაში ოჯახი აქვს, მისი სურვილი მით უფრო ლოგიკური წარმოგვესახება... კოვო გამსახურდია აცხადებს, რომ ჯერჯერობით გადაჭრით ვერაფერს იტყვის, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით ქვეყნის პირველ პირთან მოლაპარაკება მიმდინარეობს.

რუსული პრესა მინსკის აფეთქებაში „ქართულ კვალს“ ხედავს

„ბელორუსიის შს სამინისტრო მინსკის მეტროში მომხდარი აფეთქების ერთ-ერთ მთავარ ვერსიად „ქართულს“ განიხილავს“, — წერს „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ კორესპონდენტი ვლად შუსტოვი. სტატიის ავტორის თქმით, ინკოგნიტო წყარო შსს-დან ადასტურებს, რომ განიხილება საქართველოს შურისძიების ვერსია, რომელიც თითქოსდა სავიზო რეჟიმის შემოღებას უკავშირდება. შუსტოვი არც წყაროს ასახელებს და არც რაიმე დამადასტურებელ ცნობას იწველებს.



„ტიტანიკი“ სახლის ეზოში



შოტლანდიელმა ინჟინერმა სტენ ფრეიზერმა 30-მეტრიანი „ტიტანიკი“ საკუთარი სახლის ეზოში ააგო. ენთუზიასტმა ამ საქმეს 11 წელი შეაღია. 46 წლის ინჟინერი მთელი ცხოვრების მანძილზე გემთმშენებლობით არის გატაცებული. მისი ბინა გემების მოდელებითა და „ტიტანიკის“ შესახებ საგაზეთო სტატიებით არის სავსე. სტენი გემში ზღვის მუზეუმისა და კაფეს გახსნას გეგმავს.



ირაკლი ოქრუაშვილს თავის ბული აქვს?!

„ირაკლი ოქრუაშვილი ერთი ზღაპრის გმირს მასხენებს. ეს არის თავი, რომელსაც ჯადოქარი ხან ძალღადავს, ხან — ლომად, მაგრამ ის გულში სულ თავი რჩება და არაფერი გამოსდის.“ — თავდაცვის ყოფილი მინისტრი ამგვარი ეპიტეტებით „თავისუფალი დემოკრატიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ აბაშიძემ შეამკო...

— ბატონო ზურა, „თავისუფალი დემოკრატიის“ ყოველთვის კორექტულობით გამოირჩეოდით...

— ჩვენ ოპოზიციურ პარტიებს შორის ერთადერთს თუ არა, ერთ-ერთ გამონაკლისს წარმოვადგენთ, ვინც კოლეგებს არ ლანძღავს, მაგრამ ამ შემთხვევაში „ქართული პარტიის“ ლიდერს ზედმეტი მოუვიდა...

— რას გულისხმობთ?

— ოქრუაშვილმა თავს უფლება მისცა, პოლიტიკური შეფასებების სტანდარტი დაერღვია და ირაკლი ალასანიასთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა. დეტალების დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ამის უპასუხოდ დატოვება არ შეიძლება.

— იმას ხომ არ გულისხმობთ, ოქრუაშვილმა რომ თქვა, — ალასანია ერთადერთი „ქალწული“ იყო ქართულ პოლიტიკაში, უდავოდ დიდი მოლოდინთა და მხარდაჭერის იმხელა რესურსით, რომელსაც მეც კი ვინატრებდი 2007 წელს, მაგრამ ისე სწრაფად და იაფად დააკარგინა მიზამ „უბინობა“, რომ მგონი, თვითონაც ვერ მიხვდაო. არ ფიქრობთ, რომ თქვენი პარტიის ლიდერმა მართლაც დააკარგა ის მხარდაჭერა, რომლითაც 2007 წელს სარგებლობდა?

— საზოგადოების მხარდაჭერა ცვალებადია. მაღალრეიტინგული პოლიტიკოსების ცხოვრებაშიც დგება პერიოდი, როდესაც გარკვეული სირთულეები იქმნება, თუმცა (პირდაპირ გეტყვით) ირაკლი ალასანია საზოგადოებაში დღესაც საკმაოდ დიდი მხარდაჭერით სარგებლობს.

— NDI-ის კვლევის შედეგები სხვა დასკვნის საფუძველს გვაძლევს...

— ირაკლი ალასანიას მაღალი რეიტინგი რომ აქვს, ეს 2010 წელს ჩატარებულმა ადგილობრივმა არჩევნებმაც დაადასტურა. სააკაშვილისა და ოქრუაშვილის შეფასებები მნიშვნელოვანი არ არის, არც კვლევებია იმის ინდიკატორი, თუ რამ-



დენი მოქალაქე გვიჭერს მხარს, ეს ყველაფერი არჩევნებზე გამოჩნდება. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ჩატარებული საერთაშორისო კვლევის თანახმად, ირაკლი ალასანიას რეიტინგი 7% იყო, მაგრამ არჩევნებზე „თავისუფალი დემოკრატიის“ ლიდერმა სამჯერ მეტი ხმა მიიღო. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ჩვენი პარტიის რეიტინგი მზარდია. გარდა ამისა, კვლევების დროს გამოკითხულთა საკმაოდ მაღალი პროცენტული რაოდენობა კითხვას ან არ უპასუხობს, ან არ იცის, ხმას ვის მისცემს.

— გაცუცულა ინფორმაცია, რომ ოპოზიციურ რვიანში განხეთქილებაა.

— ეს ცრუინფორმაციაა, ოპოზიციური რვიანი პოლიტიკური ბლოკი არ არის და ერთმანეთთან დაპირისპირების მიზეზებიც არ გვაქვს.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მკაცრი ანგარიში

„საქართველოს ხელისუფლებაში კორუფცია პრობლემაა“, — მსოფლიო ბანკის ეს შეფასება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2010 წლის ანგარიშშია შეტანილი. „ზოგიერთი პატივსაცემი საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველომ წარმატებას მიაღწია, მაგრამ ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მტკიცებით, ხელისუფლების წარმომადგენლები დაუსჯელად არიან ჩართულნი მაღალი დონის კორუფციაში“, — ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში. ამ დოკუმენტში ისიცაა ხაზგასმული, რომ ჩვენს ქვეყანაში ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები, მათ შორის — პატიმრების, იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები. პრობლემათა შორის ასევე დასახელებულია კანონის შერჩევითი გამოყენება, მედიაზე ზეწოლა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე, უმთავრესად ეთნიკური ქართველების უფლებების დარღვევის ფაქტები. როგორც პრეზიდენტ სააკაშვილის პრესსპიკერი, მანანა მანჯგალაძე აცხადებს, ხელისუფლება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებებს იზიარებს და მოხარულია იმის გამო, რომ დოკუმენტში საქართველოს ხელისუფლების კონკრეტულ წარმატებებზეც არის საუბარი.



აშშ-ის ელჩი საქართველოში ჯონ ბასი



თალიზი
თმის გალანდირების კლინიკა

გვ. 3366666 გ. 27 გვ. 25 37 38
www.talizi.ge



სიდნი ლიუმეტი — კოლივულის ლაგანდა

აშშ-ში 86 წლის ასაკში, „12 გან-რისხებული მამაკაცის“ რეჟისორი — სიდნი ლიუმეტი გარდაიცვალა. ლიუმეტის სიკვდილის მიზეზად ექიმები ლიმფომას ასახელებენ. ის ფილადელფიაში 1924 წლის 25 ივნისს დაიბადა. როცა 2 წლის გახდა, მისმა მშობლებმა — თეატრის მსახიობებმა საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადასვლა გადაწყვიტეს. ბავშვობაში ლიუმეტი სწორედ მათთან ერთად სცენაზე გამოდიოდა და პარალელურად, ბროდ-



ვეზე გამართულ სექტაკლებშიც მონაწილეობდა. კოლუმბიის უნივერსიტეტის დრამატურგიის ფაკულტეტის დასრულებისთანავე ჯარში წავიდა. იქიდან დაბრუნების შემდეგ კი სამსახიობო ჯგუფი ჩამოაყალიბა და რეჟისორობას მიჰყო ხელი. მას ეკუთვნის ფილმები: „მკველელი ალმოსავლეთის ექსპრეს-ში“, „ჩაღლის შუადღე“, „ქალაქის უფლისწული“, „თოლია“...

სიდნი ლიუმეტი 4-ჯერ იყო დაქორწინებული. მისი ცოლები იყვნენ: მსახიობი რიტა გრემი, მილიონერი გლორია ვანდერბილტი და გეილ ჯონსი. მეოთხედ რეჟისორი 1980 წელს, ჟურნალისტ მერი გიმბელზე დაქორწინდა, რომელთანაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა.

ბულგარეთში 7-კლონიანი ბავშვი გაჩნდა

ქალაქ ბურგასში ქალბატონმა გიგანტი ბავშვი გააჩინა: მისი წონა 7 კგ და 100 გ-ია. ბიჭი, რომელსაც მიგელენი დაარქვეს, საკეისრო კვეთის შედეგად მოველინა ქვეყანას. აღსანიშნავია, რომ რეკორდული წონის მქონე ახალშობილთა შორისაა ბრაზილიაში დაბადებული, 7500 გ-იანი გოგონა. მაგრამ 1955 წელს დაბადებული იტალიელი ბიჭის რეკორდი ჯერჯერობით არავის მოუხსნია — ის 10 კგ იყო.

რას გვიჩადის ისრაელის „დაკარგვა“?..

ოფიციალურმა თელ-ავივმა საქართველო საშიშ ქვეყანათა ნუსხაში შეიყვანა. ამ ფაქტს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდიაძე უარყოფს და იმასაც გამოორიციხავს, რომ ორი ქვეყნის ლიდერებს შორის ურთიერთობა ებრაელი ბიზნესმენების გასამართლების გამო დაიძაბა. სრულიად საპირისპირო შეხედულება აქვთ პოლიტიკურ ექსპერტებს...

ირაკლი სისიაშვილი:

— საშიში ქვეყნების სიაში ისრაელმა საქართველო პირველად მაშინ შეიყვანა, როცა ქართველმა სამართალდამცველებმა ებრაელი ბიზნესმენები დააკავეს; ორ კვირაში ამ სიიდან ამოიღეს. ყველასთვის გაურკვეველი იყო, რა გახდა ამის საფუძველი — რა შეიცვალა ორი კვირის განმავლობაში? მაშინ გამოვთქვი ვარაუდი, რომ ჩვენი ხელისუფლება ბიზნესმენების გათავისუფლებასთან დაკავშირებით შესაძლოა, ისრაელის სახელმწიფოს გარიგებოდა, მაგრამ მათ პატიმრობა შეეფარდათ, რის შემდეგაც ჩვენ კვლავ საშიშ ქვეყანათა სიაში აღმოვჩნდით. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ-ერთი ებრაელი კომპანია საქართველოს უჩივის და 2007 წელს გაფორმებული კონტრაქტის დარღვევისთვის 100 მილიონს 4 წლის შემდეგ ითხოვს. ამ კუთხითაც შეიძლება პარალელი გავავლოთ და ვივარაუდოთ, რომ ესეც ებრაელი ბიზნესმენების დაკავებას უკავშირდება.

— რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ქვეყნის ისრაელთან ურთიერთობის გაფუჭებას?

— ისრაელი ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანაა, რომელიც მსოფლიო პოლიტიკაზე სერიოზული გავლენით სარგებლობს. აქვს ბევრი ფული და ჰყავს ძლიერი დიასპორა. ამიტომ ამ ქვეყნის განაწყენება საქართველოს სერიოზული საფრთხეების წინაშე აყენებს. ამ ქვეყანას ძლიერი საინფორმაციო საშუალებები აქვს და შეუძლია, მსოფლიო საზოგადოებას არასწორი ინფორმაცია მიანოდოს. ეს კი ჩვენს საინვესტიციო გარემოზე უარყოფითად აისახება. შესაძლოა, მასთან სოლიდარობის მიზნით, საქართველოში ინვესტიციების ჩადებაზე სხვა ქვეყნებმაც უარი თქვან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ის-



რაელი საქართველოსთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობდა და თანამედროვე სამხედრო საშუალებებს აწვდიდა. სწორედ ისრაელისგან ვიღებდით ყველაზე თანამედროვე ტექნიკას. აღსანიშნავია ისიც, რომ ისრაელს აშშ-ში საკმაოდ სერიოზული ლობისტური ჯგუფები ჰყავს. მიმანინია, რომ ხელისუფლებამ ვერ გათვალა ის საფრთხეები, რომელიც შეიძლება ებრაელი ბიზნესმენების დაკავებას მოჰყოლოდა, ამიტომ ახლა უკან დასაბრუნებელი გზა ცოტა უფრო რთულია. ბიზნესმენტა გათავისუფლება, რომლებზეც ვამტიკიცებდით, რომ კანონიერად არიან დაკავებული, ვვარ მოხდება, — ეს საერთაშორისო საზოგადოებაში უარყოფით გამოხმაურებას გამოიწვევს და დაადასტურებს, რომ ქართული სასამართლო პოლიტიკურია. რჩება ერთი გზა: საქართველოს პრეზიდენტმა მიიღოს გადაწყვეტილება და შეინყალოს მსჯავრდადებულები.

— ფიქრობთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ებრაელ ბიზნესმენებს მასე დაუგო და ისინი დამნაშავეები არ იყვნენ?

— სამართლიანად რომ მოჰქცეოდა, ისრაელი ასეთ ღია დაპირისპირებაზე არ წავიდოდა. ფაქტია, რომ ებრაელმა ბიზნესმენებმა ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირეს და გამსახურდიას ხელისუფლებასთან დადებული ხელშეკრულებით ხელი მოითბეს, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლება წინამორბედის მიერ ნაკისრ ვალდებულებას ვერ უგულვებლყოფს...



პრაზიდიენტების ქურდობან...

ჩეხეთის პრეზიდენტმა ვაცლავ კლაუსმა ოფიციალურ შეხვედრაზე კალამი მოიპარა. ის ვიდეოკამერებმა სწორედ ამ საქციელის ჩადენისას დააფიქსირა. ვაცლავ კლაუსი და ჩილეს პრეზიდენტი ერთობლივ დოკუმენტს აწერდნენ ხელს; ხელმოწერის შემდეგ, კლაუსმა კალამი მოხერხებულად ჩაიცურა ჯიბეში, კალმის ყუთს თავსახური დააფარა და კვალიც გააქრო...

ჰომოსექსუალი საუკუნეების სიღრმიდან...

პრალის გარეუბანში პირველი ჰომოსექსუალის სამარხი აღმოაჩინეს. მამაკაცი სავარაუდოდ, ჰომოსექსუალი უნდა ყოფილიყო, რადგან ისეა დაკრძალული, როგორც ქალი: მას თავი აღმოსავლეთისკენ აქვს მიქცეული, მარცხენა გვერდზე წევს და მის გარშემო საყოფაცხოვრებო ნივთები, ძირითადად — ქოთნებია განლაგებული. მიცვალებულს საფლავში იარაღი არ ჰქონდა ჩაყოლებული. სწორედ ასე მარხავდნენ 5 ათასი წლის წინ ქალებს ევროპის დიდ ნაწილში. ქალებისგან განსხვავებით, მამაკაცების დაკრძალვის წესი სხვაგვარი იყო: თავი დასავლეთისკენ უნდა ჰქონოდათ შებრუნებული, მარჯვენა მხარზე უნდა დაესვენებინათ და სამარხში იარაღი ჰქონოდა ჩაყოლებული. არქეოლოგები მიიჩნევენ, რომ ჰომოსექსუალის ან ტრანსვესტიტის ნაშთებია ნაპოვნი. „ის, რასაც ჩვენ ვხედავთ, არ შეესაბამება იმ ეპოქისთვის დამახასიათებელ ტრადიციულ, კულტურულ ნორმებს“, — განაცხადა მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელმა, კამილა რემიზოვა-ვეზინოვამ.







ქართველი გოგონა კიკ-ბოქსინგში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა

22 წლის ნანა კვარაცხელია აფხაზეთში, ქალაქ ოჩამჩირეში დაიბადა. საომარი მოქმედებების შემდეგ, მისმა ოჯახმა უკრაინას შეაფარა თავი. გოგონა მაშინ ძალიან პატარა იყო და მშობლიური კუთხე თითქმის არც ახსოვს. მისი სპორტული ცხოვრება კი კიევში დაიწყო. „კიკ-ბოქსინგი ჩემი ცხოვრების მთავარი ნაწილია. უკვე 8 წელია, სპორტის ამ სახეობას მივდეგ. ბევრს მიაჩნია, რომ მუშტების ქნევა ქალის საქმე არ არის, მაგრამ თუ კარგად გამოძის, რატომაც არა?!“ — ამბობს ახალგაზრდა ქართველი ლამაზმანი. მშობლები მისი არჩევანის წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ მან სპორტული კარიერა გააგრძელა და ამჟამად 12-გზის უკრაინის, 2-გზის — ევროპის და 4-გზის მსოფლიო ჩემპიონია. ერთ-ერთ ჩემპიონატზე, იმის გამო, რომ მის სამოსზე ქართული წითელჯვრიანი დროშა იყო გამოსახული, რუსმა მსაჯებმა მას ქულები დააკლეს და ოქროს ნაცვლად, ვერცხლი მიიღო...



10 მაისს კიკ-ბოქსინგის მიმდევრები 2012 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე კიევში აიღებენ სტარტს, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, მიიღებენ თუ არა მასში მონაწილეობას ქართველი სპორტსმენები. დასაბრუნებია, რომ ნანა კვარაცხელია საქართველოს სახელით არ ასპარეზობს და მისი გამარჯვებები ჩვენს ქვეყანას არ ეკუთვნის. ნანას სურვილი, რინგზე საქართველოს ღირსება დაეცვა, ჯერჯერობით ოცნებად რჩება. — „როგორც კი სპორტის ეს სახეობა საქართველოში განვითარდება, მაშინვე ჩამოვალ ჩემს ქვეყანაში“, — განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონმა.

რუბრიკის ავტორები: **ხათუნა ბახტურიძე, ლალი პაპასკირი**
გამოყენებულია ინტერნეტპორტალ **ambebi.ge**-ს მასალები

<p>მუხის მამოღებ-საბავშვი</p> 	<p>საძინებელი</p>  <p>ახალი კოლმეცხე</p>
<p>ავეჯის საღრნი "კლასიკა" ინტეგრირებული ავეჯის და ბემსტონის დიდი ბრუნავი</p>  <p>სასაღრნო გარნიტურა "თ ბ ი ტ ა ბ ე ტ ი"</p>	<p>2980</p> <p>2500 ლარი</p>  <p>ტყავის საბეჭდი</p>
<p>აღ. მარაგვის №3 ☎ 38 88 11 ც. დადიანის 7, "მარკასლა", I სარ. ☎ 66 10 50 www.classica.com.ge</p>	



სამი ათეული წლის წინ სისხლის რისკის ფასად დასული გზობიერი ენა

„დათმობა ენის დაკარგვის ტოლფასი იქნებოდა“

სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ერის საუნჯეს — მშობლიურ ენას საფრთხე დაემუქრა... ქართველი საზოგადოების აზრით, ენის დაკარგვის საფრთხემ მაშინდელ ახალგაზრდობას გმირობისკენ უბიძგა. ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ეროვნული მოძრაობის აღმავლობას პირველი ბიძგი სწორედ 1978 წლის 14 აპრილმა მისცა. მაშინდელი მოვლენების აქტიური მონაწილეები იმ დღეებს სიამაყით ისხევენ.



ლალი კაპასკირი

მასტანაძე ძაბრიძე:

— 1978 წლის 14 აპრილს საბჭოთა კავშირში შემაჯავებელი რესპუბლიკების ხალხთა ენები სტატუსს იმ მიზეზით კარგავდნენ, რომ ისინი სახელმწიფო ენების ფუნქციებს ბოლომდე ვერ ასრულებდნენ. საკავშირო კონსტიტუციის ახალ რედაქციაში შესული ცვლილება ქართულ ენასაც ემუქრებოდა და ეს გადაწყვეტილება საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 1978 წლის 14 აპრილს უნდა დაემტკიცებინა, მაგრამ ეს სიახლე საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა... მაშინ ერთი კონკრეტული და გამოკვეთილი ორგანიზატორი არ გვყოლია, მაგრამ ჩვენ გვერდით იყვნენ: აკაკი ბაქრაძე, მარიკა ლორთქიფანიძე და სხვა უამრავი ადამიანი... თითქოს თავისთავად აგორდა საპროტესტო მუხტი და წინააღმდეგობის ძლიერ ტალღად იქცა.

ერის სასიქადულო შვილი, აკაკი ბაქრაძე საზოგადოებაში დიდი პატივისცემით სარგებლობდა და ხალხი მას უსმენდა... სიყვარულით ვიხსენებ იმ მძიმე დღეებს. რუსთაველის პროსპექტზე შეკრებილი საზოგადოება ერთიან, სულით სორცამდე ქართულ სხეულად ჩამოყალიბდა... ეს იყო მნიშვნელოვანი, გარდატეხის წელი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის ისტორიაში... იცით, განსაკუთრებით რა მახსოვს?.. როცა მთავრობის სასახლისკენ მივდიოდით, შუახნის ხალხი, ვინც 1956 წლის მოვლენები საკუთარი თვალთა იხილა, გვაფრთხილებდა, — არ ნახვიდეთ, გვევრიანო! მაგრამ უკან დაბრუნებულებს ისე შეგვხვდნენ, როგორც გმირებს და უკვირდათ, რომ ჩვენ გამარჯვების მოპოვება შევძელით.

თამარ ჩხაიძე:

— როცა საზოგადოებისთვის ენის დაკარგვის საფრთხის შესახებ გახდა ცნობილი, სტუდენტებში წინააღმდეგობრივმა მუხტმა იფეთქა... ცხადია, მხარი დაგვიჭირა ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა. ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო პროცესებს „კაგებე“ აქტიურად ადევნებდა თვალყურს. რამდენიმე სტუდენტი უნივერსიტეტში გააფრთხილეს, რამდენიმე მათგანი განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იყო აყვა-

ნილი... მაშინ, როცა მთავრობის სასახლის წინ მრავალათასიანი საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა, ყველა იქ მყოფმა ვიცოდით, რომ საბჭოთა მმართველობას მძიმე ტექნიკაც ჰქონდა მობილიზებული... მაშინ კითხვაც კი არ გასჩენია ვინმეს, — „საჭიროების შემთხვევაში“ გვესროდნენ თუ — არა? ვიცოდით, რომ გვესროდნენ, მაგრამ უკან დახევაზე არავის უფიქრია. სისხლის დაღვრის საფრთხე რეალური იყო, მაგრამ საზოგადოებამ შიში გადალახა. დათმობა სახელმწიფოებრიობის მთავარი ნიშნის — ენის დაკარგვის ტოლფასი იქნებოდა... მოსახლეობის მხრიდან ასეთი მწვავე რეაქცია რომ არ ყოფილიყო, საბჭოთა რეჟიმი ალბათ თავის საწინააღმდეგო მიმართულებას, რადგან საქართველოს რუსიფიკაციისთვის გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმული იყო. ვინაიდან რუსთაველის გამზირზე შეკრებილი ხალხი არ დაიშალა, ისინი იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ.

— ქალბატონო თამარ, ენის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, საკუთარ ღვაწლზე ხშირად საუბრობს ექსპრეზიდენტი ელუარდ შევარდნაძე...

— იცით, მე არ ვიცი, იმ „საიდუმლო“ კედლების მიღმა რა გადამწყდა, მაგრამ ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, დარწმუნებული ვარ — საბჭოთა რეჟიმს ქართველმა საზოგადოებამ დაახვედინა უკან.



რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.


radiotavisupleba.ge



„დიდნი საქმენი“ — ეს წიგნი ნამდვილი მოვლენაა — ილია II

„გლობალიზაციის პირობებში ჩვენი ახალგაზრდობა კარგავს კავშირს წარსულთან და მათშივე იკარგება იმედი მომავლისა. ამიტომ წარმოიშვა იდეა, რომ კიდევ ერთხელ დაგვეწერა წიგნი, რომელიც შეასხენებს მათ, თუ ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები, როგორ შრომობდნენ და როგორ მოღვაწეობდნენ“, — აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, მისი თაოსნობითა და ლოცვა-კურთხევით მომზადებული და გამოცემული წიგნის — „დიდნი საქმენი“ პრეზენტაციაზე, რომელიც ცოტა ხნის საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა. წიგნში მოცემულია ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან, მოთხრობილია სხვადასხვა განსაკუთრებული მოვლენისა თუ ფაქტის შესახებ; ნათლადაა წარმოჩენილი როგორ ვიცხოვრეთ, ვიღვანეთ და რამ გადაატანინა ისტორიის ქარტეხილები ამ პატარა ქვეყანასა და მცირერიცხოვან ერს. აღნიშნულ გამოცემაში საოცრად უნიკალური მასალებია შესული საქართველოს ისტორიიდან, საქმე გვაქვს როგორც სხვადასხვა სახის მძიმე ბრძოლასთან, ღრმა დრამატიზმთან, ასევე საეტაპო წარმატებებთან, რომელთა წყალობითაც საქართველომ, გარკვეულ პერიოდში, პოლიტიკურ ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობას მიაღწია. „დიდნი საქმენი“ ოცდაათსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე ერის, უძველესი საკუთარი დამწერლობის დამამკვიდრებელი ხალხის, „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელის, სვეტიცხოვლისა და გელათის, ოშკისა და ხახულის, წმინდა სამების ტაძრების ამგები ადამიანების, დიდგორის, შამქორის, ბასიანისა და მარტყოფის ბრძოლებში გამარჯვებული ქვეყნის, მთელ მსოფლიოში ქრისტიანობის მტკიცე ბურჯად აღიარებული სახელმწი-

ფოს ეპიზოდური ისტორიაა. წიგნზე არაერთი ქართველი მეცნიერი-ისტორიკოსი, ფილოლოგი, ფილოსოფოსი, ხელოვნებათმცოდნე მუშაობდა გამოცემის მთავარი რედაქტორის — როინ მეტრეველის ხელმძღვანელობით. მუშაობა 2



წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. „დიდნი საქმენის“ პრეზენტაციაზე ქართულ საისტორიო მეცნიერებაში შეტანილი წვლილისთვის როინ მეტრეველი უმაღლესი საეკლესიო ჯილდოთი — წმინდა გიორგის ოქროს ჯვრის მედლით დაჯილდოვდა. ეს უნიკალური გამოცემა გამოცემლობა „არტანუჯმა“, ბუბა კუდავას ხელმძღვანელობით გამოსცა, გამოცემის დიზაინერი გახლავთ — ბაჩა მალაზონია, გამოცემის მენეჯერი — ბადრი ბერაია. წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული და უხვადაა ილუსტრირებული უნიკალური ფოტო და საარქივო მასალით.

პროექტის წარმატებით განხორციელებას განსაკუთრებული ამაგი დასდო ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა, რომლის უშუალო შემწეობითაც იხილა წიგნმა მზის სინათლე. მისივე წინადადებით, პროექტი გაგრძელდება. პროექტის ეტაპი ითვალისწინებს წიგნის — „დიდნი საქმენი“ მრავალფუნქციური სამეცნიერო ელექტრონული ვერსიის ვებგვერდის შექმნას. საიტი გაფორმდება მაღალ დონეზე შესაბამისი აუდიო და ვიდეომასალებით. შემდგომში კი საიტი საქართველოსა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში ენციკლოპედიურ გზამკვლევად ჩამოყალიბდება. ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება მრავალმხრივი ინფორმაცია მიიღოს საქართველოს შესახებ, რითიც სათანადო პასუხი გაეცემა ჩვენი არავეთილმოსურნეების გარეცხვებულ სიცრუესა და სიყალბეს. დიდი ყურადღება დაეთმობა ქართული ეკლესიის ისტორიასა და დღევანდლობას, პატრიარქის ქადაგებებს, ქართულ საეკლესიო გალობასა და ფოლკლორს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს ქართული ემიგრაციისათვის, რათა ისინი სულიერად არ მოსწყდნენ სამშობლოსა და დედაეკლესიას. საიტი მუდმივად განახლებადი იქნება. „ეს წიგნი ნამდვილი მოვლენაა. უნდა დაინეროს ასეთი წიგნები, ასეთი სახელმძღვანელოები სკოლებისთვის, ახალგაზრდობამ რომ ისწავლოს ანალიტიკური და ფილოსოფიური აზროვნება და ამით აღარ დაუშვან ის შეცდომები, რომელთაც დღეს ჩვენ ვუშვებთ“, — აღნიშნა წიგნის პრეზენტაციაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

R



ავიასიაზე შეყვარებული ახალგაზრდების საბუდისწერო რეისი

„თუ მფრინავი არ ხარ, ვერ მიხვდები, რას ნიშნავს ქართან ბრძოლა“...

„მე ცაში დაფრინავ, ღმერთთან ახლოს, თქვენ კი ცოდვებით დამძიმებულ დედამიწაზე დადისართ.“ — ეს სიტყვები 22 წლის მფრინავმა სულიკო ცუცქერიძემ ძმას კონგოში გამგზავრებამდე უთხრა... სულიკო ერთ-ერთი მათგანია, ვინც აფრიკის ამ ქვეყანაში მომხდარი ავიაკატასტროფის შედეგად დაიღუპა.

სათუნა გახტორიძე

როგორც უკვე ცნობილია, ქალაქ კონგოსასში კომპანია „აირზენას“ კუთვნილი ლაინერის — „სიარჯი-100“-ის ჩამოვარდნას, 28 მგზავრთან ერთად, ეკიპაჟის 4 წევრიც შეენირა: ბორტ-გამცილებელი გურამ კეპულაძე, ტექნიკოსი ალბერტ მანუკოვი, ხომალდის მეთაური ალექსი ოგანესიანი და მეორე პილოტი სულიკო ცუცქერიძე. ოთხივეს კოლეგები და ნათესავები, როგორც გულისხმიერ, კეთილსინდისიერ ადამიანებსა და ნამდვილ პროფესიონალებს, ისე ახასიათებენ. გარდა ამისა, როგორც „აირზენას“ პრეს-სამსახურის ხელმძღვანელი ნინო გიორგობიანი ამბობს, თითოეულისთვის ავიაცია ცხოვრების არსს წარმოადგენდა, ისინი ამ საქმისთვის იყვნენ დაბადებული.

ნინო გიორგობიანი:

— ზოგიერთი ვერსიის მიხედვით, კატასტროფის მიზეზი — თვითმფრინავის ტექნიკური გაუმართაობა და ეკიპაჟის წევრების გამოუცდელობა იყო...

— თვითმფრინავმა 2010 წლის 22 დეკემბერს გერმანიაში, ნაიკის ბაზაზე ტექნიკური დათვალიერება გაიარა და სრულიად გამართულად



მუშაობდა. უკვე 3 წელია, რაც „აირზენა“ გაეროს მისიას ემსახურება. მისიასთან (ტენდერში გამარჯვების შედეგად) გრძელვადიანი კონტრაქტი გვაქვს გაფორმებული, რომლის მიხედვითაც, კონფლიქტის ზონებში გაეროს მშვიდობისმყოფლები და ევროპელი ლიდერები გადაგვყავს. სპეციალურ კომისიაში, რომელიც კატასტროფის მიზეზებს იკვლევს, საქართველოსა და კონგოს ავიაციის წარმომადგენლებთან ერთად, გაეროს მისიის სპეციალისტებიც მუშაობენ. მათი ინფორმაციით, ავიაკატასტროფის მიზეზი სავარაუდოდ, ტროპიკული წვიმა და ქარიშხალი იყო. თვითმფრინავის ტექნიკურ გაუმართაობას გამორიცხავენ. უკვე ნაპოვნია შავი ყუთი. მისი გაშიფვრის შემდეგ ყველაფერი გაირკვევა. ასევე არასწორია, კატასტროფის მიზეზად ეკიპაჟის წევრთა ახალგაზრდა ასაკის დასახელება, რადგან ყველა მათგანს საერთაშორისო სერტიფიკატი ჰქონდა მიღებული. შეგიძლიათ, მათ შესახებ საავიაციო უნივერსიტეტშიც

იკითხოთ — დარწმუნებული ვარ, გეტყვიან, რომ ოთხივე უნიჭიერესი ადამიანი იყო. ავიაკომპანიის მფრინავებმა გაიარეს მოსამზადებელი კურსები მსოფლიოს ისეთ სოლიდურ ცენტრებში, როგორებიცაა: ICARE (საფრანგეთი), UAB CAM&CONS (ლიტვა), Malev Training Center (უნგრეთი), ან American Flight Academy (აშშ, ფლორიდა). ავიაკომპანიის მფრინავებს მიღებული აქვთ II, III-A კატეგორია, რაც საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, საკმაოდ ცუდ მეტეოპირობებში აფრენა-დაშვების უფლებას აძლევს. რეგულარულად, 6 თვეში ერთხელ, პილოტები გადიან წვრთნას ტრენაჟორ-სიმულატორზე „ბონისის“ კომპანიის სასწავლო ცენტრში (ჩეხეთში).

რომელიმე მათგანს პირადად თუ იცნობდით?

— ოთხივეს ვიცნობდი. ძალიან კარგი მეგობრები, საუკეთესო ადამიანები იყვნენ...

გვინდოდა, დალუპულების შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოგვეპოვებინა და მათი ოჯახების წევრებთან დაკავშირება ვცადეთ. ბუნებრივია, გაგვიჭირდა, მაგრამ ზოგიერთი მათგანის ინტერვიუზე დაყოლიება მაინც მოვახერხეთ.

დათო ცუცქერიძე, სულიკო ცუცქერიძის ძმა:

— ჩემი ძმა ბავშვობიდანვე ოცნებობდა იმაზე, რომ მფრინავი გამხდარიყო. სკოლაში საუკეთესო მოსწავლე იყო. თბილისის საავიაციო უნივერსიტეტში ორი ფაკულტეტი — საფრენოსნო და მექანიკური დაამთავრა. პირველი მისია რომ შესასრულა, უსაზღვროდ გახარებული იყო. წელიწად-ნახევარია, რაც მფრინავად დაი-



სულიკო ცუცქერიძე



ალექსანდრე ოგანესიანი



წყო მუშაობა, მანამდე პრაქტიკას გადიოდა. „აირზენაში“ მუშაობა, საერთოდ ფრენა, სულიკოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამის მეტი არაფერი აინტერესებდა, სხვა გატაცება, ინტერესის საგანიც კი არ ჰქონია.

შეგვარებულიც არ იყო?

— არა, მხოლოდ ფრენაზე იყო შეგვარებული. გამოდებოდა მეცადინეობდა, წიგნებს კითხულობდა. გერმანიაში, ლიტვასა და საფრანგეთშიც კი გაიარა საფრენოსნო სკოლის კურსები. მართლა არ აზვიადებენ, როდესაც მის მაღალ კვალიფიციურობაზე ლაპარაკობენ: ჩემი თვალთ მინახავს, 40, 45 წლის ხალხს როგორ ამეცადინებდა. შესაძლოა, დიდი გამოცდილება არა, მაგრამ ცოდნა ნამდვილად ჰქონდა. ერთხელ, კიევში რომ მიფრინავდა, გვერდითმა ქარმა თვითმფრინავი მწყობრიდან გამოიყვანა. ურთულესი ვითარება შეიქმნა, მაგრამ სულიკომ იყოჩაღა და ლაინერი უფლებლად დასვა. მგზავრებმა ტაშიც კი დაუკრეს. სხვათა შორის, თბილისის თეიერანის პირველი რეისი სულიკომ შეასრულა.

კონგოში პირველად იყო?

— კონგოში — კი, მაგრამ ევროპის ბევრ ქვეყანაში იყო ნამყოფი. კონგოში წასვლა ძალიან უნდოდა. წავიდა კიდევ. რაც ჩაიფიქრა, ყველაფერი გააკეთა.

სამსახურთან დაკავშირებულ სირთულეებსა ან პრობლემებზე თუ გესაუბრებოდა?

— კი, აბსოლუტურად ყველაფერს მიყვებოდა. მეც მომავალი მფრინავი ვარ, საავიაციოში ვსწავლობ. თავისი ემოციებისა და შეგრძნებების შესახებ ხშირად მიყვებოდა. რიგითი მგზავრისთვის ეს გაუგებარი და უცხოა; თუ მფრინავი არა ხარ, ვერასდროს მიხვდები, რას ნიშნავს ქართან ბრძოლა...

დათო, შენც დარწმუნებული ხარ, რომ კონგოში მომხდარი ავიაკატასტროფა თვითმფრინავის გაუმართაობის ან ეკიპაჟის შეცდომის გამო არ მომხდარა?

— კი, დარწმუნებული ვარ. იმ სიტუაციაში კატასტროფა გარდაუვალი იყო. ვისაც ავიაცია ესმის, ყველამ იცის, გვერდითი ქარი რასაც ნიშნავს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქარიშხალს ტროპიკული წვიმაც მოჰყვა, თითქოს საპაერო სივრცე მოჯადოებული იყო, ბუნებამ ბიჭები არ დაინდო და ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა.

— **გავრცელდა კულუარული ინფორმაცია, თითქოს ეკიპაჟის წევრებს კონტრაქტი ამონურული ჰქონდათ და მუშაობას თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ აგვრძელებდნენ.**

— ეს სიცრუეა. ეკიპაჟის წევრებს ტრაგედიამდე ერთი კვირით ადრე მართლაც ამოეწურათ კონტრაქტი, მაგრამ თავიანთი სურვილით ახალი გააფორმეს. ერთ-ერთს აღარ უნდოდა მუშაობა და არც კონტრაქტი გაუგრძელებია. დღეს ის საქართველოშია, ცოცხალი და უფლებელი. ჩემი ძმისთვის იქ დარჩენა არავის დაუძალბებია. ამაში დარწმუნებული ვარ იმიტომ, რომ ტრაგედიის წინაღულს „სკაიპით“ ველაპარაკე და ძველებურად ხალისიანი იყო. სულიკოს ისე კარგად ვიცნობდი, პრობლემა რომ ჰქონოდა, უთქმელად მივხვდებოდი. გარდა ამისა, ძალიან მოსწონდა კონგოში მუშაობა.

მის გარდა, დედამამიშვილი თუ გყავდა?

— არა.
— **მშობლებთან ერთად ცხოვრობდა?**

— არა, მშობლები ახალციხეში ცხოვრობენ. მე და ჩემი ძმა 7 წელია, რაც თბილისში ვართ. ეგ იყო ჩემი პატრონი. თავის მეგობრებსაც სულ ჩემზე ელაპარაკებოდა, გამოდებოდა ჩემ გამო ნერვიულობდა: მოტოციკლი მყავს, სწრაფად სიარული მიყვარს და ამას განიცდიდა.

როგორ მოხდა, რომ ორივე ავიაციით დაინტერესდით?

— რაც თავი მახსოვს, ჩემს ძმას

ავიაცია იტაცებდა. მისი გავლენის ქვეშ მოვექცევი. ხშირად მეუბნებოდა, — თქვენ ცოდვებით დამძიმებულ დედამინაზე დადიხართ, მე კიდევ ზეცაში დავფრინავ, ღმერთთან ახლოს; ნამოდი, ერთად ვიფრინოთ.

ამ ტრაგედიის შემდეგ, პროფესიის შეცვლა ხომ არ გადაგიწყვეტიათ?

— არა, პირიქით — მეტი უნინი გამიჩნდა. ჩემი ძმა ოცნებობდა, რომ შტურვალთან ვენახე. მის ოცნებას აუცილებლად ავასრულებ...

მშობლები რას ამბობენ?

— ძალიან შეშინებული არიან. მათ მართლაც უნდათ, რომ თავი დავანებო ავიაციას, მაგრამ სულიკოსთვის მიცემულ სიტყვას ვერ გავტყვ. აუცილებლად დავჯდები შტურვალთან, ეს უკვე ჩემი მოწოდებაა არის.

ანი აბაშიძე, სულიკოს ბავშვობის მეგობარი:

— მე და სულიკო ერთ ეზოში ვიზრდებოდით. სხვებისგან პატარაობიდანვე გამოირჩეოდა. როდესაც ბიჭები გვანვალებდნენ, თმას გვწინვინდნენ, სულიკო ანამუსებდა, — როგორ არ გრცხვენიათ, გოგონებს ასე როგორ ექცევიან?! პატარა ბიჭისთვის ეს უცნაური საქციელი იყო, მაგრამ სულიკოსგან არავის უკვირდა... დღემდე კარგად მახსოვს ერთი ამბავი: პატარები ვიყავით, დედამ ჩემი 3 წლის ძმა ეზოში, სათამაშოდ გაუშვა; რომ მოიკითხა, ვეღარ ნახა და გულგახეთქილმა დაუნყო ძებნა. ბოლოს დაინახა, რომ „როლიკებზე“ შემდგარ სულიკოსა და მის ძმას შუაში ჩაეყენებინათ

წიგნების სარკი
„ახალი ქართული ლიტერატურა“
 შერჩულ „ლიტერატურულ პალიტრასთან“ ერთად
მაისიდან - ყოველთვი
 ერთი თანამედროვე ავტორი

წიგნი 1 - დათო სურიაძე
 „სურია-ხაიონი და თრეძეცი მოთხრობა“
 წიგნის ფასი 3 ლარი. (შერჩულთან ერთად 5 ლარი.)



და „აკატავებდენ“. დედამ უსაყვედრა, — დაუკითხავად რატომ წაიყვანეთო? — სულიკომ კი უპასუხა, — აბა, რა გვექნა, ნანა დეიდა, ეზოში მარტო დაგვეტოვებინაო?! გარდა იმისა, რომ უნიჭიერესი მოსწავლე იყო, შესანიშნავად ცეკვავდა. ქართული ხალხური ანსამბლის „ლომისას“ წევრი იყო. ჩემს ქორწილში იმიტომ ვერ მოვიდა, რომ გასტროლებზე თურქეთში მოუწინა წასვლამ. ამის გამო ძალიან ინერვიულა. იქიდან დამირეკა და მითხრა, რომ ჩემს სადღეგრძელოს თურქეთში სვამდა...

რიტა განუკოვი, ალბერტ მანუკოვის მეუღლე:

— ალბერტი სექტემბერში 37 წლის უნდა გამხდარიყო. ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. 29 აპრილს ჩვენი ქორწინების 16 წლისთავი უნდა გვეზეიმა. 15 წლის ტყუპი გოგონა გვყავს... საუკეთესო მეუღლე იყო — თბილი, ყურადღებიანი...

ერთმანეთი როგორ გაიცანით?

— საერთო მეგობრის დაბადების დღეს. იმ დღის შემდეგ სულ ერთად ვიყავით. მივლინებაში რომ მიდიოდა, განვიცდიდი, მაგრამ ვიცოდი, მისი შინ დაბრუნება ჩვენს ცხოვრებაში ახალი სასიყვარულო თავგადასავალის დასაწყისი იქნებოდა: ჩემი ცხოვრება სიურპრიზებით იყო სავსე. არ მინდოდა, კონგოში რომ წასულიყო, გული ცუდს მიგრძნობდა. არც ის მინდოდა, რომ კონტრაქტი გაეგრძელებინა, შემპირდა კიდეც, მალე ჩამოვალო, მაგრამ არ შემისრულა დანაპირები. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, სიტყვა რომ გატეხა... ჩვენ მხოლოდ ცოლქმარი კი არა, მეგობრებიც ვიყავით. სულ დარდობდა, — მე მსოფლიო მოვიარე, შენ კი ვერსად წაგიყვანეო. შარშან ზაფხულში საბერძნეთში წაიყვანა რამდენიმე დღით; უნდოდა,

რომ წელს საფრანგეთიც მენახა. არც კი ვიცო, რა მეშველება მის გარეშე.

— კიდეც რომელ ქვეყნებში დაფრინავდა?

— ბევრ ქვეყანაში იყო ნამყოფი. კონგოში მეოთხედ იყო.

— ავიაციაში როგორ მოხვდა?

— ძალიან აინტერესებდა და უყვარდა ეს საქმე. სულ წიგნებით დადიოდა. თვითმფრინავებზე გიჟდებოდა, მოდელების უზარმაზარი კოლექცია ჰქონდა. იმ საქმეს შეეწირა, რაც ყველაზე მეტად უყვარდა.

ლერი კეპულაძე, გურამ კეპულაძის მამა:

— გურამი ჩვეულებრივი ბიჭი არ იყო — 21 წლის ბიჭი ცოცხალი ენციკლოპედია გახლდათ, 3 უცხო ენა — რუსული, ინგლისური და ფრანგული იცოდა, კომპიუტერულ პროგრამებში შესანიშნავად ერკვეოდა. მე ბევრი ვერაფერი ვასწავლე, ჩემზე მეტი იცოდა... დამოუკიდებელი ადამიანი იყო, პროფესიული არჩევანიც დამოუკიდებლად გააკეთა.

— სამომავლო გეგმების შესახებ თუ გაიმბობღათ რაიმეს?

— ვიცოდი, რომ კარიერის გაკეთება უნდოდა, გამუდმებით წიგნებში იყო ჩაფლული, დაოჯახებას ჯერჯერობით არ აპირებდა.

— ავიაცია მისი მონოდება იყო?

— იმდენი რამე იცოდა და იმდენი რამე აინტერესებდა, ზუსტად არც ვიცო, მისი მონოდება რა იყო. ის ვიცო, რომ ძალიან უშიშარი იყო. დედამისი ხშირად ნუხდა მისი სამსახურის გამო, ეშინოდა, ხიფათს არ გადაჰყოფდა... გურამმა კონგოში წასვლამდე დაგვამშვიდა, — ნუ გეშინიათ, ერთხელ საფრანგეთიდან უწმინდესი და უნეტარესი, ილია II წამოვიყვანეთ, დამლოცა და ჯვარი მაჩუქა, აწი მე რა უნდა მომივიდესო?!

ლევანი სირბილაძე, გურამ კეპულაძის მეგობარი:

— პატრიარქმა ჯვარი რომ აჩუქა, მეგობრებსაც გვიამბო; უზომოდ უზაროდა. ძლიერი პიროვნება იყო, სულიერადაც და ფიზიკურადაც. შეშინებულ გურამი არც მინახავს და ვერც წარმომიდგენია, ოდესმე მენახა. აფრიკაში წასვლა ძალიან უნდოდა... ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამართალმცოდნეობაზე სწავლობდა. საუკეთესო სტუდენტი იყო, ყველაფერს ადვილად ითვისებდა. სწავლას, სამსახურს და მეგობრებთან ურთიერთობას ისე უთავსებდა ერთმანეთს, რომ არც ერთს აკლებდა ხელს. ვიდრე კონგოში წავიდოდა, თბილისში მუშაობდა. დილით ლექციებზე დადიოდა, ღამით კი დაფრინავდა. „აირენანაში“ შემთხვევით მოხვდა: გაიგო, რომ კასტინგი ტარდებოდა და ბედი სცადა... შემდეგ სამთვიანი კურსებიც გაიარა. ბორტგამცილებელი იყო, მაგრამ მფრინავობაზე ოცნებობდა. ამბობდა, — საფრენოსნო კურსები ძალიან ძვირია, თორემ აუცილებლად გავივლიდიო. საკუთარ თავსაც არჩენდა და ოჯახსაც ეხმარებოდა, განსაკუთრებით თავის ერთადერთ დაიკოზე ზრუნავდა... ძალიან გულუხვი და გულჩვილი იყო. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ძმაცაცებს ხშირად გვიმართავდა ხელს; ქუჩაში ვინც კი მოწყალეობას სთხოვდა, ყველას ეხმარებოდა. ხშირად უკანასკნელი ხურდაც კი სხვისთვის მიუცია... 21 წელი 4 მარტს შეუსრულდა. ის დღე ერთად აღვნიშნეთ. ძალიან მხიარული იყო, თანაც — განსაკუთრებულად თბილი, თითქოს ჩვენთან განშორება ენანებოდა.

— გურამი 4 მარტს თბილისში იმყოფებოდა?

— კი, კონგოში მარტის ბოლოს წავიდა. „აფრიკის რეისებით“ ძალიან იყო დაინტერესებული: გარდა იმისა, რომ იქ დიდ გამოცდილებას იძენდა, შრომის ანაზღაურებაც კარგი ჰქონდა. მივლინებიდან ხელცარიელი არასდროს დაბრუნებულა, მეგობრებისთვის ყოველთვის ჩამოჰქონდა რაიმე საჩუქარი. თბილისში თუ იყო, ხან კინოში გვეპატიჟებოდა, ხან — ფეხბურთზე და ხანაც — რაგბიზე. მზარავს იმის გაფიქრება, რომ გურამიკო ცოცხალი აღარაა. მისნაირი ადამიანები ძალიან ცოტანი არიან ამ ქვეყანაზე.

როგორც ექსპერტები ამბობენ, ეს ავიაკატასტროფა ყველაზე დიდია გაეროს მისიების ისტორიაში; იმედია, უკანასკნელიც იქნება. სამწუხაროა, რომ ქართულ ავიაციას ახალგაზრდა, ნიჭიერი ახალგაზრდები გამოაკლდნენ. ნათელში ამყოფოს უფალმა მათი სულები!..



ალბერტ მანუკოვი



გურამ კეპულაძე



„დავაპუროთ თუნდაც ერთი მუიარი ზავში“

ანუ დანახულია თუ არა 7 შვილის ყოლა?..

მრავლისმნახველ ქართველ საზოგადოებას მატერიალური გაჭირვებით ალბათ ვერ გავაგვირვებთ, მაგრამ ბოლო დროს, არასრულფასოვანი კვების გამო, არაერთი მცირეწლოვნის დაღუპვის შესახებ გახდა ცნობილი... სწორედ ამან მისცა ბიძგი რამდენიმე ადამიანს, დაეარსებინა საქველმოქმედო ფონდი, რომელიც ყველას მოუწოდებს, შიმშილით სიკვდილისგან თუნდაც ერთი ბავშვის სსნაში შეიტანოს საკუთარი წვლილი...

ლალი პაპასკირი

„დიდი მორიდებით გავებდავ თქვენს შენუებებს. მაპატიეთ, ასე მგონია, დღეს 7 შვილის ყოლა დანახულია. რომ არა ჩემი გაუსაძლისი ცხოვრება, ალბათ არ შეგანუხებდით. ვცხოვრობთ ვარკეთილის მასივში. 7 შვილი მყავს და ძალიან გვიჭირს... ეს ზამთარი გაუსაძლისი გახდა ჩვენითვის. სახლში შუშების ნაცვლად, ცულოფანი მაცვს გაკრული. ხშირად მხოლოდ ჩაითა და პური ვიკვებებით. ბოლო დროს



ფორუმის წევრებმა მალე არაერთი მსგავსი ამბის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა დადეს

ჯანმრთელობაც მალაატობს... არ ვიცი, ვის მივმართო, რათა ჩემს შვილებს თუნდაც ელემენტარული პირობები შევუქმნა. მრავალშვილიანობა ნუთუ სასჯელია? ძალიან გთხოვთ, დაშეხმაროთ და ჩემი შვილების დაღონებული გულები ოდნავ მაინც გაახაროთ“, — წერს მრავალშვილიანი დედა ლალი ლოხიშვილი, რომელიც სამწუხაროდ, ერთადერთი არ არის, ვინც სვამს შუკითხვას — ჩვენს ქვეყანაში მრავალშვილიანობა სასჯელია?! მაგრამ ქალბატონი ლალის გასაჭირიც „მსუბუქი“ მოგვეჩვენება იმ უბედურებასთან შედარებით, რომელიც გორის რ-ნის სოფელ ვარინში დატრიალდა: ზუბაშვილების ოჯახს 3 შვილი უკიდურესი სიღატაკის გამო, პრაქტიკულად შიმშილისგან დაეღუბა...

ჯინი ჩახვაშვილი, გერმანიის ქალაქ მარბურგში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი:

— ამ ფონდის დაარსებისკენ ფორუმზე გასწილმა ერთ-ერთმა თემამ გვიბიძგა, სადაც მრავალშვილიანი დედა ჰყვებოდა, თუ როგორ დაეხოცა შვილები

შიმშილისგან. არ მინდოდა დამეჯერებინა, რომ XXI საუკუნეში ერთი წლის ბავშვი მართლაც შეიძლება, შიმშილით მომკვდარიყო. ეს ერთადერთი შემთხვევა მეგონა, მაგრამ ფორუმის წევრებმა მალე არაერთი მსგავსი ამბის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა დადეს. რამდენიმე მათგანის შესახებ, თქვენი ჟურნალიდანაც შევიტყვეთ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ... ერთი სიტყვით, გადავწყვიტეთ, უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს დაეხმარებოდით. გვინდოდა, თვეში ერთხელ, წინასწარ მოდიებულ ოჯახებში მივსულიყავით და პირველადი მოხმარების პროდუქტები მიგვეტანა... ცხადია, ჩვენი შენერულობებით პრობლემას ვერ აღმოვფხვრით, მაგრამ იმედი გვაქვს, ამ ოჯახებს ცოტათი მაინც შევეუშუბუქებთ გაჭირვებულ ყოფას.

— **ვიცი, რომ ყოველთფორად 10-10 ლარს ავროვებთ...**

— დიას, ასე გადავწყვიტეთ, მაგრამ ეს მინიმუმია, ზოგი მეტსაც დებს... მეშვიდე წელია, გერმანიაში ვცხოვრობ. ქართულ დიასპორასთანაც მაქვს ურთიერთობა და ბევრი დამიკავშირდა, — სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას... შემდეგში, როგორც კი მოვძლიერდებით და ჩვენი ნამოწყების შესახებ უფრო ფართო საზოგადოებისთვის გახდება ცნობილი, ვაპირებ, შემომნირველები სხვა ქვეყნებშიც ვუქებო... ამ საკითხში უცხოელებთან ცოტა სხვანაირი



როგორც კი საკმარისი თანხა შეგროვდა, სოფელ ვარინში, ზუბაშვილების ოჯახს მივაშურეთ

მიდგომაა საჭირო, მათ დეტალურად უნდა იცოდნენ, რაში და რატომ სარჯავენ ფულს... რაც შეეხება ემიგრანტებს, რომლებიც ძალიან აქტიურობენ, — ვინაიდან იქიდან გადმორიცხვა ცოტა ძვირია, ზოგი წინასწარ დებს რამდენიმე თვის თანხას. ფონდს ჰყავს „ფინანსთა მინისტრი“ (ფონდის წევრები მას ასე ზუმრობით მოვიხსენიებთ) — ძალიან კარგი და სანდო ადამიანი ვახტანგ საათაშვილი, რომელმაც ბანკში სპეციალური ანგარიში გახსნა და რამდენიმე მეგობართან ერთად, ამ ანგარიშზე თვის განმავლობაში შეგროვებული თანხას ზედმინუფით და ზუსტად ანაწილებს... ფონდის შექმნიდან მალევე, 1.460 ლარი შეგროვდა და რამდენიმე ოჯახის დახმარება უკვე შეუძლია...

ვახტანგ საათაშვილი, ფონდის ერთ-ერთი ორგანიზატორი:

— როგორც კი საკმარისი თანხა შეგროვდა, სოფელ ვარინში, ზუბაშვილების ოჯახს მივაშურეთ. ზეთი, ფქვილი, შაქარი, ლობიო, კარტოფილი, ხახვი, წინიბურა მოვიმარაგეთ... უკვე „ჩვენი“ გამყიდველი ქალი გყავს, რომელმაც იცის, რისთვის გვინდა პროდუქტი და სანდოა ანუ მისგან წონასა და ანგარიშში მოტყუება გამორიცხულია... ყოველი შემთხვევისთვის, ვინმე რომ არ შემოგვედაოს, ფონდის თანხით შექმნილი სურსათ-სანოვაგის ჩეკებს ვასკანერებთ და თვალსაჩინოებისთვის საიტზე ვდებთ... საბედნიეროდ, ბოლო დროს თანხის გაღების მსურველების რაოდენობა გაიზარდა და საკვე-

საპედიციონო სერვის-სენზორის სოციალური საზოგადოებრივი აქტივობა!

ვისტამედი VistaMedi

მოსახსნელი პროთაზი 90 ლარად

უფასო კონსულტაცია! წინასწარი ჩაწერით!

გვ: 18 33 18 /91 72 10
მის: შიშინის ქ. №14 (შეგვლ ზღვან)



ბის გარდა, პირველადი დახმარების მედიკამენტების (ციტრამონი, პარაცეტამოლი, ტავეგილი, იოდი, ბინტი, ბამბა) შესაძინადაც დაგვრჩა ფული... კეთილ საქმეს საკუთარი სურვილით ვაკეთებ, მაგრამ მაინც თავს ვიზღვევთ, რაც მეტი გამჭვირვალობა იქნება, ფონდის მიმართ ნდობაც გაიზრდება და მეტი ბავშვის დახმარებასაც შევძლებთ.

— გაჭირვებული ოჯახების შესახებ საინფორმაციო საშუალებებიდან იგებთ?

— ძირითადად — კი, თუმცა უბრალო ადამიანებმა, ასე ვთქვათ, თანაფორუმულელებმაც არაერთი ოჯახის შესახებ მოგვანოდეს ინფორმაცია. გასულ კვი-

ახალი ჩამოყალიბებულია და ორგანიზაციული საკითხები მოსაგვარებელი გვაქვს. ჯერჯერობით, თანხის ეკონომიის მიზნით, მიკროავტობუსსაც არ ვქირაობთ; ერთ-ერთ თანაფორუმელს ჰყავს და იმას მივყავართ.

— როგორია იმ გაჭირვებული ოჯახის დამოკიდებულება, როცა მათთან სურსათით დატვირთული ადამიანები მიდიან?

— ისეთი გაცეცხული და დაბნეულები არიან... ვინ გითხრათ, საიდან მოგვაგენითო?.. — კითხულობენ. სოფელ ხაშში ლოხიშვილების 7-სულიან ოჯახს



კონწლიანშვილების „სახლი“

გონში ცხოვრობენ, თუ ამას ცხოვრება ჰქვია. მართლა არ ვიცი — ზაფხულში, როცა რკინა გახურდება, იქ როგორ ძლებენ... ამ ოჯახს ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს. ბავშვების მამა ტუბერკულოზით არის დაავადებული და ლოკინადაა ჩავარდნილი. როგორც გვითხრეს, კონტინენერიც, სადაც ცხოვრობენ, ნათხოვარია, მინა კი, რაზეც დგას, ეკონომიკის სამინისტროს ეკუთვნის და ვაცმა არ იცის, იქიდანაც როდის გამოყრან... ყველას ვუბნებით, შესაძლოა, ამ დახმარებას სტაბილური სახე არ ჰქონდეს, უბრალოდ, როგორც კი თანხას მოვარგოვებთ, ვეცდებით, დაგესმაროთ-თქო...

— ვახო, როგორ ანანილებით თანხას ანუ ერთ ოჯახზე რამდენი გაქვთ გათვლილი?

— ერთ ოჯახზე საშუალოდ, 200 ლარია გათვლილი, მაგრამ მრავალშვილიანებზე — იქ, სადაც 5 და მეტი ბავშვია, ვცდილობთ, ცოტა მეტი დავხარჯოთ... ოჯახებში მხოლოდ პროდუქტი მიგვაქვს და არასდროს ფულს არ ვუტოვებთ.

არ ვუტოვებთ.

— ფულს რატომ არ უტოვებთ? — შესაძლოა, ის ფული მშობლებმა სხვა რამეში — თუნდაც სიგარეტში ან სასმელში დახარჯონ. ამიტომაც — მივდივართ მაღაზიაში, გამყიდველს ვკითხვებით, საკვების ვალი თუ აქვთ; შემდეგ იქვე ვანგარიშობთ და ვადგენთ სიას — ერთი თვის განმავლობაში, სავარაუდოდ, რამდენი კილოგრამი შეაქარი, ზეთი ან სხვა პროდუქტი სჭირდებათ და იმის მიხედვით ვუტოვებთ გამყიდველს თანხას...

P.S. ქვეყანაში მართლაც, ძალზე მძიმე სოციალური მდგომარეობაა, მაგრამ მაინც, უამრავი ადამიანი მზად არის, თავისი მწირი ბიუჯეტიდან გარკვეული თანხა შიმშილის ზღვარზე მყოფ პატარებს უწილადოს. იმედს ვიტოვებთ, ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ, კიდევ ბევრ ადამიანს გაუჩნდება სურვილი, ამ დიდ და კეთილ საქმეში საკუთარი წვლილი შეიტანოს და თუნდაც ერთი აგური დადოს...

„თქვა არაადაშიანაზო, XXI საუკუნეში ბავშვი შიშობილი მოაჯდა!“ — ამ განწილად მიმართვას, ჰარინის (უფრო სწორად აი — მთელი არის) ბრატვილიან მოალა ხანებ ართ-ართ ჰოჯაურად ფორაზა გადავაწყდი. თანის აპტორის ემოციურ ბაქსტ ინტერნეტსაიტზე ცხარე ჯამათი მოჰყვა. ზამღაზ ფორამალაზა გადაწყვიტას, მიზაზაზა მსაქლოზისთვის თანაი დანებაზინათ და ყვალასგან დავინწყავალ დაბა ოჯახაზს საუთარი სახსრებით დახარაზოდნა. ასე ზამღაზ ფორდი „დავაპაროთ თანდაზ ართი ბავშვი“... ძალიან მალა, მშიარი ბავშვაზის დაპარაზის სურვილი 100-მღა ადამიანა გამოთქვა, მაზრამ მათი რაოდენობა დღითი დღე იზრდა. ამ ჯათიდ საქამაი უცხოეთში მცხოვრები ქართველი ამიგრანტაზის აპტიურად მონაწილათაზ...



სურსათით დატვირთულები რომ მივადექით, კარგა ხანს გაოგნებულებმა გვიყურეს... იცით, ყველგან ერთსა და იმავეს გვეკითხებიან, — რომელი ორგანიზაციიდან ხართო? რა თქმა უნდა, ვპასუხობთ, რომ უბრალო ადამიანები ვართ და ვცდილობთ, როგორც შეგვიძლია, დაგესმაროთ, რადგან არ გვინდა, ჩვენს ქვეყანაში ღამე ბავშვი მშვიერი იძინებდეს-თქო... ძალიან მძიმე სანახავია იმ ადამიანების ყოფა, ვისაც ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ნივთებიც კი არ აქვთ. ისეთ ოჯახშიც ვყოფილვართ, სადაც სკამებიც კი არ ჰქონდათ. პირველად ვარიანში, ზუბაშვილებთან მივედი. ეს ის ოჯახია, რომელსაც 3 შვილი უკიდურესი გაჭირვების გამო დაეღუპა. ალბათ წარმოგიდგენიათ, როგორი სიტუაცია იქნებოდა... ამას წინათ, მუხიანის სამხედრო დასახლებაში ვიყავით, კონწლიანშვილებთან. ვა-

ვარიანი, ზუბაშვილების ოჯახი





იღუბალაბით მოსული თვითგაკვლეობა

„ყველა კატაგორიის მეგობარი ჰყავდა, თავისუფალი ბუნების იყო...“

26 წლის ირაკლი ქუთათელაძე ასათიანის ქუჩაზე, ბინაში ჩამომხრჩვალნი იპოვეს. ძალოვნებმა მისი ცხედარი პროზექტურაში გადაასვენეს და ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ბიჭმა ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე, მეგობარს „ფეისბუქზე“ ასეთი შინაარსის წერილი მისწერა: „ცოტა ხანში ბინის მეპატრონე ალბათ სახლიდან გამომაგდება. ქარის ფული არა მაქვს, აღარ ვიცი, ანდენ პრობლემას როგორ გავუმკლავდე. საფრანგეთში წასვლა მინდოდა, მაგრამ ვეღარ მოვახერხე. დეპრესიაში ვარ, პრობლემებს ვერ ვუძლებ, გვერდით არავინ მყავს, ვინც დამეხმარება“. ალბათ მისმა მეგობარმა ვერ დაუშვა, რომ ირაკლი ასე დაასრულებდა სიცოცხლეს. მოკლულის მეგობრები გამოძიებამ უკვე დაჰკითხა.



გარდაცვლილის ბინაში სისხლით ნათესავეებიდან არავინ მისულა...

თბა სურსილავა

როგორც შევიტყვეთ, ირაკლი ქუთათელაძე რამდენიმე თვეა, დროებით, სხვის ბინაში ცხოვრობდა. ქირას ვერ იხდიდა, დიასახლისთან შეთანხმებით, მხოლოდ კომუნალურ გადასახადებს ფარავდა. ბინის მეპატრონეს ჰპირდებოდა, რომ საშუაოს იშოვიდა და ქირას გადაუხდიდა.

ირაკლი ქუთათელაძე მოდელი იყო და ტელეეკრანზე დროდადრო გვინახავს, მაგრამ მასშედიში სკანდალურად, 2008 წელს გამოჩნდა. მაშინ იგი „ჯეობარის“ მონაწილე გეის — პაკოს მეგობრად და პიარ-მენეჯერად გაეცნო საზოგადოებას. ახალგაზრდა ბიჭმა პირველად თქვა ტელეეთერში, რომ ბისექსუალია. შემდეგ, ნანკა კალატოზიშვილის შოუში — „ინტუიცია“ თავისი ორიენტაცია კიდევ ერთხელ გამოაშკარავა. ბოლოს, საზოგადოების ყურადღება, სასტუმრო „მარიოტში“ მომხდარი მკვლელობის შემდეგ მიიპყრო. ცნობილია, რომ 26 იანვარს, ფრანგული სატრანსპორტო კომპანია „სისტრას“ თანამშრომელი სტიფან კოენი სასტუმროში არასრულწლოვანმა მოკლა. მკვლელობის მოტივად, უცხოელის გაქურდვა დასახელეს. კოენის მეგობარი ირაკლი ქუთათელაძე კი ოფიციალურ ვერსიას არ დაეთანხმა.

მაშინ აცხადებდა, რომ მისი მეგობარი სტიფანი, გვი იყო, სოციალური ქსელის მეშვეობით გაიცნო და მასთან მეგობრობდა. მის მკვლელობას ჰომოფობია დანაშაულებრივი ვგუფის მიერ განხორციელებულად მიიჩნევდა. უფრო მეტიც — პრესაში იმაზეც ალაპარაკდა, რომ ტელევიზიით გაკეთებული მისი განცხადებით, საფრთხეში ჩაიგდო თავი და მას ტელეფონით ემუქრებოდნენ. აქვს თუ არა ამ ყოველივეს რაიმე კავშირი ქუთათელაძის თვითმკვლელობასთან თუ სიღუბნის მიზეზად დაადგენს...

შემთხვევის ადგილზე მისულს, ბინის კარი დაკეტილი დამხვდა. მეზობელმა ქალბატონმა მითხრა: ძალიან ზრდილობიანი, ნიჭიერი და განათლებული ბიჭი ყოფილა. მუშაობდა, მაგრამ ხელფასი 100 ლარი ჰქონდა და რა ექნა, ქირას ვერ იხდიდა.

ამ დროს ყვავილებით, სადარბაზოში ქალბატონები შემოვიდნენ. მათ შორის იყო ირაკლი ქუთათელაძის ბავშვობის მეგობარი გოგონა, ნინო გიგიაძე, დედასთან ერთად. მეზობლისგან შევიტყვეთ, რომ ცხედარი პროზექტურაში ესვენა. მალე კიდევ ერთი სამწუხარო

ამბავი შევიტყვეთ: თუმცა თვითმკვლელობის ფაქტი საინფორმაციო საშუალებებით გასულია, გარდაცვლილის ბინაში სისხლით ნათესავეებიდან არავინ მისულა... ირაკლი ქუთათელაძის მშობლები გარდაცვლილები არიან, მხოლოდ მამიდა ჰყოლია, რომელიც ოჯახთან ერთად, ბათუმში ცხოვრობს. პოლიციელები მისი კოორდინატების დადგენას ცდილობენ. თუ ერთადერთი ნათესავის ოჯახს ვერ მიაგნეს, მაშინ ალბათ, მეგობრებს მოუწევთ პასუხისმგებლობის აღება და მისი დაკრძალვა.

ირაკლი ქუთათელაძე თბილისში დაიბადა და გაიზარდა. დედა ექიმი ჰყავდა, მამა წლების მანძილზე, ტელევიზიაში მუშაობდა. 2004 წელს დედა ინსულტით გარდაეცვალა. როგორც მეგობრები იხსენებენ, სწორედ ამის შემდეგ, მათი ოჯახური იდილია დაირღვა. დედის გარდაცვალებას მალე მამის ავადმყოფობაც დაემატა. ასაკოვანი მამის მოვლა ბიჭმა თურმე, მისი დატვირთული სამუშაო რეჟიმის გამო, ვერ შეძლო და დახმარება მამიდას სთხოვა. მამიდამ ავადმყოფი ძმა ბათუმში წაიყვანა და იქ უვლიდა. მამამისი ბათუმში დაკრძალეს.

წასვლამდე ირაკლის მამამ ნახალადევეში საცხოვრებელი ბინა გაყიდა, შვილს წილი მისცა, დანარჩენი თანხა კი მეურვე დას გადასცა. ამ თანხით ირაკლიმ შეიძინა ბინა თემქაზე; მერე საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა, ბინა გაყიდა, მაგრამ მოატყუეს და კიევში ჩასული, უკან ხელმოცარული დაბრუნდა.

ირაკლი ქუთათელაძე აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა და თავისი ადგილის დამკვიდრებას საზოგადოებაში,

გაგრძელება იხ. გვ. 77

შეგახსენებთ:

სტიფან კოენი ფრანგული სატრანსპორტო კომპანია „სისტრას“ წარმომადგენელი იყო, რომელიც თბილისის მერიასთან ერთად დედაქალაქის სატრანსპორტო სტრატეგიაზე მუშაობდა. ფრანგი მენეჯერი სასტუმროს ნომერში გვიან ღამით მოკლეს. მკვლელობაში ექვმიტანილი არასრულწლოვანი იმ ღამესვე დააკავეს. შს სამინისტროს წარმომადგენლებმა მაშინვე განაცხადეს, რომ მან დანაშაული აღიარა და მომხდარის მიზეზად ურთიერთშელაპარაკება დაასახელა. ასევე აღიარა, რომ სასტუმროს ნომრიდან 3 მობილური ტელეფონი, ფოტოკამერა და პორტატული კომპიუტერი მოიპარა.





სახვა

„სხვა ამბები“ მარტო მყოფი გვანცა დარასელია მოთხოვნადი არ ყოფილა

გასულ კვირას ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერს ახალი გადაცემა — „სხვა ამბები“ — შეემატა, რომლის წამყვანებიც მაყურებლისთვის კარგად ნაცნობი ვასიკო ივანოვ-ჩიქოვანი და ბებნცა დარასელია არიან. ახალ პროექტსა და სხვა საინტერესო თემებზე სასაუბროდ გვანცას შინ ვწვდით.

ნათია შივიძა

— როგორც მაყურებლისთვის ცნობილია, აპრილიდან „დილის გადაცემა“ ახალი სტუდიიდან გადის ეთერში. როგორ მოერგეთ ახალ გარემოს?


— არაჩვეულებრივად, რადგან საკმაოდ დიდი სტუდიები გვაქვს, თანაც „რუსთავი 2“-ის აბსოლუტურად ყველა პროექტი ახლა უკვე ერთ შენობაშია. უზარმაზარი პავილიონები გვაქვს, სადაც ყველაფერი მაღალ დონეზეა გაკეთებული. მოკლედ, ისეთი გარემოა, რომ სამსახურში მისულები თავს ძალზე კომფორტულად გგრძნობთ, საქმესაც მეტი მონდომებით ვაკეთებთ.

— 4 აპრილიდან ეთერში ახალი გადაცემა — „სხვა ამბები“ გავიდა. ვის იდეა იყო ამ გადაცემის ვაკეთება და რატომ გაკეთდა არჩევანი მაინცდამაინც თქვენზე?

— სიმართლე რომ გითხრა, ზუსტად არც ვიცი, ვის ეკუთვნის ეს იდეა. თუ არ ვცდები, ამაზე ნინო შუბლაძემ იზრუნა. რატომ შეგვარჩიეს მე და ვასკა, არც ამაზე მაქვს პასუხი, — ალბათ არხის ხელმძღვანელობას უნდა ჰკითხოთ. ვიცი მხოლოდ ის, რომ კასტინგი არ ჩატარებულა. თავიდანვე მე და ვასკას დაგვიძახეს, სინჯები ჩაწერეს და „სხვა ამბების“ წამყვანებად დაგვამტკიცეს. ერთ დღეს ვასკა ზის ეთერში, მეორე დღეს — მე. ჩვენს არხზე დღე „დილა მშვიდობისა საქართველოთი“ იწყება, სადაც ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ მოვლენებს

მიმოვიხილავთ. 12 საათზე „კურიერი“ იწყება, რომელშიც მაყურებელი პოლიტიკურ და კრიმინალურ სიახლეებს ეცნობა. მისი დასრულებისთანავე კი „სხვა ამბები“ იწყება, სადაც გვაქვს როგორც საზოგადოებრივი, ასევე სოციალური და ისტორიული თემებიც. ასევე არის რუბრიკა ძველი თბილისის ისტორიაზე. კიდევ გვაქვს რუბრიკა — „კადრს მიღმა“, სადაც ჟურნალისტი გვიამბობს, განსაკუთრებული სიუჟეტის მომზადებისას რა მოხდა კადრს მიღმა, რომელიც მაყურებელმა ვერ ნახა. ასევე, ველოდებით მაყურებლის მიერ გადაღებულ სიუჟეტებს — მათ მიერ დანახული „სხვა ამბები“ უნდა მოგვანოდონ, რომელიც კვირაში ერთხელ გავა ეთერში. ყველა ეს გადაცემა ახალი ამბების უწყვეტი ჯაჭვია, იმდენად კარგი პროგრამა გვაქვს, რომ მაყურებელი ეკრანს ვერ მოსწყდება და სხვა არხზე არ გადართავს. რასაკვირველია, ახალ გადაცემაში ვცდილობთ, რომ რომელიმე ძალიან აქტუალური თემა, რომელიც დილის გადაცემაში გაშუქდება, ჩვენ უფრო ფართოდ გავშალოთ, მაგრამ არც ექსკლუზივების ნაკლებობა გვექნება. ორი პროდიუსერი და ოთხი ჟურნალისტი გვყავს. „სხვა ამბები“ სულ ნახევარსაათიანია და მიუხედავად ამისა, ინფორმაციულად საკმაოდ დატვირთულია. ყოველ გადაცემაში სტუმარიც გვეყოლება.

— რომელსაც რამდენიმე კითხვა უნდა დაუსვა. ამ შეკითხვებს პროდიუსერები ყურში გაკარნახობენ თუ თავადვე აყალიბებ?



— ჩვენს არხზე, არც ერთ გადაცემაში ჟურნალისტს შეკითხვებს არავინ კარნახობს, რადგან აბსოლუტურად ყველა წამყვანი ძალიან კარგად იცნობს იმ თემას, რომელსაც აშუქებს. ასევე ვარ მეც. წარმოუდგენელია, ჟურნალისტმა არ იცოდეს ის თემა და შეკითხვა სწორად არ დასვას. ჩვენს არხზე წამყვანი დიქტორი არ არის, ის წამყვანია. ჩვენ ყველა ერთად ვმუშაობთ და ყველაფერს ერთად ვაკეთებთ. სწორად ხელმძღვანელები შენიშნას მაძლევენ, რომ რაღაც გამოშრდა და ეს ჯანსაღი შენიშვნაა. მათ მიღებს არასოდეს გავუბრუნებარ და ყოველთვის ვცდილობ, რომ გავითვალისწინო. ისე, ნინო არაზაშვილიც ძალიან მესმარება. გარკვეულ თემაზე მან ჩემზე გაცილებით მეტი რამ იცის, რადგან უფრო მეტი გამოცდილება აქვს.

— „სხვა ამბები“ მეტად გახსნილი მეჩვენე. მგონი, კარგად მოერგე ახალ ამბულას...



— არხის ხელმძღვანელობისა და პროდიუსერებისგან დავალება მქონდა: რადგან დილის გადაცემის წამყვანიც ვარ, „სხვა ამბები“ უფრო განსხვავებული უნდა ყოფილიყო. აქ იმიჯიც სხვანაირი მაქვს, უფრო სოლიდურადაც მაცვია და მაკიაჟიც სხვანაირად მიკეთდება. გარდა ამისა, მაყურებელთან ურთიერთობაც განსხვავებულად უნდა დამეყარებინა. დილის გადაცემაში პარტნიორთან ერთად ვარ და მგონია, რომ იქ უფრო გახსნილი ვარ, რადგან უფრო მეტი საშუალება მაქვს, დიალოგი მქონდეს. „სხვა ამბებში“ კი მარტო ვზივარ ეთერში და ვცდილობ, მხოლოდ დიქტორი ვი არა, კარგი წამყვანი ვიყო. თუ ეს გამომდის, მიხარია. ვეცდები, ასე გავაგრძელო და უკეთესი ვიყო.

— ამჟამად ქართულ ტელე-სივრცეში სეზონის დასაწყისი არ არის. მიუხედავად ამისა, „რუსთავი 2“ ორ ახალ გადაცემას აკეთებს. როგორ ფიქრობ, გაამართლებს ეს გადაცემები და მაყურებელს მიიზიდავს?

— მგონია, რომ გაამართლებს, რადგან სექტემბერში, როცა სხვა არხები ახალ სეზონზე ახალ გადაცემებს დაიწყებენ, ჩვენ უკვე ჩვენი მაყურებელი გვეყოლება.

— შენ გარშემო მყოფმა ადამიანებმა როგორ შეგაფასეს ამ ახალ ამბულაში?

— გულახდილად რომ ვთქვა, ყველას ძალიან მოეწონა. პირველ რიგში ის კი არ მითხრეს, რა ლამაზად გამოიყურებოდით, არამედ ყველამ ერთხმად აღნიშნა, რა კარგი გადაცემააო. ასეთი შეფასება ათმაგად გამიხარდა, რადგან პირველ რიგში გადაცემას ვგულშემატკივრობდი და მხოლოდ მერე ვფიქრობდი ჩემს იმიჯზე. ჩემთვის მნიშვნელოვანი ის იყო, რომ გადაცემა კარგი გამოსულიყო...

— გარდა იმისა, რომ უკვე საკმაოდ ცნობილი წამყვანი ხარ, ბოლო პერიოდში ამღერდი კიდევ და შენი და ჯგუფ „თბილისის“ ერთობლივი სიმღერა ისე გაჰიტდა, ყველგან მას ვისმენთ. კიდევ ხომ არ გეგმავ ახალი სიმღერის ჩაწერას?

— ეს სიმღერა დაახლოებით 3-4 წლის წინ, აბსოლუტურად მეგობრულ გარემოში ჩაწერეთ. მერე კი მის ავტორს მისი მსმენელამდე მიტანის სურვილიც გაუჩნდა. აღმოჩნდა, რომ არანაირი მინუს ფონოგრამა არ გვქონდა, მე კი ჩემი მაშინდელი წამღერი მაინცდამაინც არ მომწონდა. მიუხედავად ამისა, ქართულ

რადიოებში სიმღერის ავტორმა ძველი ჩანაწერი მიიტანა და კლიპიც იმ ძველ ჩანაწერზე გადავიღეთ, რომელიც საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ამ წარმატებაში ჩემი წვლილი ცოტაა, ეს ყველაფერი სიმღერის ავტორის, ბექას დამსახურებაა. მისი წარმატება მიხარია, რადგან უნიჭიერესი ადამიანია და სხვა კიდევ უამრავი კარგი სიმღერა აქვს დანერგილი. რაც შეეხება ახალი სიმღერის ჩაწერას, მომღერლობაზე პრეტენზია ნამდვილად არ მაქვს. მირჩევენია, დღეში 5 გადაცემა წავიყვანო, ვიდრე სცენაზე დავდგე და ვიმღერო. ამ დროს უფრო ვნერვიულობ, რადგან ვიცი, რომ წამყვანობა, ასე თუ ისე, უფრო კარგად გამომივა, ვიდრე — სიმღერა. მთელი ჩემი ოჯახის ნევრები არაჩვეულებრივად მღერიან, მაგრამ მომღერლობაზე არასოდეს მიოცნებია. ცალკეულ პროექტებში კი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას და ვიმღერებ კიდევც.

— მაგალითად, როგორც რუსა მორჩილაძის საღამოზე იმღერე.

— (იციანის). ეს საღამო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რადგან სწორედ იქ მნახა პირველად ჩემმა მომავალმა მეუღლემ და იქიდან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა.

— ანსამბლ „თბილისთან“ ერთად ჩანერგილ სიმღერას როგორ აფასებს შენი მეუღლე?

— იმდენად მოსწონდა თავიდანვე, რომ ინტერნეტში უსმენდა ხოლმე. მერე კლიპიც მოეწონა... რა ვიცი, რა პრეტენზია უნდა ჰქონდეს ჩემს სიმღერაზე, როცა პირველად ამ ამბულაში გამიცნო. მაშინ ვახო საქართველოში არ ცხოვრობდა და საერთოდ არ იცოდა, დილის წამყვანი ვიყავი თუ — მოდელი. პირველად ამღერებული მნახა.

— მოკლედ, არც მომღერლობაზე გიოცნებია და არც მოდელიობაზე, მაგრამ ორივე საქმიანობამ აშკარად წარმატება მოგიტანა...

— თითქოს ყველაფერი თავისთავად მოხდა. შენ რა გგონია, მთელი ჩემი მოდელიობის განმავლობაში, ჩემი ჰონორარი 500 ლარიც კი არ ყოფილა. ხშირად არ

გამოვდიოდი ჩვენებებზე. ვალიარებ, რომ არ ვიყავი მოთხოვნადი, თან — სიმაღლაც არ მიწყობდა ხელს, რადგან სხვა მოდელები ზემოდან დამყურებდნენ. ჩვენებისთვის კი ყველა მოდელი თითქმის ერთი და იმავე სიმაღლის უნდა იყოს. ამიტომ ძირითადად, ფოტომოდელი ვიყავი. რადგან „მის საქართველოზე“ გამოვედი, ამიტომ დამერქვა მოდელი, თორემ ამ სფეროში აქტიური ნამდვილად არ ვყოფილვარ. ისე კი, შესაძლოა, ხმაბალალი განაცხადია, მაგრამ ის „მის საქართველო“ ყველაზე უფრო წარმატებული ჩემთვის აღმოჩნდა, რადგან ხალხისგან საკმაოდ დადებითი გამოხმაურება და ემოცია მივიღე. გარდა ამისა, სწორედ მაშინ გავიცანი კონკურსში მონაწილე ორი ადამიანი — ქეთი ლორთქიფანიძე და თამუნა ნემსიწვერიძე, რომლებსაც დავუმეგობრდი და დღეს ორივე მათგანის მეჯვარე ვარ. სულ ვამბობ, მხოლოდ ამისთვის ღირდა იმ კონკურსში მონაწილეობა-მეთქი. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ სწორედ ამ კონკურსმა განაპირობა ჩემი ტელევიზიაში მოხვედრა. ამ აზრს არ ვეთანხმები. ნინო შუბლაძე იყო ჩემი ლექტორი, რომელმაც „რუსთავი 2“-ში მისვლა შემომთავაზა...





რა საიდუმლოს ახადა ფარდა გუფიმა?

ანუ ტაში, ქალბო, 8 მარტია!

ხალისიანი, „ფერადი“ მუსიკოსი — გუფი, იგივე გურამ მაკალათიაა. შეხვედრისთანავე მიხვდებით, რომ მასთან მოსაუბრე ადამიანი არ მოიწყენს, მაგრამ ინტერვიუს დანწყობამდე გამომხილა, ჟურნალისტები არ მიყვარსო. მის სიტყვებში ეჭვის შეტანა არც მიცდია, გუფის დეიდაშვილი ხატია სიტინავაა, დედა — პირველი არხის ჟურნალისტი, ნინო ცხოიძე, ხოლო ყოფილი მეუღლე — თამუნა მუსერიძე. როგორც თავად ამბობს, ეს ადამიანები მარკასავით ჰყავს „მიკრული“. მარცხენა ხელის არათითზე ოქროს რგოლი უკეთია და გამომხილა: ეს ბეჭედი იმიტომ მიკეთია, ყოველთვის მახსოვდეს, — ცოლი აღარ უნდა მოვიყვანო.

ელენე ბასილიძე

— ვიცი, რომ ბავშვობაში ფეხბურთით იყავი გატაცებული...

— როგორც წესი, ყველა მუსიკოსის ბავშვობაში მუსიკა მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ფეხბურთი უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ. დედაჩემს ძალიან უნდოდა, მუსიკაზე მევლო. არადა, არასდროს მევასებოდა მუსიკა. მახოვს, „ბასტი ბუბუს“ სტუდიაში რომ მიმიყვანეს და იმღერო, მითხრეს, კატეგორიული უარი განვაცხადე. კაცი ფეხბურთს ვთამაშობდი, რა დროს სიმღერა იყო? მოკლედ, დედაჩემის მცდელობას შედეგი არ მოჰყვა და რომ მიხვდა, ჩემგან მომღერალი არ დადგებოდა, იქნებ დაუკრასო, იფიქრა და თავის მეგობარ ქალბატონთან მიმიყვანა, რომელმაც უთხრა, ეს ბავშვი დაკვრას ვერ ისწავლისო! მოკლედ, ბოლო იმედიც გაუცრუვდა. კარგი იქნებოდა, მაშინვე დამეწყო დაკვრა — დღეს გაცილებით პროფესიონალი ვიქნებოდი. სიმართლე გითხრა, ჩემში მუსიკის სიყვარული ღრმა ბავშვობაში უფრო შეიმჩნეოდა, ჩემი შვილივით ვიყავი, რომელიც დადის და ყველაფერს ურტყამს. ალექსანდრეს ხელში ფოხები რომ მისცე, ჩათვალე, რომ ოთახში მთელი ალაფერი დარჩება.

— სიმღერაზე უარი კი თქვი, მაგრამ მაინც მღერო და გავიგე, პრინცის სიმღერა ისე იმღერა, ხალხმა ბისზე გამოიძახაო...

— ჰო, რა ვიცი, რადაცებს ამბობენ (იღიმის). ძნელია, უკრავდე და თან მღეროდე... სუნთქვა აღარ მყოფნის ხოლმე. ბისზე გამოიძახებს

და რა უნდა გვეკეთებინა?! ცუდად მახსოვს ის დრო.

მუსიკალური განათლება გაქვს?

— კი. მაგრამ სანამ მუსიკალურ აკადემიაში ჩავაბარებდი, 9 კლასის დამთავრების შემდეგ, დედაჩემის თხოვნით სახალხო დიპლომატიის საერთაშორისო აკადემიაში ჩავაბარე. პირველ კურსზე ვიყავი, დასარტყამ ინსტრუმენტზე დაკვრა რომ დავიწყე. მერე ამ სასწავლებელს თავი დავანებე და მუსიკალურ აკადემიაში ჩავაბარე. ამას ნინათ, დავთვალე და ერთდროულად თურმე 9 ჯგუფში ვუკრავდი: „ზუმბაში“, „სუსიშვილებში“, „მზა-ში“, „მწვანე ოთახში“, „ჯორჯიან ლოლიტაში“, „აუტსაიდერში“, „მოძრაობის თეატრში“, „სტრინგში“...

ნელან მითხარი, ჟურნალისტები არ მიყვარსო, რატომ?

— დედაჩემმა დიდი გავლენა იქონია, ჟურნალისტი რომ არ გახვდი. ტელევიზიაში გავიზარდე და ერთადერთი კარგი მოგონება, რაც ექიდან დამრჩა, „ემტივის“ არხი იყო, რომელიც პირველად ტელევიზიაში ვნახე. მთელი დღის განმავლობაში დედაჩემს ველოდებოდი, მომიყვანდნენ დედაჩემის თანამშრომლის შვილს და — მიდი, გაერთეთო, გვეტყოდნენ. დერეფანში ფეხბურთს ვერ ვითამაშებდით, კომპიუტერთან ჩვენ არავინ გვიშვებდა

და რა უნდა გვეკეთებინა?! ცუდად მახსოვს ის დრო.

„ღამის შოუში“ როგორ მოხვდით?

— საკაიფოდ (იცინის)! „სითი კლუბში“ ვუკრავდით და ირაკლი კაკაბაძე იყო მოსული. თუა ადრე „კავეენში“ თამაშობდა, მეც ვიცნობდი ბიჭებს და ირაკლიმ შემოგვთავაზა, ახალ გადაცემას ვამზადებთ, ხომ არ შემოგვიერთდებოდითო? ჩანერაზე რომ მივედით, ჩვენი ფერად-ფერადი ტანსაცმლით დავგვსვეს ეთერში. არავინ მოდის და არ გვეუბნება, ეს ცუდია და სხვანაირად გააკეთეთო. აბსოლუტური თავისუფლება გვაქვს. პირველივე გადაცემის ჩანერაზე ყველას დაუუახლოვდით. მათთან ურთიერთობა ძალიან იოლია: ერთად ვფიქრობთ, თუ როგორი უნდა იყოს ბენდის ხუმრობა, რას შევას-



ქალებს ახასიათებთ რეზუსებით ლაპარაკი (თამუნა მუსერიძე)



როგორც წესი, ჩემი ნათქვამი ფრაზები ჰიტდება ხოლმე

რულეტ... ჩემი და ოთარის გადაღა-
პარაკება არ არის დადგმული.
არავინ იცის, რა მოგვივა თავში.
როგორც წესი, ჩემი ნათქვამი ფრა-
ზები ჰიტდება ხოლმე. ადრე აკვირ-
ტება მქონდა, ნებისმიერ რიცხვსა
თუ წელიწადის დროს, სადაც უნდა
მივსულიყავი, — ტაში, ქალებო, მ
მარტია-მეთქი, ვამბობდი (იციან).

— **ბავშვებს ძალიან უყვარხარ...**
— ჰო, ბავშვებში ძალიან პოპუ-
ლარული ვარ. რაღაც დასამახსოვრე-
ბელი ადამიანი ვარ მათთვის. ხშირ-
ად საუბრობენ ხმაშალა, რომ მე
გამაგონონ, ქუჩაში მეძახიან. ამას
წინათ, ჩემს მეზობელ ბავშვს ძალიან
გაუხარდა, როცა აღმოაჩინა, რომ
მისი მეზობელი ვიყავი.

— **როგორი მამა ხარ?**
— ალბათ ცუდი... რა ვიცი, ჩემი
ცოლი ასე ამბობს ხოლმე...

— **ცოლი თუ ყოფილი ცოლი?**
— ჰო რა, როგორც ჰქვია... მეტი
არ მყოლია და იმედი მაქვს, კიდევ
დიდხანს არ მეყოლება. ცუდი მამა
ვარ იმიტომ, რომ ხშირად ვერ ვნახ-
ულობ ალექსანდრეს. ჩემთან არ
ცხოვრობს და მაგარი იქნებოდა,
ხშირად რომ მქონდეს ურთიერთო-
ბა. ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწი-
ლი მამის გარეშე გავატარე და არ
მინდოდა, ჩემს შვილსაც ასე ეცხ-
ოვრა, მაგრამ ჩემი შვილი სულაც
უმამოდ გაჩნდა. ამ ბოლო დროს
სიყვარულის უცნაური ფორმა „გა-
მეჩითა“ — არ ვამჟღავნებ, მაგრამ
ვიცი, რომ მიყვარს.

— **შენი და თამუნას სიყვარულ-
მაც არ „იმუშავა“?**
— იცი, რა არის? იმისთვის, რომ

ადამიანმა რამე გამაგებინოს, პირ-
დაპირ უნდა მითხრას. მაგალითად,
მომანოდე ტელეფონი და არა —
კავშირის საშუალება მომანოდეო...
ასე ვერაფერს მივხვდები. ქალებს
ახასიათებთ რებუსებით ლაპარა-
კი. ძალიან მეზარება ასეთ რამე-
ბზე ფიქრი. მეორეც, ვერ ვხვდები,
რისი თქმა უნდათ. შეიძლება, არც
ვიყავი მზად ცოლის მოსაყვანად,
მაგრამ ასეთ რამეზე რომ ვფიქრობ,
მაშინვე ჩემი შვილი, ალექსანდრე
მასხენდება და მიხარია, რომ ეს
მოხდა.

— **კარგი, დავანებოთ მაგ თე-
მას თავი. განსხვავებული იმიჯი
გაქვს — ფერადი ტანსაცმელი,
საყურე, ტატუები...**

— კისერზე ბუდისტური მანტრა,
ლოცვა მაქვს დანერილი, ხელზე მულ-
ტფილმის პერსონაჟი — გუფი მახ-
ატია „ბარაბნით“, მარჯვენა მკლავზე
კი — აცტეკების მშვიდობის სიმბო-
ლო. პატარა ვიყავი, როცა დავიხა-
ტე და ფერი გადაუვიდა. ბებიარემი
ტატუს „ნაკოლკებს“ ეძახის და ძალიან
განიცდის, ასე რომ მაცვია. იმედი
აქვს, ოდესმე „შარვალ-კოსტიუმით“
გავეჩითები. ძალიან მაგარი ფრაზა
აქვს: „გადასასვლელი ტანსაცმელი“.

დილით გარეთ გასას-
ვლელად რომ ვემზა-
დები, ბებო მიყურებს
და მეუბნება, ერთი
წყვილი „გადასასვლე-
ლი ტანსაცმელი“ რო-
გორ ვერ უნდა იყი-
დო ამხელა კაცმაო?!

— **უცნაური იმ-
იჯის გამო, ალბათ
სახალისო სიტუა-
ციაშიც ხშირად
ვარდები...**

— კი, როგორ
არა?! ქუჩაში რომ მი-
დიხარ და გაგინებენ...
თავიდან ძალიან მეშ-
ლებოდა ნერვები და
ვჩხუბობდი, მერე „და-
ვიკიდე“. რატომღაც
ყველას გეი ვგონივარ.
ქართველებს ჯერ ვერ
გაურკვევიათ, რომე-
ლია გეი და რომელი
— თავისუფალი ად-
ამიანი. მთელი ცხ-
ოვრება პანკი ვიყავი,
სულ ასე მეცვა. სკო-
ლაში ყველა „პირა-
მიდა“ შარვლებით
რომ დადიოდა, მე
მამარემის დახეული
და დალაქული შარ-
ვალი მეცვა.


— **გუფი ვინ დაგარქვა?**
— ეს სახელი ძალიან დიდი ხნის
წინ დამარქვა ჩემმა მეგობარმა.
გუფის ისე ვარ შეჩვეული, რომ
დამირეკონ და მკითხონ, ბატონი
გურამი ბრძანდებითო? არა-მეთქი,
ვუპასუხებ.

— **ქუდს ზაფხულშიც არ იხდი?**

— არა, და შენ წარმოიდგინე,
არც მცხელა. ახლა ერთ საიდუმლოს
ავხდი ფარდას: ყველას ჰგონია, ქუდი
იმიტომ მახურავს, რომ მელოტი ვარ.
ნახე (ქუდს იხდის და მოზრდილ თმას
მაჩვენებს), რა დალალები მაქვს?! ერთ
დღეს მივხვდი, რომ დაკვრის დროს
ქუდი ძალიან კომფორტულია. 2 საა-
თის განმავლობაში კონცერტზე რომ
ვუკრავ, ოფლში ვცურავ. ჩემმა მე-
გობარმა, მარი თუშიშვილია ქუდი
მომიქსოვა. აი, ჯო ზავინულის რომ
ახურავს, დაახლოებით ისეთი. მას
შემდეგ, მივხვდი, თუ რა ბედნიერ-
ბაა, როცა ოფლი თვალებში არ
გელვრება და წარმოუდგენლად ალარ
გენვის. ახლა რამდენიმე ასეული
ქუდი კარადაში, თაროზე მაქვს ჩამ-
წკრივებული. არის რამდენიმე ქუდი,
რომლებიც ამოჩემებული მაქვს და
ხშირად ვიხურავ.



„ნიკო... აპლოდისმენტები“



ნიკოს ბარჩაშვილი ბატარაშვილი ნელი და უპრეცედენტო შემთხვევა ქართული თეატრის ისტორიაში

13 აპრილს ნიკო გომელაურის გარდაცვალებიდან 1 წელი გავიდა, ამ დღეს შედგა მასზე გადაღებული ფილმის „ნიკო... აპლოდისმენტები“ პრემიერა. მისი ოჯახის წევრები, მეგობრები, მაცურებლები და მკითხველები ისევ შეიკრიბნენ. ფილმი ნიკოს ცხოვრებასა და შემოქმედებაზეა. როგორც სცენარის ავტორი ამბობს, ეს ფილმი აღსარებაა, მასში მსახიობის დიდი და იდუმალი სამყარო დახატული, ფილმში მონაწილე ადამიანები, თეატრის და კინოს ცნობილი სახეები, ნიკოზე ამბებს ჰყვებიან. ამჯერად პერსონაჟებად კი არ გარდაიასნენ, არამედ საკუთარი თავი განასახიერეს.

თავუნა კვინიკაძე

ენა ჩოღრიშვილი, ნიკო გომელაურის მეუღლე:

— გასულ ზაფხულს, ჩემთან ერთი უცნობი ადამიანი მოვიდა და მითხრა, მე და ჩემს შვილს ნიკო ძალიან გვიყვარდა, წლებია ამერიკაში ვცხოვრობ, იმ ქვეყნის მოქალაქეც ვარ და ძალიან დიდი სურვილი მაქვს, მისი ხსოვნის პატივსაცემად, რამე მნიშვნელოვანი გავაკეთო. მოკლედ, ამ ადამიანის ფინანსური მხარდაჭერით მოხდა ამ ფილმის — „ნიკო... აპლოდისმენტები“ გადაღება. ფილმის სცენარი მოსკოვში ცნობილ რუს სცენარისტს პაველ ფინს შევუკვეთე.

— რატომ? სცენარისტი რა ნიშნით შეარჩიეთ?

— ნიკო 2 ენაზე წერდა, 2 ენაზე ფიქრობდა, ძალიან მინდოდა, რომ ფილმიც ორენოვანი ყოფილიყო, პაველ ფინს ამიტომ შევუკვეთე. ვფიქრობ, სცენარი კარგი გამოვიდა. პაველი საქართველოში ჩამოვიდა, მასალას გაეცნო. თბილისიდან გამგზავრების შემდეგ, 2 კვირა იყო გასული, სკაიპით დამიკავშირდა და მითხრა, არ მგონია, მე ეს სცენარი გამომივიდეს, ვფიქრობ, უარი გითხრა, რადგან ვერ ვიპოვე კონცეფცია, ასეთი რამ არასდროს დამმართვია, არ ვიცი, რა გავაკეთო. არადა, იგი არაერთი პრემიის ლაურეატი და სცენარი 50-ზე მეტი ცნობილი ფილმისთვის აქვს დაწერილი. საუბრის ბოლოს დახმარება მიხვდა, დავალებებს მოგცემ და დამინერეო. თითქმის 3 თვის მანძილზე სახლიდან არ გავსულვარ, ვფიქრობდი, ვნერდი, ვუგზავნიდი.

— რა სახის დავალებებს გაძლევდათ?

— აინტერესებდა, ნიკო სად გავ-

იცანი, როგორ ვცხოვრობდით თეატრის საგრიმიროში. მეკითხებოდა ნიკოს ხასიათზე, პიროვნულ თვისებებზე, რა სიტუაციაში როგორ იქცეოდა და ა.შ. გარდა ამისა, ტელევიზიებიდან მოცემული მასალა, სპექტაკლების ჩანაწერები, ნიკოს გამოსვლები — ყველაფერი გადასათარგმნი იყო. ამ საქმეში დამეხმარა ია ვახანია. მინდა, განუული დახმარებისთვის მადლობა გადავუხადო, ასევე თამუნა სვანიძეს („თავისუფალი თეატრის“ ადმინისტრატორი) — ის სპექტაკლებიდან ვიდეომონტაჟის გაკეთებაში დამეხმარა. ამ მიმონერის შემდეგ, პაველ ფინს კვლავ დამიკავშირდა და მითხრა, ჩემთვის უკვე ყველაფერი ნათელია, ვიცი, რა და როგორ უნდა გავაკეთო. შემდეგ მივმართეთ ავთო ვარსიმევილს, ნიკოს მეგობარ მსახიობებს და წერილების წერა მათ გააგრძელეს. ფილმის სცენარს სარჩულად უდევს ამონარიდები ნიგინიდან „უბრალოდ ნათქვამი“ (ეს ნიგინი მისი ინტერვიუების მიხედვით შეიქმნა), რომელიც ნიკოს გარდაცვალების შემდეგ გამოვეცი; ასევე წერილები და ვიდეომასალა. მართალია, მუშაობის პროცესში ძალიან ბევრი ვინერვიულე, მაგრამ საბოლოო ჯამში, სცენარი რომ მივიღე და გავეცანი, მომეწონა, ნიკოს წინაშე არ შევრცხვი, რისიც ძალიან მეშინოდა. ერთ დღეს, ტელეფონზე ზარი შემოვიდა, — გამარჯობათ, მე გია ყანჩელი ვარ. გამიკვირდა, ცოტა დავიბენი კიდეც, შემომთავაზა, მინდა ამ ფილმისთვის მუსიკა შევქმნა, ოღონდ ერთი პირობით, ჩემი სურვილია, ეს

ალარ ღამრჩა გული, ღვიძლი, მაგრამ მაინც, მაინც ვიბრძვი...

ალარ ღამრჩა ტვინი, ფილტვი, მაგრამ მაინც, მაინც ვილტვი...

ალარ ღამრჩა ნერვი ღერი, მაგრამ მაინც, მაინც ვმტერი...

მაგრამ მაინც, მაინც ვქაჩავ,

რადგან ერთი რატაც ღამრჩა...

უსასყიდლოდ გავაკეთო. როცა ეს ადამიანი ახლოს გავიცანი, მისი თვისებებით აღფრთოვანებული დავრჩი. როგორი კომპოზიტორია, ყველამ იცის, ამაზე ლაპარაკს არ დავინწყებ. მასთან ურთიერთობის დროს, ვფიქრობდი, ასეთი სულიერად მდიდარი, ნათელი გონების, ინტელექტის და რაც მთავარია, საინტერესო ადამიანები რომ არსებობდნენ, ცხოვრება არც ისე ცუდი და უინტერესო იქნებოდა. ყოველ ნოტს უქვემდებარებს ნიკოს სულს, განცდას, რომელსაც მის სიტყვებში პოულობს. საქმეს უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება, რა ნახა ჩემმა თვალებმა, ასეთი პროფესიონალიზმი იშვიათია. სიცოცხლე, მომიწინა. ჩემ გარშემო, სულიერების ნაკლებობაა, ლამის დავიხრჩო ნიკოს გარეშე, მაგრამ გია ყანჩელმა პოზიტივით, დადებითი ენერჯით ამავსო, ნეტავ ეს მუსტი რამდენ ხანს მეყოფა? მადლობა მას ამ ყველაფრისთვის!

— ფილმის რეჟისორი ვინ არის?

— ფილმის ოპერატორი და რე-



ქისორი გიორგი ბერიძეა, პროდიუსერები — დათო ბუჩიჭაშვილი და ნათია მეფარიშვილი. ნიკოს ტექსტს მსახიობი ზურა ყიფშიძე კითხულობს. მომავალში ნიკოზე ვისაც რა უნდა, გადაიღოს, მომენონება თუ არა, — ამაში არ ჩავერევი. მონოპოლიას ვერ გამოვაცხადებ, მიუხედავად იმისა, რომ საავტორო უფლების მფლობელი ვარ. რაც მეტს იტყვიან, გადაიღებენ, დანერგენ — უკეთესია.

— ნინა, როგორც ვიცი, ნიკოს ახალი კრებულის გამოცემასაც ფიქრობდით, წიგნთან დაკავშირებით რა ხდება?

— მართალია ვაპირებდი, 13 აპრილს ნიკოს ახალი კრებული უნდა გამოსულიყო, მაგრამ ფილმმა იმდენი დრო წამართვა, წიგნისთვის ვეღარ მოვიცალე. ამ კრებულს აუცილებლად გამოვცემ. მასში ნიკოს არაერთი გამოუქვეყნებელი ლექსი შევა. ადრეულ ასაკში დაწერილი ერთი ლექსი, რომელიც მის პირველ კრებულში შევიდა, ნიკოს ისე აღარ მოსწონდა, პირველი წიგნის შემდეგ, ახალ კრებულში აღარ გამეორებულა. რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ სოციალურ ქსელში შევედი და ვნახე, ერთ ადამიანს ნიკოს ფოტო აქვს გამოყენებული და ფოტოზე ეს ლექსია დაწერილი. ლამის გული გამისკდა, მაგრამ არა უშავს, მიხარია, რომ ნიკო ბევრ ადამიანს უყვარს, ადრე ვეუბნებოდი ხოლმე, ნახე, რა პოპულარული ხარ-მეთქი. — კარგი, რა, ნინა, თბილისში პოპულარობას რა უნდაო? არასდროს დამავინწყდება, ერთ დღეს ლილოს ბაზრობაზე მომიტანა ქალმა რვეული, რომელშიც ნიკოს ლექსები ხელით ჰქონდა გადა-



მონოპოლიას ვერ გამოვაცხადებ, მიუხედავად იმისა, რომ საავტორო უფლების მფლობელი ვარ

წერილი, რვეულის ცალ მხარეს თავისი ანგარიში ეწერა, მეორე მხარეს — ლექსები. ძალიან განვიცადე. ამ კრებულის გამოცემას უდიდესი პასუხისმგებლობით ვეკიდები, უმნიშვნელო დეტალსაც კი ყურადღებას ვაქცევ, რადგან მინდა, ყველაფერი ისე გამოვიდეს, როგორც ნიკოს მოსწონდა, ფურცელი, ყდა, შრიფტი... კიდევ კარგი, რომ ვიცი, ერთ დროს ამ ყველაფერს ერთად ვაკეთებდით.

პანა მიქიაშვილი, მსახიობი:

— ნიკოს დაკრძალვის შემდეგ პირველად თეატრში რომ მოვედი, საგრიმიროროში შესვლა გამოიჭირდა, იქ გვერდიგვერდ ვისხედით. ერთდროულად დამეუფლა შიში, ტკივილი, სიცარიელე, თითქოს საყრდენი გამომეცალა, იმ დღეს „მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ“ ნიკოს გარეშე ვითამაშეთ. შეუძლებელია, ეს ადამი-


ანი დაგავინწყდეს, თითქოს ბევრია ერთი წელი, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ეს ყველაფერი გუშინ მოხდა, ტკივილი არ „დაძველდა“. თუ ჩვენ გვინდა, ნიკოს ხსოვნას პატივი ვცეთ, კიდევ მეტი უნდა ვიმუშაოთ, რომ მის საყვარელ თეატრს წარმატებები მოვუტანოთ.

— ნიკოს ლექსებს სწორად კითხულობ?

— მისი წიგნები კარადაში ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე მიდევს, რა თქმა უნდა, ვკითხულობ. ნიკოს თუ კარგად არ იცნობდი, ერთი შეხედვით ცოტა მკაცრი მოგეჩვენებოდა. მას 7 წელი ვიცნობდი და გაბრაზებული, განრისხებული, მოჩხუბარი ნიკო არ მინახავს. ძალიან დამთმობი და მიმტყვევებელი იყო. ყველაზე მეტად არაპროფესიონალიზმი აღიზიანებდა, მე ცრემლიც მასხოვს მის თვალებზე.

— რის გამო?

— ერთ-ერთი წელს სამხედრო ალღუმზე ვიყავით. ჩაცმული, მონწერილებული ჯარი გამოვიდა, მათი შემყურე, ამაყი იყო და თვალზე ცრემლი მოადგა. თავის ქალაქზე, ქვეყანაზე, საქმეზე უზომოდ იყო შეყვარებული. ზნეობით და ვაჟკაცობით ბევრ ადამიანზე მაღლა იდგა. ერთ შემთხვევას გავისხენებ: თეატრში პატარა კონფლიქტი მოგვივიდა, ვიკამათეთ, ორივეს მიგვაჩნდა, რომ მართლები ვიყავით. მოკლედ, იმ დღეს ერთმანეთს ასე დავეშორდით. მეორე დღეს, თეატრში რომ მოვედი, დისკომფორტს ვგრძნობდი, მასთან ურთიერთობის წამოწყებაში თითქოს შინაგანი სიამაყე ვერ გადავლახე. ამ დროს თავად ძალიან ვაჟკაცურად მოიქცა, ისე მომესალმა და დამინყო



მინდა, ყველაფერი ისე გამოვიდეს, როგორც ნიკოს მოსწონდა, ფურცელი, ყდა, შრიფტი...

მე შენ მოგიძღვენი ნაზი აკორდები, გაჩუქე სიტყვები და არა ვარდები... როგორ ვიფიქრებდი, ასე აგორდები? როგორ ვიფიქრებდი, ასე ავარდები? ცხოვრება – ჩოგბურთი. გავცვითე კორტები. თვალები დავხუჭე, გავხსენი კარტები... მე ხომ მოგატყუე, რატომ არ მშორდები?! მე ხომ მოგატყუე, რატომ არ მწარდები?! ჩემი სიცოცხლეა ყვითელი ფოთლები, თოვლი და ტალახი, შავ-თეთრი ჯადრები... მე ჩავიფერფლები, მე ჩავიბოთლები... მე შენ არ გჭირდები, მე არ გეჯადრები. თუმცა, თუ ასეთი ლექსი ჩაბარდება, ვინ არ აგორდება? ვინ არ ავარდება?



ჯოჯოხეთში იბეებენ ადგილებს,
 იქ მოხვედრა განა გა-ა-ადვილეს?!
 მე კი მითხრეს: არა ხარო საჭირო
 – ეშინიათ, მთვრალმა არ გავაჭირო.
 იქვე იყო უარი მოპირდაპირე,
 იქაც შესვლა ტყუილად დავაპირე.
 ახლა ვეძებ (გამიფუჭდა განწყობა)
 ადგილს, სადაც არ სჭირდება ჩანყოფა.



თუ ჩვენ გვინდა, ნიკოს სსოფნას პატივი ვცეთ, კიდევ მეტი უნდა ვიმუშაოთ, რომ მის საყვარელ თეატრს წარმატებები მოუგვანოთ

ლაპარაკი, მაგრძობინა, გუშინ არა-ფერი მომხდარაო. იმ წუთშივე მივხვდი, მასთან შედარებით რა პატარა ვიყავი. ამ ამბავს ფილმშიც ვყვები. ეს ჩემი აღსარებაა, ნიკოს სულის წინაშე.

ავთო ვარსიაშვილი, რეჟისორი:

— ნიკოს გარეშე მუშაობის დაწყება რთული იყო, მაგრამ ამ დიდი დანაკლისის მიუხედავად, თეატრმა გააგრძელა ცხოვრება. ნიკო იყო ჩემი განვლილი ცხოვრებისა და შემოქმედების მეოთხედი, 14 წლის მანძილზე ერთად ვიყავით, ის ჩემს ყველა სპექტაკლსა და ფილმში თამაშობდა. შეიძლება, გარკვეული პერიოდის შემდეგ, მის შესახებ ფილმი თავად გადავიღო, ან რამე დავწერო — ჩემს სათქმელს იქ მოვყვები.

როგორც რეჟისორისთვის, რთო იყო იგი თქვენთვის საინტერესო?

— ჩემთვის ნიკო გომელაური იდეალური მსახიობი იყო. მას ჩემი ზუსტად ესმოდა. კრიტიკოსების თქმით, ჩვენი ტანდემი უპრეცედენტ-

ტოა ქართული თეატრის ისტორიაში. 29 როლი ერთ რეჟისორთან სხვას არავის უთამაშია. ზოგჯერ სხვა მსახიობები გვეკითხებოდნენ, თქვენ ცალკე ხომ არ მუშაობთ? რეპეტიციებზე ერთმანეთს არ ველაპარაკებოდით. საკმარისი იყო შემეხედა, ნიკომ იცოდა, რა როგორ გაცეთებინა, ჩვენ ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმოდა.

სანდრო პარბალიტაშვილი, მსახიობი:

— ნიკო ჩემი შვილის ნათლიაა, ჩემზე დიდი ამაგი აქვს — კარიერულ წინსვლაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი. მისი რეკომენდაციით არაერთ სპექტაკლში მოხვდი. პროფესიულ რჩევებსაც ხშირად მაძლევდა. მახსოვს, „კავკასიური ცარცის წრეში“, ერთ-ერთი მოქმედების დროს, მე სცენაზე ვიყავი, ნიკო კულისებიდან თვალს მაღვენებდა. რეპეტიციის შემდეგ ისეთი რჩევები მომცა, დღემდე ვითვალისწინებ და ისე ვთამაშობ. ნიკო იყო ადამიანი, რომელსაც შეგეძლო მინდობოდი, არ გი-

ლაღატებდა, განსაკუთრებული მეგობრობა იცოდა. ყოველთვის შეგეძლო მისი იმედი გქონოდა, ნებისმიერ თემაზე დაგელაპარაკებოდა. ადამიანებთან ურთიერთობა უყვარდა. შენთვის ბოლომდე იხარჯებოდა, შურსა და უსამართლობას ვერ იტანდა. არაერთხელ დაურეკავს და უთქვამს, — სანდრო, ჩემთან მოდი, რა, დღეს კალათბურთია და ერთად ვუყუროთო. ერთხელ, რეპეტიციის შემდეგ საგრიმოროში რომ შევედი, გვითხრა, ნუ ფიქრობთ იმას, რომ რეპეტიცია დამთავრდა, რეპეტიცია არასდროს მთავრდება, პრემიერის შემდეგაც კი გრძელდება, როლზე სულ უნდა იფიქრო, რაღაც მოაკლო, მიუმატო, თუ ეს პროფესია გიყვართ, ასეთი დამოკიდებულება უნდა გქონდეთო. ნიკოს ნათქვამი ეს სიტყვები ყოველი რეპეტიციის შემდეგ მახსენდება.

თაზუნა სვანიძე, „თავისუფალი თეატრის“ ადმინისტრატორი:

— ნიკო ჩემთვის შეუცვლელი მეგობარი იყო, მასთან ურთიერთობისას ყოველთვის რაღაც ახალს ვსწავლობდი. ახლა, როცა ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი რამ ხდება, ფიქრებში ისევ ნიკოს ვეკითხები — როგორ მოვიქცე? რა გავაკეთო? ნიკო ყალბი არ იყო, ეს თვისება ბევრი ადამიანისგან გამოარჩევდა. მასავით გულწრფელი, ნაღდი (ეს სიტყვა თავად ძალიან უყვარდა), ერთგული ადამიანი იშვიათად შემხვედრია. ნიკომ დიდი სიყვარული იცოდა და ტყუილს ვერ იტანდა. 8 წელია აქ ვმუშაობ, თავიდან როგორც მასურბელი ისე დავდიოდი, მსახიობებიდან პირველი, ვინც გავიცანი, ნიკო იყო. 10 წელი ვიცნობდი. ნიკოს გარდაცვალების შემდეგ ერთი პერიოდი იმასაც კი ვფიქრობდი, თეატრიდან ხომ არ წავიდე-მეთქი? სულ ფანჯრიდან ვიყურებოდი და ველოდებოდი, როდის მოვიდოდა.



ნიკოს გარეშე მუშაობის დაწყება რთული იყო, მაგრამ ამ დიდი დანაკლისის მიუხედავად, თეატრმა გააგრძელა ცხოვრება





იზხნელაზის განაწყენებული შთამომავლები, შორენა ბეგაშვილის „სულიკო“ და „ჭამა და სექსი“ ერის განწყენდისთვის

„საავტორო უფლებების დაცვა ნელ-ნელა უნდა დავიწყოთ, ჩვევაში რომ გადაგვეზარდოს“

საავტორო უფლების დარღვევით, საქართველოში დები იზხნელების სიმღერები ბევრჯერ გამოუყენებიათ, თუმცა „ფორმულა კრეატივის“ ახალი ფილმი — „ჭამა და სექსი“ გამოჩენილი მომღერლებისთვის მოთმინების ფილაში ბოლო წვეთი აღმოჩნდა: მათ დაუკითხავად, ფილმში 14 სიმღერა იყო გამოყენებული... თავდაპირველად, „ფორმულა კრეატივისა“ და იზხნელების შთამომავლებს შორის გაუგებრობასთან დაკავშირებულ საკითხზე სასაუბროდ ფილმის პროდიუსერსა და ერთ-ერთ სცენარისტს — მისილ მშვილდაძეს დაუკავშირდი.



კარლი ფილმიდან

ეთო ყოვლანაშვილი

— მიშა, როცა ფილმში „დები იზხნელების“ სიმღერების გამოყენება გადაწყვიტეთ, რატომ არ გაითვალისწინეთ, რომ შეიძლება, მათ შთამომავლებს პრეტენზია გასჩენოდათ?

— კანონი არასწორად ვიცოდით და შეცდომა დავუშვი. თან, ბევრჯერ გვინახავს, რომ „დები იზხნელების“ ნაწარმოებები სხვებს გამოუყენებიათ, მაგრამ ამ ფაქტს გაუგებრობა არასოდეს მოჰყოლია. ამიტომ ვიფიქრეთ, რომ სიმღერების გამოყენება შეგვეძლო. როცა შევიტყვეთ, რომ სინამდვილეში ასე არ ხდება, იზხნელების შთამომავლებს დაუკავშირდით.

— თქვენ დაუკავშირდით?

— რა თქმა უნდა, თუმცა ალბათ, თვითონაც დაგვიკავშირდებოდნენ. გავიგეთ, რომ ნაწყენები იყვნენ, შევხვდით და შევთანხმდით: ფილმის პრემიერა შედგებოდა, შემდეგ კი ვისაუბრებდით, თუ როგორ გადაგვეწყვიტა ეს საკითხი. საბედნიეროდ, ჩვენს უფლებებს ერთი და იგივე ადვოკატი იცავდა. ფილმის პრემიერის შემდეგ, იზხნელების შთამომავლებმა საკითხის გადაწყვეტის თავიანთი ვერსია წარმოადგინეს. ჩვენ მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება არ შეგვეძლო. შევთანხმდით, რომ იზხნელების სიმღერებს ფილმიდან საერთოდ ამო-

იღებდით და ნაწყენ-დაზარალებულიც არავინ იქნებოდა. ამ ამბის გახმაურება მათთვისაც პოზიტიური იქნებოდა, რადგან ყველა გაიგებდა, რომ მათ საავტორო უფლებები აქვთ და როცა ვინმე „დები იზხნელების“ სიმღერების გამოყენებას დააპირებს, იზხნელების შთამომავლებს უნდა მიმართოს. პირველი შემთხვევა დაფიქსირდა, როცა მხარეებმა სადავო საკითხი ცივილიზებულად, ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტეს.

— საავტორო უფლებების დარღვევის გარდა, მათთვის უსამოვნო იყო „დები იზხნელების“ სიმღერების ისეთი სახელწოდების ფილმში გამოყენება, როგორც „ჭამა და სექსი“, თუმცა თქვენგან თანხის მიღების შემთხვევაში, ამ ფაქტზეც დასუჭავდნენ თვალს...

— იზხნელების შთამომავლებმა ჩვენი მდგომარეობა გაითვალისწინეს და მიუხედავად იმისა, რომ სახელწოდება — „ჭამა და სექსი“ არ მოსწონდათ, პირდაპირ არ მოუთხოვიათ — ფილმიდან სიმღერები ამოიღეთ. შანსი მოგვცეს, რომ თუ თანხს გადავიხდით, ისინი ამ დისკომფორტს აიტანდნენ.

— რა თანხაზე იყო საუბარი?

— თითო სიმღერაში 2 ათას ლარს ითხოვდნენ. ფილმში სულ 14 სიმღერა გამოვიყენეთ, მათ შორის 3 — დები იზხნელების

მიერ დაწერილი. ქართული კინობაზრისათვის საკმაოდ დიდი თანხის გადახდას გვთხოვდნენ. ვიცრუებდი, მათთვის რომ მეთქვა, ამ თანხას გადაგიხდით-მეთქი.

— ამხელა თანხა შეგნებულად ხომ არ დაგისახელეს? გადახდას ვერ შეძლებდით და „ჭამა და სექსი“ „დები იზხნელების“ სიმღერების გამოყენებასთან დაკავშირებული დისკომფორტიც მოეხსნებოდათ.

— არა, მათ მიერ დასახელებული თანხა კოლოსალური არაა. უბრალოდ, ამ ფილმის ბიუჯეტისთვის გათვალისწინებული არ იყო. მაგონი, იზხნელების ერთ-ერთი შთამომავალი „ოცნების ქალაქზე“ მუშაობდა, სადაც საუნდტრეკები „მგზავრებმა“ „გააკეთეს“. იქ „მგზავრებს“ ისეთი თანხა გადაუხადეს, რაც იმაზე ბევრად ნაკლები არ იყო, რამდენის გადახდაც იზხნელების შთამომავლებმა ჩვენ მოგვთხოვეს. შესაბამისად, ამ თანხის დასახელებისას რაღაც სასწაული არ მოუგონიათ. ეს ძალიან ბუნებრივი იყო. თავისთავად, „დები იზხნელების“ შემოქმედება შეუფასებელია. იზხნელების შთამომავლების მიერ ჩვენი თანხის დასახელებაც „საიდანღაც იყო ამოსული“, უბრალოდ არ მომხდარა... მათ ფილმის მოგებიდან გარკვეული პროცენტი შევთავაზეთ, მაგრამ ვერ შევთანხმდით.

— „ჭამა და სექსის“ მუსიკალურად გაფორმება მაინცდამაინც „დები იზხნელების“ სიმღერებით რატომ გადაწყვიტეთ?

— ძალიან ყოფითი და ყველა ქართველისთვის ახლობელი ფილმია. გვინდოდა, მასში მუსიკაც ასეთივე ყოფილიყო. „დები იზხნელების“ სიმღერე-



გვიქრობ, რომ ფილმში „დები იზხნელების“ სიმღერები გაცოცხლებოდა, მათ ბევრი ახალგაზრდა მოისმენდა...



ბი სწორედ ასეთია: ბავშვობიდან გვესმის, სიასლოვის, სახლში ყოფნის განცდას გვიჩენს, შინაური, მშვიდი, ტკბილი და ნაცნობია — მაგარი ემოცია მოაქვს...

— როგორც მაცურებელმა, ობიექტურად შეაფასეთ: „დები იშხნელების“ სიმღერებით „ჭამა და სექსის“ გაფორმება შეურაცხმყოფელი არაა?

— რა თქმა უნდა, არა. მესმის, რომ შეიძლება, ადამიანმა ეს შეურაცხყოფად მიიღოს — ეს ძალიან პირადულია, თუმცა პირადად მე, ვფიქრობ, რომ ფილმში „დები იშხნელების“ სიმღერები გაცოცხლებდნენ, მათ ბევრი ახალგაზრდა მოისმენდა... ფილმს რაც შეეხება, ის ძალიან კარგი, კულტურული ფილმია. მას მხატვრული ღირებულება



ჩვენი უფლებებიც ბევრჯერ დარღვეულა: მაგალითად, ჩვენი ფილმი ინტერნეტით არალეგალურად 153 ათასჯერაა გადაწერილი

აქვს, ისევე — როგორც კარგ მუსიკას. — მიგაჩნიათ, რომ ისეთი მაღალმხატვრული ფილმია, როგორც

— „დები იშხნელების“ სიმღერები?

— ეგ ისტორიამ უნდა შეაფასოს, თორემ პირადად მე, ჩემი გადაღებული ფილმები ზუსტად ისევე მიყვარს, როგორც იშხნელებს უყვარდათ თავიანთი სიმღერები. ჩვენი აზრით, კარგი ფილმი გადავიღეთ. ძალიან ბევრი ადამიანის აზრით, „ჭამა და სექსი“ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, საუკეთესო ქართული კინოა, თუმცა შეიძლება, ვილატას არც მოეწონოს...

— ფილმისთვის ახალი სიმღერები რამდენ სახში ჩაწერეთ?

— ერთ ლამეში.

— თოთხმეტი სიმღერა?

— არა, გამოსავალი მოვძებნეთ: ფილმში ზოგ ადგილას სიმღერა საერთოდ ამოვიღეთ, გავიმეორეთ...

— მუსიკალურ გაფორმების შეცვლამ ფილმის რეიტინგზე ცუდად ხომ არ იმოქმედა?

— არა, ჩვენ საუკეთესო გამოსავალი ვიპოვეთ. ფილმის მუსიკალურ გაფორმებაში იგივე ემოცია დარჩა — „გემრიელი“, ნაცნობი სიმღერები ახლებურად ავაჟღერეთ: დერვიშებმა და შორენა ბეგაშვილმა „სულიკო“ იმღერეს. 2 სიმღერა თამთა ცქვიტავამ შეასრულა, ერთი — ვანიკო თარხნიშვილმა და თინა ჭულუხაძემ. ასევე, ჟორამ (დათო ჟორჯოლაძემ) იმღერა...

— შორენას და დერვიშების „სულიკოს“ ინტერნეტში უარყოფითი კომენტარები უკვე მოჰყვა. ფილმს რაც შეეხება, ამბობენ, რომ მისი შემქმნელი ერს რყვით და ა.შ.

— ძირითადად, დავკომპლექსებული ხალხი „პოსტავს“. ტიპები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ფილმს შეუძლია საზოგადოებას სული შეურყვნას, იდიოტები არიან. ეს ყველაზე რბილი სიტყვაა, რაც მათ მიმართ მემეტება. უბრალოდ, ცხოვრებაში ერთი ფილმი ნახონ, რომ მიხვდნენ, კინო რა არის და მას როგორ შეუძლია, საზოგადოება გარყვნას ან განწმინდოს. ისე, ეს ფილმი განწმინდის მიმართულებით უკეთ იმუშავებს, ვიდრე — გარყვნის, რადგან ფილმში გარყვნილება საერთოდ არაა.

— მიშა, „ფორმულა კრეატივისა“ და იშხნელების შემთხვევა პირველი არაა, როცა საქართველოში საავტორო უფლებებ ირღვევა. ამის მიზეზი რა არის?

— საქართველოში საავტორო უფლებების დაცვის ტრადიცია არ არსებობს. ჩვენი უფლებებიც ბევრჯერ დარღვეულა: მაგალითად, ჩვენი ფილმი — „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს“ ინტერნეტით არალეგალურად 153 ათასჯერაა გადაწერილი. ჩვენთვის მოყვნიებული ზარალის რაოდენობის გამოთვლა მარტივად შეიძლება.

— საავტორო უფლებების დაცვა თქვენ არ გიცდიათ?

— კი, რა თქმა უნდა. საქართველოში საავტორო უფლებების დამცველი ორგანიზაცია ახლახან შეიქმნა, რომლის წევრები იშხნელების შთამომავლებიც და ჩვენც ვართ. საავტორო უფლებების დაცვა ნელ-ნელა უნდა დავინციოთ, ჩვევაში რომ გადაგვზარდოს...

„დები იშხნელების“ ხელმძღვანელის — თამარ იშხნელის შევლით — თინა მანაშაძე გვითხრა, რომ იშხნელების შთამომავლების მიერ ფილმის გადაღები ჯგუფისთვის თანხის გადახდის მოთხოვნა მათი პროტესტის გამოხატვის ფორმა იყო:

— როცა სიმღერის ან ხელოვნების ნებისმიერი ნიმუშის გამოყენება გინდა, მის ავტორს ან იმ ადამიანებს უნდა დაუკავშირდე, ვინც ავტორის უფლებებს იცავს — ეს ნუსია. ყველაფერი ჯაჭვ

ვით აენყო: „დები იშხნელების“ სიმღერა უცნობმა „საკანში“ გამოიყენა, მერე ვილაც მომღერალმა შეასრულა... მოკლედ, დამნაშავეების გვარს-სახელებს არ ჩამოვთვლი. „ჭამა და სექსი“ ჩვენი მოთმინების ბოლი წვეთი იყო. იცით, ყველაზე მეტად რამ გამაღიზიანა? ჩემი და მომღერალია, ჩემი შვილი — რეისორი. მათ ფილმის გადაღები ჯგუფი ძალიან კარგად იცნობდა. თავდაპირველად, მეგონა, ფილმში „დები იშხნელების“ 1 სიმღერა იყო გამოყენებული, მაგრამ აღმოჩნდა, რომ 14 გამოიყენეს. ელემენტარული ზრდილობაა, რომ ადამიანს დაურეკო და ჰკითხო — სიმღერების გამოყენების სანინაღმდეგო ხომ არაფერი აქვს? ფილმი ნახავი არ მქონდა, მაგრამ სარეკლამო რგოლმა გამაღიზიანა: „ჭამა და სექსის“ რეკლამა „დები იშხნელების“ სიმღერით იყო გაფორმებული. მერე აღმოჩნდა, რომ ფილმში, ვილაც ტუალეტში შედის, უნიტაზზე ჯდება და ამ კადრებსაც „დები იშხნელების“ სიმღერა „ადევს“. თუ გინდათ, ძველმოდურობად ჩამითვალეთ, მაგრამ ეს მე არ მომწონს... პრემიერის წინაღმდეგ, ფილმის გადაღები ჯგუფის წარმომადგენლები დეიდაჩემთან სახლში მივიდნენ. იქ ძალიან ჯანსაღად მოაზროვნე ჩემი დეიდაშვილის შვილი — ოტო გორთამაშვილი იმყოფებოდა, რომელიც სხვათა შორის, 25 წლის მანძილზე, ევროპაში ცხოვრობდა და საქართველოში ახლახან დაბრუნდა. მან გადამღები ჯგუფის მიმართ კეთილი ნება გამოიჩინა და უთხრა: პრემიერას არ ჩაგიშლითო, თუმცა ამის სრული უფლება ჰქონდა. ჩვენ ძალიან ლოიალურად მოვიქცით: შეგვეძლო ფილმის გადაღები ჯგუფისთვის გვეჩვილა და მათ თითო სიმღერის გამოყენებისთვის ჩვენთვის ჯარიმა გადაეხადათ. მოგესხენებათ, „ჭამა და სექსის“ რეკლამა ტელეეთერში თვეების მანძილზე „ტრიალებდა“. ახლახან საავტორო უფლებების დამცველი დანესებულება შეიქმნა, რომლის წარმომადგენელმაც ორივე მხარეს მოგვინოდა, დავმსხდარიყავით და სადავო საკითხი ცივილიზებულად გადაგვეწყვიტა. გადაწყვეტილება „ფორმულა კრეატივისათვის“ საზიანო აღმოჩნდა, რადგან კინოჩვენებაში „ჩამკვებული“ ფილმის „გაჩერება“ და მუსიკალური გაფორმების შეცვლა რთულია. გულწრფელად ვამბობ: გიორგი ლიფონავა ჩემთვის ძალიან კომპეტენტური, საყვარელი რეისორია. მისი ყველა ნამუშევარი ნოვატორულია. უბრალოდ, პროდიუსერმა — მიშა მშვილდაძემ რომ განაცხადა, — წარმოადგენა არ მქონდა, თუ სიმღერების გამოყენების უფლება არ მქონდაო, ცოტა არ იყოს, მყიფე პასუხია. პროდიუსერი იმიტომ ხარ, რომ ეს საკითხი კი არა, კიდევ უფრო მეტი იცოდე...



„უსეხოზა პატარა ქალაქში“ ანუ ლალი მოროშკინას რეცეპტი წიგნად

გასულ კვირას, ლალი მოროშკინამ მისი ახალი წიგნის — „უსეხოზა პატარა ქალაქში“ პრეზენტაცია გამართა, რომელიც ყურნალმა „რეიტინგმა“ წარმოგიდგინა. როგორც ლალი ამბობს, მის წიგნში მკითხველი ბევრ ცნობილ ადამიანს ამოიცნობს და მათ რეალურ ამბებს გაეცნობა. წიგნის ავტორს მიაჩნია, რომ უსეხოზა ჩვენი საზოგადოების პრობლემაა, რაც ხშირად ძალადობის მიზეზი ხდება და ამ პრობლემისთვის რეცეპტის გამონერვასაც შეეცადა. წიგნის შექმნა მსურველებს „ბიბლუსის“ მალაზიათა ქსელში შეუძლიათ.

ლალი ფაჩია

მანანა ლოლოზაძე, ყურნალ „რეიტინგის“ მთავარი რედაქტორი:

— მოგეხსენებათ, ლალი როგორც სკანდალური პიროვნებაა და სკანდალების სააშკარაოზე გამოტანაც კარგად ესერება. წიგნის კითხვისას ბევრი ადამიანი ამოიცნობს მის გვერდით მყოფ ამ თუ იმ თანამდებობის პირს. იგი ამხელს ფსევდოდიზაინერებს, თამამად ლაპარაკობს ჰომოსექსუალებზე. შეიძლება ითქვას, რომ წიგნი შოკის მომგვრელად სკანდალურია. მაგრამ ეს ჩვენი რეალობაა, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით. ლალიმ გაბედა ეს ყველაფერი სააშკარაოზე გამოეტანა. ეს გამბედაობა დასაფასებელია. იმედია, მკითხველიც დაინახავს ამას და შეაფასებს. როგორც რედაქტორს, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს წიგნი არ არის ლიტერატურული შედეგრი. ამის პრეტენზია არც ლალის აქვს და არც ჩვენს გამომცემლობას, მაგრამ მას რომ ჩაუჯდები, ბოლოში ერთი ამოსუნთქვით გახვალ. სასიამოვნოდ წასაკითხი წიგნია.

დავით აფხაზია, ტელეკომპანია „კავკასიის“ ხელმძღვანელი:

— ლალი კარგა და საჭირო საქმეს აკეთებს, რადგანაც თავის ნამუშევრებში რეალობას ასახავს. წიგნი შეიძლება სკანდალურიც იყოს, შეიძლება — ბევრისთვის მიუღებელიც, მაგრამ მთავარი ის არის, რომ საჭიროა. ამიტომ ბევრ ცნობილ ადამიანს ვურჩევდი, რომ ლალივით წეროს... მაგალი-

თად, გამიხარდება, თუკი ხათუნა კალმახელიძე დანერს თავის მოგონებებს... ბოლო 10 წელიწადი ურთულესი პერიოდი იყო საქართველოსთვის. ლალის წიგნი სწორედ ამის ილუსტრაციაა... მასში სკანდალების კასკადია, მაგრამ მოგონილი არაფერია. მოროშკინას მიერ დანახული საქართველო, ვფიქრობ, მისაღები უნდა იყოს, რადგანაც მისი დანახულია და ამდენად, ფასეული გახლავთ.

ზურა ვადაჭკორია, ილუზიონისტი:

— ადამიანს რაც გულსა და გონებაში აქვს, ის ფურცელზე უნდა გადაიტანოს. ბევრი ამას ვერ ახერხებს. ლალი უნიჭიერესი ადამიანია და შეძლო რეალობის მისული შეფასება ფურცელზე გამოეტანა და წიგნად ექცია. მისი პირველი წიგნიც ბესტსელერი იყო და მჯერა მეორეც ასევე იქნება.

ბერბეკე ზონია, ლალის ძმა:

— როგორც ჩვეულებრივი მკითხველი ლალის წიგნს დადებითად ვაფასებ, კარგია, რომ წერისთვის მოიცალა. ეს საქმე მას ყოველთვის კარგად გამოსდიოდა... რაც შეეხება მის წიგნს — „უსეხოზა პატარა ქალაქში“ — ჩვენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეები ვიყავით. ქვეყნისა, სადაც როგორც ამბობდნენ, სექსი არ არსებობსო. ამ ყველაფერმა გარკვეულად გავლენა იქონია და თავისი მძიმე შედეგები მოგვცა. როდესაც გავთავისუფლდით ამ საშინელი მარწუხებისგან, ვნახეთ, რომ ურთიერთობები ქალსა და მამაკაცს შორის თავიდან, ნელ-ნელა ყალიბდება. ლალის ამ წიგნში, ვფიქრობ, მცდელობა აქვს, წარმოაჩინოს ამ სფეროში დღეს არსებული პრობლემები. მაგრამ სირაქლემის პოზიციაში ყოფნას სჯობია, ამ პრობლემების შესახებ ვიცოდეთ; შესწავლილი გვექონდეს — საიდან მოდის და მიზეზშედეგობრივი კავშირიც ვიცოდეთ...



მასში სკანდალების კასკადია, მაგრამ მოგონილი არაფერია

ზაზა რამიშვილი, ყურნალისტი:

— ლალი არ არის ყველაზე კარგი მწერალი მსოფლიოში, არც — საქართველოში, არც — თბილისში, შეიძლება კარგი მწერალია საბურთალოს რაიონში (ილიმბა), მაგრამ ფაქტია, რომ ერთი ყველაზე კარგად გაყიდვადი მწერალია საქართველოში. შესაბამისად, ეს უკვე ბევრ რამეს ნიშნავს...

ბარბა სალუჟაძე, ყურნალისტი:

— მე და ლალი 5 წლის ასაკიდან ვმეგობრობთ. კარგად ვიცნობ. ბევრად ღრმა და საინტერესო ადამიანია, ვიდრე ეს შორიდან ჩანს, რაც მის წიგნებში გამოჩნდა. მისი ბოლო ნამუშევარი რომ წავიკითხე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ რისკიანი და თამამია. წიგნის წაკითხვის შემდეგ ვლაპარაკობდი, რომ რისკიანი და თამამია. იქ აღწერილია ამბებმა ჩემზე ძალიან იმოქმედა.

ნიკა ნულუპიძე, თეატრმცოდნე:

— ჩემნაირი ადამიანებისთვის ლალის წიგნში ადგილი არ არის და ძალიან მიხარია, რადგანაც მე სხვა თბილისში ვცხოვრობ. ჩემს თბილისის თეატრალების თბილისის ჰქვია თავისი სისუფთავით, სიბინძურით, ინტრიგებით, სიყვარულით, რომელიც მანაც ქუმმარიტ ხელოვნებაზე ორიენტირებული. ამიტომ მე სადაც ვარ, იქ ყოფნა უფრო მომწონს. ალბათ ისიც საინტერესოა, რა ხდება შენ გვერდით. არ ვიცი, მართლაც ასეა თუ არა, რაზეც ლალი წერს თავის წიგნში, მაგრამ ფაქტია, რომ ის საინტერესოდ იკითხება.



ერთ-ერთი ყველაზე კარგად გაყიდვადი მწერალია საქართველოში. შესაბამისად, ეს უკვე ბევრ რამეს ნიშნავს...



სსოვრება

„ბრძელი ფახები რომ მონღს და სიღარას უბეძლოს, სსენაზე ჩემ გარდა არავინ იღბებოდ“



ნინო გვახვიანი

— როდესაც ინტერვიუსთვის დაგირეკეთ, შეხვედრა 1 კვირით გადამიდეთ; მითხარით, ახალ პროექტს ვამზადებ და ვფიქრობ, ახლა არც ისე დალაგებული გამოჩნდება ჩემი ფსიქოპორტრეტიო. რას გვიზადებთ?

— ვაჟა-ფშაველას ლექსებზე შექმნილი სიმღერის კონკურსს ვამზადებთ. კონკურსანტებს ორთვიანი ვადა მიეცით. მასში მონაწილეობა შეუძლიათ, როგორც ცნობილ კომპოზიტორებს, ასევე — ახალგაზრდა შემსრულებლებს. ასაკიც შეუზღუდავია. დაჯილდოება იენისის ბოლოს, ვაჟა-ფშაველას საიუბილეო საღამოზე, რუსთაველის თეატრში ჩატარდება. ჟიურის წევრების ვინაობას არ ვამხელთ. გასაიდუმლოებულია სიმღერის ავტორთა ვინაობაც ანუ ჟიურის 5-კაციან ჯგუფს არ ეცოდინება, ვის სიმღერას აფასებს.

კულტურის სამინისტროში ქალბატონ მარინა პერიძისთან ინტერვიუზე მისულს, ხელში საქმეებისგან გადაღლილი რესპონდენტი შემჩნა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას იუმორი არ ღალატობს და როგორც თავად იტყვია, ხალისიანად ლიკლიკებს. მისი გამზიარულება მეც ვცადე. ვინაიდან ჩვენი შეხვედრა 1-ელ აპრილს მოხდა და ერთი უწყინარი ტყუილი ინტერვიუს ბოლოს, ქალბატონ მარინას მეც შევაპარე.

— ეი. ახლა აფორიაქებული ხართ. მითხარით, მშვიდად როდის ხართ?

— არასდროს, რადგანაც სიმშვიდე ჩემი ჩვეული მდგომარეობა არ არის. ამიტომაც არის, რომ ხშირად თავი მტკივა. ბოლო დროს, ალერგიაც მანუხებს. წნევა უნდა გაიზომო, — მირჩევენ. ვერ ვხვდები, რატომ უნდა გავიზომო?! წნევას არასდროს შევუწუხებია... ერთი სიტყვით, ეს გაუთავებელი თავის ტკივილი დაღლილობის ბრალია თუ ავადმყოფობის, ვერ გავარკვიე. ახლა ისეთ ხასიათზე ვარ, 3 დღით გადაბმულად სიამოვნებით დავიძინებდი.

— ქალბატონო მარინა, თქვენს ხისტ ხასიათზე ხშირად ლაპარაკობენ. რატომ განძა ასეთი შეხედულება თქვენზე?

— იმიტომ, რომ ყოველთვის პირდაპირ ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ. დედით კახელი ვარ და პირდაპირობა კახელებს ახასიათებთ. ზოგჯერ თავს ვაიძულებ, არ ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ; ზოგჯერ გამომდის, ზოგჯერ — არა. რა ვქნა, ასეთი ვარ!

— რას გამოჰყავხართ წონასწორობიდან?

— ტყუილი და უნიჭობა მაგიჟებს! ისე, მოთმენაც ვიცი, მაგრამ როდესაც გაბრაზება კულმინაციას მიაღწევს, ვეღარ ვითმენ. შეიძლება, მერე ვინანო, რომ შენიშვნის ფორმა ვერ გამოვნახე, მაგრამ ამდენი მოფერებითა და დაყვავებითაც ვიღლები.

— ერთ მეგობართან მეორეზე გიჭორავიათ?

— ყველამ იცის, რომ ჭორიკანა არა ვარ. 3-4 კაცში იმიტომ ვჭორაობ, რომ

მინდა, ჩემი ნათქვამი იმ ადამიანამდე მივიდეს, ვისზეც ვლაპარაკობ. თუმცა საგანგაშოს ვერც ჭორაობაში ვხედავ რამეს. ყველა ქალი ხომ ქალურ საკითხებზე ჭორაობს — მაგალითად: დედა, როგორი კაბა ეცვა, სულ არ უხდებოდა; როგორ გასუქებულია ან როგორ გამხდარა! ალბათ პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა და მალავს, არა?..

— პლასტიკური ოპერაცია ახსენეთ და აქვე გკითხავთ, მისაღება თქვენთვის ქარურგიული გზით გარეგნობაში კორექტივების შეტანა?

— რატომაც არა, მაგრამ ვერანაირ ტკივილს ვერ ვიტან და ძალით აუტკივარ თავს ვერ ავიტყვიებ... მინდა, ერთ მშვენიერ დღეს გავიღვიძო და „ყველაფერი“ გაკეთებული მქონდეს — ვიყო ბევრად ახალგაზრდა და ლამაზი... ასეთივე არარეალური მეთოდით მინდა ვისწავლო ინგლისურიც, რომელიც პრაქტიკულად, არ ვიცი...

— მაგრამ ინგლისურის სწავლა ხომ მტკივნეული არ არის?

— კი, მაგრამ ამას დრო სჭირდება. თან, უკვე იმდენი წლის ვარ, ნეტავ, ისიც არ დამავინწყდეს, რაც ვიცი...

— ერთი ასეთი ამბავი გავიგე თქვენზე: ქალბატონი მარინა „ჯეოსტარის“ ჟიურის წევრი აღარ იქნებაო. მართალია?

— ვფიქრობ, რომ არ არის მართალი.

— როგორ, ეს დარწმუნებით არ იცით?

— დარწმუნებული არაფერში ვარ! აგერ თურმე წნევაც შემომპარვია, რა ვიცი, რა იქნება ხვალ (იღიმის)...

— როცა თქვენს ზურგს უკან ჩურჩულებენ, ცდილობთ, მოისმინოთ, რაზე ლაპარაკობენ?



ვამაყობ იმით, რომ კარგი შვილი გაგზარდე

— ვგიჟდები, ისე მიყვარს სხვისი საუბრისთვის ყურის მიგდება. სრულიად უცხო ადამიანს შემოძლია ვკითხო, ვინ დაურეკა (თუ ის ჩემ გვერდითაა იმწუთას). ამასთან დაკავშირებით, ცოტა ხნის წინ უნიკალური შემთხვევა მქონდა. ერთ-ერთ ოფიციალურ შეხვედრაზე, ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ტელეფონი აწკრივდა. საუბარი რომ დაამთავრა, ვკითხე, ვინ იყო-მეთქი? კაცს ტვინში სისხლი ჩაექცა, დაიბნა... სამინლად ცნობისმოყვარე ვარ.

— თუ თქვენ მეზობლის ბინიდან ყვირილის ხმა გამოდის, რას იზამთ?

— (მანყვეტინებს) ღამის 4 საათიდან რომ იყოს, ფანჯარას გამოვალე და მათ დავას მოვუსმენ...

— როგორ გგონიათ — ძლიერი ქალი მარინა ბერიძე?

— სუსტი ქალების რიგს ნამდვილად არ მივეკუთვნები. სუსტი ქალი ამდენს ვერ გაუძლებდა.

— რას გულისხმობთ?

— მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნას და ჩემი სახელის არც ისე კარგ კონტექსტში მოსხენიებას. მარინა ბერიძე ან ძალიან უყვართ, ან ძალიან სძულთ!

— როგორ გგონიათ — ჟურნალისტებს მოსწონხართ?

— მათგან ცუდი დამოკიდებულება არასდროს მიგრძნია. მეც მიყვარს ამ პროფესიის ადამიანები და მათთან კარგად ვლიკლიკებ. ამით ისინიც ერთობიან და მეც. თუმცა ბოროტი ჟურნალისტებიც მინახავს (ასეთებს მაშინვე ვცნობ). მაშინვე ვგრძნობ, როგორი განწყობილებით მოდის ჩემთან ადამიანი — პოზიტიურით თუ ნეგატიურით. თუ „ალესილია“ ჩემზე, მის შემობრუნებას ვცდილობ. გონიერი ჟურნალისტისთვის ყოველთვის კარგი რესპონდენტი ვარ.

— როგორი ხართ სახლში — ქმარ-შვილთან?

— მეგობრული ურთიერთობა მაქვს შვილთან. ვამაყობ იმით, რომ კარგი შვილი გაგზარდე. შეიძლება, ის, რასაც მეგობარს ვერ ვეტყვი, მას ვუთხრა. მიყვარს მასთან ერთად მოგზაურობა,

კაფეში ჯდომა. ბევრი საერთო გვაქვს. სახლში ბევრად უფრო რბილი ვარ, ვიდრე ეკრანზე ვჩანვარ.

— მეუღლეზე რას მტყვი?

— 40 წელია, რაც ოჯახში მაქვს. ჩემი მეუღლე სერიოზულად არ აღმიქვამს. ის რბილი ადამიანია. მე კარგი იუმორის გრძნობა მაქვს და ერთმანეთს ვავსებთ. მეუღლე სერიოზულად რომ აღმიქვამდეს, არ ვიცი, რა მოხდებოდა. როცა ვამბობ, რომ დაღლილი ვარ, მეუღლე მეუბნება, — შენ ხომ ასეთი მოუსვენარი ცხოვრება აირჩიე, ამიტომ საკუთარი პრობლემები უნდა აიტანო... ხშირად იმას მსაყვედურობს, რომ მუდმივად სახლში არ მიწევს ყოფნა...

— თქვენ რას საყვედურობთ მას?

— მაგალითად, რატომ დალია?... — თქვენ არ იღებთ ალკოჰოლურ სასმელს?

— არა. ფხიზლად ყოფნა მიყვარს.

— ტყუილში რომ გამოიჭიროთ ქმარი...

— ცუდი რეაქცია მექნება, მყისიერი და მძაფრი.

— თქვენ არ მოგიტყუებიათ?

— სერიოზული ტყუილი არ მითქვამს...

— რომელიმე ოპოზიციურმა პარტიამ წინასაარჩევნო კონცერტის ორგანიზება რომ გათხოვთ, დათანხმდებით?

— არა. მე „არავისტი“ ვარ! სალი გონების ადამიანი ვარ. მესმის, რომ ქვეყანაში ბევრი გაჭირვებულია, რომ რთულია ჩვენი ქვეყნის ფეხზე დაყენება, მაგრამ იმასაც ვხედავ, რომ არასდროს ამდენი რამ არ გაკეთებულა ჩვენთან, თუნდაც ახალგაზრდებისთვის... ვგიჟდები ახალგაზრდებზე და არ მესმის იმ ადამიანების, ვინც ამბობს, ამ ბავშვმა რა უნდა მასწავლოსო?! ჩემი 5 წლის შვილიშვილისგანაც ბევრ რამეს ვსწავლობ...

— რას სწავლობთ ახალგაზრდებისგან?

— მათგან კომპიუტერთან მუშაობა ვისწავლე; ასევე, იმ მუსიკის მოსმენა, რომელიც დღეს ჟღერს, თორემ აქამდე კლასიკური მუსიკიდან მოვედი... ვსწავლობ 20 წლის ბავშვებისგან, რომლებიც ჩემთან ერთად მუშაობენ „რუსთავი 2“-ში. სხვათა შორის, ყველას ძალიან ვუყვარვარ.

— პროექტ „ბრაფოში“ იმღერეთ. ამ ნაბიჯს არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა...

— ჰო, მეორე დღეს ყველა იმაზე ლაპარაკობდა, რომ თურმე ვერ ვმღერი. გრძელი ფეხები რომ მქონდეს და თან ვმღეროდე, ამათ რა ეშველებოდათ, არც არავინ იდგებოდა ჩემ გარდა სცენაზე (იცინის). აუცილებელი არ არის, ვოკალის პედაგოგი შემდგარი ვოკალისტი იყოს.

— არ დაგიმაღავთ და მეც მეტს ველოდი თქვენგან, მგონი, ძალიან გარისკეთ.

— რისგზე ვგიჟდები. იმ დღემდე არც მიმღერია და არც მოტოციკლზე ვმჯდარვარ. ამით ჩემს თავს რაღაც დაფუძკიცე. დაბადების დღეზეც არ მიმღერია, რადგანაც ჩემი ყელი ამის საშუალებას არ იძლევა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ვიცი, როგორ ვიმღერო.

— როდის ტირით?

— როცა მწყინს და როცა ვიღლები.

— დღეს დილით ერთი ამბავი გავიგე და მინდა, ინტერვიუს დასასრულს, თქვენც გაითხრა: გასული წლის „ჯეოსტარის“ გამარჯვებული

— ოთო ნემსაძე გია სურამელაშვილთან დუეტს წერსო. მართალია?

— (მანყვეტინებს) არ არსებობს! გამოირიცხულია! მაგას ვერ გაბედავს!

— რატომ?

— იცის, რომ დავახრჩობ!

— გახუმრეთ, დღეს ჩელი აპრილია

— (იცინის) მაღლობა ღმერთს, გული გამისკდა. ჩაგეთვალათ... აღარც მასს-ოვდა, დღეს რა დღე იყო...

წიგნების სერია „დიდი მხატვრები“

გამოსულია 18 ტომი!

იკითხეთ წიგნის მალაზიები! წიგნის ფასი 20 ლარი

ყოველი ახალი ტომი თქვენი ერთხელ „კვირის პალიტრასთან“ ერთად მხოლოდ 15 ლარად!



ქმრის მკვლელობაში გადახდილი 5.000 დოლარი და მკვლელი ცოლის აღსარება


თემა სურსილაკა

ცოტა ხნის წინ თბილისის საქალაქო სასამართლომ ჯგუფურად, ანგარებით ჩადენილი განზრახ მკვლელობის საქმე განიხილა. შპს „თბილისის ავტობუსის“ გენერალური დირექტორის მოადგილე — გია წულაძე 2009 წლის 29 აპრილს, სახლთან ახლოს მოკლეს. ერთი წლის შემდეგ გაირკვა, რომ მისი მკვლელობა ცოლმა, ინგა წულაძე-ჯვარშივილიმა შეუკვეთა. მამონი დაკავებულების აღიარებითი ჩვენებებიც გავრცელდა. ეს ინფორმაცია ყველაზე მეტად შოკის მომგვრელი ალბათ მათი ქალიშვილისთვის იყო. მან ერთი წლის შემდეგ შეიტყო, რომ მამის მკვლელობის დამკვეთი დედამისი იყო.

ინგა წულაძესთან ერთად მისი მეორე შვილის მამა, გიორგი როსტომაშვილი დააკავეს. მკვლელობიდან ცოტა ხნის შემდეგ ინგამ ბინა გაყიდა და საცხოვრებლად როსტომაშვილთან გადავიდა. მას დანაშაულის დაფარვაში ამხელდნენ. საქმე აღძრეს შუამავალ ზვიად საყვარელიძის, მკვლელობის უშუალო შემსრულებლის, ზურაბ სოლომონიშვილისა და წულაძეების ოჯახის მოსამსახურის — ელენე თუშიშვილის წინააღმდეგ.

ბრალდების მტკიცებით, ინგა წულაძე-ჯვარშივილიმა მეუღლის მკვლელობა მეგობარს, ზვიად საყვარელიძეს დაუკვეთა. საყვარელიძე დახმარებას დაჰპირდა, არც შემსრულებლის მოძებნა გასჭირვებია. მეგობარს შეუთანხმდა და ზურაბ სოლომონიშვილიმა გია წულაძე საკუთარ სახლთან, გადაჭრილი სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა. გამოძიების მტკიცებით, ოჯახის მოსამსახურე, ელენე თუშიშვილი შუამავალი იყო და ზვიადთან ინგასგან ინფორმაცია მიჰქონდა. ინგამ მეუღლის მკვლელობის მეორე დღეს, ელენეს ხელით საყვარელიძეს 3.000 ევრო გაუგზავნა... ზურაბ სოლომონიშვილს სხვა ბრალდებებიც აქვს წარდგენილი: იარაღის უკანონო ტარება-შენახვა, ყაჩაღობის მცდელობა და ნარკოტიკის შენახვა.

მოსამართლე ჯემალ კოპალიანმა საქმე დეტალურად განიხილა. მართალია, საზოგადოებამ დაკავებულების აღიარებითი ჩვენებები მოისმინა, მაგრამ სასამართლოზე ისინი დანაშაულს არ აღიარებდნენ. მს-



ოლოდ ზვიად საყვარელიძე იხსენებდა დეტალებს და სხვებსაც ამხელდა. მისი ჩვენებით გაიხსნა აღნიშნული დანაშაული, ამიტომ პროკურატურამ მასთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა.

ზვიად საყვარელიძის ჩვენებიდან: — ინგა წულაძის ბინაში მდგმურად ვცხოვრობდი. დავუმეგობრდი. მისი ბავშვის ძიძასთან, ელენე თუშიშვილთანაც ახლო მეგობრული ურთიერთობა მქონდა. ერთმანეთს სამივე პირადულ საიდუმლოებებს ვუმხელდით... ინგა წულაძე, რომ მისი მეუღლე, გია სისტემატურად სვამდა. მთვრალი მას და მის შვილს ემუქრებოდა... ჩემთან, ნაჭირავებ ბინაში, ძებნილი მეგობარს ვმაღავდი. მალე დაიჭირეს, ეს ინგასაც ვუთხარი. მაშინ მითხრა, — ასეთ ხალხთან გაქვს ურთიერთობა, ისეთი არავინ გყავს, რომელიც ქმრის მოცილებაში დამეხმარებო? დავთანხმდი, რომ ასეთ ადამიანს მოვუძებნიდი... საუბრიდან ერთ თვეში ინგას ქუჩაში შევხვდი. ისევ მითხრა, — იმ საქმეზე ხომ არაფერი გაგირკვევიაო. ვუთხარი, რომ მყავდა პიროვნება, რომელიც დაეხმარებოდა. ქმრის მკვლელობაში 5.000 დოლარს იხდიდა. მასთან ურთიერთობა ელენეს მეშვეობით მქონდა... ამ საკითხზე ზურაბ სოლომონიშვილს ვესაუბრე. ჩემი კარის მეზობელი იყო. სიტუაცია რომ გაიგო, მითხრა, მე გაგაკეთებო. მაგრამ ფული ეცოტავა, — ადამიანის სიცოცხლეზე ლაპარაკი, იქნებ მეტი გადაიხადოსო. ინგას თანხის მომატებაზე რომ დაველაპარაკე, მითხრა, — ეგ საქმე მეტი

არ მიღირსო. სოლომონიშვილი დათანხმდა და სამოძრაო ფული მომთხოვა. ელენემ მხოლოდ 200 დოლარი მოიტანა. — სანამ საქმეს არ გააკეთებთ, მანამდე მთლიან ფულს ვერ მიიღებთო. ის 200 დოლარი ზურას მივეცი, მანქანა ჰქონდა გასაკეთებელი.

...იმ დღეს სახლში მეძინა, ჩემი მეგობარი მოვიდა და მითხრა, — ქუჩაში გიას ცხედარია, მოუკლავთო. გამიკვირდა, რადგან ეს საქმე მე და ზურას ერთად უნდა გაგვეკეთებინა. არ ვიცოდი, ამას უჩემოდ თუ გააკეთებდა... მთელი ღამე ვერ დავიძინე, სიმართლის გარკვევა მინდოდა. დილით ელენე მოვიდა, კონვერტი მომანოდა და მითხრა, — ეს ფული ინგამ მომცა შესრულებული სამუშაოსთვისო. ამ ფაქტიდან 2 საათში ჩემთან ზურაც მოვიდა და ფული მომთხოვა. ვკითხე, — შენ ჩაიძინეთი? მითხრა, — შენ რას დაეძებ, საქმე შესრულებულია და ფული მომეცითო. ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოში წავედი... ზურა ერთი წლის შემდეგ ვნახე... საუბარში მითხრა, შეიძლება, იქიდან შენ მეტი თანხა გაქვს აღებულიო. ზურამ ისიც დასძინა, — ძალიან მიჭირს და რაიმე საქმე მოვიფიქროთო. მაშინ გავიგე, ჩემს რაიონში ერთ-ერთ ოჯახზე თავდასხმას რომ აპირებდა. ეს პოლიციაში განაცხადე, მოსასმენი აპარატი დამიმონტაჟეს და სპეცოპერაცია დაიგეგმა, ორივე ერთად დაგვაკავეს...

ინგა და გია წულაძეებმა ოჯახი სიყვარულით შექმნეს და 25 წელი ცხოვრობდნენ ერთად.

ინგა წულაძის ჩვენებიდან: „18 წლის ვიყავი, რომ გავთხოვედი... გიამ დალევას მოუხშირა, ამისთვის თავი რომ დაენებებინა, შვილთან ერთად ესპანეთში წავედი... სიფხიზლეში კარგი ხასიათი ჰქონდა, როცა დალევდა, ცუდად ხდებოდა, ხილვებიც დაეწყო. მივხვდი, მასთან ვერ ვიცხოვრებდი და საცხოვრებლად ბებიასთან გადავედი. ამ პერიოდში ჩემს ცხოვრებაში სხვა მამაკაცი გამოჩნდა. მისი არსებობა ჩემმა ქმარმა შეიტყო, მაგრამ შერიგება მაინც მოხოვა. ამ დროს დედა და ძმა გარდაამეცვალა. მეგობარი მამაკაცი მყავდა, გია როსტომაშვილი, მისგან უკვე ფეხმძიმედ ვიყავი, მაგრამ მაინც შეუურიგდი ქმარს. გურან-



და ერთი წლის იყო, როცა უფროსმა გოგომ გაიგო, ის სხვა კაცისგან რომ მყავდა... როცა ცუდად იყო, გია სახლიდან არ გადიოდა... ბავშვის გაზრდაში ელენე თუშიშვილი მუდმივად ზვიადი მან გამაცნო. იმ პერიოდში გია სულ სვამდა, ვთქვი, ვერ ვაჩერებ, მოკვდება, ისიც დაისვენებს და მეც-მეთქი. ერთ დღეს ზვიადმა სახლში პროდუქტი ამატანინა, კიბეზე რომ ჩადიოდა, მომაძახა, — იმ კაცს გერმანიიდან მანქანები ჩამოჰყავსო. ვერ მივხვდი, რას ამბობდა. მერე ეკამ მითხრა, — 5.000 დოლარში გიას ვიღაც მოკლავსო. ვუთხარი, წადი და გადაეცი, ახლავ ბინა დაცალოს-მეთქი. ამ საუბრიდან ცოტა ხანში გია მოკლეს. მე მისი სიკვდილის დროს მართლა არ მითამაშია, ძალიან ცუდად ვიყავი. ეკა მოვიდა და მითხრა, — ზვიადმა შემოგითვალა, სისულელეები არ გინდა, ვინც გია მოკლა, იმას 40 ადამიანი ჰყავს მოკლული და ფული გამოგზავნისო. ვუთხარი, ფული სადაც იყო, — აიღე და მიუტანე-მეთქი. 3.000 ევრო ელენემ მიუტანა... შემდეგ მანქანის გაყიდვაში დახმარება შემომთავაზა. მისი სამსახურის ხალხს მისი ვალი, 6 ათასი დოლარი დაეუტოვო. მისი მეშინოდა და არაფერს ვამბობდი“.

დაკავების დროს ინგა წულაძე მკვლელობის შეკვეთას აღიარებდა, მაგრამ სასამართლოზე ამ ჩვენებების გამოქვეყნებაზე კატეგორიული უარი თქვა: „მამინ ძალიან ცუდად ვიყავი და არ მახსოვს, რა მიწერილა. ტყუილია, რაც საყვარელიძემ თქვა, მას წესიერ ადამიანად ვიცნობდი და მკვლელობის შეკვეთას არ მივცემდი“.


მან როსტომაშვილთან ურთიერთობაც დაადასტურა.

„გიას გარდაცვალების შემდეგ ბინა გაყვიდე და გია როსტომაშვილთან გადაედი საცხოვრებლად.“

ელენე თუშიშვილი დაკავების დროს ფეხმძიმედ იყო. შვილი ციხეში გააჩინა“.

ისიც არ ცნობს თავს დამნაშავედ: „მშვიდი ოჯახი იყო. გია და ინგა ერთად დადიოდნენ სამსახურში. გია ძალიან კარგი ადამიანი იყო. სიმთვრალეში ცუდად ხდებოდა. ამ დაღვეით მხოლოდ საკუთარ თავს აყენებდა ზიანს. იყო მომენტები, როცა აზროვნების უნარს კარგავდა, თავის მოკვლაც სცადა. ასეთ დროს ინგა ახერხებდა მისთვის იარაღის გამორთმევას... ერთ დღეს ზვიადმა მითხრა, — ვხედავ, ინგა როგორ იტანჯება, მყავს მეგობარი, რომელიც ქმრის მოცილებაში დაეხმარე-

ბაო. ნორმალური არა ხარ-მეთქი, ძალიან შევშფოთდი და ინგას ვუთხ-



ინგა წულაძე-ჯვარშიშვილი: ვუთხარი, ფული სადაც იყო, — აიღე და მიუტანე-მეთქი. 3.000 ევრო ელენემ მიუტანა...

არი. მასაც ასეთივე რეაქცია ჰქონდა. ამ თემაზე მერე არ გვისაუბრია, რეალობად არ აღმიქვამს. იმ დღეს გია სახლში დაბრუნდა, ყავა დალია და ინგა და მისი მეგობარი მალაზიაში საყიდლებზე წაიყვანა... ინგა სახლში დაბრუნდა, მე ზვიადთან გადავედი. ეძინა, უკან გამოვბრუნდი, ამ დროს ეზოში ზვიადის მეგობარი შევიდა, მალევე გამოიქცა, ისევე შევბრუნდი ზვიადთან, უკვე ელვითა, შეშფოთებული სახე ჰქონდა... მალე გავიგე, გია რომ მოკლეს. ხალხი მოგროვდა, იქ ზვიადიც ვნახე. მითხრა, რომ ეს მისი გაკეთებული იყო და ინგას 5.000 დოლარი უნდა გადაეხადა. ინგას ვუთხარი, თანხა მომცა და მე მივუტანე. ფული კონვერტში იდო... შეშინებული ვიყავი და საქართველოდან წასვლა მინდოდა“.

არც ელენე დაეთანხმა ძველი ჩვენების გამოქვეყნებას.

„მეშინოდა და იმიტომ არ ვთქვი სიმართლე. ჩემს თავს იმაში ვადანაშაულებ, რომ არ ვთქვი, რაც მოხდა. ფულის გადაცემას კი ვადასტურებ“.

მართალია, ბრალდებულები დანაშაულს უარყოფდნენ, მაგრამ სასამართლომ ისინი დამნაშავედ ცნო. ინგა წულაძეს ქმრის მკვლელობის დაკვეთისთვის 20 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. ელენე თუშიშვილს — 16 წელი, გიორგი როსტომაშვილს — 2 წელი და დანაშაულის დაფარვის ბრალდება მოუხსნეს. ბრალდების მთავარ დასაყრდენ ზვიად საყვარელიძესთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა. მას

8 წელი პირობითი სასჯელი მიესაჯა. ხოლო მკვლელობის შემსრულებელს, ზვიად სოლომნიშვილს სამუდამო პატიმრობა შეუფარდეს. ბრალდებულები განაჩენს სააპელაციო სასამართლოში ასაჩივრებენ.

თემაზე საუბარს ყოფილ პატიმართან განვიგრობებთ.

თამუნა 22 წლის იყო, როცა ქმრის განზრახ მკვლელობისთვის დააპატიმრეს. თავიდანვე დანაშაულს აღიარებდა და გულწრფელად ინანიებდა. მასთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა და 6 წელი მიესაჯა. სასჯელი მოიხადა. იმ უმძიმესი წლების მიუხედავად, ამბობს, რომ ქმარი თავდავიწყებით უყვარდა.

თამუნა:

— მეუღლე ჩემზე 15 წლით უფროსი იყო. ციხიდან ახალი გამოსული იყო, რომ გავიცანი. დანახვისთანავე მომეწონა, ერთმანეთს ვხვდებოდით. ერთ დღეს სახლში მოვიდა და მამას უთხრა, — შენი გოგო ცოლად უნდა შევირთო, მიყვარსო. ჩემი ოჯახი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რადგან იცოდნენ, რომ რამდენჯერმე წასამართლავი იყო, თან — ნარკომანი. არ უნდოდათ, მისი ცოლი გავმხდარიყავი. მისთვის მეხუთე ცოლი ვიყავი. ძალიან შემეყვარდა და მაინც გაყვევი. ჩემთვის ეს მეორე ქორწინება იყო. არასრულწლოვანი ვიყავი, როცა ყოფილმა ქმარმა მომიტაცა. შვილი შეგვეძინა, მაგრამ მისი შეყვარება ვერ შევძელი. სულ



ვნახებოდა, ფეხშიშვე მცემა და დავ-
 შორდი. რაც მერე ცემა-ტყემა მოვ-
 ითმინე, იმის ნახევარი პირველ ქმარ-
 თან რომ მომეთმინა, ოჯახი არ და-
 მენგრეოდა, მაგრამ ის არ მიყვარ-
 და. ოჯახის წევრები ვერაფერს გახდ-
 ნენ და ჯვარი დავიწერეთ. თავისი
 ბინაც გაყიდა, ფული დასჭირდა და
 საცხოვრებლად ჩემთან გადმოვიდა.
 ჩვენთვის ცალკე ოთახი გვიქონდა და
 იქ ვცხოვრობდით. 2 კვირის გათხ-
 რული ვიყავი, ნიხლები მირტყა.
 ნამალს იკეთებდა. ვუთხარი, — შენ
 თუ გაიკეთებ, იცოდე, მეც გაიკეთებ-
 მეთქი და გაგიფადა, პირველად მა-
 შინ დამარტყა... ამის შემდეგ კარგა
 ხანს ნამალს არ გაჰკარებია. მერე
 ისევ დაინწყო. მთვრალი უმიზეზოდ
 მეჩხუბებოდა, მცემდა. მეორე დილ-
 ით დალურჯებულს რომ მნახავდა,
 მკითხავდა, — ნუხელ რატომ გცე-
 მით? მეორე დღეს სიყვარულს მეფი-
 ცებოდა, — ასე არასოდეს მოგეცევი,
 შენი დაკარგვის მეშინიაო. არაერთხ-
 ელ დავშორდი, მაგრამ ისევ ვრიგდე-
 ბოდით. თავიდან მშობლებს ვუმა-
 ლავდი, რადგან ჩემი არჩევანი იყო.
 ბევრჯერ მთხოვეს, მასთან არ
 დავბრუნებულყავი, მაგრამ მაინც
 ვბრუნდებოდი. ძალიან მიყვარდა,
 სასიკვდილოდ ვერასოდეს გავიმეტებ-
 დი... ახალი შერიგებულები ვიყავი-
 თ. ქუჩაში საშინლად ციოდა და
 ვუთხარი, — ცოტა ჩქარა ვიარათ-
 მეთქი. ამ სიტყვების გამო ქუჩაში
 დამიწყო ცემა, მოკვლით დამეშურა
 და მლანძღავდა. სახლამდე ცოტა
 მანძილი იყო, ხელიდან დაუხსლტ-
 დი და გავიქეცი. მეზობლებმაც დაინ-
 ახეს და დაწყნარება დაუწყეს. უცებ,
 მეზობლის ხმა შემომესმა, — ჩქარა
 გაიქეცი, მოგვალავსო. სანამ გავიქ-
 ცეოდი, ქვა ვერსოლე, ასე ცვდი-
 ლობდი მოცილებას. ბევრი ვირბინე,
 მეგონა, ვერ დამენოდა, მაგრამ უცებ
 ჩემ წინ აღმოჩნდა. გული წამივიდა,
 გონზე რომ მოვედი, სახეში მირტყამ-
 და და იძახდა, — შენი „სიაფანდი“
 დედა, ხომ არ გგონია დავიჯერებ,
 რომ გული წაგივიდაო. მისი თვა-
 ლებიდან ამოვიკითხე, რომ მომკლავ-
 და. კისერში ხელი წამიჭირა, მახრ-
 ჩობდა, ველარ ვუძალიანდებოდი.
 მეზობლები შორიდან გვიყურებდნენ.
 გავქეცი და ეზოში შევედი. დიდი
 ქვა ავიღე და ვერსოლე, თავში მოხ-
 ვდა. იმდენად იყო წამლისგან გაბ-
 რუბული, რომ ტკივილი არ უგრძობია.
 ისევ ჩემკენ წამოვიდა, სახლიდან
 ბაბუა გამოვარდა დასახმარებლად.
 ისიც წაქცია. ისევ მე მომიტრიალ-
 და და იდაყვი ზურგში ძლიერ ჩამა-
 რტყა... წავექეცი, მაინც ვეხვეწებო-
 დი, მეტი აღარ დაერტყა. ადგომას


ველარ ვახერხებდი. ამ დროს იქვე
 წვეტიანი რკინა დავინახე, ავიღე,
 მოვტრიალდი და მისგან თავი რომ
 დამეცვა, ჩავარტყი. მივხვდი, რომ
 სხეულში ჰქონდა ჩარჭობილი... შემ-
 დეგ მისი სხეულიდან ეს რკინა ამ-
 რვიღე, მის წინ ვიდევი. ირონიუ-
 ლად მკითხა, — შენ ხარო? მეც
 ირონიულად ვუპასუხე. ამას ვერ
 იტანდა, რღაცის თქმა დააპირა და
 პირიდან სისხლი წამოუვიდა, მაშინ
 მივხვდი, რაც ჩავიძინე და კვილი
 დავინწყე. ამ ამბის შემდეგ პატრულს
 და სასწრაფოს დავურევე, მისი გა-
 დარჩენის იმედი მქონდა, მაგრამ
 ცოცხალი აღარ იყო. პატრულის მოს-
 ვლამდე დიდი დანა ავიღე და თავის
 მოკვლა ვცადე, მაგრამ ამის ნება
 სხვებმა არ მომცეს... ყველაფერი
 ვაღიარე. მართალია, ეს განზრახ
 მკვლელობა არ იყო, მაგრამ ამ მუხ-
 ლით გამსახმართლეს. მისი სიკვდილი
 ნამდვილად არ მინდოდა. მერჩინა,
 მე მოვმკვდარიყავი, თავს ვიცავდი.
 წარმოიდგინეთ, სულ მცემდა, მაგრამ
 ისე მიყვარდა, რომ მეორე დღეს
 აღარ მახსოვდა მისი ცემა. ჩემს
 შვილს ძალიან კარგად ექცეოდა, ისე
 გარდაიცვალა, რომ ბავშვმა არ იცო-
 და, მისი ნამდვილი მამა რომ არ
 იყო. ის პირველი ქორწინებიდან
 მყავს. ბავშვი ციხეში პირველად რომ
 მომიყვანეს, მითხრა, მამის მოკვლას
 არასოდეს გააბტებო... მკვლელობის
 საშინელი წუთები სულ თვალწინ მი-
 ტრიალებდა, ვერაფრით ვიშორებ-
 დი. თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაფ-
 რის თავიდან დანყება რომ შეიძლე-
 ბოდა, ცოლად ისევ მას ვაყვებო-
 დი, რადგან ძლიერ მიყვარდა. ჩვენ
 შორის თუ სიკვდილი გარდაუვალი
 იქნებოდა, საკუთარ თავს ვაფრთხი-
 ლდი... ძალიან ვნანობ, რაც მოხდა.
 ასეთ დროს სასჯელი არაფერია იმას-
 თან შედარებით, რასაც ადამიანი გან-
 იცდის...
 მსგავსი ამბების მოყოლა უხვად
 შეიძლება. სამწუხაროდ, ქმრის მკვ-
 ლელობის გამო გისოსებს მიღმა
 არაერთი ქალი ხვდება. დღესდღეო-
 ბით სასჯელალსრულების დანესე-
 ბულებაში ქმრის მკვლელობისთვის
 რამდენიმე ქალი იხდის სასჯელს.
 ბევრი მათგანი მომხდარს გულწრ-
 ფელად ნანობს, არიან ისეთები, რომ-
 ლებიც თავის მართლებას ცდილობენ.
 ფაქტია, ცოლ-ქმრის ჩხუბმა, უარყ-
 თოფით ემოციებს აყოლამ, თავშეუ-
 კავებლობამ ბევრი ოჯახი გამოუს-
 ნორებელ ტრაგედიამდე მიიყვანა.
 ასეთ დროს ყველაზე მეტად მათი
 ბავშვები ზარალდებიან, შვილები,
 რომლებსაც დედა და მამა ერთხაირ-
 ად უყვართ.

ირმა ხარშილაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერ-
 სიტეტის საზღვარგარეთის ქვეყნე-
 ბის ეკონომიკური და სოციალური
 გეოგრაფიის ფაკულტეტი დაუმთავრე-
 ბია. ამბობს: იმხანად ძალიან პოპ-
 ულარული, საინტერესო და რეფ-
 ოლუციური სპეციალობა იყო, რად-
 გან ახალდაარსებულ ფაკულტეტზე,
 ფაქტობრივად, დასავლური ტიპის
 მრავალპროფილიანი მენეჯერებად
 გვაშადებდნენო. კათედრაზეც ყოფი-
 ლა დასაქმებული, შემდეგ ასპირან-
 ტურა მოსკოვში დაუმთავრებია,
 საქართველოში დაბრუნებულს ჯერ
 თბილისის გეოგრაფიის ინსტიტუტ-
 ში უმუშავია, მერე კიდევ ბევრ
 ადგილას, მაგრამ საუკეთესო მოგ-
 ონებად მაინც ვგრეთ წოდებულ,
 მერ გერმანულ სკოლაში გეოგრაფიის
 მასწავლებლად ყოფნის ხანა დარ-
 ჩენია. ერთხანს ავიაკომპანია —
 „ორბშიც“ საქმიანობდა, ავიაციის
 დეპარტამენტის უფროსიც ყოფილა
 და ტრანსპორტისა და კომუნიკა-
 ციების მინისტრის პირველი მოადგ-
 ილაც. იმ წლებში დიდი ცხოვრე-
 ისეული გამოცდილება შეუძენია,
 მაგრამ ყველაფერს მაინც თავისუ-
 ფლება და ჩემი საყვარელი საქმის
 კეთება მირჩვენიაო, — ამბობს.
 განსაკუთრებულად კიდევ დედუ-
 ლეთი უყვარს — ზემო იმერეთი,
 საჩხერის რაიონის სოფელი არგვე-
 თი. ამის გაგონება მეც გულწრ-
 ფელად მახარებს, რადგან არგვეთი
 ჩემი სოფელიცაა.
 „ძალიან ლამაზი სახლი გვაქვს,
 ძველისძველი, რომელიც დღემდე
 პირვანდელი სახითაა შემონახული.
 ჩვენს სოფელში გამორჩეულად
 კეთილი და ლამაზი ხალხი ცხოვ-
 რობს. მათთან ყოველთვის მიმხარ-
 ია და ვგრძნობ, დედულეთზე
 ლაპარაკი არც არასდროს მოჰ-
 ბეზრდება“, — მოგვითხრობს ჩემი
 სტუმარი, ყოფილი მორაგბე და
 საქართველოს რაგბის ფედერაციის
 პრეზიდენტი — ბიბ ნიშარაძე.
 — ასე მგონია, თქვენი ქართუ-
 ლი შემართება და სული თქვენზე
 ფესვებიდან — წინაპრებიდან მო-
 დის. ალბათ, ძალიან ცოტამ თუ
 იცის, რომ თქვენი ბაბუა — დე-
 დის მამა ერთ-ერთი „ცისფერყანწ-
 ლი“, ბევრისთვის საყვარელი პოეტი
 — პაოლო იაშვილია. როდის „ად-
 მიაჩინეთ“, რომ ასეთი დიდებული
 და ძალიან ტრაგიკული ბედის ად-
 ამიანის ოჯახის წევრი იყავით?
 — ალბათ, ბავშვობიდან. დედაჩე-
 მი — მედეა პაოლოს ერთადერთი



„ჰოდა, მეს ვლოსავ ღებრის, რომ ოსნებით გვასოსხლებს“



ძალიან მიყვარს პოეზია და კარგი ლექსის ფასიც ვიცი, ამიტომ ჩემს „პოეტობას“ არასერიოზულად ვუყურებ

შვილი გახლდათ. ეს ტრაგედია რომ მოხდა, 1937 წელს, დედა 13 წლის იყო. წარმოგიდგენიათ, რა შეიძლება განეცადა პატარა გოგონას, როდესაც მამის თვითმკვლელობის ამბავს შეიტყობდა?! ბაბუას თვითმკვლელობა — პროტესტი არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, როგორც ჩანს, წინასწარ გადაუწყვეტია, წერილებიც დაუწერია და არა მარტო შეილისადმი... ბებიასგან ვიცი, რომ პაოლო ძალიან უდიერად ეყრობოდა საკუთარ შემოქმედებას, სიგარეტის კოლოფებზე კი წერდა თურმე ლექსებს და ამიტომაც ბევრი მათგანი დიკარგა. თვითმკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე კი თავისი შემოქმედება მოუწესრიგებია და დაუხარისხებია. ბაბუას უნიკალური წერილები ჰქონია. მიმონერა ჰქონია საოცარ მეგობრებთან, რომლებსაც პარიზში, ლუვრის ხელოვნების ცენტრში ერთ ჯგუფში სწავლისას დაუახლოვდა: პიკასოს, მოდილიანის და სახელოვან ქართველ მხატვრებს — ელენე ახვლედიანს, დიმიტრი შევარდნაძეს, ლადო გუდიაშვილს, დავით კაკაბაძეს. მწერალთა კავშირში მისი თვითმკვლელობის შემდეგ ნახევარ საათში, შინსახკომის „საამაყო“ წარმომადგენლებს, 3 უზარმაზარი ტყავის ჩემოდანით გაუტანიათ გამოუქვეყნებელი ლექსები, წერილები და მისი მეგობარი უდიდესი მხატვრების ნაჩუქარი ორიგინალური ტილოები. ამიტომაცაა, რომ პაოლო იაშვილის პოეტური

შემოქმედების დაახლოებით 25%-ს თუ იცნობს საზოგადოება...

— ოჯახის წევრის დაკარგვა თავისთავად ტრაგედიაა, მაგრამ ალბათ თვითმკვლელობა ზეტრამადია და მისატყვევებლადაც უმძიმესია, თანაც ოჯახის ასე მიტოვება საქართველოსთვის იმ სასტიკ წლებში. აპატიეს მუდღემ და ქალიშვილმა პაოლო იაშვილს ეს ნაბიჯი?

— დედას ძალიან უჭირდა მამამისზე ლაპარაკი. პაოლო არაჩვეულებრივი მამა და დღესასწაულების მოწყობის დიდოსტატი ყოფილა ყველასთვის. გასაოცარი სიყვარული, ურთიერთობა ჰქონია მამა-შვილს. ამ ამბის შემდეგ დედას ერთი თვე არ უვლია სკოლაში და როცა მისულა (წარმოიდგინეთ, რა დრო იყო), სკოლის დირექტორს დაფასთან გაუყვანია, უცინებია „ხალხის მტრის შვილი“, ფიზიკურადაც შეხებია და მერე საკლასო ოთახიდანაც გაუგდია. ერთ-ერთ მამაც მასწავლებელს ატირებული ბავშვი სახლამდე გაუცილებია, ცოტა ხანში კი ის მასწავლებელიც უგზო-უკვლოდ გამქრალა. ასეთი დამცირებისა და ტკივილის მიუხედავად, დედა ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, საფიცარი მამა ბოლომდე მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ადამიანად დარჩა — არათუ აპატია, უდიდეს პატივს სცემდა მის ამ გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, რომ მისი ამ ნაბიჯით ცხოვრება დაუწერა.

პაოლო იაშვილის ბოლშევიკებისგან გადარჩენილ არქივზე გია ნიჟარაძის ძმამ, მერაბ ნიჟარაძემ იმუშავა. მისივე უდიდესი მონდობით, სამების ტაძრის წინამძღვარმა მამა ილიამ (ნასიძე) და ნიჟარაძეების ოჯახის მეგობარმა აკაკი რამიშვილმა საქართველოს პატრიარქსაც შეახვედრეს. ბატონმა მერაბმა უამბო მის უწმინდესობას პაოლოს ცხოვრების საზოგადოებისთვის უცნობი დეტალები და 1 წლის წინ, სწორედ იმ დღეს, როდესაც ჩვენმა მორაგებებმა ტრაზონში რუსეთის ნაკრები დაამარცხეს და, რასაკვირველია, გია ნიჟარაძეც მათთან ერთად იმყოფებოდა, თბილისში, სამების საკათედრო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარეს-

მა ილია მეორემ საჯაროდ, უამრავი ადამიანის თანდასწრებით შეუწლო თვითმკვლელობა პაოლო იაშვილს და პანაშვიდიც გადაუხადა.

— გია, როგორც ჩანს, ბევრი რამ გასმენიათ და გამოგიკითხავთ ბაბუას შესახებ. მასზე ლაპარაკისას ალფრთოვანებას გამჩნევთ და არცაა გასაკვირი. მასთან მსგავსება არასდროს გიპოვიათ? გარეგნობას არ ვგულისხმობ, რადგან აშკარაა, ძალიან ჰგავხართ.

— ალბათ, ცხოვრებისადმი დამოკიდებულებით ვგავარ, კიდევ — ტემპერამენტითა და მაქსიმალიზმით. ხანდახან შესტიკულაციითაც მამსგავსებდნენ, ხმის ტემბრით და ქცევით. ბოლოს და ბოლოს, დედაჩემის მამა იყო და როგორ შეიძლება, მე და ჩემი ძმა არ დავმსგავსებოდით!

— ვიცი, ლექსებსაც წერთ...

— ლექსს ყველა ქართველი წერს (იციანის). ეს ძალიან პირადულია. მხოლოდ ჩემთვის ვწერ, თავშესაქცევად — ზოგჯერ ემოცია რომ მოგანვება, ლექსსაც დაგანერინებს. რუსულადაც ვწერ, რადგან ბებია რუსულენოვანი ქართველი იყო და რუსულადაცაა ქართულიც თანაბრად ვიცი. ქალბატონებისთვის ექსპრომტიც მიმიძღვნია, მაგრამ ეს ყველაფერი ახალგაზრდობაში იყო. ძალიან მიყვარს პოეზია და კარგი ლექსის ფასიც ვიცი, ამიტომ ჩემს „პოეტობას“ არასერიოზულად ვუყურებ. ზოგიერთ მეგობარს მოსწონს კიდევ, ზოგს — არა, მაგრამ მთავარია, მე მომწონდეს. მე კი არ მომწონს (ილიამის). ერთ ამბავს გაგიმუღავენებთ: მეგობარი



წარმოგიდგენიათ, რა შეიძლება განეცადა პატარა გოგონას. 1937 წელს, დედა 13 წლის იყო.



უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საჯაროდ, უამრავი ადამიანის თანდასწრებით შეუნდო თვითმკვლელობა პაოლო იაშვილს და პანაშვილიც გადაუხადა

მყავს — ზურაბ ბოკუჩავა, ძალიან კარგი არქიტექტორია და ასევე, კარგ სიმღერებს წერს. ჩემს ლექსზეც აქვს დაწერილი სიმღერა დათუნა სირბილაძე მღერის. გასხვით? — „ყვითელი ფოთლების გუნდი მხიარულ ქარს სადღაც მიაქვს და ალბათ ცხრა მთას იქით სულ მალე დაუდებს ბინას. ბედნიერი იყოს ყველა, ვინც კი შეძლო ცაში ფრენა, ვინც გაჰყვა ოცნებას და იმედს, ლურჯ ფრინველს, ჩაეკონა ცისარტყელას, გადმოგვხედა ციდან ყველას და სიკეთის რწმენით გაგვათბო. ჰოდა, მეც ვლოცავ ღმერთს, რომ ოცნებით გვაცოცხლებს“... სხვათა შორის, დღეს პირველად ვამბობ სახალხოდ, რომ ზურას დავპირდი: თუ კარგ მუსიკას დანერ, მე ტექსტებს დაგინერ-მეთქი...

— ხედავთ, გია, ყველაფერზე ვსაუბრობთ სპორტის გარდა. არადა, მგონი, დროა, ყოფილ მორაგბესა და საქართველოს რაგბის ფედერაციის პრეზიდენტსაც დავუბრუნდეთ. თქვენ ხომ ამით გაგიცნოთ საზოგადოებამ!

— მართალია, პოპულარობით ბევრად უსწრებს ფეხბურთი, მაგრამ რაგბი გენიალური სპორტის სახეობაა. ფეხბურთიც მითამაშია, კალათბურთიც, ხელბურთიც, მაგრამ მაინც „ჩრდილში“ მდგომი რაგბი ვირჩიე, რადგან ყველაზე მეტად მიესადაგა ჩემს სულს. ინგლისელებმა რაგბის „დაბადებისთანავე“ მოაყოლეს გამოჩენული ზნეობის, ქცევის კოდექსი, დაუნერული კანონი, რომელმაც მსოფლიოს ყველა მორაგბე დიდ სამშობლო

გაერთიანა. ამ სამშობლო საფუძველი არის ქვეყნის სიყვარული, მეგობრის მხარში დგომა, მისი მკლავის შეგრძნება, მონინალმდევისა და მისი გულშემატკივრის პატივისცემა, სიკეთის თესვის საშუალება და ა.შ. მორაგბეებს ბევრი რამ გაგვიკეთებია, მაგრამ ამით არასდროს ვტრიაბხობთ, არც სახალხოდ ვლაპარაკობთ.

— ვფიქრობ, ავჯობებს თქვით და არა — სატრაბახოდ კარგი მაგალითი გადამდებია და უფლება გვაქვს, ვიცოდეთ, გარდა სათამაშო მოედანზე გულშემატკივრის უზომოდ გახარებისა, ჩვენი მორაგბეები როგორები არიან.


— რაკი ასეა, გეტყვით, რომ კარგი პროექტების განხორციელება ჩავიფიქრეთ: ავჭალის ბავშვთა კოლონიაში, სადაც 148 ბავშვია, რაგბის ჯგუფის შექმნას და არასრულწლოვნებთან მუშაობას ვაპირებთ. ვასწავლით ყველაფერს, იმასაც, რაც ბურთისა მოედნის მიღმა დევს რაგბიში — კაცობას, ერთობას. როდესაც ეს ბავშვები კოლონიიდან გამოვლენ, ცუდ ცხოვრებას რომ არ დაუბრუნდნენ, რაგბის კლუბებში დავანანილებთ და დარწმუნებული ვარ, ინტენსიური ვარჯიშითა და საზოგადოებასთან ინტეგრაციით კაცებად გაიზრდებიან. სხვათა შორის, კარგა ხანია, დავუმეგობრდით ობოლ ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს და მათთან ინტენსიურად ვვარჯიშობთ. 2008 წელს, აგვისტოს ომის შემდეგ 780

დევნილს ვეხმარებოდით: საბავშვო ბაღებში, სადაც დროებით დასახლდნენ, რემონტი გაუკეთეთ, ჩვენი სამეგობროსა და საკუთარი ფინანსებით თუ ფიზიკური შესაძლებლობებით რაც შეეძელით, შეეძელით, მერე კი ყველა რესურსი ამოგვეწურა...

— გია, ავჭალის კოლონიაში პატიმრებთან ვარჯიშის უფლებას მოგცემენ?

— მაღლობა ღმერთს, ეს დაბრკოლება გადავლახეთ: სამი წელი ვცდილობდით კოლონიაში „შელწევას“ და ახლა ყველაფერი მოგვარდა, რაშიც დაგვეხმარა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილე გიორგი მაქასარაშვილი, იურისეფიც ჩავრთეთ ამ პროექტში და საქმეს მალე შევუდგებთ. კიდევ ბევრ სასარგებლო პროექტში ვმონაწილეობთ, კარგი იდეებიც გვაქვს: ინვალიდ ბავშვებთანაც ვაპირებთ ვარჯიშების დაწყებას. ალბათ, ურიგო არ იქნება, ჩვენი მორაგბეების დევიზიც გავიზიაროთ: „ერთი ყველასათვის, ყველა საქართველოსთვის“.

— კარგია, რომ „გამოტყდებით“: დღევანდელმა ყოფამ ბევრი დატოვა უსასოოდ, საზოგადოება დეპრესიაშია და უიმედოდ არის, ახალგაზრდები ნარკოტიკს, ნებოს, ალკოჰოლს მიეძალდნენ, თქვენ სიტყვები კი, ვფიქრობ, იმედს დაუბრუნებს ხალხს, იმედს და ჯანმრთელობას — სულიერსა და ფიზიკურს.



როგორ შეიძლება, მე და ჩემი მამა ბაბუას არ დაგმსგავსებოდით! (მამასა და მამასთან ერთად)

— ქველმოქმედება ქართველს სისხლში აქვს. ირგვლივ ბევრი კეთილი და კარგი ადამიანია, მაგრამ ყველას ვერ გასწვდები კაცი, ამიტომ, რაც მეტი იზრუნებს მეორე ადამიანისთვის, მით უფრო დაგვიბრუნდება იმედი. ხომ შეიძლება, ჩვენი ინტენსიუთიც ვისარგებლო და თითოეულ მშობელს მივმართო (დავეთანხმე. — ავტ.): კარგია კომპიუტერი, მაგრამ ყველას გთხოვთ, გეხვეწებით, ბავშვები სპორტზე მიიყვანეთ. სახეობას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, ჯანმრთელები გაიზარდონ. ფიზიკურ სიჯანსაღეს სულის სიჯანსაღეც მოჰყვება და აღარც ნებო გახსენდებათ და აღარც ნარკოტიკი.



ველური დასავლეთის წარმოადგენელი საქართველოში

23 წლის შოთა ადამაშვილი ველური დასავლეთის ღირსეული წარმომადგენელია საქართველოში. პროექტის „ნიჭიერი“ მონაწილე, რომელიც ცხენზე ამხედრებული მივიდა საკონცერტო დარბაზთან და პენკ უილიამსის სიმღერა შეასრულა, რამდენიმე წელია, მუსიკალური მიმდინარეობა — ქანთრით არის დაინტერესებული.

ელენე ბასილიძე

— „ნიჭიერში“ როგორ მიხვედი?
— ინტერნეტით გავგზავნე აპლიკაცია, ზაფხულში კასტინგზე მივედი, მალევე დამირეკეს და მითხრეს, რომ მათთვის საინტერესო პერსონაჟი ვიყავი და სახასიათოდ ჩამეცვა, ისე, როგორც ველური დასავლეთის წარმომადგენელს შეეფერება. მოვიკაზმე, ცხენზე ჯირითშიც ვივარჯიშე და ასე მივედი ფილარმონიაში. სხვათა შორის, საზოგადოებამ გადაცემა რომ ნახა, ბევრს გაუჩნდა კითხვა: ეს ბიჭი ყველგან ცხენით დადისო?

— ერთდროულად ჰარმონიკას და გიტარაზე დაკვრა იოლი არ უნდა იყოს...

— კი, მაგრამ შეუძლებელი არააფერია. 20 წლის ვიყავი, როცა ჰარმონიკა ვიყიდე. მაშინ ბობ დილანის რეპერტუარს ვსწავლობდი. მოგეხსენებათ, იგი ორივე ინსტრუმენტზე უკრავს... ამას ცოტა მეტი ვარჯიში და კონცენტრაცია სჭირდება. თავიდან ჰარმონიკის დასამაგრებელი მოწყობილობა — „ჰოლდერი“ არ მქონდა, ინსტრუმენტს გიტარის კორპუსზე ვადებდი და ასე ვუკრავდი. ძალიან მინდა, ბანჯოსა და მანდოლინაზე დაკვრაც შევისწავლო და იმედია, ამის დროც მალე მოვა.

— ვოკალის პედაგოგთან სომ არ გივლია? შენი ხმა საკმაოდ კარგად ერგება ქანთრის სტილს...

— ვოკალის პედაგოგი არ მყოლია. როცა მუსიკა გიყვარს, მხოლოდ მაშინ შეძლებ, რომ კარგად იმღერო. დიდი წვალეობა დამჭირდა იმისთვის, რომ ხმის ვიბრაცია და ე.წ. „ვოის ბრეიკები“ განმევითარებინა, რომელიც ქანთრის სტილს ახასიათებს. კარგი იქნებოდა, ვოკალის პედაგოგი მყოლოდა, ხშირად არათანაბრად ვანაწილებ სუნთქვას და მალევე ვხვდები, რომ ყელს „განვები“.

— შოთა, მუსიკით ბავშვობიდან ხარ დაინტერესებული?

— არა, ბავშვობაში დედაჩემი ფორტეპიანოზე ძალით დამატარებდა. მაშინ სულაც არ მუხალისებოდა მუსიკაზე საიარული. მეორე კურსზე ვიყავი,

როცა გიტარით დავინტერესდი. ინსტრუმენტი არ მქონდა და მაშიდას ვთხოვე, კლასიკური გიტარა ეთხოვებინა. მაშინ „ბითლების“ სიმღერებზე ვაფანატებდი და აკორდების სწავლა ჩემს დას ვთხოვე, მართალია, ჩემმა



მნიშვნელოვანია, ის დაუკვრა, რაც ყველაზე მეტად მიყვარს

დამაც ბევრი არაფერი იცოდა, მაგრამ რალაცას ვახერხებდით. ინტერნეტი არ მქონდა და მუსიკას ხან საჯარო ბიბლიოთეკის ფირსაკრავზე ვუსმენდი და ხანაც — სად... დროთა განმავლობაში „ბითლებიდან“ ელვის პრესლისა და ბობ დილანზე გადავერთე. 20-21 წლის ვიყავი, როცა სიმღერების წერა დავიწყე. ბობ დილანიდან ქანთრის სტილზე გადავერთე. კოვბოის ქუდი, „კაზაჩოკები“ შევიძინე...

— ერთ-ერთ მინისქვეშა გადასავლელშიც უკრავ არა?

— მინისქვეშა გადასავლელში დაკვრის სურვილი ჯერ კიდევ მაშინ გამიჩნდა, როცა დაკვრა ახალი ნასწავლი მქონდა, სულ რამდენიმე სიმღერა ვიცოდი. გადავწყვიტე, გამომეცადა, თუ რა შეგრძნება იყო ქუჩაში დაკვრა. სხვათა შორის, საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა და დადებითი ემოცია მივიღე. უნივერსიტეტის დამამთავრებელ კურსზე

ვსწავლობდი, როცა მინისქვეშა გადასავლელში სისტემატურად დავიწყე დაკვრა და შეიძლება ითქვას, ეს საქმიანობა შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდაც მექცა. ხშირად მეკითხებიან, — ქართული ხარ? — უმეტესობას უცხოელი ვგონივარ. ხშირად აგრესიულად მოუმართავე, — „ქართულები“ დაუკარი, ბიჭოო! ამას წინათ, ერთმა ქალბატონმა მითხრა, ქართულ სიმღერებს რომ უკრავდე, უფრო მეტ ფულს შეაგროვებდიო. ჩემთვის მნიშვნელოვანია, ის დაუკვრა, რაც ყველაზე მეტად მიყვარს. სამწუხაროა, რომ მსმენელის მოსმენის კულტურა ძალიან არასახარბიელოა, როგორც ქუჩაში, ასევე საკონცერტო დარბაზში. „ნიჭიერის“ ჩანერაზე მეგობრები მეუბნებოდნენ, შენი სიმღერა ვერ მოვისმინეთ, ტაში და ღრიალი არ გაჩერებულაო (იღიშის). მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ყველა მსმენელი ასეთია. დღემდე ძალიან ბევრი ადამიანი მოდის ჩემს მოსასმენად და შეიძლება, მთელი საათიც კი მისმინონ. იყო პერიოდი, როცა ვაგზლის მეტროში ვუკრავდი და ხშირად ადამიანი თავის მატარებლებს უშვებდა და მოსასმენად რჩებოდა.

— ოჯახის წევრები შენს საქმიანობას როგორ შეხვდნენ?

— ძალიან რთულად, შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ვერ შეეგუვნენ. მშობლები მთხოვდნენ, ოღონდ ქუჩაში დაკვრას თავი დაანებე, ჩვენ მოგცემთ იმაზე მეტს, რასაც მანდ შოულობო. მინდოდა, დამოუკიდებელი ცოფილიყავი და მეცხოვრა ისე, როგორც მსურდა. მშობლებს ვუთხარი, თუ ჩემს საქმიანობას არ შეეგუებოდნენ, სახლიდან წავიდოდი.

— შეიძლება, რომ მინისქვეშა გადასავლელში დაკვრით ადამიანმა საკუთარი თავი უზრუნველყოს?

— გარკვეულ ეტაპზე კი, მაგრამ მოთხოვნილებების ზრდასთან ერთად, რთულია თავის გატანა. დღეს 100-ზე მეტი სიმღერა მაქვს რეპერტუარში და მსმენელი ამას აფასებს. თვეში საშუალოდ 300 ლარს მაინც ვშოულობ.

— ახლა რა გეგმები გაქვს?

— ველოდები „ნიჭიერის“ შემდეგ ეტაპს და იმედია, საქართველოშიც დაინტერესდება ვინმე ჩემით. სამწუხაროა, რომ ჩვენს ქვეყანაში ქანთრისადმი დიდი დაინტერესება არ შეინიშნება. ალბათ ეს მუსიკა არ არის ისე გააპირებული, რომ საზოგადოებამ მოითხოვოს.

ნაადრევად შექმნილი ოჯახი და გოგონა, რომელსაც თქვენი დახმარება ესაჭიროება

„ნეტავ, აყვანილი ვიყო...“

რა არის ოჯახი და როგორი მშობლების ყოლაზე ოცნებობენ მოზარდები? — ეს ის თემაა, რომელზე ლაპარაკსაც თინეიჯერების უმეტესობა გაუარბის. როგორ დაუჯერებლადაც უნდა მოგეჩვენოთ, ბევრი მათგანი წუხს იმის გამო, რომ შვილები მშობლებს ვერ ირჩევენ. წინასწარ გეტყვი, რომ ჩემ მიერ გამოკითხული თინეიჯერების უმეტესობა ფულიანი მამიკოს ყოლაზე ოცნებობს, ბევრს კი პატიოსანი, უკონფლიქტო და თუნდაც, ძალზე ლარიზი დედ-მამის ყოლა გაახარებდა. ჩემი პირველი რესპონდენტის ცხოვრება კი ალბათ, თითოეულ თქვენგანს ააღელვებს. გარდა იმისა, რომ მას ოჯახური პრობლემა აქვს, ფიზიკური ნაკლის გამოც განიცდის დისკომფორტს და ჰგონია, რომ მისთვის ყველა კარი დაკეტილია, მე კი იმედს ვიტოვებ, რომ ამ რუბრიკის წაკითხვის შემდეგ, რომელიმე თქვენგანი შეძლებს და იმედგაცალულ გოგონას ცხოვრებას გაუხალისებს.

ლიკა ქაჯაია

მოცნობა:

— ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ მთელი ცხოვრება მხოლოდ იმაზე ვოცნებობ, ნეტავ, აყვანილი ვიყო და საკუთარ მშობლებს ვეძებდე-მეთქი. სამწუხაროდ, ეს ოცნება არასდროს ამიხდება, მთელი სიცოცხლე ლოთ, მოძალადე, არაჯანსაღ მამასთან და ცხოვრებისგან დაღლილ, საკუთარ ბედთან შეგუებულ დედასთან ერთად უნდა გავატარო.

— როგორც მიგხვდია, მამაშენი მეუღლეს ცუდად ექცევა. მთვრალი ფიზიკურად შენც ხომ არ გისწორდება?

— მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ დაბადებიდანვე ჯოჯოხეთურ პირობებში ვცხოვრობ. დედაჩემს ნუ გაამტყუნებთ — ის მეუღლეს იმიტომ ვერ დაშორდებოდა, რომ მერე, მარტოხელა ქალი თითოთ საჩვენებელი გახდებოდა ანუ ყველა მასზე ილაპარაკებდა... მამის მუშტი ძირითადად, მშობლების გაშველებისას მხედვობდა... მამა ახლა არ მუშაობს და გაცილებით მშვიდად ვართ. იმასაც ვნატრობ სოლმე, რომ სამუშაო არასდროს გამოუჩნდეს — ასეთ შემოსავალს შიმშილი მიჯობს. მისწარი მამის ყოლას მირჩევენია, ობოლი ვიყო.

— ანუ ოჯახში პრობლემა მაშინ იქმნება, როცა მას ფული მოაქვს? ამას გაყვედრით?

— როცა არ მუშაობს, ე.ი. ფული არ აქვს და შესაბამისად, სასმელსაც ვერ იყიდის, მეორეც — თუ ფულს

მოიტანს, მისი დახმარების გვეშინია; საჭმელი ან რაიმე ნივთი რომ ვიყიდოთ და ნასვამს ვუთხრათ, რომ მისი მოცემული თანხა დაგზარჯეთ და ფული აღარ გვაქვს, საქმე ცუდად იქნება ანუ როცა ფულს მოითხოვს, აუცილებლად უნდა მივცეთ; საიდან მოვიტანთ, ეს არც კი აინტერესებს. ყველაზე ცუდი ისაა, რომ სეზონურად, მაგრამ მაინც, თავად გვინახავს და ამას ყოველთვის გვაყვედრის. სამწუხაროდ, ჩვენ ასეთ ყოფას შევეჩვიეთ. მართალია, ამ ყველაფერთან შეგუება გვიჭირს, მაგრამ ცხოვრების შეცვლა არ შეგვიძლია, რადგან ნასასვლელი არსად გვაქვს.

— შენ ან დედაშენს სამსახურის შოვნა არ გიცდიათ? ვინმემ დახმარება რომ შემოგთავაზოთ, მუშაობის დანებებას ხომ არ ავიკრძალავენ?

— წლების წინ დედა საზღვარგარეთ გახლდათ ნასული, იქ ძიად მუშაობდა, მაგრამ ის ბავშვი ავადმყოფი ყოფი-

ლა, მისი მოვლა გაუჭირდა და უკანვე გამობრუნდა. ისე უშინდა, რომ მგონი, ძიად მუშაობას ვეღარ გაბედავს, აქ კი სამსახური ვერ იშოვა... ჩემი დასაქმება კი არა მგონია, ვინმემ ისურვოს.

— ამას რატომ ამბობ?

— ფიზიკური ნაკლი მაქვს, ფეხი მტკივა.

— გადაადგილება ხომ შეგიძლია?

— კი, მაგრამ ახლა ჯანმრთელებს არავინ ასაქმებს და მე... მოკლედ, ამის იმედი ნამდვილად არ მაქვს.

— არა მგონია, ეს ნაკლი რაიმეს წყვეტდეს. ვინ იცის, იქნებ გაგვიმართლოს კიდეც და ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ ვინმეს შენი დასაქმების სურვილიც გაუჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, მე ამის იმედი მაქვს...

— ჰო, იმედი ნუ მოგვიშალს ღმერთმა...

მარი, 16 წლის:

— მართალია, კარგი მშობლები მყავს, მაგრამ ვისურვებდი, რომ უფრო მდიდარი, შეძლებული ოჯახის შვილი ვიყო.

— შენი აზრით, ბედნიერება სიმდიდრეშია?

— რატომაც არა?! როცა ფული გაქვს და შენს მშობლებს ყოველდღე იმაზე არ უხდებთ ტვინის ჭყლეტა, ხვალ სადილად რა მოამზადონ, ზეგ შიმშილით რომ არ განწყდნენ, ეს ცუდია? ვფიქრობ, როცა ოჯახი მატერიალურად ძლიერია, ის არასდროს დაინგრევა!

— მაგრამ ბევრი ისეთი შემთხვევაც ვიცი, როცა მატერიალურად ძლიერი ოჯახი დაინგრევა...

— თუ წყვილს ერთმანეთი არ უყვარს, როგორი მდიდრებიც უნდა იყვნენ, აუცილებლად, სხვისკენ დაინყებენ თვალების ცეცებას და ბოლოს, გაიყრებიან კიდეც. მე ამას არ ვგულისხმობ. ოჯახი ძალიან ძლიერია მაშინ, როცა ცოლ-ქმარს ერთმანეთი უყვარს და ფულიც აქვს. მერწმუნე, იქ, სადაც მხოლოდ სიყვარულია, ამ გრძნობას შიმშილი და ყოველდღიური პრობლემა ახუნებს...

— შენი ოჯახი მსგავსი პრობლემის წინაშე დგას?





— რალა დაგიმლო და, მშობლები ხშირად კამათობენ იმის გამო, რომ მამას ნორმალური შემოსავალი არა აქვს და მინც, ცოლს მუშაობის უფლებას არ აძლევს. დედა ამბობს, რომ მამის ხელფასი თვიდან თვემდე ძლივს გვეყოფნის და მართალიცაა, მამა კი ამტკიცებს: თუ არ გვია და არ გცივა, ე.ი. კარგად ცხოვრობო. მოკლედ, მისთვის მთავარია, ოჯახში საქმელი იყოს და სხვა არაფერი ადარდებს.

გიორგი, 18 წლის:

— მერწმუნე, ფულით ყველაფერს ვერ იყიდი და სიმდიდრე ოჯახის სიძლიერეს სულაც არ ნიშნავს. ჩემი მეგობრის მშობლებს არ უჭირდათ, პირიქით — რასაც ისურვებდნენ, ყველაფრის შეძენა შეეძლოთ, მაგრამ მათი ოჯახი მინც დაინგრა. იქ, სადაც სიყვარული არაა, პრობლემა ყოველთვის იქნება. პირადად მე, მირჩევნია, პატიოსანი, უკონფლიქტო და თუნდაც, ძალზე ლარიბი დედ-მამა მყავდეს, ვიდრე მატერიალურად ძლიერი ოჯახის, ანგარებით დაქორწინებული მშობლების შვილი ვიყო.

ვერ დავიჯერებ, რომ ფუფუნებაში ცხოვრება არ გინდა.

— როცა ფული თავზე საყრელად გაქვს, ეს იმას ნამდვილად არ ნიშნავს, რომ სიყვარულსაც იყიდი. ფუფუნება კარგია მაშინ, თუ ცოლსა და ქმარს ერთმანეთი უყვართ, თუ სიტბოს ქუჩაში, სხვის უბეში არ ექებენ...

ერთ-ერთ ფორუმზე დიდხანს მსჯელობდნენ იმ გოგონას ბედზე, რომელიც ნაადრევად გათხოვდა. მისივე თქმით, ის ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ მიხვდა, რომ სისულელე ჩაიდინა, როცა გათხოვების გადაწყვეტილება მიიღო, რადგან ჯერ კიდევ მოზარდს თავისუფლებასთან განშორება გაუჭირდა. რა ასაკში უნდა იქმნებოდა ოჯახი, რათა ის მყარი იყოს?

— ამ თემაზე ფორუმელები მსჯელობენ:

მუჩარა 818:

„გათხოვება ყველაზე დიდი სისულელეა! — ასეთია ჩემი აზრი ქორწინების წლისთავზე. მომავალ ქმართან ურთიერთობისას არავინ არაფერს მიშლიდა და მოდი, ჰორმონების ფაქტორი აქედანვე გამოვრიცხოთ... ბავშვის ყოლა არც მაშინ მინდოდა და არც ახლა მინდა. სამაგიეროდ, ძველი დრო მენატრება, როცა ჩიტივით თავისუფალი ვიყავი, სახლში მისულს სახლი დალაგებული, ვაშლში მომზადებული, სარეცხი კი დარეცხილი მხვდებოდა. ჰოდა, გამიჩნდა კითხვა — რატომ ვქმნით ოჯახს? რა გარემოებები ახდენს გავლენას? სიყვარულის გამო?.. მერე, შორიდან გიყვარდეს!.. ჯერ მხოლოდ ერთი წელი გავიდა და უკვე ყველაფერი შეიცვალა; ყოველდღიურმა ურთიერ-

ობამ თითქოს გრძნობა გაახუნა, დავილაღე კიდევ: მაინტერესებს, ეს მხოლოდ ჩემი პრობლემაა თუ ასე ხდება ხოლმე?“

The13thfloor:

„ჩემი აზრით, ეს ყველაფერი გარდაუვალია და ამიტომაც, არ უნდა გათხოვდე“.

ბრტაშა:

„სანამ ადამიანს ბავშვის ყოლის სურვილი არ გაუჩნდება, ოჯახი არ უნდა შექმნას“.

SALAMANDER:

„თბილი კერა, თბილი ლოგინი... რატომაც არა, სიბერეში ხმის გამცემი ხომ საჭიროა?! 35 წლის ასაკში ვინმეს ჰოროსკოპით თევზებს გავყვები ცოლად, ჰოდა, ვიცხოვრებთ მშვიდად და ტკბილად“.

მუჩარა 818:

„არ დაიჯერო, რა, მინც ექნება რაღაც ისეთი თვისება, რაც ნერვებს მოგიშლის. ჩემი ქმარი „თევზი“ (წყნარი, დამყოლი) და „ძალია“ (ერთგული), თავის დროზე ის მეც მთელი რუდუნებით შევარჩიე, მაგრამ ზოგჯერ, თავისი სიმშვიდით ნერვებს ისე მიშლის, რომ თმა ყალყზე მიდგება“.

SIEMENSFUN 1:

„ჩემი აზრით, ყველაფერს თავისი დრო აქვს. პირადად მე, ცოლს მანამ არ მოვიყვან, ვიდრე ოჯახის რჩენის თავი არ მექნება... ცალკე ცხოვრებას რა სჯობია, მაგრამ ჯერჯერობით, ჩემთვის ეს შეუძლებელია. ვფიქრობ, კაცი ცოლის გარეშე გაცილებით უკეთ გრძნობს თავს: დადიხარ იქ, სადაც გინდა, როცა გინდა და ვისთანაც გინდა; აკეთებ იმას, რაც „გისწორდება“ და ა.შ. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი აი, ესაა (ეს ფრაზა მეგობარმა მითხრა და სამუდამოდ ჩამებეჭდა გონებაში): „ბედნიერებას აზრი არა აქვს, თუ მას ვინმესთან ერთად არ იზიარებ“.

თამარაქია:

„კი, ასეც ხდება. ახლა ტაიმი-აუტი გჭირდება — მინიმუმ, ერთი კვირით მინც უნდა „გაქრე“: ან შენებთან გადადი, ან თუ შეგიძლია, რაიმე მიზეზი მოიგონე და სადმე წადი; დარჩი საკუთარ თავთან და დაფიქრდი-გადააფასე-შეაფასე შენი გრძნობები, განცდები...“

მუჩარა 818:

„მართალი ხარ. ადამიანმა ჯერ ყველაფერი უნდა აწონ-დანონოს და გადაწყვეტილება მერე მიიღოს. თან, ოჯახის შექმნა იმხელა პასუხისმგებლობაა, რომ არა მგონია, რომელიმე 20-25 წლის გოგო ან ბიჭი ამისთვის მზად იყოს...“

ANDERSON:

„ჩემი გადასახედიდან, ოჯახის შექმნა ყველაზე დიდი სისულელეა, რაც კი შეიძლება ადამიანმა გააკეთოს. აი, 35-40 წლის ასაკში თუ მოიყვან ცოლს, მაშინ კიდევ, ჰო... შვილი რომ გყავს, კარგია,

მაგრამ ბავშვს ნორმალური გარემო უნდა, კარგად რომ აღიზარდოს. აი, ქალი როდის უნდა გათხოვდეს, არ ვიცი...“

SIEMENSFUN 1:

„ჰოდა, სად გეჩქარებათ, ხალხო? ჩემ გარშემო 20-25 წლამდე ვინც გათხოვდა ან ცოლი მოიყვანა, დღეს უკვე ან გაშორებულია, ან კონფლიქტი აქვს მეორე ნახევართან. მოკლედ, ისეთი ამბები აქვთ, როგორც სერიალებშია — მათი ოჯახური ამბები ჩემივე ყურით, თავად მათგანვე რომ არ მომესმინა, არც დავიჯერებდი... ვატყობ, რომ ჯერ კიდევ მიზიდავს ბავშვური გასართობები — კომპიუტერი, მობილური, ველოსიპედი, თევზაობა, ბუნება...“


უზანო:

„შვილი გააჩინე. მერწმუნე, ის ყველაფერს შეცვლის, ქმარიც უფრო სხვანაირი გახდება. არა მგონია, რომ მეუღლის მიმართ გრძნობები გაგიხუნდა; შენ უბრალოდ, იმ რეალობას შეეჯახე, რომელიც ოჯახის შექმნას მოსდევს და რაზეც მანამდე არ ფიქრობდი ან ფიქრობდი, მაგრამ ვერ აღიქვამდი, რადგან თურმე, ყოველთვის დალაგებული სახლი და გამზადებული სადილი გხვდებოდა. ახლა ამ „პრობლემას“ უნდა შეეგუო და ცხოვრება გაიხალისო. მხოლოდ შენ შეგიძლია საკუთარი თავის შველა“.

წაპი:

„ვფიქრობ, ოჯახის შესაქმნელად 1 ან თუნდაც, 3-წლიანი სასიყვარულო ურთიერთობა საკმარისი არ არის... პრობლემები კი იმათ უფრო ხშირად ექმნებათ, ვინც წინა ეტაპზე სიყვარულისგან „დაბრმავებულიები“ (ეგრე ამბობენ, არა?) იყვნენ... ოჯახი უნდა შექმნა მაშინ, როცა „მას“ იცნობ და დარწმუნებული ხარ, რომ ის მზადაა შენი ლხინისა თუ ჭირის გასაზიარებლად და საუკეთესო მეგზურიც იქნება... დარწმუნებული ვარ, ოჯახი მხოლოდ გამონაკლისებისთვისაა პრობლემა, მიიმე ტვირთი“.

P.S. უკვე დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით წინასწარ გაცნობებთ თემას, რომელსაც უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ... საინტერესოა, რას ფიქრობთ დასაქმების პრობლემაზე? სამსახურის ძიებისას ვინ რა სიძნელეს ნაწყენით? თქვენი აზრით, მუშაობა რომ დაიწყოს, ამისთვის რა არის საჭირო — ამა თუ იმ სტრუქტურაში ნაცნობის ყოლა, ილბალი თუ კარგი განათლება? მოკლედ, ამ თემასთან დაკავშირებული სხვისი ან საკუთარი თავგადასავალი შეგიძლიათ მომწეროთ ნომერზე: 8(58) 25.60.81 ან მეილზე: lika.qajaia@gmail.com.



სამყარო

„ქართველები ყოველთვის ვიცაქვებთ და ვიბღარებთ“

მესტიაში, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის — „რიპოს“ წევრები რეპეტიციებზე პოლიციას დაჰყავს. არ იფიქროთ, რომ ანსამბლის წევრები საზოგადოებისთვის სახიფათო არიან ან მათ იძულებით ამღერებენ და აცეკვებენ; სვანი მომღერლებისა და მოცეკვავეების საბადრაგო მანქანით „მოგზაურობის“ მიზეზი — მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის მწირი ბიუჯეტია. როგორც ამ სამსახურის უფროსი, ნარგიზ ნიგურიანი და „რიპოს“ ქორეოგრაფი, კანდიდ მერლანი ამბობენ, ანსამბლის წევრები რეპეტიციებს ნაღის მსგავს ოთახში ატარებენ, რომელშიც რიგრიგობით შედიან იმის შიშით, რომ იატაკი არ ჩაინგრეს. არადა, „რიპო“ ის ანსამბლია, რომელიც მესტიელებმა ჯერ კიდევ 1928 წელს ჩამოაყალიბეს და სვანური, ტრადიციული ცეკვა-სიმღერა ავთენტიკური სახით (ნამდვილი, პირველწყაროზე დამყარებული) შემოგვინახეს...

ისტორიული ანსამბლი და მისი გასაჭირი

სათუნა კახტორიკა

ნარგიზ ნიგურიანი:

— „რიპო“ სვანური სიტყვაა და განთიადს ნიშნავს. ანსამბლის პირველი ხელმძღვანელი ივანე დადუშელიანი გახლდათ, შემდეგ — ალექსი ფილფანი, პლატონ დადვანი, ამჟერად კი ისლამ ფილფანი ხელმძღვანელობს. „რიპოს“ ხელმძღვანელები თავიდანვე სახასიათო ცეკვებს დგამდნენ. თითქმის ყველა ცეკვაში ნამდვილი ამბავია გადმოცემული. ერთ-ერთ ცეკვაში აღწერილია, თუ როგორ მოკლეს უშგულელებმა ფუთაფალთაი დადუშელიანი: ერთ კაცს რომ არ დაჰპრალეობდა მისი მკვლელობა, თოფის სასხლეტს თოკი გამოაბნეს, რომელიც მთელმა სოფელმა მოქაჩა. ხალდეს აჯანყებას (1876 წელს რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული ამბოხი. — ავტ.) ეძღვნება ერთ-ერთი საუკეთესო ფოლკლორული ნიმუში. ცეკვასა და სიმღერაში გადმოცემულია, თუ რა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს აჯანყებულებმა ოკუპანტებს.

— **სამწუხაროდ, მაშინ ძალიან ბევრი სვანი დაიღუპა, სოფელი ხალდე მთლიანად განადგურდა.**

— კი, მაგრამ საბედნიეროდ, გენოფონდი გადარჩა. აჯანყების დაწყებამდე სოფლიდან ქალები და ბავშვები გახიზნეს. სიმღერას ჰქვია — „გაველ გავეუ“, პირველი ფრაზა კი ასეთია: „კარგად იბრძვიან ხალდეს ვაეები“... თურმე ხალდეს ბრძოლას დედუღეთში სტუმრად მყოფი ახალგაზრდა შესწრებია და ეს ლექსიც მას დაუწერიკ; ლექსი სიმღერად იქცა, სიმღერას ცეცხლოვანი ფერხულიც მოჰყვა, საბოლოოდ კი საუკეთესო ხელოვნების ნიმუში მივიღეთ. მინდა აღვნიშნო, რომ ანსამბლმა ზეობას ცნობილი ლოტ-



ცეკვა და სიმღერა ერთად სრულდება. ეს ძალიან რთულია და ყველას როდი შეუძლია

ბარის — პლატონ დადვანის ხელმძღვანელობის დროს მიაღწია.

— „რიპო“ სხვა, დანარჩენი ფოლკლორული ანსამბლებისგან რით განსხვავდება?

— ფოლკლორის ექსპერტებიც (მათ შორის: რუზო ჭანიშვილი, გიორგი უშიკიშვილი და უჩა დვალისვილი) აღიარებენ, რომ „რიპო“ — საქართველოში ერთადერთი ანსამბლია, რომელმაც ფოლკლორი ავთენტიკური სახით შემოინახა. გარდა ამისა, დღეს მთელ საქართველოში მხოლოდ ჩვენ გვაყავს ჭუნირზე (უძველესი ქართული, ხეშიანი საკრავი. — ავტ.) დამკვრელი — ისლამ ფილფანი, თავისი საქმის ვირტუოზი, საფრანგეთშიც კი ჰყავდათ მინწველი.

კანდიდი:

— გარდა ამისა, ჩვენს ანსამბლში ცეკვა და სიმღერა ერთად სრულდება. ეს ძალიან რთულია და ყველას როდი შეუძლია.

— აჭარულ „განდაგანას“ და „რაჭულშიც“ სომ ერთდროულად ასრულებენ ცეკვასა და სიმღერას?

— კი, მაგრამ პირველად ეს ჩვენ გავაკეთეთ. აჭარლებს ადრე არ ჰქონდათ ასეთი ძლიერი ცეკვა, „განდაგანა“ ქორეოგრაფებმა მოგვიანებით დახვეწეს და გამარავალფეროვნეს. რაჭული კი სულ მთლად ახალია, დროთა განმავლობაში ისიც განვითარდება და დაიხვეწება. გარდა ამისა, სვანური „ფერხული“ განსაკუთრებით რთულად შესასრულებელია, სულ ცერზე უნდა იდგე. „ფერხულის“ შესრულებას, პროფესიონალიზმის გარდა, ფიზიკური ძალაც სჭირდება, — ცერიც მაგარი უნდა გქონდეს და მუხლიც. ისე, მე თბილისელების მიერ შესრულებული სვანური „ფერხული“ არ მომწონს. ტრადიციებს არღვევენ, რალაცას აკლებენ. სვანი კაცი ცეკვის დროს, ხანჯლიდან ხელს მხოლოდ მაშინ იღებს, თუ ფერხულში დგება. გამოთქმაც კი არის ასეთი: „სვანური ცეკვა — ვაკაცურად ხანჯალზე ხელაუღებელი“.



— ავთენტური სახით შემორჩენილი ფოლკლორი მაყურებლისთვის რამდენად საინტერესოა? როგორც წინა სუბიევილი ამბობდა, ცეკვა ჩოხა არ არის, რომ დაკიდო და უყურო, ის მუდმივად უნდა ვითარდებოდეს. ცეკვა თუ არ განვითარდა, ის მოკვდება.

ნარკიზი:

— ამ მოსაზრებას ნაწილობრივ ვეთანხმები. ცეკვა უნდა განვითარდეს, მაგრამ ავთენტურობა არ უნდა დაკარგოს. ფოლკლორის ეროვნული ცენტრის მოთხოვნებიც ასეთია. ბაზარი შესაძლოა, მართლაც მოითხოვდეს ცეკვისთვის ან სიმღერისთვის სანახაობრივი ელემენტების შემატებას, მაგრამ ფოლკლორულ ფესტივალებზე მაინც ტრადიციული ხელოვნება უნდა იყოს წარმომჩენილი.

— თქვენ თუ აღვიდგენით რომელიმე მივიწყებული ცეკვა ან სიმღერა?

პანდლი:

— კი, საფერხულო „ლილე“ და ცეკვა „დალაკოჯას“ რამდენიმე ელემენტი აღვადგინე.

როგორ მოახერხებთ?

— ჩემი ახალგაზრდობის დროსაც კი უკვე ბევრი რამ იყო მივიწყებული. მე ბავშვობიდან ვცეკვავდი და ასე თუ ისე, მასსოვდა, თუ როგორ ცეკვავდნენ ძველი თაობის წარმომადგენლები. სხვათა შორის, კიდევ ბევრი რამ არის აღსადგენი, მაგრამ ამ ეტაპზე ბაზა არ გვაქვს; რაც აღვადგინეთ, იმის შენარჩუნებაც გვიჭირს. ჩვენს ანსამბლში ხელფასი 150 ლარია. ამ ფასად ახალგაზრდები არ მუშაობენ. არადა, სვანური სიმღერა მასობრივია, ბევრი ხმა სჭირდება. ცეკვაც დაკნინდა, ბიჭების მაგივრად გოგონებს ვაცეკვებთ. ბოლო დროს სვანეთში ბიჭები ძირითადად, ალპინიზმითა და ჭიდაობით არიან დაკავებულნი, ცეკვა მცირე შემოსავლიანი და ალარ აინტერესებთ.

ნარკიზი:

— არ მინდა, სვანური ფოლკლორი დაიკარგოს. ამ ხელოვნების შესასწავლად, მესტიაში ამერიკელებმა და ფრანგებმაც კი დაიწყეს სიარული. ფრანგული ანსამბლი „მარანიც“ იყო ჩვენთან ჩამოსული და „რიპოც“ მიიწვია პარიზში. ამერიკიდან ანსამბლი „გოლდენ გესთი“ გვეწვია. წელს ავსტრალიიდანაც მივიღეთ 31-კაციანი ჯგუფი.

პანდლი:

— პარიზში, მსოფლიო კულტურის ცენტრში გავმართეთ კონცერტი. ისე მოვეწონეთ, რომ ბრიუსელშიც შემოგვთავაზეს კონცერტის ჩატარება.

ნარკიზი:

— ჩვენი ანსამბლის წევრებმა ფრანგების გაოცება სცენის მიღმაც მოახერხეს. ორმა მათგანმა, როგორც ქართველებს



ამ ხელოვნების შესასწავლად, მესტიაში ამერიკელებმა და ფრანგებმაც კი დაიწყეს სიარული

გვჭვწვია, კუდის ყავარზე გადებდა მოინდომეს და ეიფელის კოშკზე ქეიფი გადაწყვიტეს. ყველაზე ძვირად ღირებული კონიაკი მოითხოვეს. მოუტანეს. წესისამებრ, ჭიქა ნახევრად სავსე იყო. ჩვენებმა „სვანურად“ შეიცხადეს, — ეს რას გვეყოფაო?! — და ბოლომდე გაავსებინეს. საბოლოოდ, მათ მიერ დაღუპული ორი ჭიქა კონიაკის გამო ანსამბლის ყველა წევრს ჯიბების ბოლომდე ამოცარიელება მოგვიხდა.

— უცხოელებს საფერხულო ცერულის ცეკვა არ უჭირთ? როგორც ვიცო, ცერზე მხოლოდ კავკასიის მთებში მცხოვრები ხალხები ცეკვავენ.

— სიმაღლეს რომ გითხრათ, სიმღერებს უფრო კარგად ითვისებენ. პროფესიონალები არიან და დახვეწილი ყური აქვთ. აი, ცერზე დამდგარი უცხოელი კი ჯერ არ მინახავს. მინდა აღვნიშნო, რომ ამერიკული ანსამბლის, „გოლდენ გესთის“ ხელმძღვანელმა, კარლ ლინიკმა შესანიშნავად აითვისა ჭუნირი.

— ქალბატონო ნარკიზ, როგორ მოხდა, რომ ასეთი ისტორიის მქონე ანსამბლი დღეს „ნალიას“ აფარებს თავს?

— ერთ დროს, მესტიის ცენტრში ძალიან კარგი კულტურის სახლი გვექონდა, რომელიც არქიტექტურის ნიმუშს წარმოადგენდა, მაგრამ სამწუხაროდ, უყურადღებობის გამო დაინგრა. ერთ ზამთარს ძალიან დიდი თოვლი მოვიდა, შენობის სახურავი არ გადათოვლეს და ჩაინგრა. ამის შემდეგ ანსამბლი ხან სად იყო შეჩინებული და — ხან სად. როდესაც კულტურის სამსახურის უფროსი გაჩნდა, გადაწყვიტეს, კომისარიატის ყოფილი შენობა გამოეყენებინა, რომელიც ნაგვით იყო სავსე. იქაურობა მოვანესრიგეთ, შევაკეთეთ. ჩემმა მეუღლემ (ზეზე კვეთის ოსტატია) საუცხოო კარი გაგვიკეთა. ყვე-

ლაფერი ჩვენი ხარჯით გადაკეთეთ. წელს კი ჩვენ მიერ გარემონტებული ოფისი სამოქალაქო რეესტრის სამსახურს გადასცეს... მას შემდეგ ისევ დაიწყო ჩვენი ტანჯვა-წამება. ახლა 30 კვადრატული მეტრის ფართობის „ნალიაში“ ვართ შეკედლებულნი. ცეკვას ვინლა ჩივის? ანსამბლი სრული შემადგენლობით რომ შევიდეს, მაშინვე იატაკი ჩაინგრება... იმდენად მცირე ბიუჯეტი გვაქვს, იმასაც ვერ ვახერხებთ, რომ სამარშრუტო ტაქსი დავიქირაოთ და ანსამბლის წევრები რაიონიდან დაბაში ჩამოვიყვანოთ რეპეტიციებისთვის. გაგიკვირდებათ და, ყველაზე მეტად პოლიცია გვეხმარება — საბადრაგო მანქანით ჩამოჰყავს ანსამბლის წევრები, რომლებსაც საშუალება არა აქვთ, სოფლიდან დაბაში ჩამოვიდნენ.

— ბატონო კანდიდ, როგორც მითხრეს, თქვენს ოჯახში ცეკვა-სიმღერა ყველას კარგად ეჩერება.

— შეიძლება ასეც ითქვას. ხელოვნების სიყვარული გენეტიკით გვერგო. ახალგაზრდობაში მე და ჩემი და „ოსურს“ დუეტში ვცეკვავდით, წამყვანი მოცეკვავეები გახლდით.

— შეიძლება რას იტყვი?

— 7 შვილი (6 გოგო და 1 ბიჭი) მყავს. სიმღერაში მთლად მავრები ვერ არიან, მაგრამ ცეკვას ვერ დაუწუნებ.

— თქვენ თუ ეყოფით ხელფასი, რომელსაც ანსამბლში მუშაობისთვის გიხდებიან?


— არა, რას ამბობთ, როგორ მეყოფა 7 შვილის მამას?! მეუბნება მაქვს, მესაქონლეობას მივდექ. ანსამბლის დანარჩენი წევრებიც ასე წვლობენ. ყველაფრის ერთად კეთება რთულია, მაგრამ რას ვიზამთ, ძალიან გვიყვარს საქმე, რომელსაც ვეშაბურებით. ცეკვა-სიმღერას მაშინაც კი ვერ შევწყვიტე, როდესაც ჯარში გამიწვიეს. 6 წლის ვარ, რუსულ არმიის მომიწია სავალდებულო სამსახურის მოხდა. ქართველი ბიჭები ვნახე თუ არა, მაშინვე მათი ქორეოგრაფიული მონაცემები შევამოწმე. საზენდეროდ, საკმაოდ კარგი მოცეკვავეები, მომღერლები და დამკვრელები აღმოვაჩინე. შესანიშნავი ანსამბლი ჩამოვყალიბეთ, გასტროლსაც ხშირად ვაწყობდით, მთელი რუსეთი შემოვიარეთ ცეკვა-სიმღერით.

— ჯარში ვარჯიშისგან გაგათავისუფლეს?

— არა, ჩვენც სხვა სამხედროების მსგავსად ვვარჯიშობდით, მაგრამ რეპეტიციების ჩატარებასაც ვახერხებდით. ქართველებს ისე გვიყვარს ცეკვა-სიმღერა, რომ ამ საქმისთვის დროს ყველგან და ყოველთვის გამოვნახათ, მთავარი, მხარდაჭერას ვერძინობდით.



9 აპრილის სადამსჯელო ოპერაცია და რუსი ოფიცრის მხარე მოგონებები



ს. რაზდობრევი: შედეგად მივიღე დანგრეული ოჯახი, შერყეული ჯანმრთელობა და ლამისეული კომპარები

ჩემი ხიფათისა და თავგადასავლებით აღსაქვე გზაზე მრავალი საინტერესო დღე მქონია. ბევრჯერ სიკვდილისთვის ჩამიხედავს თვალებში, ბევრჯერ შეშინებია და შემდეგ უფრო მეტად დამიფასებია სიცოცხლე. ჩემი ბიოგრაფიის ერთ-ერთი ასეთი დღე (უფრო სწორად, ღამე) 1989 წლის 9 აპრილია. თუმცა 9 აპრილი მაინც განსაკუთრებულია. განსაკუთრებულია იმიტომ, რომ ოცი წლის შემდეგაც კი დეტალურად მახსოვს ის კომმარული ღამე. რუსთაველის პროსპექტზე მომხდარ მოვლენებს აღვწერ ზუსტად ისე, როგორც სინამდვილეში იყო, როგორც ეს მე დავინახე. მაქსიმალურად შევიკავებ თავს შეფასებისგან. „ჩვენი ქვედანაყოფის შსს მე-19 დივიზიის მე-6 პოლკის (სწორედ ასე მოგვიხსენიებდა ჩვენ იმდროინდელი პრესა) ისტორიის ყველაზე მძიმე და სისხლიანი ფურცელი კავკასიას უკავშირდება. ის იქ 1988 წელს გამოჩნდა. თავდაპირველად სუმგაითში ვიყავით მივლინებულნი, სადაც აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის ეთნიკურ ნიადაგზე მოხდა დაპირისპირება, შემდეგ კი ეროვნობის გადაგვიყვანეს. მერე ჩვენი „პოლკი“ სპიტაკში გადაისროლეს. იქ ჩასულელებს საშინელი სურათი დაგვხვდა... 1989 წლის აპრილის დასაწყისში სხვა ქვედანაყოფს უნდა ჩავენაცვლებინეთ, ჩვენ კი რუსეთში უნდა დაბრუნებულიყავით, მაგრამ 7 აპრილს საგანგებო თათბირზე დაგვიბარეს და მოსკოვიდან გამოგზავნილი ბრძანების საფუძველზე გამოგვიცხადეს, რომ სასწრაფოდ უნდა გადავესროლეთ თბილისში...

1989 წლის 9 აპრილის იმ ტრაგიკული ღამიდან უკვე 22 წელი გავიდა. მიუხედავად ამისა, ქართველები მუდამ დიდი გულისტკივილითა და ცრემლმორეული თვალებით ვიხსენებთ ამ საშინელ თარიღსა და დაღუპულ თანამემამულეებს. ვიხსენებთ აგრეთვე იმ საბჭოთა ჯარისკაცებსაც, რომლებმაც ასე უმოწყალოდ დაარბიეს მშვიდობიანი დემონსტრაცია და ვცდილობთ გავიგოთ, თუ რა მიზნები ამოძრავებდათ მათ, რას ფიქრობდნენ, როგორ მოქმედებდნენ და გვებადება კითხვა — ნანობენ? ქვემოთ მოყვანილ სტატიაში გთავაზობთ ნაწყვეტს საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების ყოფილი ოფიცრის — ს. ა. რაზდობრევის მემუარებიდან. მემუარების იმ ნაწილში, რომელსაც მან „თბილისის ღამე“ დაარქვა, დეტალურად აღწერს 1989 წლის 9 აპრილის ღამეს ჩვენს დედაქალაქში დატრიალებულ ტრაგედიას ისე, როგორც ეს დაინახა მან...

მოგვაჯადოვა ამ ქალაქის სილამაზემ, მდინარის პირას, კლდეში ჩაშენებულმა სახლებმა, ეკლესიებმა, ქუჩებმა... თბილისელების დამოკიდებულება ჩვენდამი საკმაოდ არაერთგვაროვანი იყო. ზოგიერთი გვიღიმიოდა და ხელს გვიქნევდა, ნაწილი კი გვიყვიროდა და ხელებით შეურაცხყოფელ უსტებს გვიჩვენებდა. ეს, ალბათ, იმით იყო განპირობებული, რომ ჩვენს ჩასვლამდე ერთი დღით ადრე ქალაქში უკვე გამოეყვანათ ჯავშანტექნიკა, რამაც საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია. მივედით დროებითი დისლოკაციის ადგილზე. ეს იყო არცთუ ისე დიდი სპორტული მოედანი ქალაქის ცენტრში. ჯარისკაცებს მიეცათ დასვენებისა და დანაყრების საშუალება. ლენინაკანიდან წამოსული ძველი ავტობუსები უკან გავაბრუნეთ, სანაცვლოდ კი თბილისის ავტოპარკის ახალი „იკარუსები“ მოგვიყვანეს, რომელთაც ქართველი მძღოლები მართავდნენ. ჩვენი მეთაური, ა.მ. ბაკლანოვი შიშობდა, რომ ქართველი მძღოლები ტრანსპორტირებაზე

უარს იტყოდნენ, ამიტომაც, მათ ჩვენი სამხედროები მიამაგრეს, რომელთათვისაც უნდა ესწავლებინათ ავტობუსის მართვის ნიუანსები. ამის შემდეგ, დაახლოებით დღის 2 საათზე, ოფიცრები საგანგებო თათბირზე დაგვიბარეს. მე, როგორც მუკავშირეს, დამევალა საკავშირო კვანძების მოწყობა და სატელეფონო კავშირის გამართვა. მე და ლეიტენანტმა კონიუნოვმა დაკისრებული მოვალეობა შევასრულეთ, ანტენა სტადიონის ყველაზე მაღალ წერტილზე დავამაგრეთ და ამით კავშირგაბმულობის პრობლემაც მოვაგვარეთ. ამ დროისთვის ÇÆÆÆ-ს შენობაში როდიონოვსა და ეფიმოვთან თათბირზე მყოფი ბაკლანოვიც დაბრუნდა. აღვლევებული ჩანდა. მან სასწრაფოდ დაგვიბარა ოფიცრები და იქვე მდგარ რაფის ტიპის მიკროავტობუსში ჩაგვსხა. ქართველმა მძღოლმა თბილისის ვინრო ქუჩების გავლით მიგვიყვანა ლენინის მოედანზე. ბაკლანოვმა ჩამოსვლა და რუსთაველის პროსპექტზე „გასეირნება“ გვიბრძანა. დაახლოებით საღამოს 7-8 საათზე პროს-

„...ანბისახალმფიოჯარბივი მანიფასტაციის აღკვეთის მიზნით ანონით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელებას, სამეზნაროდ, ადამიანთა მსხვირჯლი მოწყვა. დაიღუპა 16 მოქალაქე. არიან დაზარალებული მათ შორის ბავშვი სამართალდამცავი ნაწილების მოსამსახურენიც...
...მიტირვანიც და მანიფასტაციის მომწყობნი, არაფორმალურ გაერთიანებათა აქსტრემისტო ლიდერები ზირღაჰირ მოუწოდებდნენ ხალისუფლების წარმოადგენელების, სამართალდამცავი ორგანოებისადმი დაუმორჩილებლობისაჰან, სისხლის ძვრისაჰან, არსებული წყობილების დახობისაჰან...“
(საქართველოს ეროვნობის ცეპას, რაჰუბალიანის უმადლასი საბავროს პრეზიდენისა და მინისტრთა საბავროს ცნობიდან)



პექტზე ათასობით დემონსტრანტი იყო და ისინი დაშლას არ აპირებდნენ. მეთაურმა სწრაფად აგვისსა, თუ სად რომელი შენობა მდებარეობდა. დემონსტრანტებს არ გამოჰპარვიათ ჩვენი იქ ყოფნა, ინცინდენტის თავიდან ასაცილებლად სასწრაფოდ მოგვინია პროსპექტის დატოვებამ. ჩვენს რაფს „ჟიგულის“ მარკის წითელი ავტომობილი გამოჰყვა, თუმცა ჩვენმა მძღოლმა მოახერხა მდევრისგან თავის დაღწევა. ბაკლანოვმა შეგვკრიბა ოფიცრები იმპროვიზებულ შტაბში და განგვიმარტა ვითარება: „რუსთაველის გამზირზე 10000-მდე დემონსტრანტია შეკრებილი, რომლებიც საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლასა და ქვეყნის დამოუკიდებლობას მოითხოვენ. ადგილი აქვს ნაციონალისტურ-შოვინისტურ მონოდებებს. დაზვერვის ინფორმაციით, მომიტინგეებს დემონსტრაციის დარბევის შემთხვევაში შეუძლიათ გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ხის ჯოხები, დროშის ტარები, ქვები და ა.შ. ცეცხლსასროლი იარაღი არა აქვთ, თუმცა რამდენიმე დემონსტრანტს ცივი იარაღი ეჭირა. რუსთაველის პროსპექტი და პარალელურ ქუჩებზე გამავალი გზები სატივროთ მანქანებით არის გადაკეტილი. მიტინგი მშვიდობიანი ხასიათისაა და რაიმე სერიოზულ ინცინდენტს ადგილი არ ჰქონია“.

ჩვენი მოქმედების გეგმა კი შემდგენილი იყო: 342-ე სადესანტო ჯარების 200-კაციან ქვედანაყოფს უნდა განედევნა ხალხი მთავრობის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან, ჩვენი პოლკის 400-კაციან ქვედანაყოფს კი ხალხი პროსპექტის სიღრმისკენ უნდა განედევნა და გაეფანტა. ამავე დროს მედესანტებს უნდა გაეთავისუფლებინათ მხატვართა სახლი, რომელიც დემონსტრანტებს ჰქონდათ დაკავებული. ომონელებს უნდა გადაეკეცათ პარალელურ ქუჩებზე გასასვლელი გზები და უზრუნველყოსთ საფილტრაციო პუნქტების ორგანიზება. ამო-

ცანის შესასრულებლად გადმოგვცეს 5 ჯავშანტრანსპორტიორი და სამი სახანძრო მანქანა.

ლამის 12 საათზე ჯარისკაცებს საბრძოლო განგაში გამოვუცხადეთ და მოედანზე მოვანყვეთ. მათ მოკლედ აფუსენით შექმნილი ვითარება და სამოქმედო გეგმა. ბაკლანოვმა გასცა ბრძანება არასანქცირებული დემონსტრაციის დაშლის შესახებ. მე კი ჩემი ჯარისკაცები გავაფრთხილე, რომ არ დაკარგულიყვნენ და ერთმანეთს არ ჩამორჩენოდნენ. ამის შემდეგ გადმოგვცეს შეიარაღება. თითოეულ ჩვენგანს ჰქონდა — პლასტმასის) ფარი, ჯავშანჟილეტი, ხელკეტი და „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი (ბრძანების თანახმად, ეს უკანასკნელი უკიდურეს სიტუაციაში უნდა გამოგვეყენებინა და მომიტინგეთა შესაშინებლად ჰერში გვესროლა) ოფიცრებს კი „ჩერიომუხა 10“-ის ტიპის 5-5 ბალონი დაგვირიგეს.

გამართლდა ბაკლანოვის ვარაუდი, ქართველმა მძღოლებმა უარი თქვეს ჩვენს ნაყვანაზე, ამიტომაც ავტობუსების საჭეს ჯარისკაცები მიუსდნენ და გეზი რუსთაველის პროსპექტისკენ ავიღეთ. ლამის პირველი საათისთვის უკვე ლენინის მოედანზე ვიყავით. აქ უკვე მოეყვანათ სატივროთ მანქანები, ჯავშანტრანსპორტიორები და მედესანტეთა საბრძოლო მანქანები. მედესანტეები უკვე იქ იყვნენ. იქვე იყვნენ მოსკოვიდან ახალჩამოფრენილი ფელიქს დერჟინსკის სახელობის პოლკის ჯარისკაცები. ჩვენდა გასაოცრად, არსად ჩანდნენ ომონელები. როგორც შემდეგ გაირკვა, მათ ტრანსპორტირებაზე ქართველმა მძღოლებმა უარი განაცხადეს, თავად ომონელებმა კი ვერც ავტობუსების მართვა შეძლეს და არც გზა იცოდნენ. მოედნის მარჯვენა კუთხეში, პატარა სკვერში ქართველი მილიციელები იყვნენ შეკრებილი. ეტყობოდათ, რომ დაბნეულები იყვნენ და არ იცოდნენ, რა

ექნათ. ჩვენც ველავდით, ზოგიერთმა ჯარისკაცმა სიგარეტიც გააბოლა, რაც დისციპლინის დარღვევა იყო. შევეცადე, ეს დარღვევა აღმეკვეთა, თუმცა მივხვდი, რომ ეს ნერვების ბრალი იყო და მათთვის ხელი აღარ შემიშლია, საბოლოოდ მეც მოვუკიდე სიგარეტს და მოვლენების განვითარებას დაველოდე. მოედანზე, ლენინის ძეგლის გარშემო ათობით ჯავშანტრანსპორტიორი და სატივროთ მანქანა იდგა. პროსპექტის სიღრმიდან კი ხალხის გუგუნე არ წყდებოდა. ცუდი წინათგრძნობა დამეუფლა. დრო ძალიან გაინელა...

დაახლოებით ლამის 4 საათისთვის, მოულოდნელად მწყობრში მოწყობის ბრძანება გაიცა. მარცხენა და მარჯვენა ფლანგები ჩვენი პოლკის ჯარისკაცებმა დაიკავეს, ცენტრში კი მესანგრეთა ნიჩბებით შეიარაღებული მედესანტეები და დერჟინსკის პოლკის ჯარისკაცები იყვნენ. მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ ჯარისკაცთა რაოდენობა არასაკმარისი იყო, პროსპექტის სიღრმიდან ხალხის ძლიერი გუგუნე კი იმაზე მეტყველებდა, რომ დემონსტრანტთა რაოდენობა ჯარისკაცების რაოდენობას რამდენჯერმე აღემატებოდა. ჩვენ წინ ხუთი ჯავშანტრანსპორტიორი განლაგდა. რუსთაველის პროსპექტიდან უწინდებურად ისმოდა ხალხის გუგუნე. მივიღეთ ბრძანება არასანქცირებული დემონსტრაციის დაშლის შესახებ. ჯარისკაცები დაიძრნენ. ფარებზე ხელკეტების რიტმული ცემით მივიწვევდით წინ.

ჯავშანტრანსპორტიორებმა დემონსტრაცია შუაზე გაყვეს. ხალხმა მათ კორიდორი გაუკეთა. თავდაპირველად უპრობლემოდ მივიწვევდით წინ, ხალხი სტვენით, ტაშის კვრითა და რუსულ-ქართული შეძახილებით შეგვეგება. დემონსტრანტთა ნაწილი ადგილიდან გაცლას ცდილობდა. მოულოდნელად ჯავშანტექნიკასა და ჯარისკაცთა მწკრივს ქვების სეტყვა დაატყდა. უკიდურესად რთულ ვითარებაში აღმოჩნდა მარცხენა ფლანგი. ისინი უშუალო ფიზიკურ კონტაქტში შევიდნენ მომიტინგეებთან. ჩვენს ფლანგზე კი სიტუაციას მეტ-ნაკლებად ვაკონტროლებდით. ხალხი ქვების სროლითა და შეურაცხმყოფელი რეპლიკებით შემოიფარგლებოდა. აშკარა შეიქმნა, რომ ზოგიერთი დემონსტრანტი ნასვამი იყო. მოულოდნელად ბრბომ ერთ-ერთი ჯარისკაცი მწყობრიდან გამოაგდო, ნააქცია და ცემა დაუწყო. ძლივს გამოვგლიჯეთ გამხეცვულ ხალხს ჩვენი თანამებრძოლი ხელიდან და სასწრაფოდ ზურგში გადავიყვანეთ. დემონსტრანტები გააქტიურდნენ მარცხენა ფლანგზეც. ჩვენი მიმართულებით სხვადასხვა საგანს

„მიმდინარე წლის 9 აპრილს, დადაქალაქო დაბრინაუბალი ბრანაღია, ჩვანი ახრით, სვილდაბა ცივილიზაუბალ სახელმნიფოში უნაბართო მიბინგაბის, დამონსტრანტიბისა და მანიფესტაციბის აღსაქვითად გამიზნულ, სამართლის ნორმაბით გათვალისწინებულ დონისქიბათა ფარგლებს, შიბიბას უდანაბაულო ადამიანბის ორგანიზაბული, მასობრივი ხოცვა-ჭლაბის ნიშნაბს განსაუბრებული სისასტიბით. ნა წარმონდგანელაბ აქციაბ გამიბინაბ საყოვალთაო გლოვა და აღშფოთაბა...“

(ინტალიგანციის წარმომადგენელთა მიმართვიდან, რომალსაბ 38 ხელმოწინა აქც)



ისროდნენ. მწყობრი დაიშალა. მედესანტეთა ნაწილმა მთავრობის სასახლეს მოუარა და დემონსტრანტებს ფლანგიდან შეუტია. ჩვენ უკან მომავალმა სახანძრო მანქანების ეკიპაჟის წევრებმა, რომლებიც ქართველები იყვნენ, უარი განაცხადეს წყლის ჭავლის გამოყენებაზე. მედესანტებმა „კუ“-ს სტრატეგიას მიმართეს და ფარებით კედელი შექმნეს, რომლითაც თავს იცავდნენ ქვებისგან. მოულოდნელად მათ მწყობრს მოზრდილი ქვა ესროლეს, რომელმაც ერთ-ერთ მედესანტეს თავი გაუტეხა. დაშავებული სასწრაფოდ გადაიყვანეს სამედიცინო პუნქტში. ლაზარეთის ფუნქციას ავტობუსი ასრულებდა, რომელსაც იმ მომენტისათვის არც ერთი შუშა არ ჰქონდა შერჩენილი, გამზირზე შემადრწუნებელი გუგუნის იდგა. ყველაფერი ეს, შუა საუკუნეების სისხლისმღვრელ

უკიდურესად რთული იყო ვითარება მარცხენა ფლანგზე. ჯარისკაცებსა და მომიტინგეებს შორის გააფთრებული ბრძოლა გაიმართა. საშინელ ღრიანცელში დროდადრო ქალების კვილიც ისმოდა. ზოგიერთი დემონსტრანტის ხელში ნაალაფარი ხელკეტები და ფარები შევნიშნე. მძიმედ დაშავდა მარცხენა ფლანგის მეთაური — ლეიტენანტი მარინინი. მარჯვენა ფლანგზე სიტუაცია კვლავ მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო. ჩვენსა და დემონსტრანტებს შორის 5-10-მეტრიანი დისტანცია იყო. შეგნებულად არ ვიძლეოდი ბრძანებას წინ წაწევის შესახებ, რათა დემონსტრანტთათვის გასაქცევი გზა არ გადაიკეტებოდა და აგრეთვე, მწყობრი არ დაემრღვია, რადგანაც მარცხენა ფლანგი და ცენტრი ვერ დაიშლნოდა. მომიტინგეები არ წყვეტდნენ ქვების სროლას. როგორც შემდეგ

ლამაზ შენობას, სავარაუდოდ მუზეუმს ან თეატრს გავუთანაბრდით. უკან მოვიხედე და ცივმა ოფლმა დამასხა... ზურგში თითქმის არავინ იყო... პარალელური ქუჩები გადაკეტილი არ იყო. შემზარა იმის გაფიქრებამ, თუ რა მოგვივიდოდა იმ შემთხვევაში, თუ დემონსტრანტები პარალელური ქუჩებიდან შემოგვივლიდნენ და ალყაში მოგვაქცევდნენ. დღემდე მიკვირს, თუ რატომ არ მოიქცნენ ასე. თითქმის ნახევარსაათიანი ორომტრიალის შემდეგ, ძლიერ დაღლილნი ვიყავით და გამზირიდან ჩვენი გარეკვა არა მგონია მათთვის დიდი პრობლემა ყოფილიყო. ჩვენ წინ შეკრებილი ასობით დემონსტრანტი კი არ წყვეტდა წინააღმდეგობას. მოულოდნელად, აფეთქების რამდენიმე ხმა გავიგონე, ჩვენმა მწყობრმა რღვევა დაიწყო. შევეცადე მწყობრში მოწყობის ბრძანება გამეცა, მაგრამ ამაოდ. ჰაერი აღარ მეყო, ვიგუდებოდი, ფილტვები საშინელმა სპაზმმა მოიცვა. აქეთ-იქით ვანყდებოდი, რათა ჰაერი ჩამესუნთქა. როგორც იქნა, სუნთქვა აღვიდგინე, მაგრამ ამ დროისთვის ჯარისკაცთა მწყობრი არეული იყო, ხალხიც აღარსად ჩანდა. როგორც შემდეგ გავარკვიეთ, ეს იყო „სი-ეს“-ის ტიპის გაზი, რომელიც K-51 ტიპის ყუმბარაში იყო ჩაწეხილი. ერთ-ერთი მათგანი შემთხვევით ჩვენს მწყობრში ჩავარდა. აი, ასე გამოვცადეთ ჩვენს თავზე ამ საშინელი გაზის მოქმედება...

როდესაც გონს მოვედით, ოფიცრებმა ჩვენ-ჩვენი ჯარისკაცები შეკვრიბეთ. ჩემი ქვედანაყოფის ყველა მებრძოლი ადგილზე იყო... დემონსტრაცია დაგშალეთ, მაგრამ ეს ძვირად დაგვიჯდა. დემონსტრანტთა ნაწილის გააფთრებულმა წინააღმდეგობამ დავალების შესრულება გაგვიძნელა. საერთო ჯამში 12 ჯარისკაცს ჰოსპიტალიზება დასჭირდა, მათგან ოთხის მდგომარეობა მძიმე იყო და მათ ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდათ.

პროსპექტზე დღის 9-10 საათამდე დავრჩით, შემდეგ კი სხვა ქვედანაყოფმა ჩაგვანაცვლა. ჩვენ ისევ დისლოკაციის ადგილს დავუბრუნდით. 11 აპრილს თბილისი დავტოვეთ და განჯაში ჩავვედით, საიდანაც მოსკოვში გადაგვავრინეს.

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ არაერთ ცხელ წერტილსა და სპეცმიკლინებაში (მთიანი ყარაბაღი, ბაქო, აფხაზეთი, ჩრდ. კავკასია) მიმიღია მონაწილეობა. შედეგად მივიღე დანგრეული ოჯახი, მერყეული ჯანმრთელობა და ღამისეული კომპარები“.

■

მოამზადა ვახტანგ შამუგია



პროსპექტზე დღის 9-10 საათამდე დავრჩით, შემდეგ კი სხვა ქვედანაყოფმა ჩაგვანაცვლა

ორთაბრძოლებზე გადაღებულ ფილმს ჰგავდა. ვცდილობდი, ჩემი ჯარისკაცების მწყობრში მოწყობას, რათა უფრო ეფექტურად დაგვეცვა თავი. ძალები აშკარად არათანაბარი იყო, ცოტაც და დემონსტრანტები გაგვთელავდნენ, თუმცა ამ დროს ხალხის მასაში ჩავარდნილი „ჩერიომუხების“ თეთრი შლეიფი შევნიშნე, ამან სიტუაცია ოდნავ შეგვიმსუბუქა, მომიტინგეებმა უკან დაიხიეს. როგორც იქნა, მხატვართა სახლს გავუსწორდით, რომლის აივანზეც „დამოუკიდებელი საქართველოს“ და ამერიკის დროშები იყო გამოფენილი, რამაც ძლიერ გაგვალბიანა. მედესანტებმა, მათი ერთ-ერთი მეთაურის, ა.მ. ზელენკოს წინამძღოლობით, შენობაში შეჭრა სცადეს. გამოსაშურდიას მომხრეებმა, რომლებიც შენობაში იყვნენ, წინააღმდეგობის განევა დააპირეს, მაგრამ ჩვენ მიერ შენობაში შეგდებულმა „ჩერიომუხამ“ ისინი დააფრთხო და გააქცია.

მედესანტებმა აივანიდან გადმოყარეს დროშები, რამაც მებრძოლთა ყიჟინა გამოიწვია და ჩვენი შემართება გააძლიერა.

გავარკვიეთ, დემონსტრაციების დაწყებამდე, საქალაქო სამსახურები პროსპექტზე სატელეფონო მავთულებს ცვლიდნენ. ფილები ამოღებული იყო და აკურატულად ელაგა ტროტუარზე. სწორედ ამიტომ მომიტინგეები „საბრძოლო მასალების“ სიმცირეს არ განიცდიდნენ. ქვების სროლა ჯარისკაცებმაც დაიწყეს, რომლებიც იმ დონეზე იყვნენ გააფთრებული, რომ მათთვის რაიმეს დაშლას აზრი აღარ ჰქონდა. მოულოდნელად, პროსპექტზე სასწრაფო დახმარების მანქანები გამოჩნდა. ერთ-ერთი მათგანი ჩვენკენ გამოემართა და ჯარისკაცთა რიგებში შეიჭრა. რიგითმა ოსიპოვმა ხელკეტით საქარე მინა ჩაამსხვრია, მანქანა გაჩერდა. გაბრაზებულმა მთელი ხმით დავუღრიალე:

— რას შვრები, გაგიჟდი? ეგ ხომ სასწრაფო დახმარების მანქანაა?!

მან კი პასუხად გვერდითა მინაც ჩაამსხვრია და ნიშნის მოგებით მომძახხა:

— ნახე, აქ ვინები ყოფილან!

სალონიდან სპორტული აღნაგობის ოთხი ქართველი მამაკაცი ჩამოვიყვანეთ დავაკავეთ და მილიციას გადავეცით. თანდათან ხალხის მასა უკან იხევდა. დემონსტრანტთა უმეტესობა გაიქცა, ნაწილმა კი თავი პარალელურ ქუჩებს შეაფარა. გამზირზე მხოლოდ აგრესიულად განწყობილი ელემენტები რჩებოდნენ. როგორც იქნა, მწყობრი დალაგდა. ნელ-ნელა წინ მივიწვევდით, თუმცა ქვების სეტყვა მაინც არ წყდებოდა. როგორც იქნა, პროსპექტზე არსებულ ეკლესიას გავცდით და ერთ



პნაბის კვირა და სინედრიონის უღოგალი განაჩენი

შორენა მერკვილაძე

დაცემული ადამიანისთვის ჯერ კიდევ მინიერ სამოთხეში მიცემული ალტემა მხსნელის მოვლინებისა, რომელსაც კაცობრიობა უნდა ეხსნა, ათასწლეულების შემდეგ განკაცებული უფლის ჯვარცმით აღსრულდა და მის ბრწყინვალე მკვდრეთით აღდგომაში გაცხადდა. კიდევ ერთხელ გავისხნოთ ვნების გზა, რომელიც განკაცებულმა უფალმა ადამის მოდგმის სხნისთვის გაიარა...

არქიმანდრიტი ბაქარი აბუსაძე:

— უფალი განკაცა იმისათვის, რათა კაცობრიობა საუკუნო სიკვდილისა და სატანჯველისგან — ჯოჯოხეთისგან ეხსნა. ის ოცდაცამეტწლიანი პერიოდი, რაც მაცხოვარმა ხორციელად იცხოვრა დედამიწაზე, ყოველივე, რაც განკაცებული მხსნელის ამქვეყნად ყოფნასთანაა დაკავშირებული, აღსრულა მხოლოდ დიდი პარასკევისთვის — ჯვარცმისა და აღდგომისთვის, როდესაც მოხდა ცხოველსყოფელი გამოსხნა კაცობრიობისა. მაცხოვრის გამომხსნელი მოღვაწეობის გვირგვინი არის ვნების კვირა, როდესაც აღსრულა უმნიშვნელოვანესი მოვლენები.

ვნების კვირა, ვნების გზა, რომელიც განკაცებული უფლის ჯვარცმით დასრულდა, ფაქტობრივად, დაიწყო მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლით (ეს მოვლენა ხალხში ბზობის დღესასწაულის სახელწოდებითაა ცნობილი). მიუხედავად იმისა, რომ მას დიდებით ეგებებოდა მთელი იერუსალიმი, მაცხოვარმა იცოდა, რომ ამით იწყებოდა მისი სვლა ჯვარცმისაკენ...

როდესაც მოაწია ჯვარცმის პერიოდმა, მაცხოვარი ავიდა იერუსალიმში. ეს მოხდა პასექის წინა პერიოდში. იერუსალიმში შესვლამდე მაცხოვარმა ზეთისხილის მთიდან გადმოხედა იერუსალიმს და თვალზე ცრემლი მოადგა. მანამდე კი წარმოთქვა წინასწარმეტყველება იერუსალიმის დაცემის შესახებ. ვიცით, რომ ეს წინასწარმეტყველება მაცხოვრის ჯვარცმიდან მალევე აღსრულა — საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც აჯანყებული ებრაელების წინააღმდეგ რომაელებმა დამსჯელი ექსპედიცია მოაწყვეს და იერუსალიმი მიწასთან გაასწორეს. უფალმა წინდანინ — სამყაროს გაჩენამდე უწყოდა ყველაფერი, მაგრამ

მისი ცრემლები იყო არა იერუსალიმის შენობების დანგრევის გამო, არამედ იმ სულთა გამო, რომლებიც იქ დაიღუპებოდნენ არა ღვთის ნებით, არამედ თავიანთი უგუნურების გამო, იმის გამო, რომ უფალს განუდგნენ, თავად განკაცებული ღმერთი აცვეს ჯვარს და თავიანთი პირით თქვეს, — სისხლი მაგისი ჩვენს ზედა და შეილთა ჩვენთა ზედა იყოსო. ისტორიკოსები წერენ, რომ იმ დროს, იერუსალიმში 2 მილიონზე მეტი ებრაელი დაიღუპა (იუდეაში მცხოვრებმა ყველა ებრაელმა იერუსალიმში მოიყარა თავი, რადგან ქალაქის კედლების სიმტკიცის იმედი ჰქონდა), მაგრამ არც ერთი მათგანი ქრისტიანი არ ყოფილა. იერუსალიმის იმდროინდელ პატრიარქს უფლისგან ეუწყა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და მან ქრისტიანებთან ერ-

დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა — არ აღმოჩნდა ხორციელი მეფე, როგორსაც ელოდნენ, სულ რამდენიმე დღეში უარყვეს და ერთხმად შესძახეს — „ჯვარს აცვი იგი“... ცხადია, უფალმა უწყოდა, რაც მოხდებოდა, მაგრამ მაინც საჭირო იყო, დიდებით შესულიყო იერუსალიმში, რათა ადამიანებს იმ დროს თუ არა, წლების შემდეგ მაინც გახსნოდათ გონება და შემდგომში საკუთარ გულებში მიეღოთ უფალი დიდებით.

— მაცხოვრის ქადაგებებს ყოველთვის თან სდევდა მწიგნობართა, ფარისეველთა და სჯულისმოდღართა მხრიდან შური და შინაგანი წინააღმდეგობა, მაგრამ მის წინააღმდეგ გამსაკუთრებით, იერუსალიმში დიდებით შესვლის შემდეგ აღიძრნენ. გადანწყვიტეს იესო ქრისტეს ფიზიკურად განადგურება. მათი განზრახვის სისრულეში მოყვანას ხელი შეუწყო მაცხოვრის ერთ-ერთმა მონაწილემ — იუდა ისკარიოტელმა. რატომ დასჭირდა მათ იუდას მოსყიდვა იესოს ხელში ჩასაგდებად?

— მთელი სინედრიონი, ერის მაღალი ფენა მინიერ დიდებაში იყო

„შენ ხარ ქი ღვთისა?“ – ჰაითხა ჯაიფა. „შენ სთქვი“, – მიუგო ახალგაზრდა ჯაცმა... როდესაც მაცხოვრისგან იგივე სიტყვები მოისმინა, შეხადა, იგივე თვალები დაინახა და მიხვდა, რომ მასზე აღესრულა წინასწარმეტყველება

თად, იერუსალიმი დატოვა მანამდე, ვიდრე რომაელები ქალაქს ალყას შემოარტყამდნენ...

ასე და ამგვარად, როცა მაცხოვარი იერუსალიმში შევიდა, მას მთელი ისრაელის ერი ეგებებოდა — გზაზე პალმის რტოებსა და სამოსს უფენდნენ. თან „ოსანას“ გალობით განადიდებდნენ, მაგრამ მათი დიდებით მიგებება არ ეკუთვნოდა მაცხოვარს, როგორც კაცობრიობის სულიერად მხსნელს. იმ პერიოდში, მთელ მსოფლიოში გამაფრთხელი იყო მხსნელის მოლოდინი, თუმცა რჩეული ერის უმეტესობა ელოდა არა ჭეშმარიტ მხსნელს, ზეციურ მეუფეს, რომელიც ცოდვის წყვდიადიდან და საუკუნო წარწყმედისგან იხსნიდა მას, არამედ მინიერ მესიას — მეფეს, რომელიც ებრაელებს რომაელთა ბატონობისგან გაათავისუფლებდა და მთელ მსოფლიოზე გაბატონებდა. მაგრამ როდესაც მან ვერ

ჩაფლული. მათ მაცხოვარში თავიანთი ძალაუფლების დაკარგვის საფრთხეს ხედავდნენ. ადამიანები, როგორც მხსნელს, როგორც დიდ წინასწარმეტყველს აღიარებდნენ, ამიტომ მაცხოვარი დღისით რომ შეეპყროთ, ამას არეულობა და ბუნტი მოჰყვებოდა; ამიტომაც ექებდნენ ისეთ ადამიანს, რომელიც იესო ქრისტესთან დაახლოებული იყო და მას ისეთ დროს გადასცემდა, როდესაც მის გარშემო რაც შეიძლება ნაკლები ხალხი იქნებოდა. ასეთი ადამიანი აღმოჩნდა იუდა ისკარიოტელი. უფალმა იცოდა, რომ მისი გამცემი იუდა იქნებოდა და ბოლომდე ყველაფერს აკეთებდა, რათა მასში სინანული აღეძრა და ყოველივე ელიარებინა... შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ უფალმა იუდა განირა დასალუპავად. არამც და არამც. მას ამ უშიშმესი დანაშაულის ჩადენის შემდეგაც შეეძლო, შეენანებინა უფლის წინაშე და



ერთ-ერთი ღირსეული მონაფეც კი გამხდარიყო (იუდა ჩაიდენდა თუ არა ამ ცოდვას, მაცხოვრის გამომხსნელი მსხვერპლშენიერვა მინც აღესრულებოდა), ისევე, როგორც პეტრე მოციქულის შემთხვევაში მოხდა, რომელმაც ის სამგზის უარყო... იუდას დაღუპვის მიზეზი გახდა არა ის, რომ მან მაცხოვარი გასცა, არამედ მისი ურწმუნოება და უსინანულობა...

როგორც ვიცით, იმ დროს მოახლოებული იყო ებრაელთა პასექის დღესასწაული. იუდეველთა პასექი პარასკევს საღამოს იწყებოდა, მაგრამ ვინაიდან მაცხოვარმა უწყოდა, რომ ამ დროისთვის უკვე აღსრულებული იქნებოდა, მონაფეცს წინდანი განამზადებინა პასექი. ჯერ ყველაფერი, ძველი სჯულისამებრ აღასრულეს. შემდეგ მაცხოვარი წამოდგა, მოიხსნა მოსასხამი, შემოიხვია არდამი და სათითაოდ დაჰბანა ფეხი მოციქულებს. ამით უჩვენა, რომ უმაღლესი თავმდაბლობა არის ქრისტიანობის თავიდათავი, ქრისტიანული სწავლების გვირგვინი... მაცხოვარმა პირველი ზიარების საიდუმლო თვითონ აღასრულა, ამასთან, დაანესა კიდეც...

სერობის დასრულების შემდეგ მაცხოვარმა და მოციქულებმა იგალობეს. შემდეგ გაემართნენ ზეთისხილის მთისკენ... გეთსიმანიისკენ მიმავალი მაცხოვარი ესაუბრებოდა მოციქულებს, განამტკიცებდა და განამდიერებდა მათ რწმენაში... მაცხოვარი მოციქულებსგან მოშორებით ლოცულობდა, მანამდე კი ასე მიმართა, — მწუხარეა ჩემი სული, იყავით აქ და იფხიზლეთ ჩემთან ერთად... მაცხოვარმა უწყის, რომ მოახლოებულია ჟამი და როგორც ადამიანს, მასაც სჭირდება გვერდში დგომა... ლოცვის შემდეგ მოციქულებთან მივიდა, მძინარენი ჰპოვა, გააღვიძა და უთხრა, — იფხიზლეთ და ილოცეთ, რომ არ ჩაცვივდეთ განსაცდელში; სული მხნეა, ხორცი კი — უძლური... გეთსიმანიის ბაღში ლოცვით უფალმა მიგვანიშნა, თუ როგორ უნდა ვილოცოთ, რათა ისე იყოს ყველაფერი, როგორც უფალს ნებაეს...

იუდას ამბორის შემდეგ, მის შესაყრობად მისულთ მაცხოვარი ეკითხება: „ვის ეძებთ?“ — „იესო ნაზარეტელს“, — მიუგებენ ისინი. „მე ვარ“, — პასუხობს უფალი. ისინი ძირს ეცემიან. ეს ორგზის მეორდება. სიტყვებს — „მე ვარ“, მაცხოვარი ახალ აღთქმაში რამდენიმე ადგილას ამბობს და ამას ყოველთვის მოჰყვება ზებუნებრივი ქმედება: როდესაც ღმერთი მოსეს მაცხროვანში გამოეცხადა, მან იკითხა, — ვინ ხარ შენ, უფალო, ჩემო ბატონო? — „მე ვარ“, — გაისმა ხმა მაცხროვანიდან... სწორედ ეს

სიტყვები წარმოთქვა იესომ გეთსიმანიის ბაღშიც და ამ სიტყვების დიდებით წარმოთქმამ შეძრა ადამიანების სული; ისინი ქვეცნობიერად მიხვდნენ, რომ მათ წინაშე ღმერთი იდგა,



ვერ გაუძღეს ღვთაებრივი დიდებით წარმოთქმულ სიტყვებს და წაიქცნენ...

მნიშვნელოვანია ის მომენტიც, როდესაც პეტრე მახვილს იშიშვლებს და ყურს სჭრის მღვდელმთავრის მსახურს; მაცხოვარი აჩერებს მას და ეუბნება, — რომ მიწოდეს, ანგელოზთა ლაშქარი მოვა, მაგრამ ნუთუ არ უნდა შევსვა სასმისი, რომელიც მამამ მომიცაო?..

მოციქულები გარბიან, მაცხოვარს კი შეიპყრობენ და გასასამართლებლად მიჰყავთ.

მღვდელმთავარ კაიაფასთან, იესო ცრუმონებთან დააპირისპირეს, მაგრამ მათი სიტყვები ერთმანეთს არ ემთხვეოდა და ამის გამო ვერანაირი ბრალი ვერ დასდეს. ბოლოს კაიაფამ დაფიცების წესი გამოიყენა და ჰკითხა: „შენ ხარ ქრისტე, ძე კურთხეულისა?“ მაცხოვარმა მიუგო: „შენ სთქვი“ (რაც ნიშნავს — „დიახ, ბატონო“). უმაღლესი მღვდელმთავრის წინაშე ფაქტობრივად, ყოველივე აღიარა. სწორედ ამის შემდეგ, კაიაფამ შესამოსელი შემოიხია, რასაც სჯული კრძალავდა და თქვა: „რალად გვინდა მოწმეები, ხომ მოისმინეთ, ღვთის გმობა მაგისი?“ და მთელმა სინედრიონმა შესძახა: „სიკვდილის ღირსია!“... არსებობს წითელ პარასკევს საკითხავი ხელნაწერი — იაკობ მოციქულის მონათხრო-

ბი ვნების შვიდეულის შესახებ, სადაც გადმოცემულია ასეთი ამბავი: როდესაც კაიაფა ახალგაზრდა იყო, ღმერთს ევედრებოდა, მღვდელმთავარი გაეხადა. მას სიზმარში გამოეცხადა ახალ-

გაზრდა კაცი და აუწყა, რომ ეს ოცნება აუხდებოდა. „შენ ხარ ძე ღვთისა?“ — ჰკითხა კაიაფამ. „შენ სთქვი“, — მიუგო ახალგაზრდა კაცმა... როდესაც მაცხოვრისგან იგივე სიტყვები მოისმინა, შეხედა, იგივე თვალები დაინახა და მიხვდა, რომ მასზე აღესრულა წინასწარმეტყველება. „ნუთუ მართლა ის არის?“ — გაუფლავა გონებაში. ეს აზრი რომ უკუეგდო, სამოსელი შემოიხია, იმის შიშით, რომ დაკარგავდა სიკეთესა და პატივს, სიკეთეს, რომელიც უფალმა მოუვლინა; იქვე განადგო თავისგან და მაცხოვრის სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილება მიიღო...

იუდეველთა მღვდელმთავრები, სინედრიონის წევრები ცდილობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად გამოეცხათ იესოსთვის განაჩენი. საერთოდ, იუდეველთა

სასამართლო პროცესი ზოგჯერ თვობითაც კი გრძელდებოდა, რათა ადამიანის გასამართლების მიზეზი ეპოვათ. მაცხოვრის გასამართლების შემთხვევაში კი ყველაფერი პირიქით მოხდა — მკაცრად დადგენილი წესების დარღვევას არ დაერიდნენ და მიუხედავად იმისა, რომ მისი ბრალულობა ვერ დაამტკიცეს, მაინც გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი. სინედრიონის წევრებს, ებრაული კანონით, მხოლოდ ადამიანის ქვით ჩაქოლვის განაჩენის უფლება ჰქონდათ, მათ კი ყველაზე სამარცხვინო და დამამცირებელი სასჯელით — ჯვარზე გაკვრით სურდათ მაცხოვრის დასჯა. ამგვარი განაჩენის გამოტანა მხოლოდ რომის კანონებით იყო შესაძლებელი, ამიტომაც მიმართეს იუდეის რომაელ მმართველს — პილატეს. ეს ხდებოდა ხუთშაბათს, გვიან ღამით, ასეთ დროს ვერავინ გაბედავდა გამგებელთან მისვლას და ამიტომაც იმ ღამით მაცხოვარი კაიაფას სახლის მახლობლად დილეგში ჩააგდეს. სწორედ ამ დილეგიდან დაიწყო მაცხოვრის სვლა გოლგოთისკენ, გზა, რომელსაც „ვია დელაროსა“ ეწოდა — მაცხოვრის თოთხმეტი შეჩერება არიმათიელის საგვარეულო სამარხში დაფლამდე, სადაც მოხდა მკვდრეთით აღდგომა უფალ იესო ქრისტესი... ■



„გაომცემლობა ჰალიბრა L“-ის ახალი წიგნები



**წარმოდგინა,
რომ ხარ რინდი**
ფორმატი: 25X25
გვ. რაოდ.: 23
ყდა: მაგარი
ფასი: 22.99



წიგნი მამაცი ყმაწვილებისათვის. დაბრუნდი წარსულში და გაიგე ყველაფერი კეთილშობილი რინდების საგმირო საქმეების შესახებ. გაეცანი რინდის ჯოდუქსს. შეიტყვე, როგორ ხდება რინდად კურთხევის ცერემონია, როგორ უნდა იასპარეზოს ტურნირებში და დაიცვას ბრძოლის დროს თავი ჭეშმარიტმა რინდმა.

თვალუბი, ყურები, ცხვირი და ხელი



ფორმატი: 25X25
გვ. რაოდ.: 14
ყდა: მაგარი
გაეცანი მხიარულ ცხოველებს: ვირუქას, გოჭუნას, პატარა ლუქვას და ჯენტრუმა ბატყანს. შეიტყვე როგორ ცხოვრობენ ისინი ერთად.




ფასი: 19.99



ჩემი პირველი დღიური
ფორმატი: 25X26
გვ. რაოდ.: 60
ყდა: ბალიშა
პირველი დღიური დაბადებიდან სკოლამდე უსაყამდე. შეავსეთ ალბომი თქვენი პატარას ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალებით: ფოტოებით, გამოთქმებით, ნახატებით... მრავალი წლის შემდეგ კი ერთად გაიხსენებთ, როგორ დაიწყო ყველაფერი...

სიახლე!

ფასი: 14.99



იყავი ყანადგობი
ფორმატი: 26X28
გვ. რაოდ.: 24
ყდა: მაგარი
ეს წიგნი თქვენს პატარას გულ-სხმიერებას, თანადგომასა და სიკეთის კეთებას ასწავლის. წიგნის წაიკითხვის შემდეგ ისინი თანაგოლების მიმართ უფრო ყურადღებიანები, უფრო მზრუნველები გახდებიან.

სიახლე!

ფასი: 8.99

საოცარი ისტორიები „გალიზა“ წიგნების სერიიდან

3-დან 9 წლამდე

რად აქვს ჯარღელას მოკლე ხელი?



ფორმატი: 16X11
გვ. რაოდ.: 25, მუყაო
ყდა: ბალიშა
თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ ჯარღელას ყოველთვის მოკლე ხელი ჰქონდა. იქნებ, წარსულში მას მელას მსგავსად გრძელი და ფაფუკი ხელი ამშვენებდა? წაიკითხეთ ეს მშვენიერი ზღაპარი და შეიტყობთ, რატომ აქვს ჯარღელას მოკლე ხელი!

სიახლე!

ფასი: 7.99

გიო აფრიკაში



ფორმატი: 16X11
გვ. რაოდ.: 25, მუყაო
ყდა: ბალიშა
წაიკითხეთ ეს წიგნი და იმოგზაურეთ აფრიკაში გიოსთან ერთად. იქ შეხვდებით ტეოპარდს, მაიმუნს, მარმელადის მოყვრულ მარტორქას... გაიცნობთ ზანგების ბელადს... ასე რომ, წინ საინტერესო მოგზაურობა გელით!

სიახლე!

ფასი: 7.99

ჯომბლა



ფორმატი: 16X11
გვ. რაოდ.: 22, მუყაო
ყდა: ბალიშა
ეს შესანიშნავი ქართული ხალხური ზღაპარი მოგიხსნობთ, როგორ ასწავლა ჯომბლემ გაუმადლარ ბატონს ჭკუა და როგორ დაიბრუნა თავისი ჭრულა.

სიახლე!

ფასი: 7.99

ხაჭაპური



ფორმატი: 16X11
გვ. რაოდ.: 22, მუყაო
ყდა: ბალიშა
წაიკითხეთ მხიარული ლექსი მარჯვე ბაჭიხზე და გაიგეთ, რა გადახდა მას თავისი დღეობის სამზადისში.

სიახლე!

ფასი: 7.99

შეიძინეთ წიგნის პალახიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნაგების გარეშე

ბელ.: 38 26 73; 38 26 74

www.elva.ge





დოდო ხურცილავა: „ანა კარენინას ვგავარ“

„ამ რუბრიკაში სტუმრობა გამბედაობას მოითხოვს, შეიძლება კონკრეტულ კითხვაზე პასუხი იცოდეს, მაგრამ ვერ გაიხსენო. ქართველი ადამიანისთვის ეს ცოტა უხერხულია, რუსები კი — არად დაგიდევინ“, — მითხრა „დღის შოუს“ წამყვანმა დოდო ხურცილავამ, როცა მას შინ ინტერვიუს ჩასაწერად ვესტუმრე. თურმე 3 წლისაც კი არ იყო, როცა ბებიას სთხოვდა, ზღაპრები წაეკითხა, — „ტახტზე გვერდით მივუსკუბდებოდი და ინტერესით ვუსმენდი, ზოგჯერ მეტყვოდა, ბებო, დავიღალეო, კიდევ, კიდევ წამიკითხე-მეთქი, არ ვეშვებოდი“. საოცრად მშვიდი და დამჯერი ბავშვი იყო. სანამ სკოლაში არ დაიწყო სიარული, მანამდე წერა-კითხვა არ ასწავლეს, შიშობდნენ, მერე სწავლისადმი ინტერესი არ დაეკარგა. ლექსებს ზეპირად ვერ იმასსოფრებს, სამაგიეროდ შეუძლია, პროზიდან ესა თუ ის მონაკვეთი თითქმის ზეპირად გაიმეოროს, 13 წლის ასაკში წაკითხული წიგნების გმირები და ტექსტი დღემდე კარგად ასსოვს.

თამუნა კვინიკაძე

პრაქტიკული

- ამჟამად რას კითხულობთ?
- გოდერძი ჩოხელის „სულითის კიდობანს“.
- რომელმა ნაწარმოებმა მოახდინა თქვენზე

წარუშლელი შთაბეჭდილება?

— ბავშვობაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ანდერსენის ზღაპრებმა. მოგვიანებით წიგნისადმი ჩემი დამოკიდებულება ვაჟა-ფშაველამ კიდევ უფრო გააღრმავა. განა შეიძლება, „შვლის ნუკრის ნაამბობი“ ემოციის გარეშე წაკითხოს?

— წიგნის კითხვის დროს გიტრიათ?

— რამდენჯერაც გინდა. დღემდე მომყვება ის ემოცია, რომელიც ჩემში „დონ-კიხოტმა“ გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ წაკითხვა ცოტა გამიჭირდა. მთავარია, გმირისადმი დამოკიდებულება გაგიჩნდეს. დონ-კიხოტი გიგანტია, თავისი სულიერი თვისებებით, ადამიანობით.

— მასთან იმეგობრებდით?

— მასთან მეგობრობა სარისკოა: შესაძლოა რთულ სიტუაციაშიც აღმოჩნდეს. ყველაფრის მიუხედავად, მაინც ვიმეგობრებდი, მისი სანჩო პანსა ვიქნებოდი.

— თავად რომელ პერსონაჟს ჰგავხართ?

— რომელს? ამაზე არასდროს მიფიქრია. ცხოვრებისადმი დამოკიდებულებით, შეიძლება ითქვას, ცოტათი ანა კარენინას ვგავარ, მაგრამ ანა ჩემზე მეტად გაბედულია.

— მისი ფერები ყოველთვის ერთი თანამიმდევრობით ლაგდება: წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი და იისფერი; რაზეა ლაპარაკი?

— ცისარტყელაზე.

— ამ ცხოველის სმენა ადამიანისაზე 4-ჯერ ძლიერია, ხოლო ყნოსვა — 37-ჯერ. რომელ ცხოველზეა ლაპარაკი?

— გარეულია თუ შინაური?

— შინაური.

— მაშინ ძალი იქნება.

— ნამდვილად ასეა. ახლა ერთ გამოცანას გეტყვით, ქალი და კაცი გზაზე მიდიან, მათ ვიღაც დაემგზავრება და პკითხავს, თქვენ ერთმანეთის რა ხართ? ქალი უპასუხებს, — ამ კაცის დედა ჩემი დედის დედამთილიაო. გამოიცანით, ვინ არიან ერთმანეთისთვის ქალი და კაცი?

— რაო, რაო, როგორ თქვი? (კითხვის გამეორების შემდეგ) და-შმანი გამოდიან, არა?

— ცდებით.

— ტვინი ამერიკა, აბა, რა გამოდიან — ცოლ-ქმარი?

— ისინი მამა-შვილი არიან. სად მდებარეობს კუნძუ-

„იმ დაუნახულ ხაცს ისე ჩავესკვინი, ხელიდან ძლივს გამოგლიჯას“

ლი როდოსი, სადაც ცნობილი საოცრება მდებარეობდა?

- ეგეოსის ზღვაში.
- რომელ დარგში არ გაიცემა ნობელის პრემია?
- დარგს ველარ ვისხენებ, მაგრამ ვიცი, რატომ არ გაიცემა, ნობელს საყვარელი ქალი წაართვა ადამიანმა, რომელიც ამ პროფესიის იყო (ფიქრობს). მათემატიკოსი ხომ არა?
- გამოიცანით. რა ჰქვია მწერის შვილს?
- სასაცილო სახელი ჰქვია, მგონი, ჩოჩორს ეძახიან.
- სწორი პასუხია — მუტრუკი.
- (იკინის) მართალია, ველარ გაეხსენე.
- რომელი რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი?
- ქუთაისთან ახლოს.
- უფრო კონკრეტულად?
- წყალტუბოს რაიონს უნდა ეკუთვნოდეს.
- „39 საფეხური“, „რუბეჯა“, „ჩიტები“, „ადამიანი, რომელმაც ზედმეტად ბევრი იცოდა“, „ფსიქო“ — ვინ არის ამ ფილმების რეჟისორი?
- ვერ გიპასუხებ.
- მიგანიშნებთ, ეს რეჟისორი ლონდონიდან იყო.
- ალფრედ ჰიჩკოკი, „ჩიტების“ სცენებზე უნდა მივმხვდარიყავი.

— იმ დღეს, როცა მწერალთა სახლიდან შალვა დადიანის ცხედარი გამოასვენეს, ერთი პოეტის ცხედარი დაასვენეს. დაასახელეთ ეს პოეტი.

— ვერ დავასახელებ, რადგან არ მასსოვს, რომელ წელს გარდაიცვალა შალვა დადიანი.

— გალაკტიონ ტაბიძე, რომელ სოფელში დაიბადა იგი?

— ვანის რაიონში, სოფლის სახელი დამავიწყდა.

— ჭყვიშში. „ქვეყნის სიყვარულს საყველბუროდ და საარშიყოდ ნუ გაიხდით, სამშობლო როსკობი ქალი არაა, მთვრალს რომ მოგენატრება და მაშინ გაიხსენებ, სამშობლო ტაძარია სალოცავი, მუხლზე დამოქალი უნდა იდგე მის საკურთხეველთან“, — რომელი მწერალია ამ სიტყვების ავტორი?

— ნოდარ დუმბაძე.

— რომელ ფრინველს აქვს ყირაფზე მეტი კისრის მაღა?

— კოლიბრის ხომ არა?

— ბელურას. ამერიკაში მის სახელს 7 მთა, 8 მდინარე და უამრავი დასახლებული პუნქტი ატარებს. ვის სახელს?

— ვაშინგტონის, აბა, სხვა ვინ იქნება?



— გამოიცანით. „ნუ ხარჯავ ამდენ ძალისხმევას, ყველაფერი საუკეთესო მოულოდნელად ხდება“, — ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?

- არ ვიცი.
- მარკესი. ეთანხმებით?
- დიას.
- თქვენს ცხოვრებაში ყოფილა ასეთი მომენტი?
- რა თქმა უნდა, თუნდაც მაშინ, როცა ტელევიზიიდან დამირეკეს და მითხრეს, — „დღის შოუსთვის“ წამყვანების კასტინგს ვატარებთ და მობრძანდითო, მერე დამირეკეს და მაცნობეს, — ერთ-ერთ წამყვანად შეგარჩიეთო. ეს ყველაფერი ჩემთვის მოულოდნელი იყო.

- რა პქვია ვაშლის არაყს?
- სიდრი.
- სიდრი ლენოა.
- აბა, კალვადოსი?

— რა თქმა უნდა. საფრანგეთის ამ პრეზიდენტს 30-ჯერ დაესხნენ თავს, მაგრამ ტერორისტებს ყოველთვის ხელი მოეცარათ. რომელი პრეზიდენტი განიცდიდა გაუმდებულ თავდასხმებს?

- შარლ დე გოლი.
- რა ერქვა თავდაპირველად შექსპირის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ტრაგედიას „რომეო და ჯულიეტა“?

— „ჯულიეტა და რომეო“, მაგრამ თავდაპირველად ჯულიეტას იუღია ერქვა.

- რამდენ ხანს გრძელდებოდა ტროას ომი?
- 10 წელი.
- რომელ ნაწარმოებშია აღწერილი ბოლო 54 დღე?

— პომპროსის „ილიადაში“.

- „ქალის არ მესმის/ (ვზორგავ და ვხვნივში) — რამდენი გესლი მქონა წყნში“ — დასახელები ავტორი.
- ვერ გიპასუხებ. საერთოდ, ლექსებს ვერ ვიმახსოვრებ.
- ნიკო გომელაურს ეკუთვნის. დასახელები ინდოეთის ძველი სამეფო, რომელიც მატყლის მსუბუქ ქსოვილის წარმოებით იყო ცნობილი.

- ქაშმირი.
- სად არის დაკრძალული ალექსანდრე ქაჭავაძე?
- წინანდალში.
- დარწმუნებული ხართ?
- არა, არა შუამთის მონასტერშია.

— რას აკეთებდა ბალზაკი, როცა საკუთარ თავზე ლაპარაკობდა?

- არ ვიცი და მინტერესებს.
- გენიალური ადამიანებისადმი პატივისცემის ნიშნად, ქუდს ისდიდა.
- უცნაური ჩვეულება ჰქონია.

— რომელია სმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანის დამაკავშირებელი სრუტე?

- გიბრალტარის.
- ძველ რომში ის გვარი იყო, დღეს კი ქველმოქმედ ადამიანს უწოდებენ.
- მეცენატს გულისხმობ?

— დიას. 7 საოცრებდან ერთ-ერთი — არტემიდეს ტაძარი ამ ადამიანმა დაწვა, მისი მიზანი იყო, სახელი მოეხვეჭა, მაგრამ კანონის ძალით, ვინც მის სახელს ასხენებდა, სიკვდილით ისჯებოდა. მიუხედავად ამისა, ისტორიამ მისი სახელი მანც შემოგვინახა.

- ჰეროსტრატე.
- ძველ ბერძნულ მითოლოგიაში არის ქალღმერთი თემიდა; რომელი ქალღმერთი შეესაბამება მას რომაულ მითოლოგიაში?

- მინერვა.
- ცდებით.
- მართალია, მინერვა გონიერების ღმერთია. დასაშუა კითხვაზე პასუხი არ მაქვს.

— იუსტიცია. თავდაპირველი მნიშვნელობით ეს ტერმინი ტყავის ტომარას ნიშნავდა, ინგლისის საზღვის კანცლერი ქვეყნის პარლამენტის წინაშე, მოსალოდნელი შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მოხსენების დროს, ამ ტყავის ტომარით ხელში წარდგებოდა. მასში საფინანსო დოკუმენტები ეწყობო. დროთა განმავლობაში ამ სიტყვამ თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგა და დამკვიდრდა, როგორც ქვეყნის მთავარი საფინანსო დოკუმენტის აღმნიშვნელი ტერმინი. რომელ ტერმინზე ლაპარაკი?

- ბიუჯეტი.
- რა გვარი იყო ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი ნაწარმოების გმირი ჯოჯოლა?

— (ფიქრობს) ალხასტაისძე.

- ის მეტალეს შორის ყველაზე უფრო წელვადი და ქუდადია. O, გრამი შეიძლება დაიჭიმოს 261 მეტრი სიგრძის უწიროლეს მავთულად, ბუნებაში უმეტესად თვითნაბადი სახით გვხვდება. რომელ მეტალზე ლაპარაკი?
- არ ვიცი.

— ოქროზე დასახელები ცნობილი ლიტერატურული პერსონაჟი, რომელიც კონოში იმედა კაზანმა, ხოლო თეატრში გოგი გვეჯეკო რმა განასახერა.

- ა! მივხვდი, პლატონ სამანიშვილზეა ლაპარაკი.
- მელანქოლიკი, ფლეგმატიკი, ქოლერიკი — რომელია ტემპერამენტის მეოთხე ტიპი?
- არ მახსოვს.
- სანგვინიკი.

- მართალია, ნერვიული ადამიანების ტიპია.
- თავად რომელი უფრო ხართ?
- მელანქოლიკი არა ვარ, არც — სანგვინიკი, დანარჩენ ორს შუა ვარ გაჭედელი (იციანის).

— ბოლო პერიოდში ევგუპტის პირამიდებს ტურისტები სგან დიდი საფრთხე დაემუქრა, თითოეული მათგანი ცდილობს, პირამიდის ნატეხი სახლში სამახსოვროდ წაიღოს. რა მოიმოქმედა ევგუპტის მთავრობამ ამის საწინააღმდეგოდ?


- ყოველდღიურად სატვირთო მანქანებით მიაქვთ ქვა-ლორლი და ყრიან.
- ევგუპტეში ახლახან იყავით, როგორი შთაბეჭდილებით დაბრუნდით?

— ბევრად შთაბეჭდავი აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა. იქ მოგზაურობამ განმამტკიცა იმის რწმენა, რომ ის ადამიანები, ვინც პირამიდების მშენებლობას უკვეთდნენ, თავს მართლა ღმერთებად მიიჩნევდნენ.

- აქლემით გასეირნება მოგწონათ?
- შექმნიდა, თან მოუხერხებელი უნაგირებიც ჰქონდათ, თავიდან „ვიტრიბაჟი“, — მირჩენია, მარტო დავჯდუ, მაგ კაცს არ ჩავეხვევი-მეთქი, მაგრამ მერე შევკრთი. აქლემმა დაჯდომა რომ დაინყო, იმ დანუნებულ კაცს ისე ჩავესკვინი, ხელიდან ძლივს გამოგლიჯეს (იციანის). ამ ყველაფერზე ვანო ჯავახიშვილმა ისუმრა, — ის აქლემი, რომელზეც დოდოშკა იჯდა, მომკვდარაო. ძალიან ბევრი ვიცინე.

— დაბოლოს, დაასრულეთ ჩერჩილის ცნობილი გამონათქვამი: „ცხოვრების უდიდესი გაკვეთილია, იცოდე, რომ ხანდახან გიჟიც კი...“

- „...გიჟიც კი მართალია“.



გზაში საკითხავი კოლაჟი

ჰელენი ჯონსონი ივანოვიჩი

1. რუსა | ურარტუს მეფე იყო.
2. კუსკოკუიმი მდინარეა ალასკაზე.
3. ოქტოფობია რვა რიცხვის შიშია.
4. ოქრუაშვილები სოფელია ხულოს რაიონში.
5. კუნძულ ლესბოს ნალის მოყვანილობა აქვს.
6. აზაგი სნებისა და სიკვდილის ღმერთია შუმერთა მითოლოგიაში.
7. ელიზაბეტ ტელიორი პირველად 9 წლის ასაკში გადაიღეს კინოში.
8. ლელოს ბურთი მატყლით იყო გამოტენილი და სამ კილოგრამამდე იწონიდა.
9. „ვ სერდცე გნევა — აბიდა, ა ვ სერდცე აბიდი — ლიუბოვ“, — ამბობენ რუსები.
10. ადგილობრივ მოსახლეობას მონტე-კარლოს კაზინოებში თამაშს კანონი უკრძალავს.
11. კურსივი სასტამბო შრიფტია, რომელიც მარჯვნივ არის გადახრილი და ხელით ნაწერს წააგავს.
12. დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოში სულ 15 მოქმედი ეკლესია და 30 სასულიერო პირი იყო დარჩენილი.
13. „არაბეთში თუ სიტუაცია არ დარეგულირდა, ავტომობილის ავზის გამართვა ფრანგული სუნამოთი უფრო იადვი დაჯდება, ვიდრე ბენზინით“, — წუხან პოლიტოლოგები.
14. კარლო საკანდელიძემ მულტიპლიკაციურ ფილმში „წუნა და წრუნუნა“ წრუნუნა გაახმოვანა, „კომბლეში“ — მოურავი, „სიზმარაში“ — ძილის მინისტრი.
15. ერთი პერიოდი, როცა რამაზ ჩხიკვაძე ავადმყოფობდა, „კავკასიურ ცარცის წრეში“ აზდავის როლს მის ნაცვლად ეროსი მანჯგალაძე თამაშობდა.
16. 1814 წელს ლონდონში ერთ-ერთ ლუდის სახარში ქარხანაში ლუდით სავსე უზარმაზარი ავზი გასკდა, რის შედეგადაც დაღვრილმა 600 ათასმა ლიტრმა ლუდმა 7 მეტრის სიღრმის მორევი წარმოქმნა და 8 ადამიანი დაახრჩო. ლონდონელებმა, ვისაც ტრაგედია პირადად არ შეხებია, დრო იხელთეს და ლუდით გაასვსეს ყველანაირი ჭურჭელი, რაც კი სახლში მოეპოვებოდათ. ამ ტრაგედიის მეცხრე მსხვერპლი გახდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ ლოთობისაგან გარდაიცვალა.
17. კანადელი ადვოკატი ჰარი ჰოი იმით ირთობდა თავს, რომ ცათამბვჯენის 25-ე სართულზე მდებარე ოფისში მყოფი, მთელი ძალით გაექანებოდა და კოლეგების გულის გასახეთქად სხულის

ბეჯითი ქალი თუ ნიჭიერი მამბბბბბ?



ქალი უფრო ხელმარჯვეა, ვიდრე მამაკაცი

სადავო არ უნდა იყოს, რომ ქალები ხელმარჯვეობით გამოირჩევიან და ადვილად მანიპულირებენ თვით ყველაზე პატარა საგნებითაც კი. ამ უნარს ქალის ორგანიზმში ესტროგენის ჰორმონის სიჭარბე განაპირობებს. ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ქალები, დროის უმეტეს ნაწილს კენკროვანი ხილის შეგროვებაში ატარებდნენ. ხელმარჯვეობა, როგორც ბუნებრივი, ასევე ისტორიულად შექმნილი თვისებაა და ქალის მომხიბვლელობას კიდევ უფრო უსვამს ხაზს.

ქალს უკეთესი სმენა აქვთ

გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ქალები მამაკაცებთან შედარებით უკეთესი სმენით გამოირჩევიან. გარდა ამისა, ისინი თურმე ექვსჯერ უფრო მეტად მუსიკალურები არიან, ვიდრე მამაკაცები.

ქალი უკეთესი სეკსუალი, ვიდრე მამაკაცი

ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ მათ გაცილებით უკეთესი კოორდინაციის უნარი აქვთ.

ქალი არ დაიბნევა

ქალის ორგანიზმში ბუნებრივად მდიდარია რეზერვებით, რომლებიც მას სხეულის გამოფიტვისა და ავითამინოზისგან იცავს. რა თქმა უნდა, ამას უარყოფითი მხარეც აქვს: გააჭარბებული საკვების მიღების

შემთხვევაში, ქალი გაცილებით იოლად იმატებს წონაში.

ქალი უფრო დაკვირვებული და ყურადღებიანი

ქალებს ნიუანსების დამახსოვრების გამორჩეული უნარი აქვთ. ამას პოლიციელებიც ადასტურებენ: მათ მოწმებთან ურთიერთობისას ერთი საინტერესო რამ დაასვენეს — ქალები საოცარი სიზუსტით იმახსოვრებენ ისეთ დეტალებს, როგორც არის თმის ფერი, წონა და სიმაღლე.

ქალი სექსში უფრო

სტაბილურია, ვიდრე მამაკაცი

ცნობილია, რომ თუ მამაკაცი თავისი სექსუალურობის პიკს 20-25 წლის ასაკში აღწევს, ქალი ამ მხრივ „წინსვლას“ 35-40 წლამდე აგრძელებს. ამასთანავე, ის გაცილებით სტაბილური პარტნიორია, ვიდრე მამაკაცი.

ქალს გასილხებით ნაკლები უბედური შემთხვევა მოსდით

მამაკაცები 3-ჯერ უფრო ხშირად ილუპებიან უბედური შემთხვევის გამო, ვიდრე ქალები. ამის მიზეზი (გარდა იმისა, რომ ბიჭები უფრო რისკიან და სახიფათო სპორტის სახეობას და საქმიანობას ირჩევენ) ის გახლავთ, რომ ტესტოსტერონის მომეტებული გამოშვების შედეგად ძლიერი სქესის აგრესიულობა იზრდება. ამასთანავე, ქალებს, მამაკაცებისგან განსხვავებით, გამაფრთხილებელი აქვთ თავდაცვის ინსტინქტი.

ქალაქს უკეთესი ორიენტაციის
უნარი აქვთ

აბა, სცადეთ და სთხოვეთ თქვენს მეგობარ ბიჭს, დახუჭოს თვალები და ისე გიჩვენოთ, საით არის ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი. ნუ გაგიკვირდებათ, თუ იგი უშეცდომოდ გიპასუხებთ. მაგრამ სადმე თუ დაიკარგებით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ — სწორედ თქვენ იქნებით ის, ვინც გზას უშეცდომოდ გაიგნებს. ექსპერტები ამბობენ, რომ ქალს ისტორიულად მოსდევს ადგილის დამახსოვრების უნარი.

ქალაქი უკეთესი ფინანსური
მენეჯერები არიან

უცხოეთში ის საინიციატივო ჯგუფები, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ, წელიწადში საშუალოდ 21,3% მოგებას იღებენ, მაშინ, როცა მამაკაცები, დროის ამავე მონაკვეთში მოგების მხოლოდ 15%-ს აღწევენ. აღმოჩნდა, რომ ხელმძღვანელი ქალები უფრო ფრთხილად გარიგებების დროს, მამაკაცები კი ხშირად მიდიან გაუმართლებელ რისკზე. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ქალებს ერთი საინტერესო თავისებურებაც ახასიათებთ: ვიდრე სერიოზულ გადაწყვეტილებას მიიღებენ, საგულდაგულოდ აგროვებენ ინფორმაციას ბიზნესპარტნიორის შესახებ. გარდა ამისა, ისინი მამაკაცებზე უკეთ ახერხებენ ბიზნესპარტნიორებთან, კონსულტანტებთან თუ თანამშრომლებთან კარ-

გი ურთიერთობის შენარჩუნებას, რაც საქმეში წაადგებათ კიდევ.

ქალაქი უფრო ვერბალური
არაა

საგანგებო ტესტებმა ცხადყო, რომ მეტყველების უნართა და ეფექტურობით, როგორც წესი, გოგონები ბიჭებს სჯობნიან. ამის მიზეზი ისევე და ისევე ესტროგენის სიჭარბეა, რომელიც თურმე ნეირონებს შორის ინფორმაციის გადაცემას უწყობს ხელს, რაც საბოლოო ჯამში, ქალს უფრო ვერბალურს ხდის.

ქალაქს უკეთესი
მხედველობა აქვთ

ქალის თვალის გუგებზე დაკვირვების მიხედვით, სპეციალისტებმა ერთი საინტერესო დასკვნა გააკეთეს: თურმე, ქალს, მამაკაცზე უკეთესი პერიფერიული მხედველობა ჰქონია. ეს ნიჭი მას ხელს უწყობს ადამიანის შეცნობაში და მნიშვნელოვან არავერბალურ ინფორმაციას აწვდის.

ქალი უფრო ბავშვითაა

დააკვირდით, როგორ მუშაობს მამაკაცი — ცოტას ნაიმუშავეს და უკვე წახემსება ან ლუდით გაგრილებაც მოუნდება; ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდება... ქალი კი საქმეს მუყაითად ასრულებს და ამ სიბეჯითის წყალობით, ზარმაც, მაგრამ მასზე ნიჭიერ მამაკაცზე მეტ წარმატებას აღწევს

კვარცხის სალათა

დასალად საჭიროა:

- 10 კვერცხი;
- 1 ჩ/კ უცხო სუნელი;
- 2 ცალი სტაფილო;
- 2 ცალი ბოლოკი;
- 1 კონა მწვანე სალათა;
- 1 კონა კამა;
- 1 კონა ოხრახუმი;
- 200 გ მაიონეზი;
- შავი პილპილი, მარილი გემოვნებით.



მომზადების წესი:

მოსარმული კვერცხი დაჭერით 4 ნაწილად. შეურიეთ გახეხილი სტაფილო, ბოლოკი, წვრილად დაჭრილი ხახვი, კამა, ოხრახუმი, უცხო სუნელი, მარილი, მაიონეზი და კარგად აურიეთ. თევშზე დააწყვეთ სალათის ფოთლები, დაადეთ გამზადებული სალათა და ზემოდან ბადისებურად მოასხით მაიონეზი.

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

გზავი საკითხავი
კოლაქი

ქემლეჩელი თემურ ივანიძე

ასკდებოდა ფანჯრის სველ შუშას. ეს მისი საყვარელი ხუმრობა იყო. იღბალმა არაერთხელ დაინდო უგუნური იურისტი, მაგრამ ერთხელაც, 1993 წლის 9 ივნისს, როცა პოიმ ფანჯრის მინაზე მორიგი იერიში მიიტანა, ჩარჩომ ვეღარ გაუძლო, ბუდიდან ამოვარდა და თავზე ხელაღებულ ადვოკატთან ერთად ასფალტზე დაეწარცხა. ამ უბედურებას ისიც დაერთო, რომ იმ დღეს საადვოკატო კანტორამ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა და პოლიციამ, რომელმაც არ ირწმუნა „სულელური ხუმრობის“ ფრსია, მკაცრი დაკითხვა მოუწყო პოის კოლეგებს.

18. რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირველი ხომალდი „ორიონი“ რუსეთის მეფე ალექსეი მიხაილოვიჩმა 1668 წელს ჰოლანდიელ ინჟინერ დავიდ ბუტლერს ააგებინა. მშენებლობის დასასრულს დადგა საკითხი, რომელი დროშა უნდა აეფრიალებინათ ხომალდზე, რადგან იმ დროისათვის რუსეთს დროშა საერთოდ არ ჰქონდა. მეფემ ბუტლერს ჰკითხა რჩევა. ჰოლანდიელმა ინჟინერმა უთხრა, ჩემს სამშობლოში სამფეოვან დროშას აღმართავენ, ნითელი, თეთრი და ლურჯი ზოლებითო (ჰოლანდიის დროშა დღესაც ასეთია). რუსეთის მეფემაც იგივე ფერები აირჩია, შეცვალა მხოლოდ განლაგება — თეთრი, ლურჯი და ნითელი. P.S. რუსეთის დროშის ფერებთან დაკავშირებით დღესაც არავითარი ოფიციალური განმარტება არ არსებობს.

19. ერთხელ ქუჩაში მეგობრებთან მდგომ პაოლო იაშვილთან მათხოვარი, ვინმე კაჩერგა მივიდა და მოწყალება სთხოვა. პაოლოსა და მის მეგობრებს ფული არ აღმოაჩნდათ. პოეტმა ქუდი მოიხადა და კაჩერგასთან ერთად დაიწყო მათხოვრობა. პაოლოს მთელი ქალაქი იცნობდა და ოც წუთში იმდენი ფული მოაგროვა, რომ მათხოვარსაც აჩუქა და მასა და მის ამხანაგებსაც დარჩათ დუქანში შესასვლელად.

20. ერთხელ ჯანსუღ ჩარკვიანი ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მკვლევართა კომისიაში შეიყვანეს, რომელიც პუტის მკვლელობის გარემოებებსაც იძიებდა. ბატონ ჯანსუღს რა მოასვენებდა, მაშინვე გამოაცხო ექსპრომტად: „ეს ჩვენი დიდი ილია ფილიპეს დაბრედილია!“ დამფრთხალმა კომისიის წევრებმა პოეტს უსაყვედურეს, როდის უნდა დასერიოზულდყო? ჯანსუღმა გაიცინა და კვლავ ექსპრომტი გამოაცხო: „უარჯყავ იგი ქილიკი, წელან რომ ჩაიჭილიკვ, უკუღმა არის, პირიქით, ილიამ მოკლა ფილიპე!“



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარბიიშვილი

გამწვავებები გაზაფხულზე

დასაწყისი ნინო ნომერში

ბრონქული ასთმა

გაზაფხულზე გარემოში ალერგენები (ყვავილების მტვერი) მატულობს. სწორედ ეს უკანასკნელია ბრონქული ასთმის შეტევების გახშირების მიზეზი.

ბრონქული ასთმა ქრონიკული ანთებითი დაავადებაა, რომლის დროსაც პერიოდულად აღმოცენდება ქოშინი ამოსუნთქვის ფაზაში, შეტევითი ხველა, მსტვენი ხიხინი, ჰაერის უკმარისობის შეგრძნება. როცა ასთმა კონტროლდება, შეტევების რიცხვი მინიმალურია. ასთმის გამწვავებისას ქოშინის შეტევა ხშირდება, მათი კუპირება უფრო რთული ხდება. ამჟამად ბრონქული ასთმით დაავადებულ ბევრ პაციენტს აქვს ინდივიდუალური პიკოლოუმეტრი — ხელსაწყო, რომელიც საშუალებას აძლევს, მიიღოს ობიექტური, ციფრებით გამოხატული ინფორმაცია საკუთარი ბრონქების მდგომარეობის შესახებ და საჭიროებისას, დროულად, მძიმე შეტევის აღმოცენებამდე მიმართოს ექიმს. დღეს ის ისევე აუცილებელია ბრონქული ასთმის კონტროლისთვის, როგორც წნევის აპარატი ჰიპერტენზიის დროს.



დასვა

აუცილებელია ექიმთან ვიზიტი. გამოიყენება სწრაფად მოქმედი მედიკამენტები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია შეტევის მოხსნა და გრძელვადიანი პრევენციული მედიკამენტები, რომლებიც პაციენტს ასთმის შეტევის განვითარებისგან იცავს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბრონქული ასთმის ხანგრძლივი კონტროლი სწრაფად მოქმედი, შეტევის მოსახსნელად რეკომენდებული მედიკამენტებით შეუძლებელია — ბრონქებში მიმდინარე ანთებაზე ისინი გავლენას ვერ ახდენს.

დღეს ანთების საწინააღმდეგო ყვე-

ლაზე ეფექტურ საშუალებებად კორტიკოსტეროიდები მიიჩნევა. პაციენტები ხშირად ამ ჯგუფის პრეპარატებს უფრო ზოგადი სახელწოდებით — ჰორმონებად იხსენიებენ. ხანგრძლივი მკურნალობისთვის უპირატესობა ენიჭება კორტიკოსტეროიდების საინჰალაციო (შესასუნთქ) ფორმებს. ინჰალაციის ანუ ჩასუნთქვისას პრეპარატი ჩადის უშუალოდ ბრონქებში, ანუ იქ, სადაც საჭიროა მისი მოქმედება. ამ გზით მიღებისას გვერდითი ეფექტები გაცილებით ნაკლებია. გარდა ამისა, მცირდება ტაბლეტირებული ჰორმონებით ხანგრძლივი მკურნალობის აუცილებლობა.

ინჰალაციის გზით შესაძლებელია ასთმის საწინააღმდეგო სხვა ჯგუფის პრეპარატების (ბრონქოდილატატორების — ბრონქების გამაფართოებლების, ალერგიული ანთების სამიზნე უჯრედების მემბრანების მასტაბილიზებელი საშუალებების) მიღებაც.

სახსრები

ყველაზე უფრო მეტად გაზაფხულისთვის დამახასიათებელი ამინდის ცვალებადობა მათზე მოქმედებს, ვისაც სახსრები აწუხებს. საყურადღებოა, ის, რომ ამ შემთხვევაში, მხოლოდ ჯანსაღი ცხოვრების წესი არ არის საკმარისი. პრევენციის თვალსაზრისით საჭიროა მედიკამენტოზური მკურნალობა, რისი დანიშნაც რევმატოლოგის პრეროგატივაა.

კისერმრუდობა

კისერმრუდობა თანდაყოლილი პათოლოგიაა და კისრის ერთ-ერთი კუნთის (სალმის კუნთის) განვითარების დეფექტს წარმოადგენს. იგი ახალშობილთა 5%-ში გვხვდება. სპეციალისტთა ნაწილი თანდაყოლილი კისერმრუდობის მიზეზად, მშობიარობის დროს მიღებულ ტრავმას მიიჩნევს. სხვათა აზრით, პათოლოგიის ჩამოყალიბებაში „ბრალი“ დედას მიუძღვის, რომელიც ფენმძიმობის პერიოდში იღებდა „არასასურველ“ მედიკამენტებს, ალენიშნებოდა გრიპის ვირუსი, ხშირად ჰქონდა სტრესი.

რაც უფრო ადრე შევამჩნევთ კისერმრუდობას, მით უფრო შედეგიანი იქნება მკურნალობა, ამიტომ მშობლებს დაკვირვება მართებთ! როგორც წესი, კისერმრუდობის დიაგნოზის დასმა დაბადებიდან მე-2, მე-3 კვირაზე ხდება. ამ პერიოდისთვის პატარას კისერზე სალმის კუნთის ქვეშ თითისტარისებრი ფორმის შესივება შეინიშნება. შეშუპება საკმაოდ მტკივნეულია, რადგან სისხლჩაქცევები, სისხლძარღვების გაგლეჯა ახლავს. ასეთი შესივება

დროთა განმავლობაში, დიდდება, პატარას თავი დაზიანებული კუნთის მხარეს გადაიხრება, ხოლო კისრის მოძრაობა იზღუდება.

თუკი მსგავსი დეფექტი მშობელს უყურადღებოდ დარჩება, პათოლოგია პროგრესირებს: ბავშვის ზრდასთან ერთად, კისრის კუნთი მოკლდება, თავი „ზედმეტად“ გადაიხრება მის მხარეს, თავი ასიმეტრიული ხდება. ასეთ ცვლილებებს მთელი ორგანიზმი ეჩვევა და დეფექტის კორექცია შემდგომში პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება.



თუკი პათოლოგია დროულად იქნა აღმოჩენილი და ბავშვს ადეკვატური მკურნალობა ჩაუტარდა, 1 წლის ასაკში, როგორც წესი, კისერმრუდობა ქრება. იშვიათ შემთხვევაში შეიძლება, მკურნალობას არ



დამორჩილოს. ასეთ შემთხვევაში, 3-4 წლის ასაკში ბავშვს სპეციალურ ოპერაციას უკეთებენ.

დაზიანებულ მხარეს კისრის დამჭერი უფრო მაღალი უნდა იყოს, ხოლო ჯანსაღ მხარეს იკვრებოდეს;

✓ შეუკერეთ ბალიში-რგოლი, რომელიც ჯანსაღ მხარეს უფრო მაღალი იქნება;

✓ სანოლი ისე დადგით, რომ მშობლების დასანახავად ბავშვმა თავი დაზიანებული კუნთის საპირისპირო მხარეს მიაბრუნოს. სინათლე და სათამაშოებიც ჯანსაღ მხარეს უნდა იყოს;

✓ ჩვილის ხელში აყვანისას შეეცადეთ, ის ვერტიკალურად არ დაიჭიროთ — ამ შემთხვევაში კუნთზე ზენოლა იზრდება.

ყოველივე ეს აიძულებს პატარას, არ დაზოგოს დაზიანებული კუნთი, რითაც მას თვითონვე ავარჯიშებს.

P.S. პათივცემული მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩვილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

პარკიუზი

ვარჯიშისა და მასაჟის დაწყება 2 კვირის ასაკიდან შეგიძლიათ. პირველი ვარჯიშები ექიმ-მასაჟისტის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ჩატარდეს.

— დაანვინეთ ჩვილი ზურგზე; ხელისგულებით თავი ფაქიზად დაუჭირეთ და ნელა გადახარეთ ჯანსაღ მხარეს, თან შეეცადეთ, ბავშვმა ტრავმირებული მხარისკენ მიაბრუნოს სახე.

— დაანვინეთ გვერდზე, კისრის გამრუდებულ მხარეს; ხელი თავქვეშ ამოუდეთ და თანდათან გამოაცალეთ, რომ თავი თვითონვე დაიჭიროს.

თუ პატარამ ტირილი დაიწყო, ვარჯიში მცირე ხნით შეწყვიტეთ და ბავშვი დაამშვიდეთ.

ეს ვარჯიში ჩაატარეთ დღეში 3-4-ჯერ, 5 წუთის ხანგრძლივობით, 4-5 თვის განმავლობაში.

ვარჯიშის შემდეგ კეთდება მასაჟი, რომელიც უმჯობესია, თავდაპირველად სპეციალისტს მიანდოთ. მასაჟის მიზანია, დაზიანებულ კუნთში ლიმფისა და სისხლის მოძრაობის გაუმჯობესება, მისი მოდუნება, ხოლო საპირისპირო მხარეს — კუნთის სტიმულაცია და ტონუსი. პროცედურა 10-15 წუთი გრძელდება. მკურნალობის კურსი 15-20 პროცედურას მოიცავს. უმჯობესია, მასაჟთან ერთად, ფიზიოპროცედურებიც ჩატარდეს.

გარდა ამ კომპლექსისა, აუცილებელია, პატარას ძილისა და სიფხიზლის დროს შეუქმნათ სპეციალური პირობები. კერძოდ:

✓ შეუკერეთ სპეციალური, კისრის დამჭერი, რათა თავი სწორად ეჭიროს და არა — გვერდულად. ამისთვის

თანამშრომლობა

შპს-ს „ოჯახის მკურნალობა“ პრემია

21 პარკიუზიდან

საჩივის მომდევნო თანხები:

№4 ყვარულფარი ადრეობის შესახებ

№5 ყვარულფარი სტანდარტებისა და ინფორმაციის შესახებ

№6 ყვარულფარი შევებითების შესახებ



სიხლუსი

სიხლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

ანდუყათარო...

ანდუყათარო,
ლიპარიტო, –
დარნო მთათანო,
ბაგრატოვანთა ბანოვანის ტანო-
ტატანო,
ბიჭო სესეო,
თოთიქანთ ქალო მელანო,
ვაჟას არწივო,
შოთას ვეფხვო,
ტატოს მერანო;

ბზიფო,
ენგურო,
ალაზანო,
მტკვარო,
იორო,
აგერ, ახლახან გარდაცვლილო
გალაქტიონო;

ქინძმარაულო,
ტიბანო, –
ღვინოვ ჯახურო;
გამოსროლილო ხეცურეთით
ლექსო ხალხურო,

დიდო ჯოლხეთო,
დიდო ქართლო,
დიდო შამქორო, –
ვერ დამადუმონ,
ვერ დამძალონ –
თუნდა ჩამქოლონ...

ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიტყვას
გაბედულს –
ფრთები მასხია თქვენგნით...
მხოლოდ თქვენგნით, რამეთუ.

მუხრან მაჭავარიანი



სახსოვარი

ვაჟა-ფშაველა

„ავსა და კარგსა კაცისას როდი
ივიწყებს ქვეყანა.
ნეტავი იმას, ვისაც კი მაღლიერი ჰყავს ქვეყანა!“

„არც რა ბიჭობა ეგ არი, მაძღარი ჰმღერდე, ჰგალობდე,
მგოსნობას არვის აცლიდე, მუდამ ჰკვებდე და სცხარობდე“...

„მაინც წინ მივალ, მაინცა, არ მეშინიან შარისა,
გულს მისვენია ხატადა ენა მთისა და ბარისა.
მე არც ერთს კილოს არ ვწუნობ, თუა ქართულის გვარისა“.

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია

არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული

ქართული ენის

ბანმარტაპიტი ლექსიკონის

ერთომეულის მიხედვით

შემდგენილი თეიმურ ივანიძე

კ

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-14, 2011

კოჭეული — ოცდაორი ძნა ერთად
დადგმული (იციან ქართლში).

კოჭიმელი (ძვ.) — მზის ორბიტა.

კოჭობი — პატარა ქოთანის.

კოჭყური — კარის ჩამოსაკიდი
კოჭი.

კობი — 1. საკვერე ქვა, მუქი ყომ-
რალი ფერისა, მაგარი ცეცხლგამ-
ძლე; 2. (კუთხ.) მსხვილი სეტყვა.

კობინჯრობა (ძვ.) — რელიგიური
დღეობა; მოდიოდა ამაღლების შემ-
დეგ ორშაბათს (იცოდნენ იმერეთ-
ში).

კობტაპრუნა (საუბ.) — გადამეტე-
ბული კობტაობისა და პრანჭვა-გრ-
ენის მოყვარული.

კობუნჯი (ძვ. და კუთხ.) — ქალა-
მანი.

კობშინშხალი — ქარიშხალი, რო-
მელსაც თან ახლავს სეტყვა.

კრაველი — 1. კრავის, ბატკნის
მატყელი; 2. ხუჭუჭბუნვიანი ტყავი
ზოგი ჯიშის ახალდაბადებული
ბატკნისა — „კარაკული“.

კრახუნი (კუთხ.) — ტკვერა, კნა-
ტუნი.

კრახუნა — ვაზის ჯიში: აქვს მკრთა-
ლი ყვითელი და სქელკანიანი მარ-
ცვალი. გავრცელებულია იმერეთ-
ში.

კრედო ლათ. (წიგნ.) — იგივეა,
რაც მრწამსი.

კრეტსაბმელი (ძვ.) — კარის ფარდა.

კროახი — დამფრთხალი ქათმისა და
ზოგი სხვა ფრინველის ხმინობა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



მარი ჯაფარიძე

მორიგანი

აჩხილთა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52, 2010 - №1-14, 2011

ამ ამბებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, თავად მინისტრის მდივანმა დამირეკა და შესხედრა დამინიშნა. არ ველოდი, რომ ასე მნიშვნელოვანი გახდებოდა ჩემი იქ ყოფნა-არყოფნის საკითხი. მაშინვე ლევანს მივაკითხე და დავინტერესდი, რა შეიძლებოდა, ყოფილიყო შესხედრის მიზეზი — მეგონა, ის საქმის კურსში იქნებოდა, მაგრამ ძალიან გაუკვირდა. მივხვდი, ნინასნარ ვერაფერს გავიგებდი...

მინისტრთან 15-წუთიანი შესხედრის ბოლოს სამსახურში დარჩენაზე თანხმობა განვაცხადე. ეს ჩემი სურვილით არ გამოიკეთებია. უბრალოდ, მივხვდი, რომ რალაცაში ვჭირდებოდი ამ კაცს, თორემ თავს არ შეინუხებდა, ჩემთან შესახვედრად დროს არ დაკარგავდა და დარჩენაზე დაყოლიებას არ შეეცდებოდა. მის ხმაში მცირე მუქარაც კი იგრძნობოდა. მოკლედ, მივხვდი, რომ დარჩენა ჯობდა და იძულებული გახვდი, დავთანხმებოდი.

ლევანი ამ ინფორმაციას სიხარულით შეხვდა, მაგრამ თვითონაც, ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩავარდა. ვერ გაეგო, ასე მნიშვნელოვანი რატომ ვიყავი მინისტრისთვის.

— მგონი ეჭვიანობა, — გამეცინა, როდესაც ჩემს კაბინეტში მეთედ შემოვიდა და, — კიდევ ხომ არ დაურეკავს, ხომ არ მოუკითხავხარო, — შემეკითხა.

— არა, არ ვეჭვიანობ, მაგრამ მიკვირს, როგორ მოახერხა შენი დათანხმება. მე კატეგორიულ უარს მეუბნებოდი, მას კი საამისოდ სულ 15 წუთი ვყო.

— კარგი, ლევან, აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი. დღეს თუ ხვალ გავიგებ, რისთვის ვჭირდები, შევასრულებ იმ საქმეს, რასაც დამავალეხ და მერე მინც წავალ. ახლა დროებით დავბ-

რუნდი, სამუდამოდ აქ დარჩენას არ ვაპირებ.

როცა მარტო დავრჩი, ერთი გაფიქრება ისიც კი გავიფიქრე, რომ იქნებ ასე ჯობდა კიდევ. ამ პოზიციიდან გაცილებით მეტ სარგებელს მოვუტანდი იმ ხალხს, რომლის დაცვასაც ვაპირებდი, რადგან ნებისმიერ ინფორმაციაზე მიმიწვევებოდა ხელი. თუმცა, საჭირო იყო სანდო ადამიანის მოძებნა, რომელსაც ამ ინფორმაციას მივანწვდიდი, ის კი დანიშნულებისამებრ გამოიყენებდა. თანაც, მე არც კი გამოვჩნდებოდი.

მომავალი ქმედებების გეგმა რომ დავალაგე, შვებით ამოვისუნთქე, რადგან სამსახურში ჩემს დაბრუნებას და საკუთარ პრინციპებზე უარის თქმას გამართლება მოვუძებნე.

ბევრი ვიფიქრე, ვინ შეიძლებოდა, გამომეყენებინა ამ საქმეში და ერთ-ერთ ჩემს თანაკურსულ ბიჭზე შევაჩერე არჩევანი, რომელიც ვიცოდი, რომ ადვოკატობდა. იმავე საღამოს დავურეკე და ჩემთან მოსვლა ვთხოვე.

ლალი გავაფრთხილე, რომ სტუმარი გვეყოლებოდა. თავი დამიქნია.

ჯონი დათქმულ დროს მოვიდა. შევატყვე, რომ ინტერესით კვდებოდა — აინტერესებდა, რა მინდოდა მისგან. დივანზე დაჯდა თუ არა, მაშინვე კითხვები დამაყარა.

— ამოისუნთქე ცოტა, — გამეცინა.

— შენ ტყუილად არ დამიბარებდი. ვიცი, „დიდი ქალი“ გახდი, მალა-ლი თანამდებობა გაქვს. იმედია, სახეირო საქმეზე დამიბარე. სამსახურს ხომ არ მთავაზობ?

— გარკვეულწილად ასეც შეიძლება ითქვას. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენს საქმიანობას თავი უნდა დაანებო.

— კარგი, რა, მარგო, ამ ადვოკატობაში არაფერი ყრია. ვსლავორთობ რალაცას, თავი ძლივს გამაქვს. ყოველი მეორე — ადვოკატია დღეს საქართველოში და საქმის მოგებაც ჭირს. გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე ფულს აკეთებენ, ადვოკატი კი მშრალზე რჩება.

— მე შენ ისეთ საქმეებს გთავაზობ, რომელიც მარტო შემოსავალს კი არა, სახელსაც მოგიტანს.

— ვერ გავიგე?! — ჯონი აშკარად დაიბნა.

— მოკლედ, მოკავშირე მჭირდება, რომელსაც ვენდობი. საქმეებს მოგცემ და იმ ინფორმაციასაც, თუ საიდან უნდა შემოუარო ამ საქმეს, რომ მოიგო. ფაქტობრივად, ყველაფერს მზამზარეულს მოგიტან. შენ მხოლოდ იმოქმედებ, რადგან მე ამის უფლება არ მაქვს. იმედია, სისულელეს არ ჩაიდენ და იმ ტოტს არ მოჭრი, რომელზეც მე „დაგვავამ“.

ჯონი ჯერ დაფიქრდა. როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ გაიგო, რაც ვუთხარი.

— მარგო, შეგიძლია, უფრო გახსნილად მითხრა?

— რა თქმა უნდა. მაგალითად, ნარმოდიგინე, ჩვენი სისტემა კაცის „გაფუჭებას“ ცდილობს და საქმეს „კერავს“. ეს საქმე შენთან მოხვდება, მე კი გასწავლი, რა გზითა და ხრიკებით შეიძლება მისი მოგვარება. კლიენტისგან გადახდილ ფულს კი ძმურად გავიყოფთ. როცა სახელს გაითქვამ და ყველა გაიგებს, რომ არსებობს ადვოკატი, რომელსაც შეუძლებელიც კი ხელეწიფება, „სტავკას“ გავზრდით.

— საკმაოდ კარგი წინადადებაა, მაგრამ მგონია, რომ ცეცხლს ეთამაშები. ღირს კი ფულის გამო ასეთ რისკზე წასვლა?

— ამას მხოლოდ ფულის გამო არ ვაკეთებ. ნაწილობრივ, სამართლიანობის აღდგენის გამოც, — მესიამოვნა ჯონის სიტყვების მოსმენა, — შედეგებზე შენ ნუ იდარდებ, თავად საფრთხე არ გელის. მე კი დიდი-დიდი, სამსახურიდან გამათავისუფლონ, რაც არ მადარდებს. თუ მეც რამეს გამოიჩალიჩებენ, შენი იმედი მექნება, — ხმამალა გავიცინე და თვალი ჩავუუკარი.

— ძვირად არ დაგიჯდეს ეს გმირობა.

— გმირის ძებნა იქიდან უნდა დი-ნყო, რის გარეშეც ის ვერ იარსებებდა — ბოროტებისგან. ყველა გმირი ბოროტებასთან ბრძოლამ მიიყვანა დიდებამდე. ჰოდა, რადგან ბოროტების სათავეს მივაგენი, ახლა შემოიძლია, გმირიც გავხდე. სიტყვა „გმირი“ ბევრჯერ ვახსენე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მართლა სახელისთვის ბრძოლას ვინყებ და ისტორიაში ჩემი



სახელის საშუალოდ აღბეჭდვას ვაპირებ. დაფიქრდი. თუ თანახმა იქნები ჩემს წინადადებაზე, მაშინ ვითანამშრომლოთ. იმედია, რაღაც გამოგვივა. თუმცა, მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, ერთმანეთთან კავშირი დავმალოთ და რაღაც გზა მოვძებნოთ, რომლის საშუალებითაც ურთიერთობას დავამყარებთ. ამაზე მერე ვიფიქროთ, თუ ჩემს წინადადებას მიიღებ.

— კარგი, არ ავჩქარდები. პასუხი როდის უნდა მქონდეს?

— რაც შეიძლება მალე. ჩემს ბრძანებას ელოდება ერთი საქმე. როგორც კი დაკავების ოქმი ხელს მოვანერ, იმ კაცს მაშინვე დააპატიმრებენ და მერე შენ უნდა ჩაერთო საქმეში.

— მასხადაძემ, 2-3 დღე?

— შესაძლოა, უფრო ნაკლებიც. თუ მომანუნენ და მოწმეებიც თუ „გატყვის“, იქნებ — ხვალვე.

— გასაგებია. ნავალ მაშინ.

ჯონის წასვლის შემდეგ ლალი დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა, დაეცინა ვიღაც, რომ არასწორად ვიქცოდით: შესაძლოა, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბების ბრალდებით დაგაკავონო, — მაფრთხილებდა, მაგრამ „სტარტი“ უკვე აღებული მქონდა და უკან დახევას არ ვაპირებდი; ვიმედოვნებდი, რომ კარგი, სანდო მოკავშირე ვიშოვე. თუმცა ლალი იმასაც არ გამოირიცხავდა, რომ შესაძლებელი იყო, ჯონის სადმე მიეტანა ამბავი, თავისთვის ქულები დაეწერა და ჩემთვის რამე ეწეო, მაგრამ ამას კატეგორიულად უარყოფდი — დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯონი ამას არ გააკეთებდა.

მეორე დღეს, სამსახურში მისულს, სანდრო უკვე ჩემს კაბინეტთან დაამხვდა.

— ასე უთენია რამ შეგანუხა? — კარი გავალე და წინ გავატარე.

— აი, ეს მინდა, გაჩვენო, — მაგიდაზე საქალაღე დამიდო.

თვალი გადავავლე. დვალისელების მკვლელობის საქმე იყო, სადაც ოთხივე მკვლელის ჩვენება იდო. ყველა მათგანს ჩვენება ტულუშის წინააღმდეგ ჰქონდა მიცემული და ხელს ადებდნენ, როგორც მკვლელობის დამკვეთს.

— მოკლედ, როგორც დაგეგმეთ, ყველაფერი ისე გამოვიდა, არა? — სანდროს თვალი თვალში გავუყარე.

— რა თქმა უნდა. შენ რა, ეჭვი გეპარებოდა? მე მგონი, ამის საფუძველი არ გქონდა.

— სანდრო, იცი, რა მანინტერესებს? ოდესმე თუ მომხდარა ისე, რომ რაიმე მიზეზით ვერ მიგიღწევიათ მიზნისთვის? და რა იყო ეს მიზეზი?

— ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც

ყოფილა ასეთი შემთხვევა, ძირითადად კი იმის გამო, რომ დაკავებულს უარი უთქვამს ყალბი ჩვენების მიცემაზე და ვისზეც ჩვენ ვეუბნებოდით, იმ ადამიანისთვის დანაშაული არ გადაუბრალეხია.

— ასეთ შემთხვევაში რა ბედი სწევია ამ ადამიანს?

— ამის ცოდნა რაში გჭირდება? უინტერესო თემაა.

— პირიქით, ეგ ყველაზე საინტერესოა.

— მარგო, დამიჯერე, რაც შენი საქმე არაა, იქ ცხვირს ნუ ჩაყოფ.

— ეს საქმე რისთვის მომიტანე? — საქალაღეზე ვანიშნე.

— ჩვენებები უკვე გაქვს, ტულუშის დაკავებას ველოდებით.

— კარგი, ხვალ დავაკავებთ.

— დღესვე, მარგო, დღეს-ვე! — მაგიდაზე ისე გადმოიხარა, ლამის ცხვირი ცხვირზე მომადო და ბოლო სიტყვა დამარცვლა.

— კარგი, იყოს დღესვე, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს? — უცებ დავთანხმდი.

სანდრო ბაგეზე შემეხო. მისი რბილი ტუჩების შეხება რომ ვიგრძენი, ასე მეგონა, ნაწილ-ნაწილ დავიშალე. უცებ მოვიშორე, ხელი ვკარი და ღმერთს მადლობა ვუთხარი, რომ შემთხვევით ლევანმა არ შემოალო ამ დროს კარი.

სანდრომ მაგიდაზე ტულუშის დაკავების გამზადებული ბრძანება დამიდო, რომელსაც ჩემი ხელმოწერა აკლდა.

სხვა გზა არ მქონდა. მის თვალწინ მოვანერე ხელი. ფურცელი აიღო, საქალაღეში ჩადო და კაბინეტიდან ღიმილით გავიდა.

ერთიანად ავირიე. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემზე ძალა იხმარა. თავს გაუპატიურებულოვით ვგრძნობდი. მისი კოცნა... ხელმოწერა, რომელიც იმულებით გამაკეთებინა და მის სახეზე ასახული ღიმილი მაცოფებდა.

ბიჭები ტულუშის დასაკავებლად მიდიოდნენ და მეც თან გავყევი. ლევანმა მირჩია, ადგილზე დავრჩენილიყავი და საქმისთვის მიმეხედა, მაგრამ არ დაუფიქრე. მდორე, კაბინეტურ ცხოვრებას ვერ ვიტანდი, მოქმედება და საქმეში უშუალო მონაწილეობა მერჩინა.

ტულუშს ოფისში მივადექით. მდივანმა ერთი კი ამოიკნავლა, — არ სცალია, სტუმარი ჰყავსო, — მაგრამ ვინ აცალა?

ბიჭებმა კარი უცებ შეამტვრიეს და საოცარი სურათის მოწმენი გახდით. მიშა სავარძელში იჯდა, კალთაში კი დედამობილა ქალი ეჯდა. ქალი ჩვენკენ ზურგით იყო, მამაკაცი

— სახით. პოლიციელების დანახვებზე თვალები გაუფართოვდა. ქალმაც მოიხედა, წამოხტა, ტანისამოს სტაცა ხელი და სწრაფი ტემპით ჩაცმა დაიწყო. ბიჭები მიშას მისცივიდნენ, მაგრამ უცებ შედგნენ, რადგან მიშაც წელს ქვემოთ შიშველი იყო და ისე საცოდავად გამოიყურებოდა, რომ გული დამენვა. გონზე უცებ მოვიდა, ბოდიში მოიხადა და უცებ ჩაიცვა. ბიჭებმა ხელბორკილები დაადეს, თავისი უფლებები განუმარტეს და გარეთ გამოიყვანეს.

მზერით მზურღავდა, ვიდრე მანქანაში სვამდნენ. როგორც ჩანს, ჩემი ვიზიტი და ყველა სიტყვა გაიხსენა, რაც მაშინ ვუთხარი. მოშორებით დავდექი, რომ არაფერი ეთქვა. არ შეიძლებოდა იმის გამყლავნება, რომ მიცნობდა. რამდენიმე საათის შემდეგ მისი ცოლი დამიკავშირდა და შეხვედრა მთხოვა.

ტელეფონის ნომერი ჩავინერე და დავპირდი, რომ დაეურკავიდი ან ჩემი სახელით ვინმე დაეკონტაქტებოდა. ვინაიდან ჯონი არ ჩანდა, საადვოკატო ფირმაში მივაკითხე.

— ვა, მარგო? „სობსტვენნი პერსონოი“?

— ამოიწურა ფიქრის დრო, პასუხზე მოვედი. თუ თანახმა ხარ, საქმე უნდა მოგცე, — მაინც გადავუგდე სატყუარა, რადგან არ ვიყავი ბოლომდე დარწმუნებული, რომ თანხმობას მივიღებდი.

— კი, მარგო, თანახმა ვარ.

გარეთ გამოვიყვანე, რადგან ოთახში რამდენიმე ადამიანი იჯდა და არ მინდოდა, გაეგოთ, რა საქმეზე ვიყავი. მიშას ცოლის ტელეფონის ნომერი მივეცი და ვთხოვე, სასწრაფოდ ენახა დაკავებული და ყველაფერი გამოეკითხა. კონკრეტულად ის მანინტერესებდა, ვის გადაელობა გზაზე და ვის აძლევდა ხელს მისი დაკავება და დიდი ხნით საკანში გამოკეტვა. ამას თუ შევიტყობდი, მერე ყველაფერი უფრო იოლი იქნებოდა.

გვიან ღამით ტელეფონმა დარეკა. ლალიმ უპასუხა და დამიძახა. ჯონი შეხვედრაზე ნებართვას ითხოვდა. ამჯერად გარეთ გავედი და სკვერში შეხვედი.

— აბა, რაო, რა ამბავი მომიტანე?

— შენ მასთან ყოფილხარ, რამდენიმე დღის წინ.

— კი, ვიყავი და გავაფრთხილე, რომ მის დაკავებას აპირებდნენ, მაგრამ არ დამიჯერა.

— ახლა კი ნანობს, რას წარმოვიდგენდი, ამ თითისხელა გოგოს ამდენი თუ შეეძლო, მაგრამ უკვე გვიანია. თურმე, ამ რამდენიმე თვის წინ მასთან შუახნის მამაკაცი მისულა და



საკმაოდ გავლენიანი ადამიანის სახელი და გვარი უთქვამს, მისი ნათესავი ვარო. სამშენებლო მასალების შემოტანა ნდომებია იმ კაცს და რომელ ქვეყანაშიც კავშირი დაუმყარებია, ყველგან უთქვამთ, საქართველოში ჩვენი მასალების შეტანის ექსკლუზიური უფლება მხოლოდ ტულუშს აქვსო. ამიტომ, მიშას მიადგა და ოფიციალურად წილში ჩაჯდომა მოსთხოვა.

— მერე, რაო მიშამ, უარი უთხრა?

— არა, მიშას უთქვამს, წილში არ ჩაგისვამ, შენთან არ ვიმუშავე, მაგრამ თუ ასე გინდა, ბიზნესს დაგითმობ და შენი იყოს, ოღონდ, ნახევარი მილიონი უნდა გადამიხადო. როგორც ჩანს, ამ კაცს ასეთი თანხა ან არა აქვს, ან — არ უღირს მისი გაღება. დამუქრებია, ჩემს პირობაზე თუ არ წამოხვალ, იცოდე, რომ სულაც მუქთად დამრჩება შენი ბიზნესი და ხახამშრალს დაგტოვებო. ეს გაჯიუტებულა, თავისი პოზიცია არ დაუთმია და ის კაცი ოფისიდან კინისკვრით გაუგდია. ჰოდა, აგერ, ახლა კი ზის მკვლელობაზე და არაფერი მაგას არ უშველის.

— შენ მაგაზე არ იდარდო, რამეს მოვიფიქრებთ. ორდერი უკვე გააფორმეთ ალბათ, რადგან შეხვედრის საშუალება მოგეცა.

— დიხ, მისი ადვოკატი ვარ ოფიციალურად. ცოლს მეორე ადვოკატის აყვანაც უნდოდა, მაგრამ მიშას რომ დაველაპარაკე, მაშინვე თქვა, არავინ მინდა, ახლა ვხვდები, ის გოგო ჩემს დასახმარებლად იყო მოსული და მის მეტს არავის ვენდობიო.

— ჭკვიანი ყოფილა, მაგრამ თავიდან რატომ ვერ გათვალა ეს ყველაფერი?

— ეგონა, ვინც ბიზნესს ედავებოდა, მისი მიგზავნილი იყავი და ამიტომ არ გენდო.

— კარგი, ჯონი, უკვე ლამის პირველი საათია, უნდა წავიდე. უჩემოდ არაფერი მოიმოქმედო, ხვალ მე თვითონ დაგიკავშირდები და გაგაგებინებ, როგორ უნდა მოიქცე ამის შემდეგ, ბრალი უკვე წაუყენეს?

— ჯერ არა. ბრალს ალბათ ხვალ სალამოს წაუყენებენ და წინასწარ პატიმრობას კი ზეგ შეუფარდებენ.

ახლა საჭირო იყო, კომპრომატები მომეგროვებინა იმ ადამიანზე, ვისი გვარიც მიშამ ახსენა. ეს ძალზე „მაღალი დონე“ იყო, რის გამოც ინფორმაციის მოპოვება რისკთან იყო დაკავშირებული. ეს უკან ვერ დამახვევინებდა. საქმეს ბოლომდე მივიყვანდი. დიდი იმედი მქონდა, რომ რამდენიმე თვეში მიშას ვუშველიდი. ერთი ის იყო, რომ ამ საქმეს ვერავის ვან-

დობდი. თავად უნდა მეზრუნა და ინფორმაცია მომეგროვებინა.

რამდენიმე დღე რაღაცებს ვარკვევდი, ვადგენდი და თავაუღებლივ ვმუშაობდი. ერთ საღამოს კი ლევანმა მისაყვედურა იმის გამო, რომ მას ცოტა დროს ვუთმობდი.

— ვიღლები, ლევან, ბევრს ვმუშაობ. შენ ჩემზე გვიან მიდიხარ შინ, მე კი ტაქსიმდეც ძლივს ვაღწევ, რომ სახლამდე მივიდე და ლოგინში „დავევლო“.

— მანქანა გინდა. ამ დღეებში გიყიდვი.

— არ მინდა. ამის უფლებას არ მოგცემ! — უცებ წამოვიძახე.

— რის უფლებას არ მომცემ? — წარბი ასწია ლევანმა და გაცეცხისგან ლამის პირის დახურვა დაავიწყდა.

— მანქანას მხოლოდ საკუთარი შემოსავლით ვიყიდი! — ისევ კატეგორიული ვიყავი.

— კარგი, იყიდე! — ლევანმა შუქი გამორთო და კაბინეტიდან ჯერ თვითონ გავიდა, მერე — მე.

იმ ღამით მასთან წავიდე, მაგრამ ეკლებზე ვიჯექი, რადგან შეხვედრაზე ვიყავი შეთანხმებული — როგორც იქნა, მივაგინე ძაფის ბოლოს, რომელიც საჭირო ადამიანზე გამიყვანდა. ახლა კი, ლევანის ხუმტურების გამო, რადგან მას ჩემთან ყოფნა უნდოდა, საქმე მიუფუჭებოდა. ხვალ სადღა დავიჭერდი იმ კაცს?

მართლაც, საჭირო ინფორმაციის მოლოდინში კიდევ რამდენიმე დღე გავიდა.

ჯონი ძველი სამსახურიდან წამოვიყვანე და ახალი ოფისი გავახსენე. ორი ადამიანი მოვაძებნინე, რომლებიც ე.წ. დაქირავებულ ინფორმატორებზე იმუშავებდნენ — რა საქმესაც დავავალბდით, შეასრულებდნენ. ორი კვირა დასჭირდა ამ ყველაფერს. როგორც იქნა, ერთ მშვენიერ დღეს ამბავი მომივიდა, რომ ჩემთვის საინტერესო ადამიანი დროს გასატარებლად ერთ-ერთ, საექვო რეპუტაციის ლამის კლუბში აპირებდა წასვლას. ამ მომენტის ხელიდან გამვება არ შეიძლებოდა. კლუბისთვის შესაფერის ტანისამოსში გამოვწყვე და ერთ-ერთ დაქირავებულ თანამშრომელთან ერთად ლამის კლუბს მივაღვეი.

იქაურობა ხალხით იყო სავსე. სხვადასხვა ასაკის ადამიანები მუსიკის რიტმს იყვნენ აყოლილი და ძიგ-


ძიგებდნენ და თუხთუხებდნენ. ზოგი თვალმდაბრებელი ცეკვადა, ზოგი გულიანად კისკისებდა. ბართან გოგონები ისხდნენ, რომლებიც აშკარა იყო, კლიენტს ელოდნენ. მეძაგვებით იყო სავსე კლუბი. მინაბული თვალებით ათვალეერებდნენ სავარაუდო „მსხვერპლს“. მე და ლამაც მოცეკვავეებს შევუერთდით. კარგა ხანი გავიდა, მაგრამ „დაპირებული“ ძვირფასი სტუმარი არ ჩანდა, მიუხედავად იმისა, რომ შორიასლო მისი მანქანა შევნიშნეთ, რომელშიც მხოლოდ მძლოლი იჯდა და სადღაც მიდიოდა.

ლამამ გაიკითხა და აღმოჩნდა, რომ მეორე სართულზე გასაქირავებელი ოთახები ყოფილა. შესაძლოა, ჩვეთვის საინტერესო ადამიანი სწორედ იქ იყო. ლამამ 1 მეძაგი და ოთახი დაიქირავა და კიბეს ქალთან ხელგადახვეული აუყვა. ცოტა ხნის შემდეგ მეც უკან მივეყვი. გრძელი დერეფნის აქეთ-იქით კარები იყო ჩამწკრივებული. რამდენიმე მათგანს VIP ეწერა. სათითაოდ მივაყურადე ყველა კართან. ხმაური არსაიდან გამოდიოდა. ერთი მათგანიდან მხოლოდ მუსიკის ხმა ისმოდა...

რადგან კარზე მინოლა ვერ გავბედე, უკან, მოცეკვავეებთან დავბრუნდი და ლამას დაველოდე. კარგა ხანს არ გამოჩენილა. ლოდინი მომწყინდა. გადავწყვიტე, გარეთ გავსულიყავი და სუფთა ჰაერი ჩამესუნთქა. ზაფხულის ლამის სიგრილე მესიამოვნა.

— აქ ვის ელოდები? — მოულოდნელად ყურში ჩამჭურჩულა ვიღაცამ და ისე შევხტი, ლამის წონასწორობა დაკვარე და ძირს გავიშლართე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza@palitra.ge

რუსულან პერიოდი

დასაწყისი ნი. „გზა“ №51, 2010 – 1-14, 2011

ორდენიძე საკანში უქმყოფილო სახით გადი-გამოდიოდა. ლეკიშვილმა ცოტა ადროვა და შემდეგ ჰკითხა:

— ერთი კარგად ამიხსენი, რა დაიწყო?

— როგორც ჩანს, მკვლევებს ჩვენ მიერ შედგენილი კოლექციონერების სია ჩაუფარდათ ხელში.

— მერე?

— თუ ჩემი ვარაუდი გამართლდა, მაშინ კიდევ ვილაყას მოკლავენ.

— ისე, სიის გარეშე არ მსხდარან გულხელდაკრევილინი.

— მართალი ხარ, მაგრამ ამ სიამ სხვა საფიქრალიც გამიჩინა.

— მაინც?

— მოგვიანებით აგისხნი. ახლა მითხარი, — კბილაშვილი სად აღმოაჩინეს?

— გვამი ქალაქგარეთ, გზის პირას ეგდო. იორდანიშვილის მსგავსად, ისიც ისე სასტიკად იყო დასაბრუნებული, რომ ძლივს ამოიციწეს. გამოძიებული ფიქრობს, რომ შეიძლება, ქალაქში მანიაკი გამოჩნდაო.

— შენც ასე გგონია?

— სიმართლე გითხრა, ცოტა დავიბენი. მანიაკები ქართული სინამდვილისთვის იშვიათობაა, მაგრამ ამ 2 ადამიანის დასაბრუნებული გვამი რომ ვნახე...

— გეთანხმები, რომ ვინც ასეთ რამეს სწადის, სადისტი და მანიაკია, მაგრამ...

— გული მაინც რაღაცაზე გეთანაღრება, ხომ?

— და მერე როგორ! მხოლოდ მართლხელა მდიდარ ადამიანებზე მონადირე მანიაკი ძნელი წარმოსადგენია.

— ისე, მართალი ხარ, შეფ!

— აქ კიდევ რაღაც მნიშვნელოვანი ხდება.

— მაინც, რა?

— ადრე კოლექციონერები უბრალოდ ქრებოდნენ. ახლა კი მათ სადისტურად კლავენ და გვამებს გამოსაჩენ ადგილებში ტოვებენ; თან, ნივთმტკიცებულის მიგდებაც დაიწყეს. სულ არ გამიკვირდება, თუ ვინმეს ბინაში კბილაშვილის ნივთებსაც აღმოაჩენენ.

— ვის ბინაში?

— თუნდაც — შენსაში.

— კარგი რა, შეფ, —

ფერი ეცვალა ლეკიშვილს, — კიდევ „დაგრუზვა“ მინდა?

— გეზუმრე, — გაელემა ორდენიძეს, — ჩემი დაჭრა მკვლევებს ცოტა ხნით დაამშვიდებს. ჩემი

უფროსობისთვისაც არარსებული მანიაკის მოძებნა უფრო ადვილი იქნება, ვიდრე — ნამდვილი დამნაშავესა.

— ეგ როგორ?

— მარტივად. ცოტას კიდევ იფაფხურებენ და მანიაკ-მკვლელებს მომნათლავენ.

— კარგი რა, ჩალით ხომ არ არის ეს ქვეყანა დახურული?

— დამიჯერე, არის, მაგრამ ამ შემთხვევაში, ესეც კი წვრილმანია.

— აღარ იტყვი, „მსხვილმანი“ რაღა? — მოთმინების ძაფი გაუნყდა ლეკიშვილს.

— როგორ ფიქრობ, მკვლევები გვამებს რატომ აღარ მალავენ? — ხელქვეითს კითხვა შეუბრუნა ორდენიძემ.

— არ ვიცი. ამაზე არ მიფიქრია.

— მიხვდნენ, რომ კვალში ვუდგავართ. ამის გამო შეცვალეს ტაქტიკა და უნდათ, თავი მანიაკებად მოგვაჩვენონ.

— რა უნდა გავაკეთოთ?

— რაღაც უნდა დაგვიჯდეს, დანარჩენი კოლექციონერები უნდა გადავარჩინოთ.

— იქნებ ისიც ამიხსნა, როგორ?

— ჯერ არ ვიცი, მაგრამ რაღაცას მოვიფიქრებ. დარჩა რამე?

— მხოლოდ წვრილმანები.

— ვიცი შენი წვრილმანები. აბა, ჩამოკაკლე.

— იმ ეზოში შევიარე, სადაც იორდანიშვილი ცხოვრობდა და ადგილობრივ ჭორიკანებს ვმასალაათე.

— მერე?

— კოლექციონერის მკვლელობის დღეს ერთმა ქალმა ეზოში ისეთივე შავი მანქანა შენიშნა, როგორითაც ადრე ლელას გატაცებას ცდილობდნენ. თან, ნომერიც დაიმასოვრა.

— იმის თქმა გინდა, რომ რომელიღაც ჭორიკანა მის ეზოში გამოჩნილ ყველა მანქანის ნომერს იმასოვრებს?

— არა. მანქანის ნომერი მისი ტელეფონის ნომრის ბოლო სამ ციფრს დაემატება და დასამასოვრებელიც არაფერი იყო.

— დავეშვათ. მერე?

— სხვა ვერაფრით გაგახარებ, შეფ! ამ ნომერს ლელას გატაცების მოსურნეების მანქანის ნომერთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ როგორც კი რამე ცუდი ხდება, მაშინვე, საიდანღაც სწორედ ეს თუ ასეთი შავი მანქანა უნდა გამოჩნდეს...

— შეიძლება, დამთხვევაა.

— არ გამოვირიცხავ. თან, ამჯერად ნომერი რეალურია.

— მფლობელი უკვე დაადგინე?

— კი. ავტომანქანა ვინმე ალექსი ოსიაშვილს ეკუთვნის.

— გოგლა რომ ასე უკვალოდ არ გამქრალიყო, ამ კაცის ფოტოს ვაჩვენებდით. რა იცი, რა ხდება!

— ლელასთვის ხომ არ გვეჩვენებინა?

— არა მგონია, ამას აზრი ჰქონდეს, რადგან გოგონა ისე იყო გათიშული, რომ არაფერი ახსოვს, თუმცა... — ნამით ჩაფიქრდა ორდენიძე და შემდეგ დაუმატა: — მოკლედ, უნდა გამირკვიო, ვინ არის ეს ოსიაშვილი.

— გავარკვევ.

— ფოტოც არ დაგავინყდეს.

— არ დამავინყდება.

— ოღონდ, ყველაფერი ზედმეტი ხმაურის გარეშე უნდა გააკეთო.

— არის, შეფ! კიდევ რამეს ხომ არ დამავალბებ?

— არა, — გაელიმა გამოძიებელს, — მგონი, ზედმეტი მომივიდა, მაგრამ რას იზამ, უნდა გაუძლო. თან, ხომ იცი, რომ არავისთან არაფერი უნდა წამოგცდეს.

— სამარე ვარ, შეფ!..

მეორე დღეს ლეკიშვილმა ორდენიძეს დილაადრიან მიაკითხა და მისალმებისთანავე საქმეზე გადავიდა:

— შავი „ნისანის“ პატრონი — ოსიაშვილი მარტოხელა პენსიონერი აღმოჩნდა. ფოტოც მოვიპოვე, მაგრამ მთავარი ეს არ არის. გუშინ საგზაო პოლიციის ბიჭებს ვთხოვე დახმარება და დღეს დილით ჩვენი ნაცნობი „ნისანი“ ქალაქის შემოსასვლელში გააჩერეს.

— კარგად დათვალეირეს?

— კი, მაგრამ ესეც არ არის მთავარი.

— ე, ბიჭო, ნუ დამლაღე!

— საჭესთან ოსიაშვილი კი არა, სხვა ადამიანი — ვინმე ალექო მოსეშვილი იჯდა.

— ო, ეს უკვე საინტერესოა, — თვალეზი ეშმაკურად მოწურა ორდენიძემ, — არ მითხრა, ამ კაცის მონაცემებიც გადავამოწმო...



— არა, ამდენი ვეღარ მოვასწარი, მაგრამ აუცილებლად გადავამოწმებ.

— კარგს იზამ. კიდევ ხომ არაფერი გაგიგია?

— არა, სულ ეს იყო.

— კარგი, ყველაფრისთვის დიდი მადლობა.

— რა მადლობა, შეფ, ნეტავ, კი რაშეთი შეველო შენი დახმარება, თორემ თავს არ დავზოგავ. იცი, უშინოდ როგორ დავიკარგე?

— არც მე ვარ უკეთეს დღეში, მაგრამ უნდა გავუძლოთ. დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ ყველაფერი კარგად იქნება. ჰო, მართლა, იქნებ მარის დაურევო და დაამშვიდო. ალბათ ხვდები, რომელ მაროზეც ვუბნები.

— ვხვდები, შეფ! აუცილებლად დაკურვებო.

— ლელასაც შეუარე. მანუბებს მისი ამბავი...

ლექიშვილის ნასვლის შემდეგ საკანში ბადრაგმა შემოიხედა:

— მოემზადეთ, სხვაგან უნდა გადაიკყვანოთ.

— რატომ?

— იმიტომ.

— მაშინ წავედით, — დამცინავად გაუღიმა ორდენიძეს.

ახალ საკანში გამოძიებელს კიდევ ერთი დაკავებული დახვდა. საწოლზე წამოწოლილია ჩასკვნილია მამაკაცმა ორდენიძეს გვერდულად გამოხედა და მაშინვე კედლისკენ იბრუნა პირი. ლაპარაკის ხასიათზე არც გამოძიებელი იყო. ამიტომ თავისუფალ საწოლზე მოხერხებულად მოეწყო, თვალები მიღუღა და სიტუაციის გაანალიზება სცადა. „დამწაშავეებმა იორდანიშვილის ნივთების ჩემთვის მოგდება რომ მოახერხეს, ამაში გასაკვირი არაფერია, — ფიქრობდა იგი, — მაგრამ თავად იორდანიშვილთან როგორ შეაღწიეს? დავიჯერო, ამდენი გაფრთხილების შემდეგ თვითონ გაუღო კარი? არა მგონია. თანაც, კოლექციონერის ბინის კარის საკეტის ექსპერტიზაც არ ჩაუტარებიათ. ასე რომ“...

ორდენიძეს ფიქრის ძაფი მეზობლის საწოლის ჭრიალმა გაუნყვიტა. მამაკაცი გამოძიებლისკენ გადმობრუნდა და ხმადაბლა ჰკითხა:

— ეი, ძმაო, გძინავს?

გამომძიებელს არც თვალი გაუხელია და არც პასუხი გაუცია, რადგანაც ლაპარაკის თავი არ ჰქონდა. მეზობლის საწოლმა ისევ გაიჭრიალა და მამაკაცის ფეხის ხმაც გაისმა. „ალარ ასვენებს გამჩენი,“ — გაიფიქრა ორდენიძემ და თვალი უხალისოდ გაახილა, მაგრამ ვერაფრის დანახვა ვერ მოასწრო, რადგან მაშინვე სახეზე რალაც მძიმედ დაეცა და სუთქევა შეუკრა. გამოძიებელი სულ ორიოდ წამით დაიბნა და შემდეგ მთელი ძალით გაიბრძოლა, რადგან მიხვ-

და, რომ მამაკაცი ბალიშით უპირებდა მოგუდვას. ორდენიძემ პირიდან ბალიშის მოშორება მოახერხა და სანამ დაბნეული თავდამსხმელი კიდევ რამეს მოიფიქრებდა, საწოლზე პირქვე დახობაც მოასწრო. ასე მას სუნთქვისა და წინააღმდეგობის ადვილად განევის საშუალება მიეცა, მაგრამ უკან არც მონინააღმდეგე იხვედა. ის მიხვდა, რომ მოულოდნელობის მომენტი ხელიდან გაუშვა, ამიტომ ბალიშით გვერდზე მოისროლა, გამოძიებელს ახლა შიშველი ხელებით მოუნდომა მოგუდვა, მაგრამ ამჯერად ორდენიძეც მზად დახვდა, თავი მთელი ძალით გადაიქინა უკან და მამაკაცს პირდაპირ ცხვირ-პირში ატაკა. მონინააღმდეგე ერთი ამოიღო-ვლა, ორდენიძეს ხელები ინსტინქტურად გაუშვა და სისხლნამსკდარ ცხვირზე იტაცა. გამოძიებელმა ამ მომენტიც ისარგებლა და მოძალადეს წიხლი პირდაპირ საზარდულში ჩააზილა. ეს უკანასკნელი ჯერ სიმნრით დაიმიანჭა და შემდეგ მთელი ხმით იღრიალა: „მიშველეთ!“

საჯის კარი დაბარებულივით გაიღო, გუშაგი შემოვარდა და მოჩხუბრები რეზინის ხელკეტით დააშოშმინა.

— ვინ დაინყო ჩხუბი? — მკაცრად იკითხა მან.

— ამან, — მაშინვე ორდენიძისკენ გაიშვირა ხელი მამაკაცმა.

— ჰოდა, „კარცერშიც“ მავას ჩაეყუდებო.

„მანაც იოლად გადავრჩი, — ფიქრობდა მარტო გამოკეტილი ორდენიძე, — ის ტიპი რომ ცოტა სულსწრაფი არ ყოფილიყო და ჩემს ჩაძინებამდე მოეცადა, გამგუდავდა. შემდეგ კი თვითმკვლელობის ინსტინქტებს მოაწყობდნენ და ყველა კმაყოფილი დარჩებოდა. ალბათ ის უბედური მანანნალაც ასე მოამთეს, ვაჟა ხოტივარის მკვლელობის საქმეში ერთადერთი მონაწილე რომ იყო. ვინც ამ ყველაფერს აწყობს, მანამ არ გაჩერდება, ვიდრე საქმეს ბოლომდე არ მიიყვანს. ამიტომ მთავარია, არ ჩამეძინოს და ახალ საფრთხეს მომზადებული შევხვდე. ისე, შეიძლება, დიდხანს არც მალოდინონ... ამის გაფიქრება იყო და საჯის კარი ხმაურით გაიღო.

— ორდენიძე, დაკითხვაზე! — გაისმა გულმავის ხმა.

— მეგონა, „კარცერზე“ უარესი ადგილი მომიძებნეს-მეთქი.

— ლაპარაკი! — ხმას აუნია გულმავმა. ორდენიძეს ოთახში ნაცნობი გამოძიებელი — გოგოლაშვილი დახვდა.

— დაბრძანდით და აი, აქ მომიწერ-

ეთ ხელი, — რალაც ფურცელი გაუნოდა ორდენიძეს.

— რა არის ეს?

— ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილია.

— როგორ, გარეთ მიშვებთ? — გაუკვირდა გამოძიებელს.

— ჩემი ნება რომ იყოს, ამას არაფრით დაუშვებდი, მაგრამ ალბათ, გაგულენიანი მფარველები გყავთ.

— თან, — ძალიან ბევრი, — ირონიულად გაუღიმა ორდენიძეს.

— მაგრამ არ დაგავინცდეთ, რომ გამოძიება ვერ არ დასრულებულია და თქვენს ბრალულობას აუცილებლად დავამტკიცებ.

— ეჭვიც არ მეპარება, — თანაგრძობით შეათვლიერა ნირნამხდარი გამოძიებელი ორდენიძემ, — შენ ხომ „ფზიანი ბიჭი“ ხარ...

გოგოლაშვილს სახეზე სისხლმა აასხა და რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ ორდენიძემ ოთახი სწრაფად დატოვა. გარეთ მას მოლიმარი ლევანი და მარი დახვდნენ. მარი მაშინვე გადაუხვია და გადააკოცა, ლევანმა კი მხარზე ხელი შინაურულად დაჰკრა:

— აი, თურმე, სად აპირებდი ჩვენგან დამალვას, მაგრამ არ გამოგივიდა ნომერი, ძმაო, და რა ვენა?

— მაინც როგორ მოახერხეთ ჩემი აქედან გამოყვანა? — გაოცებას ვერ მალავდა ორდენიძე. — მე ხომ სერიოზულ ბრალდებას მიყენებენ.

— ეს კაცი გვიცოცხლოს ღმერთმა და არასდროს არაფერი გაგიჭირდება,



— მარიმ ლევანს მადლიერი მზერა შეავლო.


— ისე, ღირსი კი არ ხარ, მაგრამ ამ ოხერ გულს რა ვუყო? — ხმადაბლა გადაულაპარაკა ლევანმა გამოძიებელს.

— შენ რა დაგიშავე?

— მე დამიშავე, თუ დამიშავე. მშვე-



ნიერ სამსახურზე ნიხლი მიკარი. იჯდებოდი ახლა თბილად პროკურატურაში, მაგრამ ქვა ააგდე და თავი შეუშვირე. ამ ამბის შემდეგ კი გამიჭირდება შენთვის



რამის გახერხება.

— იმაზეც დიდი მადლობა, რაც უკვე გამიხერხე, — მხარზე ხელი თავადაც შინაურულად მოუთათუნა ახვლედიანს ორდენიქმე.

— კარგი, დანარჩენი შინ გავაგრძელოთ, — აჩქარა მამაკაცები მარიმ, — ერთი სული მაქვს, ამ ამბავს როდის აღვნიშნავთ...

ლელამ მთელი ღამე ტირილში გაატარა. გოგონა ადგილს ვეღარ პოულობდა და გაუთავებლად ჩურჩულებდა: „ყველაფერი ჩემი ბრალია. ყველაფერში მე ვარ დამნაშავე“. გამთენიისას ძალა საბოლოოდ გამოეცალა და ჩაეძინა, მაგრამ სულ კოშმარები ესიზმრებოდა და კიდევ უფრო დალილი-დაქანცულს გაეღვიძა. სანოლიდან წელი ძლივს აითრია და სააბაზანოში გალასლასდა. სარკეში საკუთარი გამოსახულების დანახვისას ელდა ეცა. „გოგლას ნამდვილად არ გაუხარდება, ასეთი რომ მნახოს“, — სევდიანად დაასვენა მან და ცრემლი მოერიო. უცრად კარზე ზარი დარეკეს.

— გოგლა დაბრუნდა! — სიხარულით შესძახა ლელამ და კარისკენ გაქანდა, მაგრამ სახიდან ღიმილი გაუქრა, როგორც კი ზღურბლზე მდგარი ანდრო ლევიშვილი დაინახა.

— მდაა, — გოგონა უკმაყოფილო სახით შეათვალიერა, — ცუდად გამოიყურები.

— სულ არ მადარდებს... — ნაილულულა ლელამ, შემდეგ განზე გადაბა და ლევიშვილი ბინაში შეუშვა.

— თან, ჩვენს შეთანხმებასაც არღვევ, — განაგრძო ანდრომ, — ეს კი ვერ არის კარგი საქმე.

— რომელ შეთანხმებას?
— სანამ კარს გააღებდი, ხომ უნდა

გვეთხა, — ვინ არისო?! ანდა, „გლაზოკში“ მინც გამოგვეტედა...

— ჩემთვის ახლა ყველაფერი სულერთია. გოგლა დაიკარგა და მე თავს რისთვის გავუფრთხილდე?

— აბა, თავზე ნაცრის ნაყრით უშველი საქმეს?

— ნეტავ კი გოგლას ეშველებოდეს და მართლა ნავიყრიდი ნაცარს, — ასლუჯუნდა ლელა.

— დამშვიდდი, გოგლას შველაზე ჩვენ ვზრუნავთ, შენ კი მხოლოდ მოთმინება და ლოდინი გმართებს, თანაც — შინიდან გაუსვლელად.

— არც გავსულვარ.

— სწორად მოქცეულხარ. ვინმეს ხომ არ დაურეკავს?

— არა.

— თუ დარეკავენ, მაშინვე შემატყობინე.

— კარგი.

— თუ პროდუქტები შემოგაკლდა ან სხვა რამე გჭირდება, მითხარი და მოგიტან.

— არა, გმადლობ, ყველაფერი მაქვს.

— მაშინ დროებით. ხვალ ისევ შემოგივლი.

ლევიშვილის წასვლის შემდეგ, ლელა გოგლას ოთახში გავიდა, სანოლზე ჩამოჯდა და თავი ხელეღმურა ჩარგო. მას სინდისი ქენჯნიდა, რადგან მიაჩნდა, რომ გოგლას ყველა უბედურების სათავე თავად იყო. „ვითომ დიდი შურისმაძიებელი ვიყო, ისე ჩავითრიე ამ საქმეში უდანაშაულო ადამიანი და საბოლოოდ რა მივიღე? აღარც ძმა მყავს და აღარც საყვარელი ადამიანი, — წუხდა იგი, — გოგლა რომ მე არ გადამყროდა, იქნებოდა ახლა თავისთვის მშვიდად და საყვარელ საქმეს გააკეთებდა. იდიოტი ვარ, ნამდვილი იდიოტი. სასწრაფოდ უნდა გაგვეყიდა ის დანაყველილი სურათი და ყველა თავს დაგვანებებდა, მაგრამ თუ ყველაფერი მართლა ამ ტილოს ნაგლეჯის გამო ხდება, მაშინ...“ უცრად, ლელას გონება გაუნათდა. „თუ იაშვილის ტილო არავითარ კულტურულ ღირებულებას არ წარმოადგენს, მასზე კი მინც ასეთი ნადირობაა, მაშინ უთუოდ რაღაც საიდუმლო აზრს ან მინიშნებას უნდა შეიცავდეს, — დაასვენა მან, — ამიტომ ისეთი რამე უნდა გავაკეთო, რომ დამნაშავეებმა ამ ნამუშევრის ხელში ჩაგდებათ სარგებელი ვეღარ ნახონ“. ამის შემდეგ გოგონა უცბად მოეშადა და გარეთ გავარდა.

მთელი მეორე დღე ტელეფონის ზარის მტანჯველ ლოდინში გაილია. ის, რაც ლელამ ჩაიფიქრა, ერთდროულად მისი პატარა ეშმაკობა და დიდი შურისძიებაც იყო. „თუ არ ვცდები და გოგლა ნამდვილად იაშვილის ნამუშევრის გამო გაიტაცეს, მაშინ გამტაცებლებს სიურ-

პრიზი ელით, — ფიქრობდა იგი, — ოღონდ, მთავარია, დრო მეყოს და ყველაფერი მოვასწრო“. დღის ბოლოს, როგორც იქნა, ტელეფონი აწკრილდა.

— ალო, — ყურმილი ყურთან ძლივს მიიტანა ალელვებულმა ლელამ.

— ლელა ხართ?

— დიახ.

— ყველაფერი მზადაა. შეგიძლიათ, წაიღოთ.

— ოც წუთში მანდ ვიქნები.

ამ სიტყვების შემდეგ გოგონა შინიდან ისევ უკანმოუხედავად გავარდა...

ლელას ყველა მცდელობის მიუხედავად, გოგლას გამტაცებლებისგან არაფერი ისმოდა და ისიც ოთახიდან ოთახში ნერვიულად დადიოდა, გულში კი გაუთავებლად იმეორებდა: „უნდა დარეკონ, აუცილებლად უნდა დარეკონ“.

რამდენიმე წუთში მისი მობილური ტელეფონი მართლა აწკრილდა და დისპლეიზე სახელი — „გოგლა“ გამოჩნდა.

— გოგლა, სად ხარ? — სიხარულით ჩასძახა ლელამ ყურმილში, მაგრამ მას სხვა ადამიანმა უპაუხა:

— გოგლა არ ვარ, გოგონი, მაგრამ თუ ის შენთვის ასე ძვირფასია, მაშინ რასაც გიბრძანებთ...

— ყველაფრისთვის მზად ვარ, — განწყვეტინა უცნობს ლელამ.

— მართლა?

— დიახ.

— მაშინ სადაც გეტყვი, იქ უნდა მოგვიტანო იაშვილის ნამუშევარი — „უკანასკნელ გზაზე“.

„არ შევმცდარვარ,“ — გაუელვა თავში ლელას და შემდეგ უცნობს ჰკითხა:

— მითხარით, სად და როდის უნდა მოვიტანო?

— სურათი ნამდვილად ადგილზეა?

— დიახ, ადგილზეა.

— მაშინ შენ სურათს მოგცემ, ჩვენ კი გოგლას დაგიბრუნებთ.

— თანახმა ვარ.

— მშვენიერია. ჭკვიანი გოგო ჩანხარ.

— გოგლას როდის გამოუშვებთ?

— როგორც კი სურათს მოგვითან.

იმედია, შინ გაქვს!

— არა.

— როგორ? — შემფოთდა უცნობი. — ნელან არ თქვი, ადგილზეა?

— დიახ, საიმედო ადგილზე მაქვს შენახული.

— მის ასაღებად რა დრო დაგჭირდება?

— ალბათ, 1 საათი მინც.

— საათ-ნახევარს გაძლევთ.

— სად შეგხვდეთ?

— საათ-ნახევარში დაგირეკავ და გეტყვი. იმედია, სიურპრიზს არ მოგინცობ...

— რა სიურპრიზს? — ელდა ეცა ლელას.



— პოლიციის გაფრთხილებას ვგულისხმობ.

— არც მიფიქრია, — შვებით ამოისუნთქა გოგონამ.

— არც უნდა იფიქრო, თორემ გოგლას ცოცხალს ვეღარ ნახავ.

— ყველაფერი მესმის.

— ყოჩაღ, ჭკვიანი გოგო ყოფილხარ.

— მაგრამ რა გარანტია მაქვს, რომ პირობას თქვენც შეასრულებთ?

— თუ ყველაფერს ისე გააკეთებ, როგორც შევთანხმდით, მაშინ გოგლას არაფერი დაეშურება. თუ არა და, კარგად იცი, რაც მოხდება.

„მამ ასე, თამაში დანიწყო, — გაიფიქრა კმაყოფილმა ლელამ, — ახლა მთავარია, მონინალმდეგეს ჭკუით ვაჯობო“.

უცნობთან მოლაპარაკების შემდეგ ლელამ ორდენიძის სამსახურის ნომერი აკრიბა.

— გისმენთ, — გაისმა ყურმილში მამაკაცის ხმა, — ვინ გნებათ?

— გამომძიებელი — ოთარ ორდენიძე.

— ვინ კითხულობს?

— ბატონი ოთარის ნაცნობი ვარ.

— ორდენიძე არ გახლავთ.

— საქმეზეა გასული?

— არა, დაიჭირეს.

— დაიჭირეს?

— დიახ. მითხარით, ორდენიძესთან

რა საქმე გქონდათ. იქნებ მის ნაცვლად მე...

დამფრთხალმა ლელამ ყურმილი ცივად დადო. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ კი ანდრო ლევიშვილის მობილური ტელეფონის ნომერი აკრიბა. „აბონენტი დროებით მიუწვდომელია, — გაისმა ყურმილში ავტომომპასუხის ხმა, — დარეკეთ მოგვიანებით“. „თითქოს ჯიბურზე, ყველაზე რთულ მომენტში ადგილზე არავინ დამხვდა, — ამოიოხრა გოგონამ, — რა გაეწყობა, როგორც ჩანს, მარტომ უნდა გაგვეთო ყველაფერი“.

უცნობმა ლელას გოგლას სახლის სიახლოვეს, პარკში დაუნიშნა შეხვედრა. გოგონა ადგილზე ზუსტად დანიშნულ დროს მივიდა, მინიშნებულ სკამზე ჩამოჯდა და ნაჭერში გახვეული იაშვილის სურათი გვერდით მიიღო. სკამთან ყოველი გამველის მიახლოებისას ლელას გული ყელში ებჯინებოდა და ხელები ცივბინივით უტახტახებდა, მაგრამ დრო გადიოდა, მასთან გამოლაპარაკებას კი არავინ ჩქარობდა. „აღბათ, მომაცყუეს და აქ არავინ მოვა“, — ის იყო, სევდიანად გაიფიქრა ლელამ, რომ უეცრად საკმაოდ მოსულ ქალს მოჰჭრა თვალი, რომელიც საბავშვო ეტლს პირდაპირ მისკენ მოაგორებდა. გოგონამ ქალი ერთი გულგრილად შეათვალიერა და მაშინვე განზე გაიხედა. ამასობაში ქალი სკამს

გაუსწორდა და ხმადაბლა რაღაც ჩაიბურტყუნა. „ხმაც ისეთივე უხეში ჰქონია, როგორიც გარეგნობა“, — გაიფიქრა ლელამ და ეტლს თვალი სევდიანად შეავლო: „სანაყალი ბავშვი, რა საშინელი დედა ჰყავს“.

— ტილო ეტლში ჩადე-მეთქი! — ხმას აუწვია ქალმა.

— რა ბრძანეთ? — გაუკვირდა ლელას და უეცრად გონება გაუნათდა: — ეს, ეს თქვენ... — მე ვარ... სურათი-მეთქი!

ლელა ქალს უფრო გულმოდგინედ დააკვირდა და იმასაც მისვდა, რომ მის წინ ქალის ტანსაცმელში გადაცმული მამაკაცი იდგა. „იი, თურმე, ასე უშნო რატომ მომეჩვენა“, — გაიფიქრა მან შემდეგ და სურათი ხელში აიღო.

— ეტლში ჩადე! — კიდევ ერთხელ გაუმეორა მას „ქალმა“.

ხელებაკანკალებულმა გოგონამ ნაშუშვარი ეტლში ძლივს ჩადო. „ქალი“ მაშინვე ადგილს მოსწყდა.

— მერე გოგლა? გოგლა სადაა? — დაადევნა მას დაბნულმა ლელამ.


— მალე სახლში იქნება.

— რამდენ ხანში?

— ერთ საათში. თუ, რა თქმა უნდა, არაფერი იქმნება და მართლა ყველაფერი რიგზეა... —

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო ქარუსელთან“ ერთად, გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიების თითო წიგნი!



მალე! დიდი ქართველების ბიოგრაფიები. პირველი ტომი - ვახტანგ გომრგასალი

გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები
წიგნების სერია ბავშვებისთვის

წიგნის ფასი: 2.50
(ჟურნალთან ერთად 3.50)



დასაწყისი იხ „გზა“ №2-14

— გისმენთ! — ჩასძახა ტელეფონში და როცა მისი ხმა გაიგონა, სიამოვნებისგან ძალანართმეული კინალამ ჩაიკეცა.

— შენ შემოგვევლოს ჩემი სიცოცხლე. აბა, როგორ მყავხარ?

— გია.. შენ ხარ? ჩამოხვედი? — ნუკი ძლივს იკავებდა თავს, რომ სიხარულისგან არ დაეყვირა.

— სულ რაღაც 2 საათია, ჩამოვედი, სიცოცხლე, ჩამოვედი და ახლა პირდაპირ შენთან მოვდივარ. სამსახურში ხარ?

— ჰო, აბა სად ვიქნები.

— მალე მოვალ, დამელოდე, ნუუუკვერ ვითმენ, არ გნახო.

— გელოდები, — გოგონამ ახლალა შეამჩნია, როგორ უცახცახებდა თითები.

რა სიურპრიზი მოუწყო! არც კი გააფრთხილა, რომ ჩამოდიოდა. არადა, გუშინწინ ელაპარაკა. რა საოცარი ვინმეა, როგორ აგიჟებს. რა მოხდება ამაღამ? ფაქტია, ეს ღამე ჩვეულებრივად („უმსხვერპლოდ“) არ ჩაივლის. ის კაცია, თავისას მოითხოვს. ნუკი ქალია, ან „ჰო“ უნდა უთხრას, ან — „არა“... არის კი ამისთვის მზად? არ იცის. არც ღირს ამაზე წინასწარ ფიქრი (არც ნერვიულობა). აჯობებს, მოსახდენი თავისით მოხდეს. სიტუაცია აჩვენებს ყველაფერს.

ნახევარი საათი გავიდა, თუმცა ნუკის მოეჩვენა, რომ მოლოდინში დღეები (სულაც წლები) გავიდა. როცა მესიჯი მიიღო, აქ ვარო, გარეთ თავ-პირის მტვრევით გავარდა.

გია მანქანიდან გადმოსულიყო და მის გამოჩენას ელოდა. ნუკი ლამის გარბოდა. არ ახსოვს, როგორ ჩაეხუტა მამაკაცს ვეება მკერდში და როგორ შემოხვია მკლავები.

— გენაცვალეო მე შენ, — ჩურჩულებდა გია, — ხომ გითხარი, მალე ჩამოვალ-მეთქი, ხომ შეგისრულე პირობა, — ეუბნებოდა და იხუტებდა აცახცახებულ გოგონას.

— არ იცი, რა დამემართა, როცა დამირეკე, სიზმარში მეგონა თავი. რატომ არ გამაფრთხილდე?

— მიყვარს მოულოდნელობები. ასე ხომ უფრო გაგიხარდა?

— ჰო, მაგრამ...

— ჰოდა, წავიდეთ ახლა. რესტორანში უნდა დაგვატიყო.

— არ გვინდა რესტორანში, წყნარად მინდა შენთან სადმე დავჯდე.

— მე კი მინდა კარგი დრო გატარებინო და უარი არ მითხრა, გასაგებია? ვიცი, რასაც ვამბობ, სიხარულო, დამიჯერე.

— კარგი, რადგან ასეა, ასე იყოს, — უპასუხა ნუკიმ, თუმცა იგრძნო, რომ რაღაც ნაპერწკალი ჩაუქრა გულშიც

ნაადრევი ენქელაზი



სკეპტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი
შთაბეჭდილება შეგიძლიათ
გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

და თვალბეჭდით, თითქოს იმედი გაუცრუვდა.

— 5 დღით ვარ ჩამოსული, სამშაბათ დილით უკან უნდა დავბრუნდე. ჩამოვედი და მამინვე შენცენ გამოვეშურე, შენი უნახაობა არ შემეძლო.

— 5 დღით რატომ?

— ძმაკაცს ხვალ ქორწილი აქვს. მეფევარე ვარ. აბა, რა უნდა მექნა?

— ესე იგი, წასვლამდე რომ მნახო, ნაკლები შენსია, არა?

— რატომ, სიხ, რატომ? კვირას ან ორშაბათს აუცილებლად გნახავ. ისე როგორ წავალ?

ამასობაში გიამ რომელიღაც რესტორანს მიაყენა მანქანა.

— დღეს ბევრი უნდა ვიცეკვოთ მე და შენ.

ნუკიმ დაიმორცხვა. ისე იყო აფორიაქებული, ახლა ცეკვის თავი (და არც სხვა რამის) ნამდვილად არ ჰქონდა და არც რესტორანში ყოფნა ეხატებოდა დიდად გულზე, მაგრამ ეს მის სურვილზე არ იყო დამოკიდებული. როგორც კი შიგნით შევიდნენ, პუტკუნა ოფიცინანტი გოგონა მათკენ გამოეშურა, გაას ძველი ნაცნობივით გაუღიმა და უთხრა:

— თქვენი მაგიდა უკვე გაშლილია, — და ხელით დარბაზის შუაგულისკენ ანიშნა წყვილს.

ნუკი მისვდა, რომ მამაკაცს თადარიგი წინასწარ ჰქონდა დაჭერილი. გოგონამ სუფრა შეათვალა და ნარბები ცნობისმოყვარედ აზიდა. მაგიდა ოთხ ადამიანზე იყო გაშლილი.

— კიდევ ველოდებით ვინმეს? — აშკარა უკმაყოფილება დაუტყო ხმაში.

— ჩემი 2 მეგობარი შემოგვიერთდება მხოლოდ. სხვანიარად არ შემეძლო... მინდოდა, მეტქვა, მაგრამ... იმედი, შენთვის უხერხული არ იქნება, —

თითქოს მოუბოდიშასავით გიამ.

გოგონამ ნაძალადევი ღიმილი ფარავით აიფარა სახეზე. უხმოდ მიუჯდა სუფრას და მამაკაცს დაკვირვებით შეხედა... ის მის წინ იჯდა და მთისფერი თვალბეჭდით უყურებდა. თავადაც მთას ჰგავდა — ახოვანი, მხარბეჭიანი, თვალ-უნვდენელი მინდორივით გაშლილი გულმკერდით. ასეთ მამაკაცს ქუჩაში იშვიათად ნახავდით, ან საერთოდ ვერ ნახავდით. ისეთი იშვიათობა იყო, წითელ წიგნშიც კი შეიტანდა კაცი. თხელი, მაგრამ მგრძობიარე ტუჩებით მრავლისმეტყველად იღიმოდა, თან მოუსვენრად ატრიალებდა თვალებს და ყველას მზერას ერთდროულად იჭერდა, განსაკუთრებით ქალებისას, თითქოს არ უნდოდა, რომელიმე გამოჰპარვოდა. მთისფერი თვალბეჭდით ჰქონდა, მთას ჰგავდა თავადაც. ძალიან ლამაზი იყო, უფრო მეტიც, მას უმნიშვნელო საყვარლის (უფრო ზუსტად, გმირი-საყვარლის) გარეგნობა ჰქონდა. თუმცა რაღაც აკლდა მის გამოხედვას, რაღაც მარცვალი, რაც არსებითად (იქნებ მთლიანადაც) შეცვლიდა მის გამომეტყველებას. მან იცოდა, რომ მოსწონდათ გარშემო მყოფებს და ამავე დროს, თითქოს ბოდიშსაც იხდიდა ამის გამო. ცოტა ხანში მიკროფონის გამაყრუებელი წუილის ხმა გაისმა. მომღერლები მორიგი ნომრისთვის ემზადებოდნენ.

ამ დროს დარბაზში 2 ახალგაზრდა მამაკაცი (ორივე ერთობ სიმპათიური) შემოვიდა და ღიმილით გასკვენ გამოემართა, თან, ცალი თვალით ნუკის დაუწყეს თვალაყრებდა. გოგონამ უხერხულად იგრძნო თავი. ნამდვილად არ უნდოდა, ეს საღამო უცხო ადამიანების გარემოცვაში გაეტარებინა, მიუხედავად იმისა, რომ მის გვერდით მისი ოცნების მამაკაციც იმყოფებოდა.



გიამ მოსულეები გადაკონცა და ნუკი გააცნო. გივი და ვასო (ასე ერქვათ გიას მეგობრებს) თბილად მიესალმნენ გოგონას და ჩამოსდნენ. ერთხანს უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, უნიჭოდ ნამღერი — „სულ ზევით, ზევით“ ისმოდა მხოლოდ. თამაღობა ვასომ ითავა.

— ქალბატონი ნუკი ალბათ საქმის კურსშია და იცის, ჩემო გია, რომ დღეს დაბადების დღე გაქვს, — დაიწყო ვასომ, — ჰოდა, შენ გაგიმარჯოს, ძმაო, მაგარი კაცი ხარ და ღმერთმა კარგად გამოყოფოს, სიკეთე და სიხარული არ მოგაკლოს გამჩენმა.

ამის გაგონებაზე ნუკის თვალთ დაუბნელდა. როგორ თუ დაბადების დღე? „ოდნობში“ რატომ არ გამოჩნდა, თუკი დაბადების დღე ჰქონდა? ნუთუ არ მიაქცია ყურადღება?

არ შეიძინია, რომ არ იცოდა. შერცხვა (უფრო გაბრაზდა), ახლა რომ იგებდა ამის შესახებ. აი, თურმე რატომ წამოიყვანა რესტორანში და არა იმიტომ, რომ მას ასიამოვნოს. ხასიათი გაუფუჭდა, თუმცა მხოლოდ „არ იცოდა“ არ იყო ამის მიზეზი. „დამშვიდდი, გოგონი“, — გაიმხნევა თავი, — „შარზე რატომ ხარ? ადამიანს უნდა, პატივი გცეს, ჩამოვიდა თუ არა, შენკენ გამოემუხრა, შენ გამო ფულს ხარჯავს, შენ კი უკმაყოფილო ხარ? არ გეკადრება!“ — ფიქრობდა თავისთვის და ცდილობდა, ბუნებრივად გაეღიმა, თუმცა კი სულაც არ ეღიებოდა.

მამაკაცები მალე შეხარხოშდნენ. აბა, რა მოუვიდოდათ, ეგრევე (ზედიზედ) განსხვავებული სასმისები შესვეს. ნუკი ზედმეტად გრძობდა თავს, ვერა და ვერ მოიხსნა დაძაბულობა, თუმცა არ აკლდა ყურადღება, სამივე ზედ დაჰყოფინებდა. ვერა და ვერ გამხიარულდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო იკეტებოდა თავის თავში. ნვეთი არ დაუღევია, არც არაფერი უჭამია, იჯდა და მდუმარედ შეჰყურებდა მოქეიფებს. უკვე ზომიერად შემთვრალი გია მუსიკოსებს შეკვეთას შეკვეთაზე აძლევდა და ხან რა სიმღერას ითხოვდა და ხან — რას. თითო შეკვეთაში 20 ლარს ატანდა ოფიციალტს. უკვირდა ნუკის: ნუთუ ასეთია, თუ ამნუთას თავს ინონებს მის წინაშე? უნდა აგრძობინოს, რომ ბევრი ფული აქვს და ხელგამლილია? თუ ასე სჩვევია ყოველთვის?

— ნამო, ვიცეკვოთ, — თქვა უცრად გიამ, დაავლო ხელი გოგონას და სცენისკენ წაიყვანა.

გაძალიანება სცადა, მაგრამ მიხვდა, არ გამოუვიდოდა და მორჩილად დაჰყვა მის ნებას... შემდეგ იგრძნო, როგორ აიყვანეს ხელში,

სწორედ ისე, როგორც ბავშვობაში და დაბზრილას. იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ეს შესტი, რომ, როგორც კი ჰაერში აღმოჩნდა, ერთი ცივად წამოიკვილა და მხრებში ჩააფრინდა მამაკაცს.

— ნუ ხარ ეგრე, გთხოვ, გაიღიმე ცოტა, გესმის? — ტუჩები ყურთან მიუტანა გიამ, ფრთხილად ჩამოვსა ძირს და ყვრიმალთან აკოცა.

აილენა გოგონა. მოზღვავებული სიამოვნებისგან (თუ ვნებისგან) თვალეზი დახუჭა და მამაკაცის მკლავებს ბრმად მიენდო. ისე თავისუფლად ცეკვავდა გია, თითქოს მთელი ცხოვრება მეტი არაფერი ეკეთებინოს. ისიც აიყოლია. როგორც იქნა, პირველი ბუნებრივი ღიმილი გაკრთა მის ტუჩებზე, თვალეზი გაუბრწყინდა მოზღვავებული გრძობისგან და რიტმშიც თავისუფლად (თამამადაც) აჰყვა მამაკაცს. მუსიკა რომ დამთავრდა, ორივეს არაქათი ჰქონდა გამოცლილი.

— ვაა! თქვენ რა მაგრები ყოფილხართ, ძმაო, რა სერიოზულად ცეკვავდით, — ხელები გაშალა ვასომ და მოახლოებულ გოგონას შუბლზე აკოცა, — მშურს შენი, გია, ძმაო, ასეთი ანგელოზი რომ გყავს გვერდით. შენ რა დაგაბერებს!

— ჩემი გოგოა ეს, — საჩვენებელი თითი ღიმილით (უფრო გაფრთხილების ნიშნად) გაფშიკა გიამ, — და არაფერი შეგეშალოთ, იცოდეთ! — მისი სიტყვები მუქარას უფრო ჰგავდა, ვიდრე ზუმრობანარევე გაფრთხილებას.

— გეკადრება, ბიჭო, შენ ჩვენ ვინ გგონივართ! — გივი კარგა შემთვრა-

ლი ჩანდა და ნუკი მიხვდა, დროზე უნდა გასცლოდა აქაურობას.

— ნავალ, გვიანაა უკვე, — ხმადაბლა გადაულაპარაკა გიას.

— მოიცა ცოტა ხანს, ერთად გავიდეთ, — სთხოვა მამაკაცმა.

— არა, პირველი დაიწყო, უნდა წავიდე! — ჯიუტად გაიმეორა გოგონამ და წამოდგა.

გიამ ბიჭებს ბოდიში მოუხადა, ცოტა ხნით დაგტოვებთო და მასთან ერთად ქუჩაში გამოვიდა.

ნუკის გასაოცრად, მამაკაცმა იქვე მდგარ ტაქსის მძღოლს ხელით ანიშნა, ახლოს მოდიო. გოგონა გამრა. როგორ! თვითონ არ წაიყვანს სახლში? აქ რჩება? ამ დეგენერატებთან? გული შეეკუმშა. იქნებ თვითონაც გამოჰყვეს? ჰო, ალბათ ასე მოიქცევა. ნასვამი ხომ ვერ დაჯდება საჭესთან!

გიამ უჯანა სალონის კარი გამოაოლო. ის იყო, ნუკიმ ჩაჯდომა დააპირა, რომ მამაკაცმა მკლავში ჩაავლო ხელი, თავისკენ მოიზიდა და ტუჩებზე დააცხრა. დიდხანს, ძალიან დიდხანს კოცნიდნენ ერთმანეთს. გოგონას სიამოვნებისგან თავბრუ ეხვეოდა, თუმცა ამავედროულად, უხმო ტკივილსაც გრძობდა, რადგან მიხვდა, გია მასთან ერთად წამოსვლას არ აპირებდა.

— ხვალ დაგირეკავ, — ხმადაბლა წარმოთქვა და ჩაჯდა თუ არა ნუკი, ჯიბეზე გაიკრა ხელი, — ეს ქალბატონი უნებლად მიმიყვანე სახლამდე, მეგობარო! — მერე ნუკის მიუბრუნდა: — შემატყობინე, როგორც კი მიხვალ, კარგი?

ნუკიმ თავი დაუქნია. როგორც კი ტაქსი დაიძრა, თვალეზი ცრემლით აევსო. ესეც შენი სანუკვარი შეხვედრა. რატომ მოხდა ასე? ნუთუ მამაკაცებთან ქეიფი არჩია მასთან განმარტობას? თუ ნუკის უფრთხილება? რა მხრივ? რა სჭირს მოსაფრთხილებელი? ხომ ყველაფერი გარკვეულია მთ შორის? რატომ აჭიანურებს? თან კმაყოფილი იყო, მამაკაცი რომ არ ჩქარობდა უფრო მეტად დაახლოებას, თან, ბრაზი ერეოდა, რა საჭიროა ასეთი გაჯანჯლებო.

სამკერვალო ძლივს გაალო თვალცრემლიანმა. საჭიროდ არ მიიჩნია, დაერევა გიასთვის და ეთქვა, შინ მშვიდობით დაებრუნდით. ბოლმა ახრჩობდა. მამაკაცმა თვითონ დაურეკა.

— რატომ მანერვიულებ? — ხმამალა ლაპარაკობდა გია.

— რატომ განერვიულებ? — არ შეიძინია ნუკიმ.

— ხომ გთხოვე, როგორც კი მიხვალ, დამირეკე-მეთქი?





გრძნობენ სრულყოფილად თავს. შეიძლება მეც ასეთი უტვინო ვარ... უფრო სწორად, ვიყავი... დღემდე. დღეს კი... სხვანაირად ვფიქრობ. შენ მომეცი ამის ძალა... ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია.

— არ მესმის, რისი თქმა გინდა... — გაფითრებული გოგონა სკამზე აწრიალდა. ოღონდ ეგ არა, ღმერთო, ოღონდ ეგ არა! თანაც რა დროს, როცა უკვე ძალიან დაგვიანებულია!

— არ ვამბობ, რომ სიყვარულის გარეშე არ შეგვიძლია. შეგვიძლია და სწორედ ეს არის ყველაზე გულისამრევი, ყველაზე ამაზრზეანი, — თავისთვის გააგრძელა ზურამ, თითქოს ნუკის სიტყვები არც გაუგონიაო, — ორგანოები დამოუკიდებლად აგრძელებენ არსებობას, როგორც საათი, მანამ, სანამ მექანიზმი არ დაიმსხვრევა და გვამი სწორედ მაშინ აღმოჩნდება იქ, სადაც სინამდვილეში მისი ადგილია. შეიძლება ასევე ნუგეში სექსში ეძებო, უსიყვარულოდ... ან იცხოვრო მასთან, ვისაც ღმერთი გარგუნებს.

— შენ რა, სიყვარულს მისხნი? — ამოთქვა, როგორც იქნა, ტუჩებამშრალმა.

— არა, სიყვარულს არ გიხსნი... უბრალოდ, ცოლობას გთავაზობ, იქნებ... სამუდამოდ დარჩე ჩემთან, თუკი ეს შენთვის მისაღები იქნება.

— გაგიჟდი? ეგ რამ გაფიქრებინა? — ჩურჩულზე გადავიდა სასონარკვეთილი გოგონა.

— რატომ, არ შეგეფერები? შენი ტოლი არ ვარ? მაგაზე მეც მიფიქრია, რომ იცოდე... და მხოლოდ ერთ დასკვნამდე მივედი. ორ მარტოხელა ადამიანს, მიუხედავად ასაკისა და შეუფერებლობისა, სურვილის შემთხვევაში ერთი მთლიანის შექმნა შეუძლია, იმ მთლიანის, რასაც ოჯახი ჰქვია... სიყვარული თავისით მოვა, მთავარი მაინც სურვილია... ნუ ამივლი გვერდს, არ ჩაიდინო ეს სისულელე, შენ ხომ გამოცდილი ქალი ხარ. მოსინჯე, ერთი შანსი მაინც მიეცი შეუძლებელს. ნუთუ არასდროს გიფიქრია იმაზე, როგორ დაიღალა ის შეუძლებელი და როგორ ვჭირდებით მას ახლა ჩვენ?

— შენ ახლა სასმელი გალაპარაკებს, — მისი დამოძღვრა სცადა ნუკიმ, — იქნებ სხვა დროისთვის გადაგვედო ამაზე საუბარი.

— კარგი, ეგრე იყოს. ვერ დაგაძალე. სხვა დროს ვილაპარაკოთ, მაგრამ ამაღამ დარჩი.

— იქნებ არ ღირს... — ნუკიმ თვალი თვალში გაუყარა, აგრძნობინა, მთვრალი ხარ და საშიშიო.

— არ შეგანუხებ. ახლავე ავდგები და ჩემს ოთახში გავალ, ოღონდ არ ნახვიდე. ორი ღამეა, არ მიძინია. შენ

რომ არ ხარ, აქაურობა ისეთი ცარიელია...

გოგონას გული დაენვა ამ სიტყვების გაგონებაზე. თითქოს ორ ცეცხლ-შუა ინვოდა. ზურას ცოლობაზე როგორ იტყოდა უარს, თუნდაც ერთი თვის წინ, მაგრამ ახლა? ახლა იგი მხოლოდ გიაზე ფიქრობს, მისი გული ახლა სხვისი სიყვარულით არის სავსე.

— დავიძინოთ, ზურა. უკვე გვიანაა. სხვა დროს იყოს, კარგი? ხომ შევთანხმდით?

მამაკაცმა მორჩილად ასწია ორივე ხელი, თავი დაღუნა და სამზარეულოდან გავიდა.

გიას არც მეორე დღეს (ანუ კვირას) დაურეკავს და არც — ორშაბათს. ნუკი სიმწრისგან საკუთარ ნერვებს (და გულს) ასკდებოდა. ვერც სამუშაოს დაუდო გული, ერთი ქსოვილი შეფიქრინებულმა ისე უაზროდ აჭრა, რომ მთლიანად გააფუჭა. თათულიმ დაუყვავა, ალბათ გადაიღალე და იმის ბრალიაო. წავიდა და სხვა ქსოვილი მოიტანა. მერე დაჯდა და თვითონ გამოჭრა. ნუკიმ უგუნებობა მოიმიზეზა და დაწვა. საღამომდე არ განძრულა. ფიქრობდა და ფიქრობდა. ყოველ ნუტს გიას ზარს (ან მესიჯს) ელოდებოდა, თუმცა — ამოდ. დღე ისე მიილია, მისგან არაფერი ისმოდა. თათული რომ წავიდა, უარესად გახდა. მანამდე კიდევ შექმლო თავის შეკავება, ერიდებოდა პარტნიორის. როცა თათული წავიდა, ადგა და სარკეს მიუახლოვდა. ჩაიხედა... ობოლი ცრემლი დიდხანს თამაშობდა თვალის უბეში და ბოლოს (როგორც იქნა), მსხვილი ბრილიანტივით დაეკიდა ქვედა წამწამებს... მერე კი... ნელა ჩაუყვა ღანვებს და მის მოშიშვლებულ მკერდზე ნკაპუნით მოკალათდა...

დიდხანს ტიროდა. გვიან კვლავ ჩანვა ლოგინში. სიცივისგან (თუ სიმწრისგან) კანკალებდა. ვერა და ვერ დაიძინა... მთელი ღამე ბორკავდა. თან წარამარა საათს დასცქეროდა. გია დილით უნდა გადაფერნილიყო მოსკოვში. ნუთუ არ მოიკითხავს? ნუთუ ისე წავა, რომ არ დაურეკავს?

ამასობაში თავზე დაათენდა... დღის სინათლემ უკვე შემოაბიჯა ფანჯარაში... მოულოდნელად მესიჯმა დაიწინა. ელოდა, მაგრამ მაინც შეკრთა. სასწრაფოდ ჩაიკითხა შეტყობინება: „გძინავს?“ რამხელა შუება იგრძნო. როგორც ჩანს, გულმა არ მოუთმინა. „არა, შენზე ვფიქრობ“, — მისწერა და დაელოდა. წამიც და მამაკაცმა დაურეკა.

— ალო! — დაღლილი ხმით ჩასძახა.

— ნუუკ, მამაკაცი... ვიცი, ცუდი ბიჭი

ვარ და ასე არ უნდა მოგეცეოდი, მაგრამ ისე წაწყვი ყველაფერი, ვერაფრით დავაღწიე თავი. მამაკაცი, სიცოცხლეც, დამნაშავე ვარ, მაგრამ უნდა გამიგო.

— აეროპორტში ხარ? — ძლივს ამოთქვა ყელში ცრემლმობეფენილმა,



საყვედურიც კი ვერ უთხრა, ისე სთხოვდა მამაკაცი პატიებას.

— ჰო, ჩასხდომას ველოდები უკვე როგორ ხარ?

— როგორ ვიქნები... შენს მოლოდინში გავილიე. ერთი დარეკვა რა გაგიხსნა? 2 დღით ჩამოხვედი და შენი ნახვა არ მაღირსე. ხომ იცოდი, როგორ გელოდებოდი, როგორ მენატრებოდი, როგორ, როგორ... ჰაერით მჭირდებოდი, გიიი!

— ნუ მაგიჟებს, სიხარული! — იყვირა უცებ გიამ. — რა გინდა, რას მერჩი? საიდან ამდენი სითბო, ვინ ხარ ამისთანა? რა ვწნა, მითხარი, დავაბრუნო ბილეთი და მოვბრუნდე უკან? მითხარი, როგორ მოვიქცე!

— არა, რა უნდა მოვბრუნდე, წადი შენს გზაზე, — შემინდა გოგონა, — წადი და რომ ჩახვალ, შემიხმინე, თუ საჭიროდ ჩათვლი.

— რას ნიშნავს, საჭიროდ ჩათვალაო. ხომ გითხარი, მჭირდები-მეთქი. არ ინერვიულო არაფერზე, სიცოცხლეც მამაკაცი, რომ გული გატყინე. მალე ჩამოვალ და მერე სულ ერთად ვიქნებით მე და შენ. აი, ნახავ. წავუდი ახლა, — უკვე მშვიდი ხმით წარმოთქვა გიამ და სასწრაფოდ გათიშა, რათა ნუკის გამო-სამშვიდობებელი სიტყვები კიდევ ერთხელ არ მოესმინა.

გოგონამ სასწრაფოდ აკრიბა მესიჯი: „ჩემი გული თან მიგყვება, იცოდე“... და პასუხიც წამში მოუვიდა: „ჩემი კი შენთან რჩება. გენაცვალე მაგ ღამეა გულში“...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზის გზნილები

დაუფიქრებლად გადადგმული ნახიჯის უძაბი

მარი ჯაფარიძე

მივესალმები მკითხველს და მშვიდობიან კვირას ვუსურვებ. როგორ ხართ? კიდევ ერთმა კვირამ ჩაიარა და კიდევ ერთი კვირით გავიზარდეთ ყველანი, მაგრამ ზოგიერთ მგზავნებს, მე მგონი, ჭკუა კი არ ემატება, უკან-უკან მიდის მისი საქმე. საკუთარ თავს მესიჯებს რომ უგზავნის, სხვისი სახელით, რა ჰქვია ასეთ ადამიანს? „ავტომომესიჯე“? თუ „ნარცისმომესიჯე“? მოკლედ, თვითონ იცის, ვისზეც ვლაპარაკობ და იმედია, ყურად იღებს ჩემს მსუბუქ საყვედურს. სხვა? სხვა ახალი თქვენი მესიჯებია და ახალი მგზავნელები, რაც ფრიალს სასიამოვნოა...

დაუფიქრებელი სუმრობა

„ანას დანახვისთანავე მოეწონა ეროვნული გვარდიის ფორმაში გამოწყობილი ყმაწვილი. ის ჰოსპიტალში მუშაობდა, ჯარისკაცი კი დაუღვერობით გატყევილ თავს მკურნალობდა, მაგრამ თავი არც ადარდებდა, ოღონდ ანა ექთანს მოეგლო მისთვის. არც გამოჯანმრთელებას ჩქარობდა. ანა კი ხშირად აშაყირებდა, რადგან დათოს ნემსის უწინოდა და ამხელა კაცი ნემსის დანახვაზე ბავშვივით კანკალებდა. „რუსის“ ტანკს შევერკინები უიარალოდ, ოღონდ ნემსი არ დამანახვოთო, ყვიროდა დათო. ამ მკურნალობა-სუმრობაში ისე შეუყვარდათ ერთმანეთი ანას და დათოს, რომ ვერც კი მიხვდნენ, როდის დაიწყო მათი „ლოვე სთორი“. დათო მალე გამოჯანმრთელდა, მაგრამ არ უნდოდა ანასთან განშორება და ხელის თხოვნა გადანყვიტა, თანაც ორიგინალურად უნდოდა გამოსვლოდა და რადგან 1-ელი აპრილი თენდებოდა, გურული იუმორი მოიშველია და ჯერ გახუმრება სცადა (მაგრამ, აი, აქ შეცდა) დათომ დილით დაურეკა ანას და შეხვედრა სთხოვა: მნიშვნელოვან საკითხზე მინდა დაგელაპარაკო და ჩვენს საყვარელ კაფეში გელოდები, არ დაშალაღატოო,



„უთხრა დათომ და თან ანასთვის ნაყიდი ბეჭედი შეამონმა ჯიბეში, კიდევ ერთხელ. ანამაც დიდხანს არ ალოდინა გურლის სწორს, მალევე შეალო კაფეს კარი და სიყვარულით სავსე თვალები შეანათა დათოს. ალბათ ყველა ელოდებით ამ ამბის ბედნიერ დასასრულს, მაგრამ ნურას უკაცრავად... ანა... (ძლივს დაიწყო

დათომ) იცი, მე ცოლიც მყავს და შვილიც, შენ კი შემეყვარდი და იმიტომ ვერ გიმხელდი, მეშინოდა, უარი არ გეთქვაო. ანამ მიმტანს დიდი ჭიქით ცხელი ყავა შეუკვეთა. დათოსთვის კი სიტყვაც არ უთქვამს. ის მოუთმენლად ელოდა პასუხს, რომ სერიოზულ საქმეზე გადასულიყო. როგორც კი მიმტანმა ცხელი ყავა მიართვა, ანას პასუხმაც არ დააყოვნა და დათოს პირდაპირ მამაკაცურ ღირსებაზე დაასხა მღუღარე ყავა. „ესეც პასუხი, ამდენი ტყუილისთვის“, უთხრა ანამ და დემონსტრაციულად დატოვა კაფე. დათოს არაადამიანურმა ბლავილმა შეძრა მთელი კაფე. ვილას ახსოვდა, რომ პირველი აპრილი და ეს ყველაფერი სუმრობა იყო? II ხარისხის დამწველობა — ასეთი დიაგნოზი დაუსვეს ექიმებმა ორმაგად დამწვარ ჯარისკაცს. ამჯერად დიდხანს მოუწია სამკურნალოდ დარჩენამ ჰოსპიტალში დათოს, მაგრამ ანას მისკენ არც კი გაუხედავს. არც დათოს უცდია დალაპარაკება. ასეთი შედეგით დასრულდა საპირველაპრილო სუმრობა. არადა, ყველა „მენდელსონის მარშს“ ველოდით. გურულმა იუმორმა ამჯერად არ გაამართლა. **PS.** დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ჯიუტო სიხარული“.

ნახევარსახლა

„ხმაური აყრუებდა არემარეს. ჩამომდგარიყო ბებერი ნისლი. სუსხი სიო ტანში უკლიდა და გამთბარ კუნჭულსაც კი ყინავდა ბნელეთში. საზიზღარი ქარი უწნავდა ჭუჭყიან თმას. უშნო მაკიაჟს კი ქუჩის მტვერი „უღამაზებდა“. ფეხებს წარამარა აბაკუნებდა, ფიქრობდა,

ოდნავ მაინც გამითბესო. გახეული და მრავალჯერ ამოკერილი „კოლგოტკა“ სულ არ იკავებდა თბილისის სუსხიანი იანვრის სიცივეს. „ჯანდაბას ეს ზამთარი“. „მოვიდეს... რა ჯანდაბა იქნება, დღეს რომ მოხვიდე, იქნებ ახალი კოლგოტის ფული ვიშოვო. ჯანდაბა! თქვენ ამდენი ხართ... ერთიც არ არის ჩემთვის დღეს. ეფერებით ამ სიცივეში ცოლებს

და მე რაში გჭირდებით, მაგრამ სასონარკვეთილები კი ჩემთან მორბინართ. სითბო?...“ საკუთარ ნათქვამზე თვითონვე გაეცინა და ფეხები სამჯერ დააბაკუნა. მანქანამ ჩაუქროლა და იქვე, გუბეში დამდგარი წყალი შეასხა. რაც კი ძალა და ღონე ჰქონდა, შეაგინა მძღოლს. „რა ვენა ახლა?“ მოესმა საკუთარი განწირული ხმა, გულიდან. „ეჰ,

რა უნდა ქნა და უნდა ნახვიდე სახლში, საკუთარ თავს უპასუხა ხმაძალა და ფეხით გაუყვა სუსხიან თბილისს იმ იმედით, იქნებ ვინმე გამოვიჭიროო. ალბათ 10 კილომეტრი მაინც იარა სახლამდე, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით, მაგრამ არც კი დაღლილიყო. მიჩვეულია უკვე, რამდენიმე წელი ასე მარტოდმარტო სიარულს, სამსახურიდან სახლამდე. ცინიკურად ჟღერს, არა? „სამსახურიდან“... მაგრამ ყველას აქვს რალაც საშუაო. მისი კი ეს იყო. სახლში ისეთივე სიცივე იყო, როგორც გარეთ. გაყინული წყლით იბანავა. საოცარია, რამდენს უძლებს ადამიანის ორგანიზმი წლების განმავლობაში. წამოწვა. დღეს ვერ იმუშავა. იმ დამპალს რომ არ გაეწუნა, ალბათ ვინმეს გამოიჭერდა შუალამეს. საოცარია, დღეს რომ არ მოვიდა... მართალია, ბევრს არ მისცემდა, მაგრამ 20 ლარსაც დასჯერდებოდა. ბოლოს და ბოლოს, კოლმპოტს უყიდდა.

შესცივდა. ტანზე პლედი მოიხურა და ლოგინში ჩანვა. „ნეტავ, რა ხდება ქვეყანაზე? რადიო მაინც მქონდეს. შემდეგ ალებზე ვიყიდი ერთ პატარა რადიოს“. ნესტისა და ნიკოტინის სუნით იყო გაუღნითილი მთელი სახლი, ტანსაცმელსაც კი ასდიოდა არამინიერი, დამპალი შმორის სუნი. სიბინძურის ბუდედ იყო „ნახევარსახლა“ ქცეული. სადღაც ვირთხები დარბოდნენ და ჭამდნენ ირგვლივ ყველაფერს. ტარანებს გზა გაეკვილიათ მაგიდიდან მაცივრამდე, რომელიც აგერ უკვე მრავალი წელია, არ ჩართულა. ობობები კი როგორც საკუთარ სახლში, ისე გრძნობდნენ თავს.

სანთელი... მხოლოდ ის იყო აქ წარმავალი და უდარდელი, რადგან არ ემინოდა, რომ აქ მოუწევდა დარჩენა, ამ სიცარიელეში, ამ „ბუნკერსა“ და სიცივეში. მხოლოდ მას ჰქონდა იმედი ამ „ნახევარსახლაში“. ასე შევარქვი სახლს, რომელსაც მხოლოდ 4 კედელი აქვს და სხვა არაფერი. დილა მშვიდი და მზიანი გათენდა, რატომღაც. ბედნიერმა გაახილა თვალები, ოთახს თვალი მოავლო... ამანაც არ დააყენა ცუდ ხასიათზე. ადგა, ისევ გაიყინა, მონესრიგდა და იქვე, კუთხეში დადებულ ხატს შეავლო თვალი. გაუღიმა. „ვიცი, დღეს რალაცას ვიშოვი, გული მიგრძნობს“, თვალი ჩაუკრა და გავიდა“.

ბებოს გასათვალისწინებელი რჩევა

„ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერო, 24-საათიანი რეჟიმით მიმეორებდა ხოლმე ბებიჩემი კვირის ნებისმიერ დღეს, უამრავი წლის განმავლობაში... ბოლოს, როგორც იქნა, მიხვდა, რომ „კუზიანს მხოლოდ სამარე ასწორებს“

და ხელი აიღო ჩემი „წინდახედულ ადამიანად“ ჩამოყალიბების გეგმაზე... ახლა, უკვე მომხდარი მოვლენების გაანალიზებისა და განსჯისას, ვხვდები, რომ უამრავი დაუფიქრებელი ნაბიჯი გადამიდგამს. შეცდომებს ვხვდები, მაგრამ მაინც წინდახედავი ნაბიჯებით მივიკვლეე გზას მომავლისაკენ. თუმცა, არასოდეს ვნანობ...

ამბავი, რომლის მოყოლასაც ვაპირებ, სულ რამდენიმე ხნის წინ, უფრო კონკრეტულად კი — „უპატარალო ქორწილის“ აღნიშვნიდან მეორე დღეს მოხდა... სახლში გვიან ღამით დავბრუნდი და მეორე დღით ადგომა ძალიან გამიჭირდა. „ბუდილინიკის“ ნიოკა ხმასთან შერწყმული ბებიჩემის კვილიც არ აღმოჩნდა საკმარისი ჩემს მოსასულიერებლად და გონზე მოსაყვანად, მაგრამ ცდამ შედეგი გამოიღო... მეგობრებთან შეხვედრა და მათი გაღიმებული სახეების დანახვა საკმარისი აღმოჩნდა ტვინის მიძინებულ უჯრედების გაღვიძებისთვის და მეც, ერთი შეხედვით „ფორმაში ჩავდექი“... როგორც ჩემი ახლობლები ამბობენ, ამქვეყნად, 2 რამ არ უნდა გაგიკვირდეს ადამიანს: ვირისგან წიხლი და ჩემგან — სიგიჟე... ასე მოხდა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც... ის იყო, ჩვენი ინგლისურის მასწავლებლის „წმინდა კერაი“ მიუჯახლოვდით, რომ ჩემს ერთ-ერთ ჯგუფულ ლიზის თავისი პლატონური სიყვარული გაახსენდა და სენტიმენტალური საუბრებით გააბრუნა ყველა იქ მყოფი. საქმე ის გახლავთ, რომ ერთი სერიალის მთავარი გმირის მომხიბვლელობითა და სიმპათიურობით აღფრთოვანებულ გოგონას, მასზე ფიქრები აჰკვირებია და გაკვეთილების სწავლისასაც კი მასზე ფიქრობს (ფიქრება, როგორც თავად ამბობს). ეს კიდეც არაფერი, სიზმარშიც მისი მამაკაცურ-დაკუნთული სილუეტი ელანდება და აცნობიერებს რა მომხდარის არარეალობას, იმედი უტრუფდება... — ჩემი ოცნების მამაკაცია, რომლის გამოც სიცოცხლესაც კი დავთმობდიო, — აღნიშნა ხუმრობანარევი ტონით... ჯგუფულ გოგონებს სიცილად არ ეყოთ დაქალის ნაამბობი, ბიჭებმა კი „ხმელეთზე დაშვება“ და მყარი ნაბიჯებით სიარული გულწრფელად ვურჩიეთ, ილ-

უზიების სამყაროში გადასახლებულ ლიზის...

— გაკვეთილი გაიმეორეთ და მეც რამდენიმე წუთში შემოგიერთდებით, სამზარეულოში საქმეს დაგამთავრებ და...

— სიტყვა დაგვანია მასწავლებელმა და დაგვტოვა მარტო, ჩვენს ფიქრებსა და განცდებთან.

აგზნებული გოგო თავისას არ იშლიდა...

— აი, გუშინ ვუყურებდი სერიალს და კინალამ მოვევდი... ასეთი მამაკაცური, ღვთაებრივი, მიზიდავლი ნაკვთები არასდროს მინახავს მამრობითი სქესის წარმომადგენელზე... სექსუალური მიხრა-მოხრა, ივენანასავით სასიამოვნო ხმა...

— შენ რა, მასთან მეგობრობას არ სჯერდები და უკვე სექსზე ფიქრობ? — ხარხარით ჰკითხა მიშომ ოცნებებში ჩაძირულ ლიზის...

— მიშოოოოო, ის ისეთი ზესიმპათიურია, მერწმუნე, ყველა ქალი ფიქრობს მასთან სექსზე, — ეჭვიც არ ეპარებოდა თავის ნათქვამში.

— და... უარი რომ გთხლიმოოს? — მამინევე ჩავეტი ამ გულის ნასვლამდე საინტერესო და გულწრფელ დიალოგში...

— ვინა, ბიჭო, იმ ძუნძლიანმა უნდა მითხრას უარი (აკი ზესიმპათიური და ღვთაებრივი?!)? რა მაქვს იმის დასაწუ-

თავარაობს და აჩვენებს პალიტრა! www.palitratv.ge

დღის მთავარი სანიმუშო გამოშვება

„რეზიუმე“

დინა ბრანაიძე და მარა მებრეველან მრთაღ

ყოველღა 19.00-დან 20.00 სთ-მდე.

მთავარი დღის
ფაქტები და არგუმენტები
შეფასება და ანალიზი
დღის რეზიუმე

რასაც სწავნან ვერ გომხვდით!

სივარულე უმთავრესია!

FM 103.9
რადიო პალიტრა



ნი, მე, ლიზი ლიპარტელიანს? აქეთ შემეხვეწოს, რაა, — ჩაცუცქვალა ავლდა თორემ, ხმის ტემბერი ჰქონდა ისეთი, შემირცხვენია „სტაჟინი“ „ქუჩის ბიჭი“...

— თუ მაინც გაბედა და იუარა ბიჭმა, ისეთი გაბედული ჩანს ჩვენი ლიზიჩკა, ძალის გამოყენებაზეც არ დაიხვეს უკან, — „დააკომენტა“ ჩვენი „ბლიცდილოგი“ მიშომ და საკუთარი ნათქვამით ნაწამოვნები, სკამის საზურგეს მიყვრდნო...

წარმოვიდგინე, როგორ აუპატიურებს ჩვენი გაჩხიკულ-გაძვალტყავებულ ჯგუფული დაკუნთულ მამაკაცს... როგორ ხდის ტანსაცმელს და როგორ ემუდარება ყმანვილი, — ცხოვრებას ნუ დამინგრევ, არ გინდა, გთხოვ, ოო, არა! — ჩემი ნაფიქრ-წარმოადგენელი მეგობრებს გავანდე და მათი დაუინებელი თხოვნით, „ძალადობის მსხვერპლის“ რეაქციის ინსცენირებას შევეცადე... სკამიდან დივანზე გადავინაცვლე, ბალიში ჩავიხუტე (ოო, ეს სერიალები) და აცრემლებული თვალებითა და ტკივილით გაჟღერებული ხმით, შემდეგი სახის მონოლოგი ჩამოვარაკრავე:

— გეფიცებით, ჩემი ბრალი არ იყო... არ მინდოდა, მე არ... ო, გახსენებაც არ მინდა... მოვიდა, მე ზურგით ვიდექი... თათუნის ვიგრძენი სხეულზე (აქ სახეს ვიჩხაპნი)... ღმერთო, რა სიბინძურე იყო... მერე ტანსაცმელი გამხდა და (გაორმაგებული ცრემლები, გაზრდილი ტკივილი — ხმაში)... ამის გახსენებაც არ მსურს... სამუდამო ლაქა დასავა იმ პირუტყვმა ჩემს ცხოვრებას... ალტაჯი... ამის შესახებ რომ ვინმე გაიგოს... ისეთი დამაჯვრებლობით ვასრულებდი ქალის მიერ გაუპატიურებულის როლს, რომ კინაღამ მე თვითონვე დავიჯვრე ჩემი „ძალადობის მსხვერპლობა“.

ძველი ქართული, მხატვრული ფილმი, „იმერული ესკიზები“ ალბათ ყველას გაქვთ ნანახი და ისიც კარგად გახსოვთ, როგორ „ოსტატურად“ ესადაგება სიტყვა „ტიტულუუ!“ მოხუცის გაკვირვებას. ოთახში შემოსულ მასწავლებელს ჩემი მონოლოგის მხოლოდ ის ნაწილი მოუსმენია, სადაც „ძალადობის“ შესახებ აცრემლებული ვუყვებოდა ჩემს მეგობრებს და „გულისამაჩუყებელი“ ამბის დამთავრებისთანავე, იმხელა დასჭევა ჩემმა მასწავლებელმა, — დედა, ეს რა დამართვია ჩემს პატარასო, შემირცხვენია „იმერული ესკიზები“ და მათი „ტიტულუუ“

უუ!“ ბევრი ვეცადეთ აღმოვთვალე პედაგოგის დამშვიდებას, მაგრამ უშედეგოდ. მარტო ის მითხარით, ვინ არის, რა ჰქვია, ჩემი ხელით უნდა დავთხარო თვალებიო, ამას გაიძახოდა, გულჩამწვარი. დღემდე გაუპატიურებული (ქალის მიერ) ვგონივარ ჩემს „მასწავ“ და ყოველდღიურად უფრო მეტ სითბოსა და სიბრაულეს ვითხოვ მის თვალბში... აი, ასეთი შედეგი მოჰყვა ჩემს კიდევ ერთ დაუფიქრებლად გადადგმულ ნაბიჯს... P.S. 18 რუისპირი (GREEN)“.

ცოლს შეწირული ჭიშკარი

„ნათქვამია, სიყვარულმა გადარია ტარიელიო და არც კახელ გივის დააკლო, იმის მიუხედავად, რომ გადარევა და გაგიჟება სულაც არ აკლდა. როცა გივის გულში ერთი მისი თანასოფელი გოგო ჩაუვარდა, ლექსებსაც კი უძღვნიდა... გივის ცალმხრივი სიყვარულით მისი 3 უახლოესი ძმაც იყო დამწუხრებული. ერთ დღეს გადანყვიტეს, ჩვენც ისე უნდა დავიტანჯოთ, როგორც ჩვენი გიგანო იტანჯებოდა და მასთან ერთად დაინყეს ფიქრი და ბჭობა, როგორ უნდა მოეტყვიანთ ციციწო. გოგოს მკაცრი მამა ჰყავდა და ბიჭებს მისი შავი ჭირივით ემინოდათ მისი. შეუდგნენ მოტაცების გეგმის შედგენას. ბევრი იფიქრეს ბიჭებმა, ხან გული დაფუთოთო, ხან — ლექსი მიუძღვნათო, მაგრამ გივის მოთმინებამ უღალატა და გადანყვიტილება უცებ მიიღო — ავდგები და მამამისს კაცურად დაველაპარაკები, თუ საჭირო გახდა, ხელითაც შევეხები და ჩემს ციციწოს ძალით წამოვიყვანო. ბიჭებს თავში არ ნაუშენიათ ხელები, მაგრამ დავილუბეთო, კი თქვეს ერთხმად. კახელი გივი, კახელ ვირზე ჯიუტი აღმოჩნდა და იმ დღესვე გაეშურა სასიამაოროსთან ძმაცაცებითურთ. სასიამაორომ სტუმრები მიიღო და მოუსმინა კიდევ. ბევრი ილაპარაკეს ბიჭებმა, გივის კაიკაცობისა და ადამიანობის შესახებ, თავად გივიმაც არ დააკლო თავის თავს ეჭვა-დიდება, ბოლოს კი სასიამაორომ იკითხა, დაამთავრეთ ლაპარაკიო? როცა თანხმობა მიიღო, უთხრა: ჰოდა, თუ დაამთავრეთ, სანამ არ მიცემინხართ, სიმალის მიხედვით დაენყვით და გაეყარეთ ჩემი სახლადანო. თან თვალები დაუბრიალა ნირნამხდარ ბიჭებს. პირველს გივის მოუწია გასვლა, უკან კი ძმაცაცები მიჰყვნენ. გამწარებულმა გივიმ, ერთი მინგრეული ხის ჭიშკარი ჰქონდა, იმას ეცა და ცუცხლი ნაუკიდა, მერე კი დათვრა და დაიძინა. მეორე დღით, ძმაცაცების ხმამ გააღვიძა: გივი, ადე, ჯოო, ჭიშკარი გააღე, ციციწო მოვიდაო, მაგრამ გარეთ გამოსულ გივის (ციციწოს ვინლა დაეძებდა), ეზოს კარნიც აღარ დახვდა. თქვენი ლუნა“.

სინანული

„ყოველთვის, როცა ცუდად ვარ, როცა რამე არ გამოდის და საერთოდ, როცა სინანული გულს ამიჩქარებს, ვფიქრობ ხოლმე, რა დავაშავე? რა გავაკეთე დაუფიქრებლად? ნეტავ იცოდნენ, რამდენი ასეთი შემთხვევა მახსენდება. პირად ცხოვრებას ეხება ეს თუ სხვა რამეს, მაგრამ ფაქტია, ძალიან განვიცდი. ახლა ვფიქრობ, რომ სისულელე ჩავიდინე, არ მომწონს და ვნანობ, მაგრამ რაღა დროს... ძალიან ბუნდოვნად დავინყე, მაგრამ... მოკლედ, 17 წლისას შემიყვარდა (მაშინ ასე მეგონა) ერთი ბიჭი. ურთიერთობა ძირითადად ტელეფონით გვექონდა. პირადად როცა ვხვდებოდი, ცდილობდა ეკოცნა (არა მარტო). დიდხანს ვჯიუტობდი და არ მინდოდა, მაგრამ მაინც მაკოცა (მეტი არაფერი) ბედნიერი ვიყავი, ვფიქრობდი, რომ მასაც ვუყვარდი, თუმცა მერე დაიკარგა. ძალიან განვიცადე. მერე გამოჩნდა ერთი ადამიანი, ძალიან სუფთა სულის მქონე (ბილნი ზრახვების გარეშე) და მან დამიბრუნა სიყვარულის იმედი. ყველაფერი სხვაგვარად დამანახვა. ის ჩემი მეუღლეა და მრცხვენია მისი, რადგან მან არ იცის იმ ბიჭთან ჩემი ურთიერთობის შესახებ. მას ამქვეყნად ყველაზე წმინდა, გულწრფელი ადამიანი ვგონივარ. მართლა ვნანობ და განვიცდი, რომ სიმართლეს ვუმალავ. მრცხვენია ჩემი წარსულის. თან მეშინია, რომ ყველაფერს გაიგებს და არ მაპატიებს. ძალიან მეშინია სიყვარულის დაკარგვის“.

შეყვარებული

„ჩემი პირველი დამოუკიდებელი მოგზაურობა მაშინ დაიწყო, როდესაც 2008 წლის ომს გავექციეთ, მე და ჩემი ოჯახის ნაწილი, კიევში. კარგი დრო გავატარე, მაგრამ ეს ის არ იყო, რაც ყოველთვის მინდოდა. მე მინდოდა მეგობრებთან ერთად აწყვეტა, ნაირ-ნაირ კლუბში წაწაღი და ბოლოს და ბოლოს, თმა შემეღება ვარდისფრად, რადგან საქართველოში არ ვიყავი და არავინ დამინყებდა პირდალუბული ყურებას. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, არ მომეძარა. გარდა იმისა, რომ კარგი ადამიანები გავიცანი, 2-ჯერ ვიყავი

ჭურაღლება!

თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

რესტორანში და დავტყუანე ეგრეთ წოდებული კიევეური, „ხელოვნური პლაჟები“, მაგრამ მაგარი „ზაგარი“ მქონდა. დაბრუნება საოცრად გამიხარდა, რადგან ყველა მენატრებოდა და საოცრად განვიციდიდი ჩემი დედისა და მამის გარეშე ყოფნას.

მიიწურა ზამთარი და მოვიდა საოცარი, ჩემი სამეგრელოში „პაუზდკის“ პერიოდიც. ურევი ყოველ ზაფხულს „გამონერილი“ მაქვს და „ტკინის ამთხრელ“ ბავშვებთან ერთად დასვენება, თან მათი ძიძასავით მომსახურება მომბუნდა. რას იზამ, ბავშვები არიან, თან — „მამიკოს ბავშვები“. დგება ნანატრი წამი და ჩამოვდივარ ჩემს რაიონში — ხობში. საოცარია, აქაური ჰაერიც კი პარიზის ჰაერივითაა, თბილი და ტკბილი. თუმცა, პარიზში არასოდეს ვყოფილვარ. :) ბებულიკო და გაბუმტული ბაბულიკო მთელი წელი მელიოდნენ და როგორც იქნა, მეც ჩავდი. ზაფხული ბავშვობის მეგობრების წრეში გადის, არყის სმამი და ნათლიაჩემის სახლში, რომელიც ყველაფერში „გვისწორებს“. ჯოკერის თამაშში ვათენებთ და ვალაშებთ. გამთენიისას, როდესაც უკვე ჩვენი ხმაური ქალაქს სცდება, პასუხად კი ჩვენი მეზობელი კარლინგის გინებაც შემოგვეწევა, რომელიც გვაიძულებს ან იქნებ გვანიშნებს იმას, რომ დროა, დავიშალოთ.

შუალაშე, როდესაც არ გინდა, ბებულიკომ და ბაბულიკომ დაგინახონ და შენი პატიოსანი სახელი შეიბღალოს მათ წინაშე, იძულებულს გხდის, უანგინ ლოპეს გადაახტე და კინჩხიც კი მოიტეხო, ოღონდ ჩუმად შეიპარო სახლში.

დილა საფიქრალით გათენდა: „რა დავლიოთ?“ მამიკოს გამოგზავნილი, უკანასკნელი 20 ლარი კი სულ არაყსა და „ზაკუსკაში“ დაიხარჯა, „სასტავთან“ ერთად. ბოლო გამოსავალი ისაა, რომ დროა, ბაბულიკოს 4 წლის შენახული არაყი მოიპარო და მეგობრებთან ერთად ისიამოვნო ერთი დღე. მერე რა, რომ ამან შეიძლება პედაგოგი ბებულიკოსა და ზედმეტად პატიოსანი ბაბულიკოს აღშფოთება გამოიწვიოს. როგორ შეიძლება, მისმა შვილიშვილმა ასეთი რამ ჩაიდინოს? ბოლოს, ისე გადის დღეები, რომ წასვლის დრო ახლოვდება და მათ ყველაფერი ავიწყდება და გაბატონბენ, რად-

გან კიდევ ერთი წელი ვერ განახვენ.

შეგრძნებები ერთი თვე მაინც გაგყვება, ერთი თვის შემდეგ კი ფიქრს იწყებ, თუ როდის გავა წელი, რომ ისევ მოიპარო ბაბულიკოს არაყი და ხმაურით „გამანარო“ მეზობელი კარლინგი. ნინი ფარფალია“.

მეხანძრე

„ერთხელ, როცა პატარა ვიყავი, ასანთით თამაშით ვერთობოდი მე და ჩემი ბიძაშვილები — გიო და მარი. ეზოში დიდი პალმის ხე იდგა და ჩვენც მის ძირში ვთამაშობდით. პალმას ანთებული ასანთი მივუახლოვე. მეგონა, პატარა წინვი რომ ჰქონდა, ის დაიწვებოდა, მაგრამ შევცდი. უცებ ავარდა ალი და მოვიდა პალმას. მე შევემინდი და დავიშალე. ამ დროს ბიძაჩემები მანდარინს კრეფდნენ და ცეცხლი რომ დაინახეს, უცებ ამოირბინეს. ხე სახლთან ახლოს იდგა და მეორე სართულიდან ასხამდნენ წყალს. გადავრჩით სახლის დანვას, მაგრამ ამ საქციელს ვნანობ დღემდე. მართალია, იმ სახლში აღარ ვცხოვრობ, მაგრამ ხშირად ვარ იქ. ხანდახან ღიმილით ვიგონებთ... მე ხომ პატარა ვიყავი მაშინ. თამაშ“.

გულუბრყვილო

„გამარჯობა. მინდა, ჩემს გულისტკივილზე მოგიყვებო, ამ თემასთან დაკავშირებით. დაუფიქრებლად გადადგმული ნაბიჯი ნებისმიერი ადამიანისთვის

სავალალოდ შეიძლება დასრულდეს. ერთი ჩემი მეგობარი, რომელიც ყურბამდე იყო შეყვარებული უღირს, გაუნათლებელ, ერთი სიტყვით, შეუფერებელ ადამიანზე, გათხოვდა. ცხოვრება დაინგრია და საერთოდ, შეწინა კიდევ ბავშვურ გატაცებას. ის ბიჭი ძალიან ყურადღებიანი იყო და სწორედ ამით შეაყვარა თავი ამ პატარა, გულუბრყვილო გოგოს. თუმცა, უხეშად რომ ვთქვათ, „თავისი რომ მიიღო“, ადგა და ყველანაირი ურთიერთობა დაამთავრა ამ გოგოსთან. შედეგად კი გოგონა დაფხმძიმდა და იმის შიშით, რომ ოჯახი ხელს ჰკრავდა და სახლში აღარ დაედგომებოდა, ადგა და მდინარეში გადასტა, თავი დაიღუპა, ის ბიჭი კი თამამად დადის ამქვეყნად და ვინ იცის, რამდენ ასეთ გულუბრყვილო გოგონას ელის ისეთივე რამ, რაც ჩემს მეგობარს დემართა. შეცდომა ადვილი დასაშვებია, მისი გამოსწორება კი — ძალიან რთული და ბევრ შემთხვევაში — სავალალოც. თამაშ“.

მომდევნო ნომრის თემა იქნება
 — „**წღობის მსხვერპლი**“.
ამბები შეგიძლიათ
გამოგზავნოთ მესჯევებით
ტელეფონის ნომერზე:
8.77.45.68.61
ან მომწეროთ ელფოსტაზე:
marorita77@yahoo.com

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!
 ყოველ ხუთშაბათს, ურნალ „გზაპნილები“ ერთად შეიძინეთ ენობრივი ტრენინგული მწერლების თითო ტომი

ტომი №59
ნაირა ბელაშვილი
დადის ოთახი
(ნაწილი II)

წიგნის ფასი 3 ლარი!
14-დან - 21 აპრილამდე!
ნაიკითხვა ნივთი-უპატიესად იძიება!

შვედ გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

N1 ბუბაზ ზოგანაშვილი	N31 ნუზარ ზაბაიძე
N2 ვიქტორ ჯაბაშვილი	N32 ნუბარ
N3 ნიკოლოზ ლუბაძე	N33 რენდა ზნეპალია
N4 ოლა თაყაიშვილი	N34 იაკობ გიგანაშვილი
N5 ვაჟა-ფშაველას	N35 კობე ჯაფარიძე
N6 ვაჟა-ფშაველას	N36 ლეონ სანიაშვილი (თმანი)
N7 რატი თეთრაძე	N37 ლეონ სანიაშვილი (თმანი)
N8 აბო მდინათი	N38 თაბაჩი
N9 ვაჟა-ფშაველას	N39 ლეონ სანიაშვილი
N10 დიმიტრი კლიშინი	N40 ნაბი მთაწარი
N11 ოთარ თრიალავა	N41 ნაბი მთაწარი
N12 გიორგი აბაშიძე (თმანი-1)	N42 ნაბი მთაწარი
N13 გიორგი აბაშიძე (თმანი-2)	N43 ნაბი მთაწარი
N14 ანდრო ლუბაძე	N44 ნაბი მთაწარი
N15 ნაბი მთაწარი	N45 ნაბი მთაწარი
N16 ნაბი მთაწარი	N46 ნაბი მთაწარი
N17 ნაბი მთაწარი	N47 ნაბი მთაწარი
N18 ნაბი მთაწარი	N48 ნაბი მთაწარი
N19 ნაბი მთაწარი	N49 ნაბი მთაწარი
N20 ნაბი მთაწარი	N50 ნაბი მთაწარი
N21 ნაბი მთაწარი	N51 ნაბი მთაწარი
N22 ნაბი მთაწარი	N52 ნაბი მთაწარი
N23 ნაბი მთაწარი	N53 ნაბი მთაწარი
N24 ნაბი მთაწარი	N54 ნაბი მთაწარი
N25 ნაბი მთაწარი	N55 ნაბი მთაწარი
N26 ნაბი მთაწარი	N56 ნაბი მთაწარი
N27 ნაბი მთაწარი	N57 ნაბი მთაწარი
N28 ნაბი მთაწარი	N58 ნაბი მთაწარი
N29 ნაბი მთაწარი	N59 ნაბი მთაწარი
N30 ნაბი მთაწარი	N60 ნაბი მთაწარი

გამოიწერეთ **გზაპნილები** და საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „**ელვა.ჯი**“ ტელ: 38 26 73; 38 26 74

„მას სიყვარული კი არა, ვნება ამოძრავებს“

„საკუთარ თავსაც უხველვ და იმ არაკაცის სოლის იხსენი“

„გზის“ №13-ში დაიბეჭდა ელიზას მესიჯი. იგი გვწერდა: „ჩემი ძმის ძმაკაცს ცოლი ჰყავს და თან, მე მწერს, — მიყვარხარო. თუ ცოლთან ერთადაა, მიმტკიცებს: ჩემი დაიკო ხარო. სხვათა შორის, მისი ქორნილის დღეს ერთ მანქანაში ვისხედით და მოფერება დამიწყო; იცოდა, ხმას ვერ ამოვიღებდი, რადგან ჩემი ძმაც იქ იყო და ამით ისარგებლა... მინდოდა, ეს ყველაფერი ძმისთვის მეტყვა, მაგრამ მეშინია, არ მოკლას“.

ლიკა ქავია

ბრუზინკა:

„ეს ყველაფერი როდემდე უნდა აიტანო? ჯობია, ძმას სიმართლე უთხრა და კარგად მიუყუოს. იმედია, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს...“

TALKER:

„ამ ბოლო დროს მძიმე შემთხვევებმა იმატა თუ მე მეჩვენება? ელიზა, იმედია ხვდები, რომ იმ ბიჭს არ უყვარხარ და შენთან მხოლოდ ერთობა. ძმას ყველაფერი, თანაც — დეტალებში უნდა უამბო. P.S. ეჰ, მერე რომ დაგვცინიან, — ქალები სულელები ხართო, როგორ შევიცხადებთ ხოლმე, არა? აბა, შენ იცი!“

ირაკლი:

„თუ ის ბიჭი მსგავს რამეს კიდევ გაკადრებს, ადექი და მუშტი უთავაზე (შეიძლება, ხელი ცოტათი გუტკინოს, მაგრამ გათხოვებამდე დაგვიწყდება :)). მერნმუნე, ეს კარგი გამოსავალია“.

WANDERER:

„იმ ბიჭს არ მისცე იმის საშუალება, რომ შენც გეთამაშოს და საკუთარ ცოლსაც. ძმას ყველაფერი უთხარი. ნუ გეშინია, ცუდი არაფერი მოხდება!“

ატარამსია:

„გადამრევენ მე ეს ვითომ მამა აბრამის ბატონები, რა. „მოგეთომარა“? ეი. ამის საბაბი და პონტი ჰქონდა, თორემ ძმის ძმაკაცი კი არა, ზოგჯერ შეყვარებული ბიჭიც ვერ ეფერება გოგოს. ჰოდა, ჩუ, რა“.

ზამზარა:

„მაგ ამაზრზენ ბიჭს სიყვარული კი არა, ვნება ამოძრავებს. მეც მქონდა მსგავსი შემთხვევა, მაგრამ მაშინ მე პატარა ვიყავი, ის კი „დიდი“ გახლდათ. ერთ საღამოს მუქარით მაიძულა, მისი ხელის ფათური უნმოდ ამეტანა. მართალია, მაშინ ძალიან შეშინდა, მაგრამ გავიდა წლები, გავიზარდე და ერთხელაც, როცა ისევ შეგვხვდი, კვლავ მისი ამღვრეული, ბინძური მზერა დავაფიქსირე. წლების განმავლობაში დაგროვილმა ზიზღმა ამოხეთქა და ცხოვრებაში პირველად, ყველას წინაშე ისე დავამცირე, რომ ხმის ამოღებაც ვერ შეძლო. თურმე, სიტუაციის საოცარი შინაგანი ძალის მოცემა შეუძლია! საშინელებაა, როცა ვიღაც გეზიზღება, მაგრამ მერნმუნე, მის დამარცხებაში ეს გრძნობა დაგეხმარება.“



თავს ნუ დაუხრი და ნუ გაჩუმდები, თორემ ეგ ერთი ვითომდა უმნიშვნელო ხელის ფათური გაგამწარებს. გთხოვ, ის ახლოსაც აღარ გაიკარო და თუ საჭირო გახდება, საქმის კურსში უფროსებიც ჩააყენე. წარმატებებს გისურვებ!“

ლუნა:

„გირჩევ, მისთვის სათამაშოდ არ იქცე, შენთან მოახლოების უფლებაც აღარ მისცე დაუშურე; იცოდა, ყველაფერს ჩემს ძმას ვტყვი-თქო. P.S. მაპატიე, მაგრამ ჩემი აზრით, მე თუ არ მინდა, ვერაფერ ვერაფერს გაიბედავს. აბა, შენ იცი და შენმა ქალობამ“.

ნევეროზიანი:

„შენი ძმა თუ იქ იყო, როგორ გეფერებოდა? ან თუ ხვდები, რომ სხვანაირად გიყურებს, თავს რატომ არ არიდებ? იცი, რა, ჯობია, შენმა ძმამ სიმართლე გაიგოს, თორემ არავინ იცის, ის ბიჭი კიდევ სად ან როდის უღალატებს. ჰოდა, არაა საჭირო, შენს დედამამივილს გვერდით ასეთი ძმაკაცი ჰყავდეს. უმოქმედოდ ნუ იქნები!“

ანასტასია 23:

„ეგ ბიჭი უნამუსოა, პატივს არავის სცემს, მაგრამ ალბათ, რალაც საბაბი შენც მიეცი. შეეცადე, მასთან შეხვედრას თავი აარიდო“.

პატარა პოროტუნა:

„მესმის, რომ ამას ძმას ვერ ეტყვი, მაგრამ იმ ბიჭს თავადვე უნდა დაელაპარაკო და „მოაჯინო“, თორემ მერე შეიძლება, ყველაფერი ცუდად დამთავრდეს — ეს ამბავი სხვებმა თუ გაიგეს, შენ მოგნათლავენ მრუშმად“.

ძვრივი:

„მოფერება დაგინყო და გაიტრუნე“

საინტერესოა, რატომ ხუთივე თითი არ დაამჩნიე ლოყაზე? იცოდა, ერთხელ თუ გაჩუმდი, მომავალში მეტს გაგიბედავს. გამოფხიზლდი!“

რუისპირი (GREEN):

„შენ ხომ არ იცი, რა ამაოდ ცდილობ ჩვენს მოტყუებას... მოდი, ყველაფერს ქრონოლოგიურად მივყვით: ქორნილის დღეს მის მანქანაში ვიჯექი და ხელებს მიფათურებდაო, — აბა, მიჩნდება ერთი მარტივი კითხვა როგორ? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მანქანაში სულ 5 კაცი ეტევა (ეს სტანდარტია, თორემ ცხრაც კი ვმსდარვრთ) იქიდან გამომდინარე, რომ ქორნილი იყო, სიძესთან ერთად, „ინციდენტის ადგილას“ პატარადაც იქნებოდა; შენი ძმაც იქ ყოფილა, პლუს ნევე, მძლოლი და რალა თქმა უნდა, შენ. დაფუშვით, მძლოლის გვერდით პატარადაც იჯდა, მაშინ რა გამოდის? შენ, შენი ძმა და მოძალადე ერთად ისხედით, ის ხელებს გივათურებდა და შენც წყნარად, მიაძიტი სიფათით ეგუებოდი სხეულზე უცხოთა თათუნს? ჰმ... თუ შენი ძმა ნინ იჯდა (სავარაუდოდ, შენი არგუმენტი ასეთი იქნება), ეი. გვერდით საყვარელი ქალი ეჯდა და ისე გეფერებოდა? ყველა უბედურებასთან ერთად, ფანტაზიის უნარიც დაქვეითებული გაქვს“.

ზუსა:

„ეგ ბიჭი მართლა რომ გეზიზღებოდა, მის მიმართ რალაც სხვას რომ არ გრძნობდე, მისი მოფერება რომ არ გსიამოვნებდეს, ამ ამბავს ერთი ნამითაც არ დამალავდი. მერნმუნე, მას მოკვლით არავინ მოკლავს, მაგრამ თავს მწარედ კი დაამახსოვრებენ. საკუთარ თავსაც უშველე და იმ არაკაცის ცოლიც იხსენი. აბა, წარმატებები! უფალი გვარავდეს. არ შეშინდე“.

აუტანალი:

„შენს ადგილას იმ ბიჭს კარგად გამოვლანძლავდი და ყბაში გემრიელ მუშტსაც ვუთავაზებდი. ვერ ვხვდები, ამ დამცირებას რატომ ითმენ? გამბედაობა მოიკრიბე და მას თავისი ადგილი მიუჩინე“.

„შეყვარებული ვ წლის წინ დამეღუპა“

უივიალი:

„შეყვარებული ვ წლის წინ დამეღუპა. ჩვენ უკვე დაქორწინებას ვაპირებდით. მისი გარდაცვალების შემდეგ გავიგე, რომ ნაცოლარი ყოფილა და ამან მთლად გამანადგურა. არ მინდა, გარდაცვლილზე ცუდად ვიფიქრო, მაგრამ... ახლა ალარაფრის იმედი არ მაქვს. მგონია, რომ ბედნიერი ვერასდროს ვიქნები, რადგან ყველა ბიჭს ეჭვის თვალით ვუყურებ, ყველა მატყუარა მგონია. იქნებ ამ პრობლემის დაძლევაში თქვენი რჩევები დამეხმაროს. წინასწარ გიხდით მადლობას“.



შია 92.

„ჯობია, ქმარს კატეგორიულად მოსთხოვო, მუშაობა დაიწყოს. უთხარი, რომ ცხოვრების ასე გაგრძელება აღარ შეგიძლია, მაგრამ თუ შედეგი ამანაც არ გამოიღო, გაშორდი... რას ჰქვია, შეურაცხყოფას გაყენებენ? შენი ქმარი მათ არაფერს ეუბნება? ჯობია, იმ სახლიდან წამოხვიდე, თორემ ნერვები არა მარტო შენ, არამედ შენს შვილსაც გაუფუჭდება“.

უწინაო:

„გზას“ სისტემატურად ვკითხულობ, ნიგნთან ერთად მაქვს გამოწერილი. თუ საქართველოში მართლაც ამდენი დატანჯული და დეგენერატია, „მაღაღეც“, ჩვენ, ნეტა, ვის აინტერესებს, ქმარს ვინ როდის ეყრება და რას უშვრება? ვაი, მათ... მამაკითხეთ. P.S. გათხოვილი ქალის ნომერი მომეცით, რა. მინდა, დავეხმარო“.

ზარლოპ კოლხი:

„შენი გამკვირვებია, რა. რომ თხოვდები, აბა, რა გეგონა? ჩემი რჩევაა, წუნუნს შეეშვა და ოჯახზე იფიქრო. ისე, ერთი კარგი როზგი გამოგასწორებდა“.

ბუსა:

„სამწუხაროდ, ადრეულ ასაკში შექმნილი ოჯახი ხშირად ინგრევა. თუკი ხვდები, რომ ეს ადრე თუ გვიან, მაინც მოხდება, ჯობს, ახლავე გაეყარო — ასე ბავშვის ფსიქიკასაც გაუფრთხილები და თან, ზედმეტ ჩხუბსა და ნერვიულობას აიცილებ თავიდან. წარმატებები!“

რუხიანი (GREEN):

„მსურს ქმარს გავეყარო, — ამბობ და შენს ვრცელ მესიჯში ის მხოლოდ ერთხელ გყავს მოხსენიებული. ბოლო რამდენიმე თვეა, რაც ქართული მედიასაშუალებები მოგვითხრობენ მოძალადე ქმრების მსხვერპლ ქალებზე, მათ კომპარულ, არამედიკინურ მძიმე ხვედრზე, შიმშილზე, ცემასა და წამებაზე; ისინი ათასგვარ შეურაცხყოფას, დამ-

„ქმარს მოსთხოვე, იმუშაოს“

„ახალგაზრდებო, ბრძოლის უნარი რატომ დაგიკვირდათ?“

„გზის“ №13-ში დაიბეჭდა 17 წლის გათხოვილი გოგოს მესიჯი. იგი გვწერდა, რომ ერთი წელია, რაც გათხოვდა და მეუღლის მშობლებთან ერთად ცხოვრებას ვეღარ ეგუება. „რომ გითხრა, მატერიალურად გვიჭირს-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ ცუდი ისაა, რომ მეუღლის მშობლებს, უფრო სწორად, დედამისის ხარჯზე ვცხოვრობთ. ჰოდა, ვინაიდან ფულის ხარჯვა არ უყვართ, როცა მე და ჩემს პატარას რაღაც გვჭირდება, ჩემს მშობლებს ვაწუხებ... გარდა ამისა, შეურაცხყოფის ატანაც ხშირად მიწევს. რა გასაკვიროა, რომ ამ ყველაფრისგან დავიღალე, ასეთი ცხოვრება აღარ მინდა და მსურს, ქმარს გავეყარო...“

ცირებას იტანენ საზოგადოებრივი გაკიცხვისა და ქორების თავიდან ასაცილებლად, ზოგს შვილისთვის სახელის გატების ემინია (გაუგებარი ლოგიკაა), შენ კი რაებს ბოდილობ? ქმარი კარგად გექცევა, მატერიალურად არ გიჭირს, არ გშია, თავზე წყალი არ ჩამოგდის, შენი შვილი ოჯახურ გარემოში იზრდება და დაღამების არ გეშინია. ჰოდა, აქ დამესიჯების ნაცვლად ჯობდა, ქმარს დალაპარაკებოდი. მას აუხსენი, რაც ხდება; უთხარი, რომ გიყვარს და რომ თქვენივე ბედნიერებისთვის ცალკე ცხოვრებაა საჭირო. ოჯახი ქვიშის კოშკი კი არაა, როცა მოგებრინება, მაშინ რომ დაანგრის. P.S. 17 წლის ასაკში უკვე შვილი გყავს? უტვირო!“

თათა:

„17 წლის რომ თხოვდები, ჭკუა სად გქონდა? შეურაცხყოფას მაყენებნო, — ამბობ. საინტერესოა, ამას ქმარიც სჩადის? თუ ასეა, უნდა დამორდე, თუ არა და, მეუღლეს დაელაპარაკე და პრობლემა ერთად მოაგვარეთ. წარმატებები!“

ძვირი:

„ოჯახის დანგრევა გამოსავალი არაა. ახალგაზრდებო, ბრძოლის უნა-

რი რატომ დაგიქვეითდათ? შენი ოჯახისთვის იბრძოლე, მით უმეტეს, რომ უკვე შვილიც გყავთ. P.S. ქირით მაინც გადადიო“.

ვალისი:

„ჩემო კარგო, ასეთი პატარა გოგო რომ თხოვდები და თანაც, უსაქმურს რომ მიჰყვები, რა გეგონა? ქმრის შესახებ რატომ არაფერს ამბობ? თუ მაინც, მშობლების ხარჯზე ცხოვრობ, ბარემ, მათ სახლში გადადი“.

ლუნა:

„სიმართლე გითხრა, შენმა სიტყვებმა გამაღიზიანა. ვფიქრობ, ყველაფერში დამნაშავე შენი ქმარია. თუ არ მოგონს, დედამთილი რომ გარჩენს და საემარის ფულსაც არ გაძლევს, ადექი და ქმარს მოსთხოვე, იმუშაოს. მეუღლე ხომ გიყვარს? ჰოდა, არ მესმის, რატომ უნდა გაეყარო? სხვათა შორის, დედამთილი ვალდებული არაა, ყველა წვრილმანი გიყიდოს, ამისთვის ქმარი გყავს და მან უნდა უზრუნველგყოს. ყოველივე საუკეთესოს გისურვებ“.

TALKEER:

„ვაიმე, ახლა საკუთარი თავი შენს ადგილას წარმოვიდგინე — 17 წლის ხარ და უკვე პატარაც გყავს? არ მესმის, ოჯახი რატომ უნდა დაანგრის? ბავშვს მამა არ უნდა? დაფიქრდი, ღირს თუ არა ასეთი ნაბიჯის გადადგმა...“

ბრუზინა:

„ცუდია, რომ არ გაგვანდე, ქმართან როგორი ურთიერთობა გაქვს. თუ მხოლოდ დედამთილს ვერ უგებ, ცალკე გადადიო, მეუღლემ კი აუცილებლად, სამუშაო უნდა ეძებოს!“

უნაუნა:

„ჯერ ასეთი პატარა ხარ და უკვე ბავშვი გყავს? სად გეჩქარებოდა ან ახლა ოჯახის დანგრევით რას მიაღწევ? თუ ქმარი გიყვარს, მას დაელაპარაკე. მან სამსახური აუცილებლად უნდა იშოვოს. ჯობია, ურთიერთობა დედამთილთანაც გაარკვიო. მიდი და წყნარად ჰკითხე, — რა არ მოსწონს შენში? ოჯახს ნუ დაანგრევ!“

„მან გააჭვიანა... სული გბკივა“

მარიაში, 17 წლის:

„ძალიან გთხოვთ, ყურადღება მეც მომაქციეთ. საქმე ისაა, რომ ცხოვრებაში პირველად შემეყარა ბიჭი, რომელსაც მოვწონდი. ყველაფერი კარგად იყო მანამ, ვიდრე ზედმეტად არ ვიეჭვიანე, მერე კი ერთმანეთს დავშორდით. რაღაც პერიოდის შემდეგ გადაწყვიტე, შესარიგებლად პირველი ნაბიჯი მე გადამეგება, მან კი მითხრა: — მამაკითხე, მაგრამ არ მიყვარხარო. ვკითხე: დაგელოდო-მეთქი? — როგორც გინდაო. ორ კვირაში ისევ მივწერე: აღარ გელოდები, ჩემი იმედი არ გქონდეს-მეთქი. მიპასუხა: კარგი, ჩვენ შორის მაინც არაფერი მოხდება, ურთიერთობას ვერ ავანაწიბდითო. მეორე დღეს მისმა ბიძაშვილმა (რომელსაც ნორმალურად არც კი ვიცნობ) „ოდნოში“ დამიმეგობრა, ცოტა ხანში კი ფოტოშოპში დამუშავებული სურათი დადო, სადაც ჩემი „ლოვე“ ლამაზ, მაგრამ ნაკლებად ცნობილ მსახიობთან ერთად იყო გადაღებული — ანუ მეჭვიანეს, რა. ამაზე რეაქცია ნამდვილად მქონდა — მეც ახალი სურათები „ავტვირთე“. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემი „ლოვე“ ჩემსავე მესაიდუმლესთან მივიდა და უთხრა: ერთ გოგოს მაგრად ვეკაიფებო — იცოდა, რომ ის ბიჭი ამას აუცილებლად მეტყვოდა... მის გარეშე ყოფნა აღარ შემეძლია. ძალიან მიყვარს და სული მტკივა, როცა ვფიქრობ, რომ ყველაფერი წარსულში დარჩა“.

P.S. მშ ასე თუ მარიაშისა და უნივერსიტეტის წევრების ნაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმისიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81 მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.



მოხილი-ზასია



იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოხილი-ზასიაში“ მოხედეს, მიზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოყოფით ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მოხილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქაღაბი



1. მინდა, გავიცნო ჩემი შესაფერისი პიროვნება. ვარ ქმარს გაცილებული, 27 წლის. ვცხოვრობ რაიონში, მშობლების ოჯახში. საგლახაოდ თავი შეიკავეთ. სასურველია — ჭიათურელი.
2. მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო მამაკაცი. ვარ 27 წლის, მქვია ირმა.
3. ვარ 37 წლის, სერიოზული, პატიოსანი ქალიშვილი. დაბალი, პუტკუნა, მელოტი ნუ გამოემხმარება.



მამაკაცები

4. 37 წლამდე უბრალო წარმომავლობის ქალბატონი, ვინც ოჯახის შექმნაზე ფიქრობს და ეძებს მეორე ნახევარს, შექმნისიანოს. დანარჩენი — პირადად.
5. ვარ ცოლს გაცილებული, 24 წლის, მოსიყვარულე და გაგებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ პატიოსან და გაგებულ გოგოს, თუნდაც 29 წლამდე. სასურველია — სოფლიდან.
6. გამოემხმაროს 25 წლამდე ასაკის მანდილოსანი, ლამაზი ურთიერთობისთვის. ცანცარა ხალხმა თავი შეიკავეთ.
7. „გზა“ №42, მე-9 მესიჯის ავტორს გთხოვთ, გადასცეთ ჩემი ნომერი ან პირიქით — მე შემატყობინოთ მისი ნომერი. დაველოდები პასუხს.
8. ვარ 25 წლის, ძალიან მახინჯი, მსუტენი, ელამი, მელოტი, ალაგ-ალაგ — კოჭლი. არ ვარ ლამაზი. ნუთუ ჩემი ბრალია და ურთიერთობის ღირსი არ ვარ?

9. დაოჯახების მიზნით გავიცნობ თბილისელ გოგოს, 30 წლამდე. გასართობად არ შემანუხნოთ. ვარ 35 წლის, არა — ლოთი და ნარკომანი. დათო.
10. ვარ გულგატეხილი და გულნატეხი, 33 წლის პიროვნება. გავიცნობ სერიოზულ მანდილოსანს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ დასაქმებული. გამოემხმარეთ ნებისმიერი კუთხიდან.
11. ვეზაურები უნიჭო და უინტერესო გოგონას, პირველი მესიჯის ავტორს. ჩემი ნომერი მიეცით. გიო.
12. ნაიკითხე? ესე იგი, მიპოვე. ბედი გქონია, შენ ყველას დაასწარი. გაკოცე და გელი... ლეენი, 36 წლის.



სსვალასვა

- ჩემი ცხოვრება და ჩემი სიხარული მენატრება მაგრად. :(ჩვენს ჯიბურზე არაა ეს ზბორობი, რა... იცით, რა მაგრად მიყვარს ის ადამიანი? ეს სიმორე, რა... მენატრება. მორიელი.
- კასკუ, ჩემო სიყვარულო, ჩემო იმედო და პატრონო, რომ იცოდეს, როგორ მიჭირს უშენობა, როგორ „მტკივარ“. ნეტავ, როგორ ხარ მანდ? წარმოდგენაშიც არ შემეძლო დამენახა, უშენოდ როგორ ვიარსებებდი ამდენ ხანს. შენზე კარგად არაფერ იცის, მე როგორ ვარ და ჩემზე კარგად — შენ როგორ ხარ. ეს მიხეთქავს გულს და მკლავს. ჩემო სიცოცხლე, ოღონდაც თავს გაუფრთხილდი და ყველაფერი მოგვარდება. იმდენს ვლოცულობ, ღმერთი მოწყალეა და არ გაგენიარავს. ოღონდ შენ იყავი კარგად, ჩემო ტბილო. დედა და ბავშვები კარგად არიან. ჩვენი დარდი არ გქონდეს, ყველა გვერდით მიდგას. ძალიან მიყვარხარ და სიგიჟემდე მენატრები. გოცნი უთვალავს გულში. ლიკუნა.
- CRAZY GIRL, გამიხარდა, რომ მომიკითხე. როგორ არ გაგეცნობი, მაგაზე როგორ განყენინებ! გამეცანი. საყვარლები ხართ ყველანი. მორიელი. :) :) მიყვარხართ.
- კაკადუ, ყველანი კარგად ვართ. ნიკუმა ამბობს, მე ვარ ნიკოლოზი, გიორგის ძეო. ერთი სული გვაქვს, როდის გნახავთ და დაგელაპარ-

ავებით. თავს გაუფრთხილდი, ყველას გეყვარხარ.

- კასკუ, ჩემო სიცოცხლე, რომ იცოდეს, როგორი გახარებული და აფორიაქებული ვარ შენი ნახვის მერე. როგორ მომნატრებიხარ, ჩემო სუნთქევე. ძალიან გთხოვ, ამდენს ნუ ნერვიულობ. გთხოვ, დამშვიდდი. როგორც უნდა გადაწყვედეს, უსამულო მინც არ გეჭირს, ყველა სიტუაციიდან არსებობს გამოსავალი. ჩემი იმედი გქონდეს. გთხოვ, თავს გაუფრთხილდი. მე ცოტა დაგნანარდი, რომ გელაპარავ და მგონია, შენც ცოტა დამშვიდდებოდი. ყველაფერი კარგად იქნება, აი ნახავ ყველაფერი უდიდესი სიზმარივით გაქრება, დაგვიწყდება. მაღუ ისევ ერთად ვიქნებით, მთავარია, შენ იყო კარგად. არ გატყდე და იმედი არ დაეარგო. უფალი შეგვეწყვას, გნამდეს. მიყვარხარ სიგიჟემდე. გოცნი, შენი ლიკუნა.
- მივესალმები ყველა ერთგულ მკითხველს. პირველად ვგზავნი მესიჯს. მინდა თქვენთან ვიმეგობრო. თუ მიმიღებთ თქვენს წრეში, არ ინანებთ. თქვენ გვერდით მიგულეთ. კუნა.
- გამარჯობა. თუ იქნება დაინტერესება, შემიძლია, რეალური ამბები შემოგთავაზოთ, შეცვლილი სახელებით, იქნებ ვინმემ საკუთარი თავიც ამოიცნოს. ველი პასუხს. შერლოკ ჰოლმსი.
- ჩემს განვლილ ცხოვრებას, ჩემო კარგებო,

ყოველდღეობა გათავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოხილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ესება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრიბებული, არ გამოქვეყნდება!		
ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h



ბაიბ-აუბი

რა უეუკლია ტვინს

▲ ინგლისში, XIX საუკუნის ბოლოს ერთ-ერთი ქარხანაში უბედური შემთხვევა მოხდა. სახურავიდან ბოლტი ჩამოვარდა და ახალგაზრდა ინჟინერს თავში 10 სმ-ის სიღრმეზე ჩაესო. დაზარალებული დაეცა, მაგრამ არ მომკვდარა. იგი საავადმყოფოში წაიყვანეს და სასწრაფოდ ურთულესი ოპერაცია ჩაუტარეს. პაციენტს უცხო სხეული და ტვინის დაზიანებული ნაწილი ამოუღეს, ხოლო ჩამტვრეული თავის ქალა ძალის ძვლით შეუესეს. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ მისი გადარჩენის იმედი არავის ჰქონდა. მეორე დღეს პაციენტმა გემრიელად ისაადილა; მეტყველება,

აზროვნება, კოორდინაცია აღუდგა. ცოტა ხანში შინ განერეს, მთელი წელი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იყო. მამაკაცი დაქორწინდა, შვილები გაუჩნდა და ღრმა მოხუცებულობაში გადაიცვალა, უბედურ შემთხვევას კი მხოლოდ შუბლზე ნაიარევი ახსენებდა.

▲ კიდევ უფრო უცნაური შემთხვევა მასაჩუსეტსში (აშშ) 1887 წელს დაფიქსირდა. სარკინიგზო ხაზის გაყვანისას აფეთქება მოხდა. ძალაყინის წვერი ერთ-ერთ მუშას — ფაინიზ გეიჯს ქვედა ყბაში შეესო, მარცხენა თვალი გადმოუგდო და თავის ქალა გაუხვრიტა. დაზარალებულს გონება არ დაუკარგავს, ექიმთანაც საკუთარი ფეხ-



ით შევიდა. ოპერაცია დიდხანს გაგრძელდა. პაციენტს ძალაყინი და ტვინის დაზიანებული ნაწილი ამოუღეს. რამდენიმე დღეში კი შინ განერეს. გეიჯმა დიდხანს იცოცხლა და მხოლოდ თვალის დაკარგვას უჩიოდა.

▲ XX საუკუნის 40-იან წლებში მედიცინის ისტორიაში შევიდა ალ ჰერტ-პინი, კაცი, რომელსაც 96 წლის მანძილზე არც ერთხელ არ უძინია. არც კი იცოდა, რა იყო ძილი. ღამეს სარწვეველა საგარძელში კითხვაში ატარებდა, დილით კი ჩვეულ საქმიანობას უბრუნდებოდა. ექიმები ამ ფენომენს ვერ ხსნიდნენ.

▲ XIX საუკუნეში ინდიანის შტატი ცხოვრობდა ადამიანი, რომელსაც უძილობა თვეობით უგრძელდებოდა. იყო პერიოდები, როცა წელიწადში 3-4 თვე კი საერთოდ ვერ იძინებდა. რაც მთავარია, დაღლილობას არ გრძობდა და 24 საათის მანძილზე შეეძლო მუშაობა.

▲ უნგრელ რეიჩელ საგის 40 წლის ასაკიდან საშინელი თავის ტკივილები დაეწყო. ექიმმა დამამშვიდებლები გამოუწერა, დასვენება და დიდხანს ძილი ურჩია. ერთ ღამესაც რეიჩელმა ძილის წამალი მიიღო, მაგრამ მას შემდეგ 25 წელი ვეღარ დაიძინა.

▲ XX საუკუნის 50 წლებში ამერიკაში ინდოელი შაკუნტალი დევი ჩავი-

აპატანების ტომი — ბამბუკი სხვირუი

აპატანების ტომი (დაახლოებით 25 ათასი ადამიანი) ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ინდოეთში ცხოვრობს. მათ არ იციან წერა-კითხვა. ამიტომ,



საკუთარ ისტორიას დღესასწაულებზე ლეგენდებდა, სიმღერების თანხლებით გადმოსცემენ. ყველაზე ღირსშესანიშნავი თარიღი წმინდან — კილოსა და მისი ცოლის კირუს სხენების დღეა. მას წელიწადში ერთხელ აღნიშნავენ და წმინდანებს შინაურ ცხოველებს სწირავენ. აპატანებს ღამაში ქალები ჰყოლიათ და ძველად, მეზობელი

ტომის მამაკაცები მათ ხშირად იტაცებდნენ. ქალების გადასარჩენად მამაკაცები ქალიშვილებს ცხვირის ორივე მხარეს ბამბუკის მრგვალ ფირფიტებს უმაგრებდნენ. სახეს კი სვირინგით (ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზები) უფარავდნენ. ცდამ გაამართლა და უცხოტომელები აპატანელ ქალებს შეეშენენ. ცივილიზაციის გავლენის შედეგად, თანამედროვე აპატანელ გოგონებს სახეს აღარ უმასინჯებენ.



დასაწყისი იხ. გვ. 17

ყველანაირი გზით ცდილობდა. ახალგაზრდა ბიჭმა მუშაობა კორეაში დაიწყო, თანამშრომლობა შემომთავაზა. ძალიან დაემეგობრდით. შემიჩვიეს ბიჭი იყო. ბევრი იცოდა ჰქონდა. ჟურნალს ერთად ვაკეთებდით, მაგრამ უსახსრობის გამო, მალე დაეხურა. შემდეგ, ირაკლი სხვადასხვა ჟურნალთან თანამშრომლობდა. ძირითადად, შოუბიზნესზე წერდა. ძალიან კარგი მშობლები ჰყავდა. ძალიან ნაკითხი იყო... დეპრესიამ ადრეც ჩავარდინილა. ჰქონდა პერიოდი, როცა განმარტოვდებოდა და საკუთარ თავში იკეტებოდა. ეს ხშირად არ ხდებოდა, მაგრამ მაშინ, მეგობრებთან კონტაქტს გაურბოდა. დედამის სიცოცხლეში თავის მოკვლა სცადა — აბები დალია, დედამ მიუსწრო და გადაარჩინა. ირაკლი ძალიან კარგად ხატავდა, დეპრესიიდან ხატვით გამოდიოდა. ჩანახატების, დღიურების წერა უყვარდა. მისი ემოციები ჩანანერებში ჩანდა. დარწმუნებული ვარ, თვითმკვლელობის მიზეზი მის დღიურში ასახული იქნება... დიდი სამეგობრო და სანაცნობო წრე ჰქონდა. შოუბიზნესის წარმომადგენლებთან მეგობრობდა. კომუნიკაბელური ადამიანი იყო. წლების მანძილზე, ზალიკო ბერგერთან მუშაობდა. ძალიან უნდოდა, შოუბიზნესში თავი დაემკვიდრებინა, მაგრამ უსახსრობის გამო ეს ვერ შეძლო. სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა, არ დაუმთავრებია, რადგან სწავლის თანხა ვერ დაფარა. ყველაფერი გამოსდიოდა ხელიდან. უდავოდ, ნიჭიერი იყო. რამდენჯერმე ჩვენებაც მოაწყო. მისი მოდის პირველი ჩვენება „ივერიამი“ მოწყო. ქსოვილის საყიდელი ფულიც არ ჰქონდა და ორ დღეში კაბები ფარდებისგან შეკერა. მასსოვს, მეგობრის სახლში მივიდა, იქ ლამაზი ფარდები ნახა და სთხოვა, მისთვის მიეცა. ბინიდან ჩამოსხნილი ფარდებით ძალიან ლამაზი კაბები შეკერა და კარგი ჩვენებაც მოაწყო. მართლაც, ყველა სფეროში სცადა ბედი. ბარმენობაც ისწავლა და ამ მიმართულებითაც მუშაობდა. ცოტა ხანი, „სიქსთი რაუნდშიც“ იყო. ბოლოს „მიუზიკ ბოქსში“ დიჯეი ლუკას სახელით გამოდიოდა. პარალელურად მოდლობდა, მაგრამ სამწუხაროდ, ადგილი ვერსად დაიმკვიდრა. ირაკლის პოპულარობა ძალიან უნდოდა. ცნობადი რომ გამხდარიყო, ამისთვის შეეძლო, არაორდინარული ნაბიჯიც გადაედგა და სკანდალური განცხადებებიც გაეკეთებინა... ყველა კატეგორიის მეგობარი ჰყავდა,

და, რათა შესაძლებლობებით მსოფლიო გაეოცებინა. 6 წლის ასაკში დევის გონებაში შეეძლო ათინონა ციფრების მიმატება-გამოკლება და გამრავლება-გაყოფა. 7 წლისა ურთულეს მათემატიკურ ამოცანებს ხსნიდა. გოგონას გენიალური ნიჭი მხოლოდ მათემატიკაში ჰქონდა. ჰუმანიტარულ საგნებს გაჭირვებით სწავლობდა და ნიშნის მისაგებად საგნის გადაბარება უხდებოდა.

საკუთრებისნაირი ნიჭი ჰქონდა სიცილიელ 10 წლის მწყემსს, ვიტო მანგიაელოს. ადგილობრივი მღვდლის დახმარებით ბიჭი საფრანგეთის მეცნიერების წინაშე წარდგა, მაგრამ მისი შემდგომი ბედი უცნობია. დევისა და მანგიაელოს ნიჭის მქონე ბავშვები ხშირად იბადებიან.

გასული საუკუნის 20-იან წლებში ფრანგი ექიმი — ჟიულ რომენი „უსინათლო მხედველების“ ფენომენით დაინტერესდა. რამდენიმე პაციენტი მოიძია და მათი შესაძლებლობა შეისწავლა. მისი დაკვირვებით, უსინათლოები ფერებს, სილუეტებსა და ფიგურებს კანით შეიგრძნობდნენ. რომენის დასკვნას კოლეგები სკეპტიკურად შეხვდნენ და მისი ნაშრომი მწერალი ფანტასტის ნაწარმოებს შეადარეს. ფრანგი ექიმი ერთადერთი არ იყო, ვინც ამ ფენომენს ყურადღება მიაქცია.

1840 წელს იტალიის პრესაში წერდნენ გოგონაზე, რომელიც 14 წლის ასაკში დაბრმავდა, მაგრამ მანც „ხედავდა“ ახლობლებს (ხმის ამოუღებლად), საგნებსა და ფერებს ხელისგულებით (მეუხეხლად) შეიგრძნობდა.

1960 წელს 16 წლის მარგარეტ ფუსს ექიმების ჯგუფი აკვირდებოდა. აღმოჩნდა, რომ გოგონას „ხედავა“ თვალების გარდა სხვა ორგანოებითაც შეეძლო. დაკვირვების დროს გოგონას თვალებს ქსოვილი უხვევდნენ, მას კი უწვრილესი შრიფტის გარჩევაც შეეძლო. დაკვირვებლებმა მიიჩნიეს, რომ გოგონა რალაცნაირად მანც ახერხებდა თვალების გახელას და საბოლოოდ, თვალები გაუმჭვირვალე ლენტით აუხვიეს. იგი მანც „ხედავდა“.

მარგარეტის ფენომენი პირველად მამამისმა აღმოაჩინა. მამაკაცი აკვირდებოდა, რომ დახუჭობანას თამაშისას, თვალბახვეული გოგონა საგნებსა და ადამიანებს თავისუფლად არჩევდა. ექიმებმა ტვინის ეს ფენომენი ვერაფრით ასხნეს, მაგრამ ყოველგვარი დასკვნის მიუხედავად, თვალბახვეულ ფუსს ქუჩაში სეირნობა, წერა და კითხვა შეეძლო.

რუბრიკა მოაზრება რუსულან ბელაშვილი

თავისუფალი ბუნების იყო. ძალიან უყვარდა საკუთარი თავი. როცა ვხედავდი, რომ ცუდად იყო, ჩავეკითხებოდი და მეგობრებთან იხსნებოდა. ისიც უთქვამს, ყველაფერი ვცადა, მაგრამ არაფერი გამომდის და თავი უნდა მოვიკლაო. ამის გამო ვუბრაზდებოდი. მატერიალურად უჭირდა, დედის მეგობრები ხანდახან ეხმარებოდნენ. ფული რომ ჰქონოდა და თავისი იდეების განხორციელება მოეხერხებინა, დარწმუნებული ვარ, კარგი დიზაინერი იქნებოდა.

ენო მინიასძე ირაკლის ბავშვობის მეგობარია. მომხდართ შეწუხებულია და ვერ აუხსნია, რატომ მივიდა ირაკლი ამ საბედისწერო ნაბიჯამდე. მისი თქმით, ის ძალიან მორწმუნე იყო და ტაძარში ხშირად დადიოდა. ამიტომ მომხდარს ახსნას ვერ უძებნის.

ძალიან კარგი მეგობრები ვიყავით. ერთ წელს, დაბადების დღეც კი გადავიხადე ირაკლის ბინაში. დედის გარდაცვალების შემდეგ მისი ცხოვრება შეიცვალა... ძალიან მონესრიგებული იყო. თქმულზე ოთახნახევრიანი ბინა რომ იყიდებოდა, ყველა დეტალი თავისი გემოვნებით მოაწყო, მეგობრები ვხმარებოდი. ბინა სულ გაკრიალებული ჰქონდა. ძალიან მეგობრული იყო. მომხდართ შოკირებული ვარ. ბოლო დროს ირაკლისთან ხშირი ურთიერთობა არ მქონია, მაგრამ ვერ ამიხსნია, ადამიანმა, რომელსაც თავი ასე ძალიან უყვარდა, ეს რატომ ჩადინა. 6 თებერვალს 26 წლის გახდა. დაბადების მონუმენტში 6 აგვისტო ეწერა და ამიტომ წელიწადში ორჯერ იხდიდა დაბადების დღეს... ტელევიზიით მკვლელობასთან დაკავშირებით განცხადება რომ გააკეთა, მაშინვე დაუფრვე. გავხუმრე, — თავის გამოჩენა როგორ გიყვარს-მეთქი!.. გაიცინა, — შენ ჩემი ბავშვობის მეგობარი ხარ და ჩემი ხასიათი არ გამოგებარაო. თვითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე შემთხვევით, რუსთაველზე ვნახე. ძალიან კარგ განწყობილებაზე იყო, ყურსასმენი ეკეთა, მუსიკას უსმენდა და ქუჩაში ცეკვა-ცეკვით მოდიოდა. დეპრესია არ შემინიშნავს. სამწუხაროდ, დიდხანს არ გვისაუბრია, რადგან ძალიან მეჩქარებოდა. ისევე ისეთი ირაკლი ვნახე, როგორც ბავშვობიდან მახსოვს. ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ შემოსავალი ჰქონოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ადგილის დამკვიდრება ვერ შეძლო. ძალიან განათლებული და კულტურული მშობლები ჰყავდა და თვითონაც ასეთი იყო. დღიურს წერდა. ზოგჯერ გამოდიოდა დატოვებდა, რომ გოგონებს ნაგვეკითხა და რაც აწუხებდა, მერე იმ საკითხზე მასთან გვესაუბრა. გული მწყდება ძალიან ამ ტრაგედიის გამო. განსაკუთრებით იმაზე, რომ ცხედარი ისევე პროზექტურაშია. სისხლით ნათესავი, ფაქტობრივად, მას არ ჰყავდა...



გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები უფროს „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გაცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისავე არ გავჩვეთ თვალი

- რა ჯილდო სთხოვა ქვეყნის წინაშე დამსახურებისთვის ჟანა დ'არკმა თავის მეფეს?
- ვინ უშოვა დარტანიანს მსახური?
- მილანის ქუჩებში მოსიერნე პუჩინი შეჩერდა მეარლენსთან, რომელიც უკრავდა ნაწყვეტს მისი ოპერიდან — „ბოჰემა“. „ეს ცოტა სწრაფად უნდა დაუკრა“, — უთხრა მან მეარლენს. მეორე დღეს მეარლენე იდგა იმავე ადგილზე, უკრავდა იმავე ნაწყვეტს, მაგრამ ამჯერად არღანზე ფირფიტა ჰქონდა მიმაგრებული. რა ეწერა ფირფიტაზე?
- გერმანელი მფრინავი მათიას რუსტი მოსკოვში, „ნითელ მოუდანზე“ თვითმფრინავის დასმის გამო ხულიგნობის მუხლით გაასამართლეს. სასამართლოზე ადვოკატმა ბოლო სიტყვაში მსჯავრდადებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლება და მისი ორდენით დაჯილდოება მოითხოვა. რა დამსახურებისთვის?
- რა არის „ვაკისი“?
- დაასრულეთ რუსი დიპლომატების გამოწვევაში: „ესგადა ნა სვაიომ სტაიატ, ტოლკა ...“
- რას ეძახდნენ ნიკო ფიროსმანს ამაყი ხასიათის გამო?
- რას ნიშნავს „თრაშვა“?
- რომელ სპორტსმენსა და მსახიობს ეკუთვნის სიტყვები: „დუბლიორი არა მყავს, შიში არა მაქვს, ტოლი არა მყავს“?
- მიხეილ ჯავახიშვილის რომელ რომანში გვხვდება ხეცურული სიმღერა: „რა კარგია ქალთან ნოლა, უბეშია ხელანია, ცოტ-ცოტინან ძუძუანი ვაშლის ოდოდენანია“?
- დაასრულეთ სემიონ ალტოვის ხუმრობა: „მუჟ ს რაბოტი ვერნულსა უსტალი, ი სუპრუჟესკი დოლგ ოტდალ ...“
- ანა ახმატოვა დიდი ბებების გვარს ატარებდა. დაასახელეთ მისი ნამდვილი გვარი.

ანეკდოტები



— ექიმო, იცით, თმა მცვივა!
 — იმიტომ, რომ ბევრს ნერვიულობთ.
 — როგორ არ ვინერვიულო, როცა თმა მცვივა?!

დიდი ხნის უნახავი 4 ძმაკაცი შეხვდა ერთმანეთს. დასხდნენ რესტორანში.
 — აქაურ შეფ-მზარეულს ვიცნობ, გავალ, ვნახავ და შეკვეთას მივცემ, — თქვა ერთმა და გავიდა. დანარჩენები საუბრობენ:
 — შენი ბიჭი როგორ არის და რას საქმიანობს? — ეკითხებიან ერთს.
 — ტურისტული ფირმა აქვს და ისე კარგად მისდის საქმეები, რომ ძმაკაცს ანტალის საგზური აჩუქა.
 — ჩემს ბიჭს კი იახტების ბიზნესი აქვს, — ამბობს მეორე, — იმდენად კარგად მისდის საქმეები, რომ ძმაკაცს იახტა აჩუქა.
 — ჩემს ბიჭს მანქანების ბიზნესი აქვს, ისე კარგად მისდის საქმეები, რომ ძმაკაცს ბოლო მოდელის „ფერარი“ აჩუქა.
 ამ დროს შემოდის მეოთხე ძმაკაცი.
 — შენი ბიჭი როგორ არის და რას საქმიანობს?
 — ჩემი ბიჭი ცისფერია და ისე კარგად მისდის საქმეები, რომ ერთმა ძმაკაცმა ანტალის საგზური აჩუქა, მეორემ — იახტა და მესამემ — ბოლო მოდელის „ფერარი“

— რატომ გაქვთ სომხებს დიდი ნესტოები?
 — ჰაერი უფასოა, ჯანა!

 სტადიონზე გულშემატკივრებმა „ტალლა“ გააკეთეს და სვანი დაიხრჩო.

 — მარო, შენი მიხა კოჭლია?
 — რას ამბობ, ქა, კოჭლი კი არა, ცალი ფეხი გრძელიც კი აქვს.

 დილით ადრე ნეხვიდან გამოძვრა 2 ჭია — დედა და შვილი:
 — დედიკო, ეს რა შრიალებს ასე მწვანედ და ლამაზად? — ეკითხება შვილი.
 — ეს ტყე არის, შვილო!
 — ასე ლურჯად რა ლივლივებს?
 — ეგ ზღვა არის, შვილო!
 — და ჩვენ ნეხვში რატომ ვცხოვრობთ?
 — ეს არის ჩვენი სამშობლო, შვილო!..

 გოგო და ბიჭი ხელიხელჩაკიდებულები მიდიან.
 გოგო ეუბნება ბიჭს:
 — რა ოფლიანი ხელედი გაქვს?
 — შენ ფეხები უნდა ნახო...



სვანმა ოქროს თევზი დაიჭირა და დაალომბარდა.



მონმის ჩვენება სასამართლოში:

— ბრალდებულმა ფარდულიდან ნაჯახი გამოიტანა და დაზარალებულს თავში ჩასცხო... არადა, მაგ ვირიშვილს წინადღეს ვთხოვე, ნაჯახი მათხოვე-მეთქი და თავი მოიკლა, არა მაქვსო.

— რა სისულელეა, მანქანებს რომ აწერენ „გარეცხე“ და მისთანები. თუ უნდათ, რომ მართლა გარეცხონ, უნდა დაანერო: „პატრონის დედაც...“.

- ძვირფასო, ყავა გინდა?
- კი.
- მაშინ შენთვისაც მოიდუღე.

ცოლმა დიდხანს ათვალეირა საკუთარი თავი სარკეში და მერე ქმარს მიუბრუნდა:

— მეტის ღირსი მაინც არ ხარ!

წითელქუდა ბებიასთან მიდის. გზად ტყე უნდა გაიაროს. უცებ ბუჩქებიდან მგელმა გამოყო თავი:

— წითელქუდა, რა გაქვს კალათაში?

— ნახუქები, ჩურჩხელები, ქადა, მანონი...

— ქალაღი არა გაქვს, ქალაღი?!

სვანი უფროსი მდივანს ორ ქალაღს აწვდის:

— ეს ორიგინალია, ეს — ქსეროასლი. შეადარე, შეცდომა არსად იყოს გაპარული.

— ალო, კონია ხარ?

— დიას, ბატონო.

— შენი ცოლი გავიტაცეთ, ჯერ კიდევ ცოცხალია.

— გასაგებია, რა არის საჭირო?

— 3 ათასი დოლარი სალამომდე, თორემ ხვალ დილით უკან დაგიბრუნებთ.

— რას მირჩევ, — ეკითხება ძმაკაცი ძმაკაცს, — მდიდარი, ბინიანი, ფულიანი ქვრივი შევიერთო თუ ღარიბი, მაგრამ ახალგაზრდა და ლამაზი გოგო?

— რა თქმა უნდა, ქვრივს ლამაზი და ახალგაზრდა ქალი სჯობია!.. რაო, რა თქვი, სად ცხოვრობს ის ქვრივი?..

ჭიჭიკიამ გოგონა გაიცნო და სალამოს შინ მიიპატიჟა, სალამომდე კი მეგობარ ექიმ-სექსოპათოლოგს მიაკითხა.

— სალამოს გოგონა მყავს დაბარებული და იქნებ რაიმე სტიმულატორი მომცე, თავი რომ გამოვიჩინო.

მეგობარმა მისცა წამალი. ერთ-მანეთს მეორე დღეს შეხვდნენ.

— ჰა, ხომ არ შემარცხვინე?! მოჰყევი, სადამდე ახვედი?!

— შვიდამდე!

— ის?!

— ის საერთოდ არ მოვიდა.

სვანმა ხელი მოიტეხა. მეგობარმა უთხრა, — არა უშავს, ქორწილამდე მოგირჩებო და სვანმა მერე დღეს ცოლი მოიყვანა.



გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხველისათვის (პასუხები)

1. რამდენიმე ცხენი და შობოლიური სოფლის, დომრემის მცხოვრებთა გადასახადებისგან გათავისუფლება. მას აქეთ დომრემის მოსახლეობა არც ერთ მეფეს არ დაუბეგრავს.
2. პორთოსმა. მუშევეტრმა ხიდზე ნახა ახალგაზრდა კაცი, რომელიც წყალში აფურთხებდა და აკვირდებოდა, როგორ კუთდებოდა წყლის ზედაპირზე რკალები. ეს საქმიანობა, პორთოსის აზრით, მის მშვიდ ხასიათსა და გამჭრიახობაზე მიუთითებდა. პორთოსი იქვე გაურიგდა მას და თავის მეგობარს მიჰგვარა.
3. „უჩინის მონაღე“.
4. საბჭოთა კავშირის სამხედრო სიძლიერის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისთვის.
5. რკინიგზის ყრილი, რაზედაც შპალეები დანყობილი და რელსები დაგებული.
6. „პამიანტივი“.
7. გრაფს.
8. ძვირფასი ქვებისთვის ხეხვით ნახნაგების გაკეთებას თრამვა ეწოდება.
9. ჯეკი ჩანს.
10. „თეთრ საყელო“.
11. „დენგამი“.
12. გორენკო.

რკინიგზის მალანა





ჰოროსკოპი

14-20 აპრილი

ცეცხლი

ახალი იდეების განხორციელებაში საყვარელი ადამიანი შეგიშლით ხელს. მაქსიმალურად შეიკავეთ თავი მეუღლეებთან კონფლიქტისგან.

ქუჩი

შემოქმედებითი საქმიანობა სულიერ სიმშვიდეს მოგანიჭებთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

ტყუპი

საყვარელი ადამიანისთვისაც გამონახეთ დრო. გავლენიანი ადამიანებთან შეხვედრა თქვენს საქმეებს წაადგება. შეიძლება ძველ მეგობრებთან აღადგინოთ ურთიერთობა.

კიჩხობი

კოლეგებთან ერთად ახალი პროექტები დაგეგმეთ. კარგი პერიოდია სწავლისა და მოგზაურობისთვის. ინტერნეტით ახალ თანამოაზრეებს გაიჩენთ.

ღიმი

ახლობლებთან უმნიშვნელო უთანხმოებაც კი კონფლიქტით დასრულდება. დასაქორწინებლებისთვის ახალი ნაცნობობა რომანტიკულ ურთიერთობაში გადაიზრდება.

ქაღვალდი

ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. კარგი პერიოდია ქორწინებისა და საქორწინო მოგზაურობისთვის. აგრეთვე, ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის.

სასწიფრი

სამსახურში კონფლიქტისგან მაქსიმალურად შეიკავეთ თავი. კარგი პერიოდია ვალების გასასტუმრებლად, რემონტის დასაწყებად. გათავისუფლდით ძველი ნივთებისგან.

მორიფი

სამსახურის საქმეების მოგვარება გაგიჭიანურდებათ, რაც თქვენს გაღიზიანებას გამოიწვევს. დასვენების დღეებში საოჯახო საქმეები მოაგვარეთ.

მშვიდდობისა

თუ საკუთარ ქმედებებს არ გააკონტროლებთ, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა დაგეძახებათ. ახლობლებს პრობლემების მოგვარებაში დაეხმარეთ.

თხილ წუხი

მოერიდეთ ოჯახის წევრებთან კამათს. მეტი დრო გაატარეთ ბუნებაში, ბავშვებს გაკვეთილების მომზადებაში დაეხმარეთ. მარტოხელა თხის რქებს ახალი ნაცნობობა და რომანტიკული შეხვედრები ელით.

მეფე

გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. შუა კვირაში თავი შეიკავეთ მგზავრობისგან. ძველ მეგობრებთან ურთიერთობის აღდგენა სიკეთეს არ მოგიტანთ.

თევზები

თავი შეიკავეთ ფინანსური მაქინაციებისგან. ფული ეკონომიურად ხარჯეთ. გაჭირვებაში მეგობრები და მეზობლები დაგეხმარებიან. ნათესავეებთან ვიზიტი ან მათი სტუმრობა გელით.

გზა, როგორც გულზე კუჭის გავლით მიდის

ვერძი მსუნავია. მრავალფეროვანი და გემრიელი საკვები უყვარს. ზოგჯერ, სიზმარშიც კი შემწვარ-მოხრაკული კრძები ესიზმრება.

კურო მშვიერი არასდროს დარჩება. გემრიელი და ორიგინალური კრძების მომზადება თავადაც შეუძლია. ოჯახში ლიდერობის სურვილი აქვს.

ტყუპი მეოცნებეა. მუდამ ჩქარობს. სადილობისთვის ვერ იცლის. თან ჭამს, თან მუშაობს და ერთობა. შეყვარებული ხშირად არის, მაგრამ დაქორწინებას არ ჩქარობს.

კირჩხიბი ხმაურიანი თავყრილობებს წყნარი, ოჯახური სადილი ურჩევნია. გურმანია. გემრიელ სადილს კარგი სასმელი და დესერტი უნდა დააყოლოს. ხშირად იბუტება და წყენის დამახსოვრება იცის.

ლომი კრიტიკოსი და მომთხონია. თავად კრძების მომზადება არ იცის და არც სწავლას ცდილობს. სამაგიეროდ, ყველას აკრიტიკებს და თავისი გავლენის ქვეშ აქცევს.

ქალწულისთვის მთავარია, მშვიერი

არ დარჩეს, კრძის გემოსა და გარეგნულ მხარეს მისთვის მნიშვნელობა არა აქვს. სიყვარული მისთვის „უცხო ხილია“. ყველა ნაბიჯი გათვლილი აქვს. ხშირად ანგარებით ქორწინდება.

თუ **სასწორს** კრძი გარეგნულად არ მოეწონა (შეიძლება დაყნოსოს კიდევც),



არ შეჭამს. სიამოვნებს, როცა კრძი თევშზე აკურატულად დევს. გვერდით ლამაზი, მხიარული ადამიანი უნდა ჰყავდეს, რომელიც თავისუფლებას არ შეუზღუდავს.

მორიელი გემრიელი კრძების მოყვარულია. ბევრს ჭამს. თუ საპირისპირო

სქესის წარმომადგენელი მოეწონა, მისი გულის მოსაგებად ბოლომდე იბრძოლებს.

მშვილდისანი ექსტრემალი და სიახლეების მოყვარულია. გემოვნება ხშირად ეცვლება. მალე უყვარდება, მაგრამ ერთფეროვნებას გაურბის და თუ პარტნიორმა პასუხისმგებლობა დააკისრა, გაეძევა.

თხის რქა კონსერვატორია. ახალ კრძებს ბების სადილი ურჩევნია. მის გვერდით პარტნიორი მოიწყენს. სამაგიეროდ, თავს დაცულად იგრძნობს.

მერწყლის აზრით, გემრიელი კრძი ლამაზიც უნდა იყოს. ელევანტურ და საინტერესო ადამიანებთან უყვარს ურთიერთობა.

თევზების უმეტესობა ტკბილეულის მოყვარულია. სადილზე უარს იტყვის, მაგრამ დესერტის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. თევზები სერიოზულ ურთიერთობას გაურბის. ოჯახს იმ შემთხვევაში შექმნის, თუ პრობლემების მოგვარებას მისი პარტნიორი ითავებს. ■



					1. პიუგოს რომანი	2. მოკლე წერილი		3. მარჯნის კუნძული	4. მიწათმოქმედი	5. მდინარე აფრიკაში		
					6. ციტრუსი							
								8. აღმოსავლური სიმებიანი საკრავი				
								7. ლებრა			9. ვეუილი	
						10. ლოკატორი						
11. მეძაღლეობა		12. ქართველი ბალერინა	13. მონადირე ძაღვის ჯიშები	14. დიდი ნემსი	15. მსახიობი ... სხირტლაძე			16. მდინარის ქვიანი ნაპირი				
				17. იგუეა, რაც გუდასტვირი					18. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში			
19. შხის სისტემის პლანეტა					20. შია თურქეთში							
									21. ერთნახალი, სუსტი არავი			
	22. წუწურაქი		23. თევზის წვიანი			24. ჩეხური ავტომობილი						
								25. იაპონური ორთაბროლა	26. სამშენებლო მასალა			
	27. სასვენო ნიშანი	28. მსახიობი ... კახიანი				29. უპირატესობა						
	30. სიმინდის პური		31. დროშა, ბაირაღი									
						32. მუნებელი მწერი						
	33. კურკოვანი ხილი		34. მშობელი		35. შინაური ცხოველი							
	36. თვე		37. წერილი ჩხიბი		38. ღრმა ორმო			39. დაბალი ფასის მქონე				

წინა ნომრის სკანოვრდის პასუხები 1. თევსატყევი; 2. ვარამი; 3. ატელი; 4. რესურსი; 5. ხალხი; 6. მართებულები; 7. რომბი; 8. თასი; 9. აბატი; 10. ქაოსი; 11. ქარბუქი; 12. ბურეკი; 13. უწერა; 14. ბანკირი; 15. ნიკელი; 16. კალიდაკი; 17. ლიბერია; 18. ლიბერო; 19. დებოში; 20. ცერეცო; 21. დოში; 22. ცდა; 23. ფლორიდა; 24. ალგებრა; 25. ალივეი; 26. ციფრი; 27. ცოლიკაური; 28. სპა; 29. ფუქი; 30. ფირა; 31. ფარა; 32. ლაფი; 33. ხბო; 34. რხევა; 35. არვე; 36. ტბა; 37. რახარუხი; 38. კრატერი; 39. ბოი.

სურათებზე: 1. თემურ ქეცბაია; 2. კახი კალაძე.



საფიქრო კროსვორდი

ლ	ა	ო	ს	ვ	ე	ნ	ე	ჩ	ვ	ე	ნ	ს	ქ	უ	რ	ნ	ა	ლ	თ	ა	ნ	ე	რ	თ	ა	ლ
ე	ლ	ა	უ	ნ	ე	მ	ო	ა	ე	ო	ა	ნ	მ	ლ	ო	ო	ლ	რ	ე	ე						

- **შეხვედრის წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩანერეთ.
- კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებული უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავეთ.

ლ. გერმანელი ფერმწერი; **ა.** მსოფლიოს ყველაზე გრძელი ჩანჩქერი; **ო.** იაპონური მხატვრობა, ყვავილების, ფოთლებისა და ტოტებისგან გამოსახულების შექმნა; **ს.** რაიმე მოქმედებისადმი ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **მ.** ქალაქი, სადაც მიმდინარეობს „რომეო და ჯულიეტას“ მოქმედება; **ე.** ძველი ბერძენი მეიგავე; **ნ.** კვიპროსის დედაქალაქი; **ე.** ნიადაგის რღვევა-ჩარეცხვა ნიაღვრისგან; **ჩ.** მუსლიმანთა ტრადიციული თავსაბურავი; **ვ.** პიტლერის საყვარელი კომპოზიტორი; **ე.** დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **ნ.** დაწნული თმა; **ს.** ტბა სომხეთში; **ქ.** ერთად თავმოყრილი ბავშვების ხმიანობა; **უ.** ლონდონის სახელგანთქმული სტადიონი; **რ.** ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **ო.** გვამი, ცხედარი; **ა.** კრეტის მეფის მინოსის ასული, რომელმაც თეზევსს ჯადოსნური ძაფის გორგალი მისცა და ლაბირინთიდან თავის დაღწევაში დაეხმარა; **ლ.** რაიმე სპორტულ შეჯიბრებაში დაწ-

ინაურებული პირი ან გუნდი; **თ.** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ბ.** „დათა თუთაშხიას“ ამ პერსონაჟს რომანში ტოფანა ჰქვია, რა ჰქვია მას ფილმში? **გ.** მოდიდო თეთრი ნიშანი ხარის ან კამეჩის შუბლზე; **ქ.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **რ.** რა ერქვა აივენ-ჰოს სატრფოს? **თ.** იენისის ქართული ხალხური სახელწოდება; **ბ.** ვესტგოთების ბელადი, რომელმაც რომი აიღო; **დ.** ანტიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი, რომელიც დღისით ანთებული ფარნით ხელში დადიოდა ქუჩაში და როცა ეკითხებოდნენ, ფარანი რად გინდაო, პასუხობდა: ადამიანს ვეძებო.

- წინა ნომერი გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
- **ბ.** გნუ; **ზ.** ზიპო; **ა.** არარატი; **ბ.** გიტარა; **ზ.** ზურნა; **ი.** იპონი; **ს.** სანტინო; **თ.** თაობა; **ვ.** ვიცინი; **ო.** იშხანი; **ს.** სევანი; **ა.** ათაბაგი; **ო.** ოქრო; **მ.** მესტია; **პ.** კოზაკი; **ი.** იდალგო; **თ.** თეიდა; **ს.** ხითხითი; **ვ.** ვუალი; **ე.** ებრაელი; **ლ.** ლაშქარი; **ი.** ილიადა; **ს.** საცივი; **თ.** თაკარა; **ვ.** ვერონა; **ი.** იმედი; **ს.** სოჭი; **ა.** ამერიკა; **ო.** ოინი.
- გამუქებულ უჯრედებში იკითხება:**
- უპატრონო ცხვარს ზამთარშიც კრეაჩენ**

იაკონური სენსაცია

სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერი გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

9	5	8	2	1	4	7	3	6
4	6	3	9	8	7	5	2	1
2	7	1	6	5	3	4	9	8
3	9	6	4	2	5	1	8	7
1	2	7	3	6	8	9	4	5
5	8	4	7	9	1	3	6	2
8	1	2	5	4	9	6	7	3
7	4	5	8	3	6	2	1	9
6	3	9	1	7	2	8	5	4

5	3	8	2	4	1	9	6	7
9	2	6	8	5	7	1	3	4
4	7	1	6	9	3	5	8	2
6	5	7	3	8	4	2	1	9
2	9	4	5	1	6	3	7	8
8	1	3	7	2	9	6	4	5
1	6	2	9	7	8	4	5	3
7	4	9	1	3	5	8	2	6
3	8	5	4	6	2	7	9	1

1	4	5	9	2	6	3	8	7
7	8	9	1	5	3	4	2	6
2	6	3	8	7	4	9	5	1
9	7	1	5	8	2	6	4	3
3	2	6	4	1	7	8	9	5
8	5	4	3	6	9	1	7	2
6	1	8	2	4	5	7	3	9
5	9	7	6	3	8	2	1	4
4	3	2	7	9	1	5	6	8

*** მარტივი**

6		4		1	
1		7			
	2	5			6
5	4				3
8		1			6
	6		5	8	9
	5		2	7	
			6		4
	7		1		3

**** საშუალო**

	7		3		5	
			8		3	
	4			6	9	
		9	5			4
		2		4	6	8
5			8		6	
	6		2			5
	7			3		
	5		1		2	

***** რთული**

		8	6			3	
		2	9			8	
			4			5	
1			4	5	2		
4			2				9
	3			7			6
	7			1			
	4			6	7		
	9			4	1		

ფოტოკუჩიონები





ნატალია სონელიძე: „მხოლოდ ჩვენს კლინიკაში, თვეში 30-50 ინ ვიტრო განაყოფიერება სორსიელდება“

რა უსწაური თხოვნებით მიმართავენ ინ ვიტრო კლინიკის დირექტორს პასიენტები

ისინი იყვნენ პირველები, ვინც საქართველოში ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდი დანერგეს. დღემდე, ამ მეთოდის წყალობით, ქვეყანას 3000-ზე მეტი პატარა მოევლინა. დღეს, კლინიკა „ინ ვიტროს“ შვილის ყოლის სურვილით, ყოველდღიურად ათობით წყვილი აკითხავს და ხშირ შემთხვევაში, სასურველი შედეგი რამდენიმე თვეში დგება. თუმცა 11 წლის წინ, როდესაც ქალბატონი ნატა სონელიძე და ბატონი გია ცაგარეიშვილი ამ საქმის საწყისებთან იდგნენ, ბევრი სირთულის დაძლევა მოუხდათ.



ნატა სონელიძე, მედიცინის დოქტორი, ექიმი-რეპროდუქტოლოგი, „ინ ვიტრო“ კლინიკის დირექტორი:

— მამაჩემიც ექიმი გახლავთ, მეან-გინეკოლოგია და წლების განმავლობაში ბატონ კოტე ჩაჩავასთან მუშაობდა. თაყვანს ვცემდი მის პროფესიონალიზმსა და თავგანწირვას. პაციენტების გამო ღამეები არ ეძინა. ჩვენს სახლში უამრავი ადამიანი მოდიოდა მისთვის მადლობის სათქმელად. ამიტომ, მამის პროფესია ჩემთვის მისაბაძი გახდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარე და მამას მხოლოდ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გავუხილე, რომ მასსავით მეან-გინეკოლოგობა მინდოდა.

— ალბათ, ძალიან ამაყი იყო, მის კვალზე რომ გადწევიტეთ წასვლა...

— რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ჩემს გადწევიტელებას კატეგორიულად შეენინაღმდეგა. ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ იოსებ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის თანამშრომელი გავმხდარიყავი. იმ დროს, რეპროდუქტოლოგია როგორც დარგი, არ არსებობდა და ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტს, ქალისა და მამაკაცის უნაყოფობის ინსტიტუტი ერქვა. ასპირანტად მივედი, იქ ბატონი არჩილ ხომასურიძე დამხვდა და მისგან ვისწავლე ყველაფერი, რისი სწავლაც დამწეები ექიმისთვის არის აუცილებელი. დისერტაციაზე ვმუშაობდი, როდესაც ბატონმა არჩილმა რამდენიმე ექიმს გაგვიხილა, რომ ინსტიტუტის ბაზაზე ინ ვიტრო განაყოფიერების განყოფილების გახსნას აპირებდა. ეს საქართველოსთვის აბსოლუტურად უცხო დარგი იყო; რჩევა ისევ მამას ვკითხე, მან მითხრა, რომ არჩევანი თავად უნდა გამეკეთებინა. რისკიანი ვარ, იმის მიუხედავად, რომ მაშინ ბევრი ადამიანი სკეპტიკურად იყო განწყობილი ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდის მიმართ, გადწევიტელება მაინც ნოვაციის სასარგებლოდ მივიღე. ამის შემდეგ დაიწყო რთული, მაგრამ წარმატებისკენ მიმავალი გზა.

— იქნებ პირველი წლები გაიხსენოთ...

— ვფიქრობ, დღეს რომ წარმატებულები ვართ, ჩემი და გია ცაგარეიშვილის მეგობრობამ, პროფესიონალიზმმა და ერთმანეთის მხარში დგომამ განაპირობა. ბევრი სირთულე გადავლახეთ ერთად. როდესაც განყოფილებას ვქმნიდით, ხანძარი გაჩნდა და აპარატურის მნიშვნელოვანი ნაწილი დაინვა. ისევ თავიდან დავიწყეთ ყველაფრის კეთება. მოგესხენებათ, გასული საუკუნის 90-იანი წლები როგორი მძიმე პერიოდი იყო საქართველოსთვის. ჯერ იყო და ძლივს მოვიძიეთ ფინანსები, დავდიოდით უცხოეთში, ვსწავლობდით ინ ვიტრო მეთოდთან დაკავშირებულ ყველა ნიუანსს. ის იყო, უნდა დაგვეყო ამ მეთოდის განხორციელება, კიდევ ერთ სირთულეს წავაწყდით — ქვეყანაში ელექტრომომარაგების პრობლემა გაჩნდა; გარკვეული პერიოდის განმავლობაში საბაჟო არ მუშაობდა, შესაბამისი მედიკამენტები უცხოეთიდან დროულად რომ შემოგვეტანა. მახსოვს, 2 წლის განმავლობაში, გია ცაგარეიშვილი და დათო ფერაძე, ჩვენი კლინიკის დარაჯთან ერთად, ღამეებს ათევდნენ ინკუბატორთან, რომ საჭიროების შემთხვევაში, აპარატურის გადართვა ელექტრომომარაგების ალტერნატიულ წყაროზე დროულად მომხდარიყო.

— როგორი იყო ამ მეთოდის მიმართ პაციენტების დამოკიდებულება? მაშინვე გამოჩნდნენ ინ ვიტრო განაყოფიერების მსურველები?

— მსურველები იყვნენ, მაგრამ ამის საჯაროდ აფიშირებას ყველა გაურბოდა, არადა, ჩვენ რეკლამა და პიარი გვჭირდებოდა. გაგიკვირდებათ, ბევრი წყვილი დღესაც მალავს, რომ შვილი ამ მეთოდით შეეძინა. მერწმუნეთ, ხშირ შემთხვევაში, ეს მამაკაცის მიზეზით ხდება. ფიქრობენ, რომ თუ გაამჟღავნებენ, ვილაცამ შესაძლოა იფიქროს, რომ განაყოფიერებისთვის გამოყენებულ იქნა დონორის სპერმა და ა.შ.

— როდის დაიბადა პირველი ბავშვი?

— ჩვენი პირველი ბავშვი 2000 წელს დაიბადა, მას შემდეგ, რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიცვალა. პირველი პაციენტი, რომელმაც საჯაროდ განაცხადა, რომ შვილი ამ მეთოდით შეეძინა, უცხოელი იყო. სხვათა შორის, იმ ქალბატონმა 2 შვილი იმ ვიტრო განაყოფიერებით გააჩინა და მესამე ბუნებრივი გზით შეეძინა. კარგად მახსოვს ასევე პირველი შემთხვევა, როდესაც სამნაყოფიანი ორსულობა მივიღეთ. წლების წინ, ერთდროულად რამდენიმე კვერცხუჯრედი გადაგვქონდა საშვილოსნოში და მრავალნაყოფიან ორსულობას ვიღებდით, ახლა კი მსოფლიო გაიდლაინებით მონოდებუღია მხოლოდ ერთი ან ორი ემბრიონის გადატანა.

— მახსოვს, 3 ტყუპის დაბადებას დიდი რეზონანსი მოჰყვა...

— ჩვენ თვითონ სულმოუთქმელად ველოდებოდით. საკეისრო კვეთა დაიგეგმა. იმ დღით, სამშობიაროში წასვლამდე ტელეფონმა დარეკა, წამოვხტი საწოლიდან, გადმოვვარდი და ფეხი მოვიტყეხე. მოტეხილი ფეხით მივედი სამშობიაროში და შემდეგ რესტორანში აღმოვჩნდი. მართლაც მთელი თბილისი ლაპარაკობდა 3 ტყუპის დაბადების შესახებ. ამ ამბის შემდეგ ჩვენს კლინიკას უამრავი პაციენტი მოაწყდა. მოდიოდნენ ტყუპის, ვაჟების მსურველი მშობლები, კურიოზული შემთხვევაც ბევრი იყო.

— დარწმუნებული ვარ, ბევრი უცნაური თხოვნით მოდიოდა...

— დაახლოებით 40 წელს მიღწეულმა წყვილმა მოგემართა იმ ვიტრო განაყოფიერების სურვილით. ავუსხენით, რაში მდგომარეობდა ეს მეთოდი, მათაც გაგვიმხილეს, რომ ტყუპი ქალ-ვაჟი სურდათ, მოსაფიქრებლად გარკვეული დრო მოითხოვეს და წავიდნენ. მეორედ მოვიდნენ, კიდევ გვთხოვეს მოგვეთხრო იმ ვიტრო მეთოდის შესახებ და ისევ დრო მოითხოვეს. მესამედ უკვე გადაწყვეტილებით მოვიდნენ, მაგრამ თავისი პირობა წაგვიყენეს: 9 თვემდე ბავშვებს თქვენთან დავტოვებთო. ისევ ვცაღეთ აგვეხსნა, რომ განაყოფიერებული კვერცხუჯრედი რამდენიმე დღის შემდეგ ინკუბატორიდან საშვილოსნოს ღრუში გადაგვაქვს. მერე და ნუ გადაიტანთ და ინკუბატორში 9 თვემდე გამოზარდეთო — მოგვაგებეს პასუხი.

— ვაჟის შექმნის სურვილითაც მოგმართავენ ალბათ...

— ძალიან ბევრ ქვეყანაში, სქესის შერჩევის მიზნით იმ ვიტრო განაყოფიერების გაკეთება აკრძალულია. ემბრიონის ქრომოსომული შერჩევა სპეციალური სადიაგნოსტიკო აპარატურით ხდება, რასაც პრეიმპლანტაციური ქრომოსომული დიაგნოსტიკა ეწოდება. ამ შემთხვევაში მართლაც ხდება ემბრიონების გამორჩევა სქესის მიხედვით. ყველაზე დიდი გამოყენება ამ მეთოდს მემკვიდრული, სქესთან შეჭიდული დაავადებების დროს აქვს, როდესაც არსებობს იმის საშიშროება, რომ მემკვიდრეობით, გენის მეშვეობით მოხდეს ამა თუ იმ დაავადების გადაცემა. საქართველოში ამ მეთოდის დანერგვა აუცილებელია. ამით შთამომავლობაში პათოლოგიური გენის გადაცემის საშიშროებას თავიდან ავიცილებთ.

— დაახლოებით რამდენი ინ ვიტრო განაყოფიერება კეთდება თქვენს კლინიკაში თვის განმავლობაში?

— დაახლოებით 30-50. ბევრი პაციენტი მოგემართავს ასევე სუროგაციის სურვილით. სუროგატის აყვანა ხდება მაშინ, როდესაც თავად დედის საშვილოსნოს არ შეუძლია ატაროს ემბრიონი, აქვს საშვილოსნოს განვითარების მანკი, ან სხვა პრობლემები. გვყავს პაციენტები უცხოეთიდან. როგორც იცით, ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, ინ ვიტრო განაყოფიერების 3 ცდა სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიების მიერ ფინანსდება. თუ წყვილი ამ 3 ცდის შედეგად გააჩენს ბავშვს, შემდეგი სამი-ოთხი ცდა კიდევ უფასოა. მაგრამ სახელმწიფო აღარ აფინანსებს ინ ვიტრო განაყოფიერებას 39 წელს ზემოთ პაციენტებში და იმ შემთხვევებს, თუ პირველი 3 ცდა წარუმატებლად დასრულდა. ასეთი პაციენტები ხშირად აკითხავენ ჩვენს კლინიკას, რადგან ფასი ჩვენთან ბევრად უფრო ხელსაყრელია, ხარისხი კი — ევროპული სტანდარტების შესაბამისი.

— ჩვენი თანამოქალაქეებიც მიემგზავრებიან უცხოეთში ინ ვიტრო განაყოფიერებისთვის, რატომ?

— ყველა ადამიანს აქვს არჩევანის უფლება, მაგრამ აუცილებელია, რომ უშვილო წყვილმა სწორი არჩევანი გააკეთოს. ძალიან ხშირად, სწორი არჩევანის გაკეთება ვერ ხერხდება იმ მიზეზით, რომ არასწორად შეუდგება უცხოეთის კლინიკების მუშაობა, ხდება არასწორი შედეგების გამოქვეყნება, რაც ერთგვარი სატყუარაა პაციენტებისთვის. ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში უშედეგოდ მკურნალობენ ექიმებთან თუ ექიმბაშებთან, ჰგონიათ, რომ უცხოეთში გაერთიანებულ შედეგს მიიღებენ. თუმცა ხშირად იმედგაცრუებული ბრუნდებიან საქართველოში. ინ ვიტრო განაყოფიერების წარმატებით განხორციელებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს, პაციენტის და ექიმის განწყობილებას. უცხო ქვეყნის კლინიკაში პაციენტს ხვდება აბსოლუტურად უცხო ადამიანი, რომელიც მხოლოდ ავსებს ანკეტას და შეჰყავს ის საოპერაციოში პუნქციის გასაკეთებლად. აქ კი მოდიხარ ადამიანებთან, რომლებიც შენს ენაზე საუბრობენ, ერთნაირი მენტალიტეტი გაქვთ და ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც თბილი და ახლობელი გარემო გხვდება. ეს კი უკვე წარმატების ნახევარია.

ჯაბ ტუხიაშვილი



კომპლექსი გარკანი - სვლიკი, რუმბული

იკმეზფი ნაღიროზს!



როგორ აგნებს პითონი მსხვერპლს სიზნელაში?

ზაიკითხა და გაიკა უფრო მებო!

18 - დან 25 აკრილაშე

სვეციალური ფასი 15 ლარი!

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის



„კვირის პალიტრის“ ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!
ნიგნის შექმნის მსურველები დაუკავშირდით „**ელეკაჟი**“-ს
ტელ.: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერვის ყოველ ტიბს ადგილზე მოგართმევთ!



* - გალი

- №4 ველაწილი მსურველი
- №13 ჰაიკონი
- №12 მარტული
- №11 ჯილაქი
- №10 მამონტაბი
- №9 მინჯაბი
- №8 მუხარაბი
- №7 ჯიშობი
- №6 ჰაიკონი
- №5 კმეტი
- №4 მამონტაბი
- №3 მამონტაბი
- №2 მამონტაბი
- №1 კარგაბი



პოპი №15

სერია „ეს სამყაროა“-ს უკვე გამოსული ტომები იყიდება ნიგნის მალაზიებში